



მნათობი

6

036060



1953

ენათმეცნიერება



ფოლკლორული ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათე

6

★

ივნიანი

19

სახელგამი
თბილისი

53

სიბლარა ვარსკვლავებზე

პოემა



I.

ზუგდიდის გზაზე
მიფრინავდა
ზღვისფერი ზიმი
და კაშკაშებდა ვარდისფერი
დილა სოფლისა.
გლეხი სალამს რომ ვერ ასწრებდა,
გვესროდა ღიმილს,
და ამ ღიმილში იყო თქმული:
— გზა მშვიდობისა!

ჩვენებრ მიჰქროდნენ
ველ-მინდვრები,
მთები,
სოფლები, —
იყო სრბოლა და შეჯიბრება
გასაოცარი!
ქალიშვილებს რომ დალანდავდა,
ჩენი შოფერი,
გადასძახებდა:
— ლამაზებო, ზანა შორს არი?

— ზანა შორს არი! —
მოგვეახოდნენ სანატრელები,
მკლავშიშველები,
მზით დამწერები,
თელანათელები...

სოფელი ზანა!
ეს ხომ ჩემი სოფელი არი,
სადაც დავსდევდი
ჩიტებსა და ციციანათელებს,
სადაც დგას ჩემთა ბიძაშვილთა

სახლი და კარი, —
სადაც ჟამიჯამ
ღამეს ჩემზე ფიქრშიც ათევენ.

მელის ბებია,
საუკუნის ხნისა რომ არი
და ჩემზე შართლაც
საუკუნოდ გაჯავრებული;
მელის მამიდა,
მუდამ მხნე და შეუპოვარი,
ავადმყოფობით
ოდნავ მაინც დაჯაბნებული.

მელიან ტკბილი მეზობლები! —
თვითთულ მათგანს
განა არ ვიცი,
ჩემზე გული რომ აქვს ნატკენი, —
და შემდღურიან,
მემდღურიან უსაზღვროდ,
რადგან
მე დავივიწყე თითქმის —
ჩემი მოამაგენი.

თორმეტ წელიწადს არ მიხილავს
ჩემი სააკენე,
(გასაკვირია,
თბილისს თავი ვერ მიანებო?)
შვილობილს თქვენსას
ამის გამო,
მწამს, არ დააკლებთ
სითბოს,
სიყვარულს
და სინაზეს,
ჩემიანებო.

აჰა, მოვდივარ.
 მიხმობს მიწა მე მაღლიანი,
 და... როცა დადგამთ ქანდაკს
 შრომის ორგზის გმირისას, —
 თქვენთან ვიქნები!
 ახალ ქართვლის მემატინე
 დღეს თქვენს ზეიმზე გამოგზავნა
 დედა-თბილისმა! —

ამგვარ ფიქრებით გათანგული
 ვერც კი ვამჩნევდი,
 ჩვენი მანქანა
 კილომეტრებს როგორ კეცავდა...
 ხანდახან თვალწინ აგვიფრენდნენ
 თეთრი ყანჩები
 და ცის კაბადონს
 ფრთას გაჰკრავდა
 გუნდი მერცხალთა... —

II.

დულდა აპრილი
 და სკდებოდნენ ხეთა კვირტები,
 როგორც სკდებიან ცხელ დადარში
 ბატიბუტები,
 გზის ორივე მხარეს
 შრიალეზდნენ ეკალიპტები
 და იმათ ჩრდილში
 თამაშობდნენ კატის კნუტები...

მიიშდეროდა ორი ბავშვი
 გზაზე ხმამალა, —
 პიონერული გატაცებით,
 ლაღად,
 ამაყად!

დავეწიეთ და დავუძახეთ,
 და აჩქარებით
 გამოეშურა მანქანისკენ
 ორივე ბავშვი,
 ერთგვარად ეცვით,
 ერთურთს ისე ჰგვანდნენ მგზავრები,
 ვით ჰგვანან ერთურთს ნახევრები
 გაპრილი ეაშლის.

— ძმები ხართ?
 — ძმები.
 — რომელია უფროსი თქვენში?
 ამნაირ კითხვას
 არ ელოდნენ, მგონი, სრულებით.
 ატრიალებდნენ კილის ქუდებს
 ბალღები ხელში
 და... დიდხანს
 დუმდნენ
 დაბნეულები.

— არ ვიცი, ძია...
 შევეშალეთ დაბადების დროს...
 თქვა ბოლოს ერთმა
 და ავესო ცრემლით უპენი.
 ჩვენი ხარხარი მოეფინა
 გზას და ველ-მინდორს:
 — მასასადამე, ტყუპები ხართ?
 — დიას, ტყუპები.

— კეთილი. ახლა ეს მითხარით,
 საით აპირებთ?

— სკოლაში, ძია...
 — იქ კვირადღეს განა არიან?
 — დღეს პიონერთა შეკრებაზე,
 როგორც დაგვიბრდნენ,
 გვესტუმრებიან
 ეგოროვი და ქანთარია, —

აი, ისინი —
 ჩვენი დროშა ძლევაშოსილი
 რაიხსტაგზე რომ აიტანეს
 და ააბრწყინეს!
 თურმე სწვევია ქართველს
 მისი რუსი ძმობილი,
 ჩვენც შევეხვეწეთ
 და უარით არ გაგვაწბილეს...

ბალღებს ვუთხარი:
 — სწორედ მათგან ისწავლოთ უნდა
 ძმობა და ბრძოლა,
 წინხედვა და ძიება ახლის.
 მთელი არსებით,
 მთელი გულით,
 გიყვარდეთ მუდამ
 დიდი რუსეთი —
 მზრუნველი ძმა ყოველი ხალხის...

როცა ბიჭუნებს
მანქანაში ჩაჯდომა ეთხოვე,
შეყოვნდნენ ძმები
და... ორივეს ლოცა აენტო:
იყოდნენ —
უფროსს რომ უმცროსი
გზას უთმობს ხოლმე,
და არ იყოდნენ —
მათში რომელს უნდა დაეთმო!

III.

ზანაში შესვლა
ალუჩებმა შრიალით მამცნეს,
(ასეთ ალუჩებს,
დამიჯერე, ვერსად ვერ ნახავ).
ქუდს რომ ვუხდიდი ხეებს,
როგორც მეზობლის კაცებს,
თითქოს ისინიც მეძახოდნენ:
— ბიჭო, შენა ხარ?

ერთგან მანქანას გადაუტრა
გზა ზანისწყალმა,
რომელიც სწორედ ამ ადგილას
სოფელს ჰყოფს ორად.
თანამგზავს ვთხოვე:
— ამის შემდეგ მე ფეხით წავალ,
და ძველებურად,
გალმა მზრისკენ,
გავყვები ბორანს!

მივადექ ბორანს...
მრავალია ჩვენში მდინარე,
ყველა მათგანი,
მე მგონია, რომ ჩემს გულს ერთვის,
მე ყველა მიყვარს,
მშვიდი არის ის თუ მძვინვარე, —
და მაინც ჩემი სოფლის წყალი
სხვა არის ჩემთვის!

მე მის ნაპირას გავიზარდე,
როგორც ლერწამი,
სალამურივით
სიმღერისთვის
მის წინ ვეწამე.

ჩემო მდინარეო,
წკრიალს შენსას სიამით ვისმენ,

შენს კალაპოტში რომ მჩქეფარებს,
განა წყალია? *მარცხენაში*
ცხოვრების ზღვაში *მარცხენაში*
გაბედულად შევეცურე ისე,
რომ შენს ტალღებში ცურვაც
კარგად არ მისწავლია!..

სალამი შენდა,
რა მოგიტხოვო მე, ენაბლუმა?
ხელაყრობილი ვდგავარ შენს წინ,
ვთრთი და ვკანკალებ,
ცხოვრებამ ჩემმა
ჩემს აკვანში კვლავ დამაბრუნა
და კვლავ მივყვები
ჯერ წარუშლელს
ყრმობის ნაკვალევს.

სალამი ყველას,
ვისაც ოდეს უოცნებია
მთეარიან ღამით,
მშობლიური მდინარის პირას,
სალამი მასაც,
ვინც ოდესმე კი იოცნებებს
მდინარის პირას,
არა ხის ძირას...

ასე ვფიქრობდი თუ ვიძახდი,
არ ვიცი თაჟად,
როცა ბორანი მიამაგრეს
ნაპირს ჯაჭვებით,
მებორნემ უმაღ დამაშვიდა:
— სულ მალე წავალთ,
სტუმარო კაცო,
ჩვენც აქ დიდხანს
ველარ დაერჩებით...

IV

— რაო, სტუმარი?
დალოცვილო,
რატომ მამბრაზებ,
სამოცდაათმა წელიწადმა,
ვხედავ, გიწოია.
ფეხით იმდენი არ მივლია
ამ ქვეყანაზე,
რამდენიც შენი ბებერ ბორნით,
ფარნა-ბიძია.

ვაგლახ, რას ნიშნავს,
ჩემი ცნობა რომ ვაგიჟირდა,
ჰა, შემომხედე,
განა ისე გამოვიცვალე?
მკლავი გიჟირდა,
კარგად მახსოვს, თვალიც გიჟირდა!
— სანდროს ბიჭი ხარ? —
შემომძახა, —
ძლივსლა გიცანი!

გადამეხვია ეს მთაკაცი,
როგორც შეილიშვილს,
დამისვა გვერდით
კეთილმა და დარბაისელმა,
შემდეგ ეს მკითხა:
— როგორ ფიქრობთ,
წელს ზღვა თბილისის
ივრის იმედით,
მეგობარო,
მთლად აივსება?

ამასობაში შეიდიოდე
შეგროვდა მგზავრი,
წამოდგა ფარნა —
თმაქალარა კაცი, ვეება,
ბორანმაც იგრძნო
ბერიკაცის მკლავები მძლავრი
და... უყოყმანოდ
ადიდებულ ტალღებს შეება.

მქუხარე ტალღებს მიარღვევდა
მშვიდი ბორანი
და მე იმ ტალღებს ჩაეცქეროდი
ფიქრში წასული,
თვალწინ დამიდგა
მუდამ ღელვით მოსაგონარი
ერთი ასული:

მდინარის სარკეს ჩაჰყურებდა
თათია-ქალი
და მიღიმოდა
ეშმაკურად თვალდაქუცტილი,
წყალშიც მოჩანდა, რომ შეენოდა!
ლოყაზე ხალი
და გაღიმება —
უცოდველი,

სათნო,
კეთილი.

შავთვალა იყო,
მზით დამწვარი და შავგვრემანი,
მზეთუნახავს კი ეძახოდა
ვაეთა კრებული.
მათში მეტოქედ მე მიმანდა
მხოლოდ ლევანი,
ჩემებრ უღმერთოდ
თათიაზე შეყვარებული.

რამდენს ვფიქრობდით!
გვაწუხებდა მაინც ყველას ეს,
სამოქალაქო ომის სუნი
რომ არ ვიყნოსეთ,
ჰაკვა კორჩაგინს შევხაროდით,
ბორის ძნელაძეს,
და საკუთარ თავს ეუწოდებდით
რომანტიკოსებს.

კაცის ხსოვნაში
მრავალი რამ გადაიწვება,
ბევრ ალტყინებას გააცივებს
ღროთასელის თოში,
მაგრამ არასდროს,
მე არასდროს დამავიწყდება
პიონერების საკავშირო
შეკრება გორში.

ჩვენმა თათიამ იქ გაიცნო
მისივე კბილა
რუსის გოგონა
(კარგად მახსოვს: ერქვა ვალია),
ნიდაგ ერთად დადიოდნენ,
მღეროდნენ ტკბილად
და ერთმანეთი შეუყვარდათ
ბალღებს ძალიან.

დაეშმუვიდობეთ
ბელადის სახლს და გორის ქუჩებს!
უკანასკნელად,
როცა დაჰკრეს წასვლის ზარები,
გადაეხვივნენ დობილები
ერთუერთს და უცებ
ატირდნენ ისე,
რომ აკრემლდნენ უცხო მგზავრებიც...



წამოვიზარდეთ,
 კომკავშირში შევედით ერთად.
 არ ჩაუვლიათ
 ჩვენს უნაზეს ოცნებებს ცუდად...
 წყვილი ყვავილი
 აუფეთქდა თათიას მკერდთან,
 რომელთაც გოგო
 დარცხვენილი
 მალავდა მუდამ.

მათი მიზეზით ბევრმა
 ბევრი ღამე ათია.
 ...მდინარის აქეთ მე ვცხოვრობდი,
 გაღმა — თათია.

სალამოობით ვაცილებდი
 გოგონას ხშირად,
 ვეხვეწებოდი ჩვენს მეგობრებს:
 — ფარნა-ბიძია,
 როცა გადაწყვეტ,
 საბოლოოდ წახვიდე შინა,
 ხმა მომაწვდინე,
 დაიძახე, რაც შეგიძლია!

მაგრამ ჯავრობდა ამის გამო
 მოხუცი ფარნა,
 და ზოგჯერ იგი
 აკრემლებულს მტოვებდა გაღმა.
 შუალამეში
 გაცურავდი მდინარეს განა?
 მიტომაც ბევრჯერ შემეფარა
 თათიას ბაღმა.

როგორც იტყვიან,
 უღმობელი ქამთასელის ტალღამ
 ჩვენ დაგვაშორა სამუდამოდ
 ერთიმეორეს.
 ეს უცოდველი მოგონებაც
 დატოვა გაღმა
 ჩემმა ცხოვრებამ,
 როგორც მეგობრემ.

როცა თათია
 ამ ბორანზე ფეხით შედგება
 და ძია ფარნას
 მისებურად ჩქარა ჩაუვლის,

ვიცოდე, ნეტავ,
 ზოგჯერ მაინც თუ ახსენდება
 ჩვენი მეგობრის
 ანნაირო დანაშაული?
 ვიხსენებდი
 ვიხსენებდი

...მქუხარე ტალღებს მიარღვევდა
 მშვიდი ბორანი,
 ვგრძნობდი, რომ ფარნაც
 ჩემებრ ფიქრში იყო წასული.
 კვლავ თვალწინ მედგა
 სიყვარულით მოსაგონარი
 ჩვენი თათია:
 ხარბედიას ტურფა ასული!..

V

ერთი ბილიკი
 მალლობისკენ მიემართება,
 ჯერ სწრაფად მიჰქრის
 და მერე კი ხელმარჯვენე უხვევს,
 არ ერიდება სიბნელეში
 ღამის გათევა
 აქ მხოლოდ:
 ნაძვებს,
 ჩინარებს,
 მუხებს.

აი, აქ არის
 დედაჩემის აკლდამა წმიდა,
 სიცოცხლესა და სიკვდილს შორის
 სიმწვანე არი.
 ყოველი მხრიდან,
 ყოველი მხრიდან,
 ყოველი მხრიდან
 ხენი იცავენ
 და მათს კედელს ასკდება ქარი...

ვიდექ საფლავთან
 დარდიანი და თავდახრილი,
 ვით ძველი წყლული,
 მე გამეხსნა ბავშვობის სევდა.
 მე ვჩურჩულებდი
 და მეგონა —
 ჩემი ძახილი
 ესმოდა დედას:

— აბა, რა მეთქმის,
 აწი ცრემლებიც არის გვიანი,
 დედაო ჩემო,
 დიდხნის წინ თვალდახუჭულო,
 შავრამ თანა მდეგ,
 ვით ცოცხალი ადამიანი,
 და მე მზადა ვარ,
 როგორც მაშინ,
 კვლავ გეჩურჩულო;

ისე, ვით მაშინ,
 როცა მკერდზე გეკვროდი ბალდი,
 და ცრემლგამშრალი
 უსასოოდ, ჩუმად მკოცნიდი!
 მას შემდეგ ბევრჯერ მინატრია
 ოცნებით დაღლილს:
 — ნეტავ აქ იყოს და მხედავდეს
 ის დალოცვილი!

მე აქ მოვსულვარ,
 განა მისთვის ცრემლი დავეღვარო,
 განა ლტოლილმა
 გადაეწყვიტე აქ ჩუმი ყოფნა...
 მადლობელი ვარ,
 დედაჩემო,
 წმიდავ,
 შალალო,
 რომ მე ასეთი გამაჩინე
 ამ წუთისოფლად;

ღიახ, ასეთი,
 მეოცნებე ზღვარს გადასული,
 იმედიანი, ამაყი და დაუდგრომელი,
 შენი ბრალია,
 შენს უსიტყვო სურვილს ვასრულებ.
 და ვინღა იცის,
 კვლავ რამდენი
 ბრძოლა მომელის!..

სამემკვიდრეოდ შენგან მხოლოდ
 დამრჩა სურათი,
 რომ შევინახო
 ჩემთა დღეთა დასასრულამდი...

რა იქნებოდა,
 ყოფილიყავ შეილებში დღემდის,

ჯერ ახალგაზრდა
 ცხოვრების გზამ როგორც დედულად
 მე წარმოდგენაც კი არ მახლმძმსკენ
 ძვირფასო დედი,
 რომ შეიძლება შენც გქონოდა
 ერთ დროს ქალარა.

შვილიშვილს შენსას
 თუმც ყოველდღე ხედავს იმ სურათს,
 კი არა სჯერა,
 რომ შენ იყავ მისი ბებიია,
 გიყურებს დიდხანს
 და აცხადებს დარბაისლურად:
 — ყველა ბებიას
 უსათუოდ თეთრი თმები აქვს!

... შენ არ გეგონოს,
 მოვედი, რომ ცრემლი დავეღვარო,
 და ან დაჩაგრულს მომენატრა
 აქ ჩუმი ყოფნა, —
 მინდა მადლობა გითხრა, დედავ,
 წმიდავ,
 შალალო,
 რომ ჯარისკაცად გამაჩინე
 ამ წუთისოფლად!..

VI

მე თაიგული მივუტანე
 დედის აკლდამას,
 თუმცა
 სიუხვე ვარდყვავილთა
 როდი აკლდა მას...

ვადიდოთ
 ქვეყნად დაბადება ყვავილებისა!
 ქირში და ლხინში
 ერთნაირად სასურველები —
 გვხიბლავენ მუდამ
 სილამაზით და სურნელებით.
 დავლოცოთ
 ქვეყნად გამრავლება ყვავილებისა!

სიხარულის დროს
 სიხარულსაც სინათლეს აძლევს
 დაუცხრომელი ბრწყინვალეობა

მათი ფერების,
და...
აღამიანს
უკანასკნელ
მწუხარე გზაზეც
მიაცილებენ ყვაილები,
ვითარ ცრემლები...

დამწვიდობების ეპოი
თუმცა მოვიდა კიდევ,
მერიდებოდა დედაჩემის
კვლავ მიტოვება,
და ისევ ისე გარინდული
ბეჭობზე ვიდექი,
როდესაც ბურანს გამომტაცეს
სიყრმის ტოლებმა.

შინდოდა მათთან
შესაუბრა განთიადამდე,
ძმურად გამეგო:
ვის რა უღბინს,
ვის რა ადარდებს?

მაგრამ ბიჭებმა ამაჩქარეს.
ვიწრო ბილიკზე
ჩვენ ვეშვებოდით თითო-თითოდ,
ვით მთამსვლელები,
რომ დაეინახე:
დოსტაჭარი მიტო ბერიძე
ჩემსკენ მორბოდა
ქუდმოგლეჯით,
გაშლილ ხელებით.

იმ სიჩქარეში
ფეხი წაჰყრა კაბუკმა ქვაზე,
წაიბორძიკა,
პარცხმა მაინც ვერ შეაჩერა.
არც მოსულიყო ჩემამდე,
რომ დაიწყო ასე:
— ჩვენს გმირს მადლობა,
შენი თავი აქ. რომ გვაჩვენა.

ალალი არის,
რომ დაწერო ამ ქალზე წიგნი!
მისი აუფი ვერ გაბედოს
უელარც პირშავმა,

წელს ზომ ინსტიტუტს
დაუსწრებლად ამთავრებს
და ბრიგადასაც
მეთაურობს შესანიშნავად.

გათენებიდან
სოფელს მისი სიმღერა ესმის,
და ყველა ყლორტი
მისი თითის შეხებას ელის.
ორივე ხელით ჩაის კრეფა
დანერგა ჩვენში,
თუმც ზოგი ვინმე ხელს უშლიდა
ორივე ხელით.

გიგა ფხაკაძე თუ არ გახსოვს,
ვინ გეხსომება?
ჩაის მწონავად მუშაობდა
იგი აქამდის,
აი, სწორედ მან
გაუმწარა საწყალს ცხოვრება
ხელმოუწერელ წერილების
მღვრიე ნაკადით.

თურმე დამ-დამით
მაგიდასთან დინჯად თავდახრილს
წინ ედო რიგის ქალაღების
მოზრდილი კონა,
და მოზარმაცო,
შურიანი ცოლის კარნახით
წერდა
და თანაც კითხულობდა
მის გასაგონად:

„ამა და ამ დღეს,
ჩვენმა ორგზის გმირმა მკრეფაქმა —
კვლავ ჩააბარა
უვარგისი ფოთოლი ჩაის,
მაგრამ ფხაკაძემ,
რომელიც მას მუდმივ შეფად ჰყავს,
პირველ ხარისხში
მისი ხათრით მიიღო მაინც...“

ასეთს და ამგვარს
სად არ სწერდა, ვინ იცის, ნეტაე?
ძილს უკარგავდნენ
სულელური მისი ზრახვები.

შეჩვენებულმა

ოვისი თავიც კი გაიმეტა,
ოლონდ რითიმე ვაეტეხა
გმირის სახელი.

თუმცა... ჯანდაბას ახლა
გვიცა და მისი თავიც,
რა დროს ეგ არის...
და ასწია წარბები ზემოთ.
მე ძველ მეგობარს
სიყვარულით მოვხვიე მკლავი:
— ჩანს, არა მარტო ექიმის ხარ,
ძმობილო ჩემო!

ამ საუბარში
სადღაც ახლოს თოფმა იგრგვინა, —
გამოძახილმა
არემარე შეაკანკალა.
თითქოს იქიდან გავიგონეთ,
რომ დაიგმინა —
ტყეში
ტყიურმა
ტყვიანაკრავმა.

ვილაკამ გვითხრა:
— ეს თვალთვაძე არის ნამდვილად,
რევაზ თვალთვაძის თოფის ხმაა,
კარგად ვიცანი.
ცხრა მთას იქითაც
თუკი ფეხი დადგა ნადირმა,
იგი გუმანით მიუხვდება,
ვით გულთმისანნი.

VII

არა,
არ იყო ეს მიტინგი
ჩვეულებრივი,
ვინ არ მოვიდა, —
შორეული სოფლის გლეხებიც.
ხეებზე ისხდნენ ბიჭუნები
ბელურებივით
და ტოტებივით ჩამოეშვათ
დაბლა ფეხები.

უფრო მოზრდილი
სიმღერით და ახარხარებდა
ცას აურუბდნენ, ^{გინგლირთქვა}
როგორც ერთ დროს ჩემი ტოლები;
ისხდნენ მინდორზე,
სადაც ჩანდნენ ნაარხალები,
ვით კაცის შუბლზე —
ნაოჭების მკვეთრი ზოლები.

ორვარსკვლავიანს
დავეძებდი ხალხში თვალებით
და რომ ვიხილე დობილებთან,
თავამართული, —
ხელი გავშალე
გაოცებით და მღელვარებით:
თათია იდგა ჩემს წინაშე,
ჩვენი თათული!..

დაქალებული ჩანდა,
მხრებში ამალლებული,
დაქალებული,
მაინც ნაზი და ტანლერწამა,
მისი ღიმილიც,
მშვიდ სახეზე გაჩაღებული,
დასტურ კმაროდა
კაცის გულის დასალეწადად!

გახარებულმა
(ალბათ, სახე-გაბრწყინებულმა!)
ეუთხარი სიტყვა,
რაც გულს მოსწყდა თავისთავადა..
მკერდს თავსაფარი შეაშველა
აწინდებურად,
მაგრამ მის ფეთქვას,
აბა, როგორ დამიმალავდა?

ამ დროს ექიმმა
მე გამაცნო რევაზ თვალთვაძე,
რომლის ორლულაც
ხმა იცნეს ზანის მკვიდრებმა:
— წალენჯიხაში გაზრდილია,
მთების კალთაზე,
და მონადირე კარგი იყოს,
გაგიკვირდება?



მასწავლებელი .
 მგლის ნაკვალევს დასდევს მამაცად,
 მაგრამ ჩვენს ბიჭებს
 თვითონ უფრო ჰყავთ მოსაკლავი:
 სამი ვარსკვლავი
 გაიტაცა ერთად ამ კაცმა, —
 ერთი თათია,
 ორიც კიდევ — მისი ვარსკვლავი!

არც ის იკმარა,
 გმირი ცოლად რომ გაატანეს
 და დღეს თათია ხარბედია
 მის გვარს ატარებს...

მე მაშინ თითქოს
 დაეინახე ჩემი ბალობა,
 ხელს რომ მიქნევდა,
 მდგარი იქვე, ხევის მახლობლად.

მერე ღიმილი მომერია
 და უნებურად
 კვლავ ჩამოვართვი ახალ ნაცნობს
 ხელი ძმასავით!
 შემხედა ქალმა,
 თითქოს ოდნავ დაუბრებულმა,
 და მიეხალა იმის მკერდზე
 ვარსკვლავს ვარსკვლავი.

წუთიც და შედგა
 ხალხისაყენ თვალმიპყრობილი.
 საწყალი ქალი!
 ვგრობობდი, როგორ უთრთოდა ბაგე-
 როცა ჩაეკრა სიტყვის შემდეგ
 მისი ღობილი, —
 ატირდა ცხარედ.
 ბავშვობისას სჩვეოდა აგრე!

არ ჰქონდა ბოლო
 ამხანაგურ გულთბილ მილოცვებს,
 სიტყვა,
 კეთილი და უბრალო,
 მრავალი ითქვა.
 მაგრამ ის იყო
 სასაცილო სასაცილოზე,

მოულოდნელად
 ფხაკაძემ რომ ითხოვა სიტყვას
 ველარ მოასწრო
 კაცმა კარგად ხელის აწევა,
 რომ უკვე სტყორცნა
 მიტინგს მზერა არწივებური.
 ატყდა სიცილი,
 არ აცალეს სიტყვის დაწყება
 და ტრიბუნიდან ჩამოაგდეს
 გაწილებული...

ბოლო ორატორს რომ ეუსმენდი,
 შევნიშნე:
 ხალხმა
 გაუხსნა თედო-ფოსტალიონს
 შეკრული კარი,
 რადგან ჰყვიროდა:
 — გზა,
 გზა-მეთქი,
 სასწრაფო გახლავთ,
 გმირის სახელზე
 მოსკოვიდან დებეშა არის!..

დებეშა ფარნამ იგდო ხელში
 და ასე მითხრა:
 — კარგი იქნება,
 შენ ხმამალლა თუ წაიკითხავ!

მეც წავიკითხე:
 - ვერ გესტუმრე ზეიმზე, რადგან
 ზეგ სადოქტორო ხარისხს ვიცავ
 და არ მცალია,
 მაგრამ შენთან ვარ სიხარულში,
 გეხევეი მაგრად,
 გილოცავ გულთ
 და ვამაყობ შენით.

გალია“.

გმირმა დებეშა გამომართვა
 ხელის კანკალით,
 მიიკრა მკერდზე,
 სადაც ენთო წყვილი ვარსკვლავი.

ამ დროს
 ნელინელ ჩამოცურდა თხელი მარმარი

და ჩვენს წინაშე აღიმართა
 ბრინჯაოს ქალი!
 ადგა თათია ტრიბუნაზე
 და, ვით ზღაპარში,
 საკუთარ ქანდაკს უყურებდა
 ცრემლიან თვალით.

ცრემლმა იელვა ჩემს თვალებშიც
 ზულ ერთის წამით

და ჩემს მშობლიურ მიწას
 ფეხი მაგრად დაეკარი...
 ჰქუხდა სოფელი
 და ბრწყინავდა ვარსკვლავი სამი, —
 ერთი თათია,
 ორიც კიდევ მისი ვარსკვლავი!..

1953 წ. თბილისი.

პაპა ღიმიტრი

მოთხრობა



ტატანისში ყველა იცნობს პაპა ღიმიტრის, ყველას უყვარს ის. მართლაც, ვინ არის საუკეთესო გუთნის დედა, სახნავეებში ტბილი ღიმიტით რომ მიუძღვის ხარებს?

რასაკვირველია, პაპა ღიმიტრი!

ვინ არის მთელი სოფლის სასიკაღდულო მთესველი, რომელიც ისე გულიანად და თანასწორად ყრის ხნულეებში ხორბალს, რომ ყოველი მარცვალის ერთი ასად იძლევა მოსავალს?

ცხადია, პაპა ღიმიტრი.

ვინ იცის მთელი სოფლის ავკარგი, ან ვის სჩვევია დახმარება ჭირსა თუ ლხინში?..

ისევე პაპა ღიმიტრის!..

ღიმიტრი მალალი, მხარბეჭვაშლილი ჭარმაგი კაცია. შეხედვა გესიამოვნებდა. ქალაქაშერთული წვერ-ულვაში და თეთრი თმა ისე უნათებს სახეს, რომ მოხუცებულობის ნაოჭები არც კი ემჩინება.

— რამდენი წლისა იქნებით, პაპა? — რომ შეეკითხოთ, გარკვევით არ გიპასუხებთ. ჩაფიქრდება, წარბი შეეკვრება. სახიდან თავისი ჩვეული ღიმილი გაუქრება და ღიმილად გეტყვით:

— შიმშილობა რომ იყო, დიდი გეალებს დროს, კალია რომ შემოესია ჩვენს ყანებსა და ერთიანად გაანადგურა... მაგრამ შენ ეს სად გეხსომება! დაწყვიტე ზალბი, შავ დღეში ჩავეარდით. ეეჰ, ვინ იყო მაშინ ჩვენი გამკითხველი?!

უსათუოდ ხელმეორედ უნდა შეეკითხოთ, თორემ მოგონებებში წავა.

შეიძლება რამე ამბავიც კი მოგიყვეთ, გაგონილი თუ თავს გადამხდარი. მოსმენა არ მოგწყინდებთ, ძველ ჭირ-ვარამსა და ვაი-ვაგლახს თვალწინ გადაგიშლით, შეკითხვასაც გადაგიწყვებთ. ბოლოს, როდესაც თავის ამბავს მოათავეებს, დააყოლებს, მაშინ ბალღი ვიყავით.

გვიყვარს ღიმიტრისთან საუბარი, საქართველოს წარსულიდან მრავალი ამბავი იცის, მეტადრე ჩვენი კუთხისა, ასპინძისა და ახალციხის შესახებ. სიამოვნებით ვუსმენთ. ის ხუთი ვაყის მამა და თექვსმეტი შვილიშვილის პაპა. გამრჯე და დაუნარელი კაცია. მართო შვილიშვილები კი არ ეძახიან პაპას, მთელი სოფელი ასე მიმართავს. კარგი მოხუცია, კარგი. რომ იტყვიან, ბრძენთან ბრძენია და ბავშვთან ბავშვით, სწორედ ისეთია.

ბოლო დროს პაპა ღიმიტრი სამუშაოზე აღარ გამოდის. შეეწუხდი, ნეტავი რა დაემართა, რომ მიგეტოვებო? ორი სოფელი გავერთიანდით. ჩვენს სახნავ-სათესს თვალს ვეღარ გააწვდენ. ტრაქტორებმა მიჯნები გადათელეს და თავისუფლად გადახნეს მიწები. სერებზეც კი ყამირებს ვტეხავთ. წელს ორჯერ მეტი პური უნდა დაეთესოთ, ღიმიტრი კი, ასეთი მხენელ-მთესველი, ახლოს არ გვეკარება!

— რა დაემართა პაპა ღიმიტრის, სამუშაოზე რატომ არ გამოდის? — შეეკითხე ერთხელ დიდდა ოლას.

— შეუძლოდ არის! — მოკლედ მომიგო. შევატყე, ქმრის ავადმყოფობას ძალიან სწუხდა და არ შეველაპარაკე.

„რადგან მოხუცი შეუძლოდ არის, თავისი ნებაა, გინდ გამოვიდეს სამუშაოდ, გინდ არა. კარგი მარჯვენა კი დააკლდება ჩვენს კოლმეურნეობას“. — დამენანა გულში.

ამას შემდეგ რამდენჯერაც არ ჩავიარე მისი სახლის წინ, მოხუცი ყოველთვის გარეთ ლობესთან იჯდა.

„თუ შეუძლოდ არის, რატომ არ დავწება?“ — გავიფიქრე და ერთხელ გამოველაპარაკე:

— რაგორა ხარ, პაპა, მოისუსტებ? კაეივით მაგარი იყავი და რა დაგემართა?

— მაგარი?! — ღიმილით გაიმეორა ღიმიტრიმ, — დრო არ არის? განა კაეი კი არა ცვდება?!

— პაპა, ამ საღამოს გამგეობაში ჩამოდი. შენი დახმარება გეჭირდება! — ვთხოვე.

— ნუ მიწყენ, შენი ჰირიმიე, ვერ ჩამოვალ და რა ვქნა. ჩემს გიგას ველოდები. შინ მინდა დავხედე!

მოხუცის პასუხმა ჩამაფიქრა, შეიღს ელოდება! შინ უნდა დახედეს! სახლის წინ ლობესთან ზის და გზას გასცქერის, ჩემი გიგა მოვალ!

სამამულო ომი რომ დიწყო, პაპა ღიმიტრიმ ხუთივე ვაეი ფრონტზე გაისტუმრა. ვაეები შინ აღარ ჰყავდა, მაგრამ კარგი სანახავი იყო მაშინ პაპა ღიმიტრის ოჯახი. ხუთივე რძალი შეიღებიანად თავის სახლ-კარში გადაიყვანა. შეაერთა, შეაკავშირა. არნახული ოჯახი შექმნა. მარჯვედ დატრიალდა მაშინ ღიმიტრი. ბავშვებს არაფერი მოაკლდესო, უშამობას არ ვაგრძნობინებო. ოთხი რძალი სამუშაოდ გამოდიოდა, უფროსი რძალი კი, მარო, ოჯახს უვლიდა. აბა, მარტო რას გახდებოდა ღიმიტრის ცოლი, დიდედა ოლა, თექვსმეტი შეიღიშვილის მოვლას როგორ შეძლებდა? როდესაც ღიმიტრი და მისი რძლები მინდვრიდან ბრუნდებოდნენ, თბილი კერა და ცხელი კერძი ხედებოდათ შინ.

მე ეს შემთხვევით გავიგე. სიმიინდს

ვმარგლავდით. სადილობის დროს კრამეურნე ქალები ჩალის ქოხში იკრიბებოდნენ, რომ დაპურებულნიყვნენ. ზოგი მათგანი შინ გასაქცევად მოეზნადა.

— ქალებო, რა დაგემართათ, ყანაში გული არ გიჩერდებათ, ზომ ხედავთ, შრომადღეებიც ნაკლები გაქვთ. პაპა ღიმიტრის რძლებს მაინც შეხედეთ, როგორ მუშაობენ. განა ისინი დედები არ არიან, იმათ კი არა ჰყავთ შეიღები?! — გულჯავრიანად შეეძახე მათ.

— ერთი შენ იმათ ოჯახშიც შეიხედე და მერე ჩვენთანაც გადმოიხედე! — მწყრალად მიპასუხეს.

კოპებშეკრულნი მიცქეროდნენ. მათმა პასუხმა გამაკვირვა. ნეტავი ისეთი რა ხდება ღიმიტრის ოჯახში? წაეალ და მართლაც შევიხედავ მის ოჯახში, ვნახე, ასე ჯავრიანად რომ მანიშნეს. გადავწყვიტე და წავედი კიდეც. და იცით რას შევესწარი? ამაზე უკეთესს რას ნახავდა ადამიანის თვალი?!

გრძლად გაშლილი მაგიდის ირგვლივ შემომსხდარიყვნენ ბავშვები. მხიარულად ტიტიუნებდნენ და მადიანად შეექცეოდნენ მაწინის შექამადს. მაგიდაზე ახლად გამომცხვარი თონის პურები ეწყო. მარო, როგორც კრუხი წიწილებს, ისე დასტრიალებდა ბავშვებს. ზოგი წყალს მოინდომებდა, ზოგი პურს. პატარები გაბუტული ისხდნენ, საქმელს არ ეკარებოდნენ. იმას მეტი დაუსხი, მე ნაკლებიო.

— ხმამალა ლაპარაკი არ გავიგონო!

— ჩხუბი არ იყოს!

— ჯამებში ჩატოვებული შექამადი არ დამანახოთ! — არიგებდა ბავშვებს მწყრალად.

— მარო, გამაგებინე ერთი, რომლის დღეობაა, ასეთი ქეიფი რომ მოგიწყვიათ? — სიხარულის დაუფარავად შევეკითხე მოხიბლული.

— რას ამბობ, სანდრო, ასეთი ქეიფი აქ ყოველ დღეა... ეპ, რას ვამბობ, ყოველ დღე კი არა, დღეში სამჯერ გვაქვს!

— ბარაქალა. ბარაქალა! — ალტაცებით წარმოვთქვი.

— აი, თურმე რა ყოფილა იმისი მიზეზი, რომ პაპა დიმიტრის რძლები ასე გულმოდგინედ და დამშვიდებულად მუშაობენ!.. შუბლზე ხელი შემოვიყარი. სად იყავი, გონიერებავე, მთელი ჩვენი ქვეყანა საბავშვო სახლებით, ბალებით და კერებით არის მოფენილი, მე კი ვერ მოვიფიქრე ჩვენი კოლმეურნეობის ბავშვებისათვის ერთი პატარა ბავა მაინც მომეწყუო?!

სად იყო და სად არა, პაპა დიმიტრიმ შემოალო კარი. ბავშვები შემოეხვივნენ, ზოგმა კარგი ნიშანი ახარა, ზოგმა ფრონტიდან გამოგზავნილი მამის წერილი, უფროსებმა სკოლაში წასაღები ნივთები მოსთხოვეს, ჯარისკაცებს საჩუქრები უნდა გაუგზავნოთო, პატარებმა კი გადაქრით განუცხადეს, დღეს აღარსად გაგიშვებთ, თუ სადმე წახვალ, ჩვენც თან წაგვიყვანეთ!

— სტუმარს რატომ არაფერს მიართმევთ! — მიმართა დიმიტრიმ დიდება ოლას.

— რასა ბრძანებ, პაპა, რა დროს სტუმრობაა. მე აქ შენი მოწყობილი საბავშვო სახლის სანახავად მოვედი!

— მაინც სტუმარი ხარ! — არ მოიშალა მოხუცმა.

დღემ თუნგიტ ცივი წყალი, ბოთლით ღვინო და ერბოში დადუღებული ყველი შემოიტანა. ბაღჩაში სახელდახელოდ მოკრეფილმა მწვანელიმა სუფრა გაგვიხარა.

— ხეილში წყალი შევეშვი. — თქვა პაპამ, — სიცხეები დაიწყო!

— ხილს როგორი პირი უჩანს?

— კარგი, მაგრამ თუ ბაღს ხელი არ შევეწყუთ, არ ივარგებს!..

უფროსი ბავშვები გარეთ გავიდნენ, პატარები იქვე თამაშობდნენ. როდესაც პაპა დიმიტრიმ ჯამები ღვინით აავსო, ბავშვებს გადახედა და ხმადაბლა თქვა:

— ამ ბავშვებს რომ ვუცქერი, გული მტკივა, მამები თავს არ ადგათ. მოდი

და დღეგრძელობა ვუსურვოთ ომში წასულ ამათ მამებს. მაგარი გული მტკივთ, რომ მტერი დაამარცხოვს დედებს მშვიდობით დაბრუნდნენ!

მოხუცის სასოებით ნათქვამი სადღეგრძელო ღრმად განვიცადე და სიყვარულით დავლიე. პაპა დიმიტრი ჯერ კიდევ ღვინოს სვამდა, რომ ყველაზე უმცროსი შვილიშვილი, გია, მუხლებზე აუცოცდა. ის სულ ოთხი წლისა იქნებოდა. არა მგონია, მეტისა ყოფილიყო. გიამ პაპამის წვერებზე ხელი მოუცაცუნა, სახე თავისკენ შეაბრუნებინა და ბავშვისათვის უჩვეულო სერიოზულობით შეეკითხა:

— პაპა, რა არის გული?..

მოდი და ახლა ამ ცეროდენა ბავშვს აუხსენი, თუ რა არის გული?! მოხუცის ნათქვამს ყური მოჰკრა, გული მტკივო და უნდა გაიგოს, თუ რა სტკივა თავის საყვარელ პაპას. სიმართლე უნდა ვთქვა, მე არც კი ვიცოდი, თუ რანაირად შეიძლებოდა ამის ახსნა. დიმიტრიმ კი გამოცლილი ჯამი მაგიდაზე დადო, წვერულვაშზე ხელი გადაისვა, ბავშვი კალთაში ჩაისვა და უთხრა:

— აბა, აქ ყური დამადე!

დიმიტრიმ ბავშვს მკერდის მარცხენა მხარეზე ყური მიადებინა. ისინი რამდენიმე წამს ასე ჩაყრულები იყვნენ. ეტყობოდათ, შვილიშვილსაც სიამოვნებდა ეს და პაპასაც. მერე დიმიტრიმ ჰკითხა:

— პაპა, აბა, კარგად დაუგდე ყური, ხმა გესმის?..

— მესმის, პაპა, მესმის! — წამოიძახა გახარებულმა ბავშვმა.

— აი, ის არის გული, შიგ რომ ხმინობს!

— მერე შენ გტკივა გული?..

— შენ რომ ჩამეხუტე, მომირჩია! — უპასუხა მოხუცმა.

მე მინდოდა ჩემი სიხარულიც გამომეხატა გიასადმი და გავეხუმრე.

— მითხარი, გია, რომელი ხარო პა-

პა? შენც პაპას ეძახი, ეგეც პაპას გეძახის, გამაგებინე!

გამ ალმაცერად, მაგრამ ღიმილით შემომხედა, მერე პაპას გადაჰხედა და თითი გაიშვირა, აი, პაპა ის არისო!

ღიმიტრის ოჯახში რაღაც უჩვეულო სიტუაციას ვგრძნობდი. ძალიან მიყვარს ბავშვები და მათ ახლოს ბედნიერი ვიყავი. ოცდაათი წლის კაცი გაუხედა და ჯერაც არა მყავს შვილი. „ოჰ, ნეტავი ერთი ჩემს სახლშიც ატიტინდებოდეს პაპია აღამიანი!“ ვინატრე. ყანაში მიმჩქარებოდა, მაგრამ ვერ ვთმობდი ბავშვებს. ღვინომაც თავისი გაიტანა, დამატკბო. შვილის წყურვილი, რომელსაც მე ძალით ვიყუჩებ ხოლმე, უფრო გამიღვივა.

რა ბედნიერია ეს ოჯახი. მომავლის ყვაილები იზრდებიან... თექვსმეტი ბავშვია და თექვსმეტი სადღეგრძელო რომ მეთქვა, სულ ახალ-ახალი სიხარულით ამეცხებოდა გული.

წამოვდები და ქული მოვძებნე.

— უნდა წავიდე, ძალიან მჩქარებ! — ეუთხარი ღიმიტრის.

— რა გაჩქარებს?..

— როგორ თუ რა მიჩქარებს?! საბავშვო ბაგა მაქვს მოსაწყობი. საწოლები უნდა ვიშოვო, ჩვენს დურგალს სკამები და მაგიდები უნდა შევუკვეთო, ჭურჭელი გამოვძებნო!

— კეთილი, კეთილი!.. — ჩაილაპარაკა ღიმიტრის. — აღარ გაგაჩერებ. კარგი საქმე გადაგიწყვეტია. გაიხარებენ ჩვენი ქალები!

მეორე დღეს გამგეობის სხდომა მოვიწვიე. ავუწერე და დაუხატე პაპა ღიმიტრის ოჯახში ნანახი სურათი. მიწვედრილობით გვაჯობა-მეთქი, განვაცხადე. საკამათო არაფერი იყო. დავადგინეთ და ორი კვირის შემდეგ კოლმეურნეობას უკვე საკუთარი საბავშვო ბაგა ჰქონდა. ვისაც პატარები ჰყავდა, საბავშვო ბაგაში მოჰყავდათ და გულმშვილად გადიოდნენ სამუშაოდ.

ყოველ დღე შევირბენდი ხოლმე

ჩვენს საბავშვო ბაგაში, ვიკითხავდი, ხომ არ აკლდათ პატარები კრემერე სათითაოდ ჩამოვუვლიდი ბავშვებს და დაეხედავდი. მახარებდა მათი ნახეა, მათი უფრება...

აგერ, იმ შევტუხა ბიჭუნას ორივე ხელი დაუმეშტია და ჰაერში უაზროდ აქნევს. ხანდახან ცხვირპირში ამოირტყამს და მოულოდნელი ტყვილისაგან ატირდება ხოლმე. პაპაწინა გოგონას თვალები დაუმეშტია და შესცქერის თავის საწოლზე დაკიდებულ ვარდისფერ ზონარს. ის თავისი პატარა თითებით ღამობს ამ ზონარს ხელი ჩასკიდოს და პირთან მიიტანოს, მაგრამ ვერ ახერხებს და ბრაზობს. ერთს სძინავს ტყვილი და უშფოთველი ძილით, მეორესაც სძინავს, მაგრამ ტუჩებს აცმაცუნებს, თითქოს ჭუძუს ეძებსო... რამდენნაირი სახეა, სულ სხვადასხვაგვარი მოხაზულობა შებლის, თვალუბის, ბაგეებისა, მაგრამ ყველა ერთნაირად ბავშვეურია და ერთნაირად სასიყვარულო!

დაცქერბი და ეფიქრობ: აი, ხომ ხედავ. სანდრო, შენ ყველაფერი გაქვს, ბევრს მუშაობ, შენი შრომით სარგებლობაც მოგაქვს. როდესაც ნაშრომით და ნაჯაფართი შინ ბრუნდები, რასაკვირველია, სიხარულით გხვდება ცოლი. ორივენი გაშლილ სუფრას შემოუსხდები. პურიც შენი მონაგარია, ერბო-კარაქიც, ხილიცა და ბოსტნეულიც. ტყვილადაც შეექცევით, მაგრამ მაინც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს! აღამიანი მარტო თავის თავზე კი არ უნდა იზრუნოს, სხვაზეც უნდა იფიქროს, სხვაზეც იზრუნოს, მეტადრე მომავალზე!.. შენს ოჯახში კი მომავალს არაფერი არ გაგახსენებს. აი, აქ, ამ საბავშვო ბაგაში, ყველას ჰყავს შვილი თუ შვილიშვილი. შენ კი არა გყავს ბავშვი! ასე არ ვარგა, სანდრო, არ ვარგა!..

არ ვიცი, ვის დავმღურებოდი, მაგრამ, რადგან ასე იყო, ეს უნდა გამოემსწორებინა.

და მე ერთ დღეს თბილისისაკენ გავ-
წიე. ერთ საბავშვო სახლში მივედი.
ჩემი სურვილი განვუცხადე.

— ბიჭი თუ გოგო? — ღიმილით შე-
მეკითხნენ.

ერთი წამით შევყოყმანდი, მაგრამ
მამინევე ჩაეკალი ჩემში ეს ყოყმანი.

— სულ ერთია... ბავშვი ბავშვია!

— წამობრძანდით!

და მე გულის ფანქვალით გავყვიე
ახალგაზრდა ქალს, რომელმაც დიდ და
ნათელ დარბაზში შემიყვანა.

— ზაზა! — დაიძახა მან.

სამი წლის ბიჭუნამ მოიბრძინა.

არ დავმალავ და რატომღაც ღრმად
ამოვისუნთქე. გულზე მომეშვა, ქალმა
ვაყის სახელი რომ დაიძახა.

— აი, ხომ გეუბნებოდი, მამაშენი
მოვა და წაგიყვანს-მეთქი. შენი მამიკო
მოვიდა! — მიმართა იმ ქალმა ზაზას.

ბუთხუზა ბიჭმა შავი ეშმაკური თვა-
ლები შემომანათა, ორივე ხელი ჩემსკენ
გამოიშვირა და გაუბედავად დაიძახა:

— მამა!

მამინევე ხელში ავიტაცე, გულში ჩა-
ვიკარი და გადავკოცნე.

ამ დროს რამდენიმე პატარა ბავშვმა
მოიბრძინა. მათ უნდოდათ ენახათ ზაზას
მამიკო. ბავშვები ცნობისმოყვარეობით
მათვალისწინებდნენ. მათი აღმზრდელი
კი ტყბილად და დარიგებით ეუბნე-
ბოდა:

— აი, ხედავთ, ბავშვებო, ზაზას მამა
მოვიდა. თქვენი მშობლებიც მალე მოე-
ლენ და წაგიყვანენ.

იმევე წუთში ნამდვილი მამა გავხდი.
თურმე ზაზა ელოდებოდა მშობლების
მოსვლას. ასე იყო შთაგონებული..

გარეთ რომ გამოვედი ზაზა კართან
ვაჩერდა, ჩემი ცხენო! რომელი ცხენი
მეთქი... მე აქ ცხენი დამჩა... განა ის
შენი ცხენი იყო? ჩემი იყო, მე ვთამა-
შობდიო... ის ცხენი შენს ამხანაგებს
ვაჩქოთ. მე სხვას გიყიდი, წაყიდეო.
აღერსით ვუთხარი და დავითანხმე კი-

დევ. მართლაც ისეთი ცხენი გუყიდე
რომ მის ფაფარს ძლიერს შევადგენდი.

— დედიკო გელოდებოდა... დედაც
მოენატრე! — ეუბნებოდი მოფერებით,
როდესაც სახლს ვუახლოვდებოდი.

დედიკომაც თბილად ჩაიხუტა.

ზაზას არც დედა ახსოვდა, არც მამა,
მაგრამ ჩვილობიდან შთაგონებული
აზრი, რომ მისი მშობლები მოვიდო-
დნენ და შინ წაიყვანდნენ, ემეც აღარ
ჰბადებდნენ ბავშვის ნდობით. სავსე
გულში, რომ ჩვენ ნამდვილი მშობლები
ვიყავით.

მეორე დღეს ზაზაც მიეყვანე კოლ-
მეურნეობის საბავშვო ბაგაში. არც ჩემს
კოლს სცალოდა, ისიც მუშაობდა.

გავიდა სამამულო ომის მძიმე წლები.
ფრონტიდან თანდათან დაბრუნდნენ
ნაომარი ბიჭები.

დაბრუნდა პაპა დიმიტრის უფროსი
შვილი. გაიხარა დიმიტრიმ. შეიღმა
კოლშვილი თავის კერაზე გადაიყვანა.
კოტა ხნის შემდეგ დიმიტრის მეორე
შვილი ჩამოვიდა. ისიც დაუბრუნდა თა-
ვის ჭერს. რამდენიმე თვეში კიდევ ორი
შვილი ჩამოვიდა ფრონტიდან, მხოლოდ
გიგა დარჩა ჩამოუსვლელი. პაპა დი-
მიტრი მას გულგაუტეხავად ელოდებო-
და, მაგრამ არ იქნა და არა, გიგა აღარ
გამოჩნდა..

მთელმა სოფელმა იცის გიგას ჩამო-
უსვლლობის მიზეზი, ყველამ იცის,
რომ ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ პაპას
უმალავენ, არ უმხვლენ.

დაეჭვდა დიმიტრი, გული გაუტყდა.
მოეშვა, ხალისი დაეკარგა. მუშაობას
მიანება თავი.

ახლა პაპა დიმიტრი დილა-სალამოს
სახლის წინ ზის და გზას ვასცქერის,
ჩემი გიგა მოვაო!..

ყველაზე დიდი სიხარული რომ შეიძ-
ლება აგრძნობინოს ადამიანს? არა,
სწორი არ არის ეს შეკითხვა. ყველას

თავისი სიხარული აქვს!.. ჩემი ზაზა წელს მეორე კლასში გადავიდა. ის სკოლიდან მორბოდა და მოაფრიალებდა გაშლილ ფურცელს, რომელზეც მისი ნიშნები ეწერა. შორიდანვე გაიძახოდა, ხუთები, ხუთებიო!.. კიბეზე მარდად ამოირბინა. სახე აღმოდებული ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა. უზომოდ უხაროდა. ეს პატარა ბიჭუნა თავის ვალს იხდიდა ქვეყნის წინაშე — ფრიადზე სწავლობდა. ეს იყო მისი გმირობა და სიხარულისა და ბედნიერების მიზეზი.

ერთხელ ჩვენს სოფელში გეოლოგები ამოვიდნენ. მათ შორის ერთი ხანში შესული გეოლოგი იყო. ერთი შეხედვით, ძალმიღებულსა ჰგავდა, თვალებიც თითქოს ჩამქრალი ჰქონდა. კაცს ეგონებოდა, რომ მას ამ ქვეყნიური ფიჭრი არც კი ექნებოდა. მთაში წავიდნენ. მეც გავყევი. წყალვარდნილებით ჩამონგრეულ მთის ქანებს ათვალიერებდნენ. მოხუცი გეოლოგი ამხანაგებს გამოეყო და რატომღაც ცალკე მოვხვდით. ის ერთ ადგილს დააცქერდა. კლდეში მოჩანდა სხვადასხვა ფერის ქანები, რომლებიც წყლისაგან ისე ჩათლილიყო, თითქოს საგანგებოდ ჩაუჭრიათო. მოხუც გეოლოგს თვალებში ისეთი შუქი ჩაუდგა, ახალგაზრდა გეოგონებოდათ. სწრაფად მიირბინა იმ გორაკთან, ჩაქრით ქანს მტკრევა დაუწყო. კარგა დიდი ნატეხი მოიტანა ჩემთან და აღფრთოვანებულმა მითხრა:

— იციო, ეს რა მიგნებაა?!. იცით ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

ჯიბიდან თეთრი გაქათქათებული ხელსახოცი ამოიღო და ის ქუქყიანი ნატეხი გაახვია, ჯიბეში ჩაიღო. მერე მთელი გზა თავისი ნაპოვნის შესახებ გახარებული ლაპარაკობდა. მე გულში მეტყინებოდა. რა მოხდა, ისეთი რა ნახა, რომ ასეთი აღტაცებულია? მიკვირდა. მერე მივხვდი რომ ვცდებოდი. ჩვენს ქვეყანაში, შრომისა და მისწრაფების ამ

დიდ ფერხულში ყველას თავისი სიხარული აქვს!..

ეროვნული

მეც მაქვს ჩემი სიხარული. მეც ვაფიქვრი დაპურებულ ყანებს და სიხარულისაგან ვღელავ.

ყვითლად გადაშლილა ველი. მერე რა ვრცელა, რა გაშლილი... მთის ფერდობებზე აღის. ცის კიდეს უერთდება. დამძიმებული თავთავები მოლუნუნლან, ძლივს იმაგრებენ თავს და ხან ერთ მხარეს იხრებიან, ხან მეორე მხარეს. ეს კი ნამდვილი ღელვაა!..

რამდენიმე თავთავი მოეწყვიტე, ხელის გულზე გაფშვხენი. შეეუბერე, მძიმე და საესე მარცვალი დამრჩა მუქში... წელს დიდი გამოსავლიანობა ექნება პურს, მაგრამ თუ საჩქაროდ მკა არ დაეიწყეთ, მარცვალი ჩაცვივა!

საერთო კრება მოეიწვიე. ქუღზე კაცი უნდა გავიდეთ-მეთქი! ეწყინათ ქალებს. არც მანდილიანები დავრჩებით შინ... მართლაც-და, რა გული გაუძლებთ არ მომკან ის, რაც დათესეს?!..

ირმისთავზე მწემ შუბლი ამოჰყო. ნიშანი მოგვცა.

ახმაურდა ტრაქტორი... ეს ასი უღელსი ხარ-კამეჩია!..

კომბაინი შეტურდა ყანაში... ეს ათასი ნამგალია კარგი ვაქცაცების ხელში!..

მოცელილი თავთავები ცვივოდნენ კომბაინის მსრბოლავ ტილოზე. დაიფშვხენა თავთავი. გაზაფხულის წვრილ სეტყვასავით ახმაურდა და მსხვილი, ოჭროსფერი ხორბალი მძიმედ ჩაწვა ბუნკერში. კომბაინმა ყანის თავიდან ბოლომდე ჩაისრიალა, იქ, როგორც ვეებერთელა ფრინველი, ცალფრთაშემოკეცილი შემოტრიალდა და უკან გამოეშურა, ახლა სხვა მხრიდან მოუარა ყანას.

ყანის ბოლოში, ნაფუძართან, ჩალის ქოხი გვიდგას. იქ არის ჩვენი კალო. კალოსაკენ გავეშურე. წელს პირველად გამოვიდა ჩვენს ყანებში კომბაინი და ამ კალოზე უწინდელივით კერამიბმულ ხარებს არ დავარბინებთ.

— აბა, ილიკო, დაიწყე ხორბლის ზიდვა!

ილიკო, ჩვენი მეურმე, კალოზე ტომრებს ბერტყავდა და ალაგებდა. წამოხტა და საჩქაროდ ხარებისკენ გაექანა. ის ტანად სულ რაღაც ადლანხევარი იქნება. „პატარა კაცი“ — ასე ეძახის ყველა. არა სწყისს. პატარაა, მაგრამ დიდი გული აქვს, მარჯვეც არის. მასთან მხარდამხარ მუშაობა ბევრს უჭირს. ილიკომ თვალის დახამხამებაში ხარებს უღელი დაადგა. აბეურებით მაგრად შეკრა ტაბიკები, კოფოზე ბურთივით შეხტა და სწორეთ თავისი სიგრძის სახრით გარეკა ხარები.

კალოზე ჭილობები გაეშალათ, ირგვლივ სუფთად შემოეწმინდათ. გამხვავებული ქალები თავს დასტრიალებდნენ თავიანთ სამუშაო ადგილს, პირველ ხორბალს ელოდნენ. ისინი საღად გამოიციქრებოდნენ, სახეზე ეტყობოდათ დილა და ისიც მზიანი.

ქოხში შევიხედე. შიგ რამდენიმე ქალი ფუსფუსებდა. არჩევდნენ ლობიოს, მწვანის, ქრიდნენ ხახვს, პამიდორს. სადილს ამზადებდნენ. შორიახლო, დიდ სპილენძის ქვაბში ძირკორკოტა იხარშებოდა.

— ე მანდ ტრაქტორისტები და კომბაინერები არ მომიშოთ, კარგი შეკამალი დაამზადეთ! — რატომღაც მკაცრად მივმართე კარავში მოფუსფუსე ქალებს.

— შენ მაგისი დარდი ნუ გაქვს. როდის არ მოგწონებია ჩემი დაამზადებული შეკამალი?! — მიპასუხეს შიგნიდან და ახარხარდნენ. ხმაზე ვიცანი, ჩემი ცოლი იყო.

— ოო, შენა ხარ, თამარ, აბა, შენ იცი. როგორც შინ, აქაც ისეთი გემრიელი სადილი დაამზადე! — ტკბილად და წაქეზებით გამოველაპარაკე.

— ცოლის ხმა რომ გაიგო, როგორ დატყბა?! — წამოიძახა ვილაკამ.

საჩქაროდ მოვიცილდი მათ. ბრიგადებში უნდა გავიდე. ზოგი ბრიგადა ხე-

ლით მკის. უნდა ვნახო, როგორ მოაწყეს კალოები.

ერთხელ კიდევ გავხედე კომბაინს და გამაკვირვა სანახაობამ. კომბაინს ხალხი შემოხვევოდა. აღმათ დადგა! ხომ არაფერი მოხდა? კომბაინისკენ გავეშურე. ელელავდი... ნუთუ პირველ დღესვე მარცხი დაგვემართა?.. როცა მივუახლოვდი, თანდათან გუგუნო შემომესმა. დავმშვიდდი. ტრაქტორიც და კომბაინიც შეწყობილად მუშაობდნენ, ოღონდ კომბაინს ბავშვები შემოხვევოდნენ და დიდი სჯა-ბაასი გაემართათ:

— შეხედე, ბიჭო, რამოდენა მკელი გააქვს, მთელ სიგრძეზე ერთიანად ხვეტავს!

— ასე უცბათ ნეტავი როგორ არჩევს? უყურე, უყურე, როგორ მოჩხრიკალებს ხორბალი! მართლა საკვირველია!..

— თქვენ აქ რას აკეთებთ? — მოულოდნელად შევაწყვეტინე ბავშვებს აღტაცებული ლაპარაკი.

— თავთავის მოსაგროვებლად წამოვედით! — მიპასუხა ბავშვებში ყველაზე უფროსმა.

ბავშვების ტომრებს დავხედე, ყველა ცარიელი იყო.

— მერე ეს არის თქვენი თავთავის მოგროვება? პირდაღებულები მისდევთ კომბაინს. დაგავიწყდათ, რისთვის წამოდით?!

ბავშვები შეიშმულნენ.

— რომელია თქვენი ხელმძღვანელი? — შევეკითხე ღიმილით.

— ხელმძღვანელი რად გვინდა. გავყვებით ნაწვერალებსა და რაც ძირს თავთავი ეყრება, სულ ერთიანად მოვაგროვებთ!

— როგორ თუ არ გინდათ. ხელმძღვანელი საჭიროა. აი, ხომ ხედავთ, რა დაგემართათ. ახლა უკვე კარგა ბევრი თავთავი უნდა გქონდეთ შეგროვილი. თქვენ კი გაცდინეთ ღრამი! — ეგ რაღაა? შევეკითხე ერთ მათგანს, რომელ-

საც ხალათის ამობერილ უბეში რაღაც უფართხალეზდა.

— მწყრები დავიჭირეთ. კომბაინმა მთლად დაარქტიანა. თავებნეული დარბოდნენ და არ უნდა დაგვეჭირა?

ბიჭებმა უბეებიდან ამოიყვანეს ახალი პური დასუქებული მწყრები.

— ძია სანდრო, ამ მწყრებს შევწევთ და კომბაინერს მივართმევთ! ძიან ოსტატია! — მითხრა ისევ იმ უფროსმა ბავშვმა.

— შენ ვისი ბიჭი ხარ? — შევეკითხე მას.

— თამაზაანთი ვარ!

— თამაზაანთ ღიმიტრისა?

— დიას!

— რა გქვიან?

— გია.

— ოო, შენა ხარ, გია. რამოდენა ბიჭი გამხდარხარ, შეხედე ამას, ვერც კი ვიცანი. აი, გია, ხელმძღვანელი შენ იყავი. თუ გინდა, ბრიგადირს დაგარქმევ. თვალ-ყური ადევნე, რომ ნაყანევში თავთავი არ დაგარჩეთ.

გიას დავალება ესია მოვანა. სახე გაუბრწყინდა. ყველამ ცნობისმოყვარედ შეხედა მას. ისე უცქეროდნენ, თითქოს თამაზაანთ გია დღეს პირველად დაინახეს.

ბავშვები გაჰყენენ ნაყანევს. მე კომბაინზე ავედი. დავუქეროდი ხედერს, რომელიც სცელავდა პურს. ალაგ-ალაგ ჩაწოლილი ყანა ხვდებოდა, მაშინ ხედერს დაბლა დაუწევდნენ და ციბრუტივით მბრუნავი ტარაბუა თავთავიან ღეროებს ცელისაკენ მიაქანებდა.

— რამდენ პექტარს აიღებ დღეს? — ხმამალლა თითქმის ყვირილით შევეკითხე კომბაინერს.

„ოცსაო“, — ხელებით მანიშნა კომბაინერმა.

„ოც დღეში მოვათავებთ პურის აღებას“, — კმაყოფილებით გავიფიქრე და ჩამოვედი კომბაინიდან. უკან რომ ვბრუნდებოდი, წინ გია შემომყვარა და მოკრძალებით მითხრა:

— ძია სანდრო, იცი, რა მინდა?

— აბა, საიდან შეცოდებულა? — ჯერ ხომ არაფერი გითქვამს? — გავუხუმრე.

— მე მინდა კომბაინზე მუშაობა ვისწავლო!

— რამდენი წლისა ხარ?

— თორმეტისა გავხდები აი, მკას რომ დავამთავრებთ! — აშკარად წაუმატა ორიოდ წელი.

მხარზე ხელი დავარტყი და ვუთხარი:

— კარგი, გასწავლით!

ისე უცბათ მივეცი თანხმობა რომ გამა უნდობლად შემომხედა.

— ნუ გეშინია, არ დამაფიწყებდა! — დავუმატე და წამოვედი.

მთელი დღე ბრიგადიდან ბრიგადაში გადავდიოდი. როდესაც მეექვსე ბრიგადაში გავედი, უკვე ბინდდებოდა. ჩრდილები ეფინებოდა შორეულ მთებს და მის ახლო ფერდობებს. დღისით ძალიან ცხელოდა და გავარვარებული მზისგან შეტრუსული ბრჯის სურნელება შეგრილებულ ჰაერში სასიამოვნოდ ტრიალებდა. ამ ბრიგადაში ხელით მკიდნენ. კალოზე ჯერ კიდევ დაასრიალებდნენ კევრს. ურმებით ბულულებს ეზიდებოდნენ და მალალ ზვინებდად დგამდნენ. ტომარები სავეს იყო ახლად გაღეწილი პური. ყველანი გახარებული იყვნენ ხორბლის ხვავით.

კარგა დაბინდდა. ხარები გამოუშვეს. ღამის მეხრემ საქონელი საძოვრად წაიყვანა. ქალებმა კალო აახვავეს და გარშემო არხანდვით შემოასუფთავეს.

სიომ დაჰკრა. კარგა აგრილდა. ბულულებში მივწეკი. პურის სურნელი მათრობდა და მახრუებდა. კოლმეურნეებს ქათმები დაეკლათ და სახელდახელოდ წვნიანს ამზადებდნენ. გამალიზიანებული სუნი მომდიოდა, მაგრამ ისე დაღლილი ვიყავი, რომ მოცდა აღარ შემეძლო, ძილი ვარჩიე.

— არ დავეძინოს, სანდრო! — მფრთხილებდა დროდადრო ბრიგადირი, — სადაცაა მზად იქნება!

ერთი ორჯერ კი გავეცი პასუხი, მაგრამ ძილის რულს ვეღარ გავუძელი და ჩამეძინა.

გათენდა.

დიდებულია ზაფხული... რამდენ რამეს მოითავეს კაცი ამ დიდ დღეში?!

ისევ ახმაურდა კალო, აჭრიალდა ურმები. მოგუგუნდნენ მანქანები და დაიტვირთნენ ხორბლით სავსე ტომრებით. პირველი პური გავუგზავნეთ სახელმწიფოს!

პირველი ბრიგადისაკენ გავეშურე. ამ დილაზე მოზიდულ პურს ანიავებდნენ, ავსებდნენ ტომრებს. თავიდან იწყებოდა გუშინდელი დღე.

ბავშვები ნაყანევში გასასვლელად ემზადებოდნენ. საითაც გავიხედავდი, ყველგან თამაზაანთ გია შემომანათებდა თავისი შავი დიდრონი თვალებით. უსიტყვოდ მეკითხებოდა თავისი გულის წადილის შესახებ.

— აბა, ერთი მაჩვენე, რამდენი თავთავი შეაგროვეს ბავშვებმა? — კკითხე აღმრიცხველს.

— ოთხას ორმოცი კილო!

— ყოჩაღ, ბიჭებო, კარგად გიმუშავნიათ.

— ძია სანდრო, ბიჭებს დაეპირდი, კომბაინერი რომ გავხლები, ვინც ბლომად მოაგროვებს, იმას კომბაინზე შევსვამ-მეთქი!

— შენ რამდენი შეაგროვე?

— ორმოცდაოთხი კილო. ტომარაში აღარ ეტეოდა თორემ მეტსაც შეეგროვებდი! — დაიტრაბახა კიდევ.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! არ დამაფიწყდება, ჩვენი კოლმეურნეობის მომავალი კომბაინერი შენ იქნები! — ვუთხარი ტკბილად.

გია ალტაცებული შეტრიალდა და ბავშვებს გადასძახა:

— წავიდეთ, ბიჭებო, აგვეერ კომბაინი სად გასულა!..

ბავშვებმა ნაყანევს მიამურეს.

მკა დავამთავრეთ.

დაუვიწყარია ეს ზაფხული ჩვენთვის.

დიდი გამოსავალი ჰქონდა თავთავს. დიდძალი პური მოვიწიეთ. სახელმწიფოსაც ჩავებარეთ, სათვისლედაც გადავდეთ, გასანაწილებელიც ბევრი დაგვრჩა.

ერთ დღეს ილიკო ჩამაცვიდა, ვინდა თუ არა, თქვი შრომადღეზე რამდენ კილო ხორბალს გაანაწილებო. ჯერ არ მიანგარიშნია-მეთქი. ვარაუდითა თქვიო. შეიძლება ათი კილო შეგვხვდეს-მეთქი. გავახარე... აშენდა შენი ოჯახიო, ათი კილო სვირელებს კი არა, ტატანისელებსაც არ ახსოვთ, როდისმე მიელოთო.

მეორე დღეს შრომადღეზე სამ-სამი კილო ხორბალი ავანსი გავეცი. ალტაცებული იყვნენ კოლმეურნენი. ეს ამბავი მთელ რაიონს მოეფინა. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ დიდძალი პური მოიწიაო. ხალხი ხალისიანად იყო, თავდაუზოგავად მუშაობდა. მეც ყველა ბრიგადა უცბად საშემოდგომო ხვნაზე გადავიყვანე. უნდა დავუთესოთ ჩვენი მშობლიური წითელი დოლი. ავამუშავეთ ტრაქტორები. ნაკორდალებიც ბევრი გადავხანით. მიჯნებიც ზედ მივაყოლეთ. რვა ჰექტარი სახნავი მიწა შემოგვემატა. ტყუილ-უბრალოდ იყარგებოდა ეს ფართობი.

ტრაქტორები შევიდა ნაწვერალებზე. ზღაზვნით ბრუნავდნენ მძიმე მუხლუხოები. უკან მისდევდნენ გუთნები, თხუნელებივით მიძვრებოდნენ მიწაში. კვალს კვალი ემატებოდა, სახნავს სახნავი. რამდენიმე დღეში ერთიანად გადაშავდა ნაწვერალი.

ნეტავი როგორ არის პაპა დიმიტრი?.. მთელი ზაფხული არა მცალკოდა, რომ მენახა, არც ის გამოსულა კალოზე.

ერთ საღამოს, როდესაც კარგა შებინდებული იყო, დიმიტრისაკენ გავწიე. ის კართან იჯდა.

— პაპა, გამარჯობა!..

— გაგიმარჯოს! რომელი ხარ? — გულგრილად მკითხა.

— სანდრო ვარ, პაპა!

— ჩვენი თავმჯდომარე?..

— შენი რაღა თავმჯდომარე ვარ, ზაფხული ისე გავიდა, მინდორში ერთხელაც არ გამოხვედი. მთლად დაივიწყე კოლმეურნეობა!

ჩემს ხმაში სამღურავი იგრძნო და დამნაშავესავით ხმადაბლა მითხრა:

— რა ექნა, გარეთ გული აღარ მიჩერდება, რაც კი იმ შიშისაგან წიგნი შეწყდა, გუნება გამიფუჭდა..

ჩუმი ვიდექი. დავაცადე, მოწოლილი ნაღველი დასცხრომოდა.

— შინ შევიდეთ! — მთხოვა და გზა დამითმო.

— აჰ, არა, არა მცალიან. კოლმეურნეობაში იმდენი საქმე გვაქვს, ძილისთვისაც ვერ ვცლით!

— კარზე მომდგარი სტუმარი ასე აღვილად არ გაიშვება!

ამ დროს ელანატურებით გაშუქებულ აივანზე დიდდა ოლა გადმოდგა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — გადამოძახა და კიბისკენ გაემართა, — რამ აგაცდენინათ ფეხი?

— ფეხი რომ ამცდენოდა, აქ არ მოვხვდებოდი. პირიქით, პირდაპირ თქვენსკენ გამოვემართე.

აივანზე ავედით.

გრძელ სკამებზე ლასტები ეყარა, რომლებზეც გადაშლილი იყო ვაშლის, მსხლისა და ჭანჭურის ჩირები. ფიცრებზე დაესხათ თუთის ტკბილი ტყლაბები.

ოთახში შევედით.

კუთხეებში გროვად ეყარა მესხური ჯიშის ვაშლები: ნაბადა, რძევაშლა, ხეიწა. მოგზოგინე ბუხარში თუთის ბაქმასი იზარშებოდა. ტკბილი ოშხივარი ამოდიოდა ქვაბიდან.

პაპა დიმიტრი ტახტზე მიჯდა, მუთაქა მუხლებზე დაიდო და ზედ დაეყრდნო. დიდდამ სუფრის შუაგულში არაყო

დადგა. დინჯად, შეუმჩნევლად აწყობდა სუფრას.

— იმიტომ კი არ მფხვანდებოდა, რომ უნდა გამიმართოთ!

— ეს რა წვეულებაა. ჩვენ ხომ უნდა ვივახშმოთ?! იმას მოგახსენებდი, ჩემი გიგაი ძალიან ბიჭი იყო! — ჩამოაგდო ლაპარაკი დიმიტრიმ თავის გულის ტკივილზე.

დიდდამ ჯამით ბაქმასი გამოიტანა.

— ჩვენი ეზოს თუთისაა. თაფლივით ტკბილია, მიირთვიეთ!

დიმიტრისთვის ისეთი რამ მინდოდა მუთაქა, რომ მუშაობისაკენ გული შემობრუნებოდა, ამიტომ მხიარულად მიემართე:

— კომბაინი მაინც გენახა. ოჰ, ოჰ, ოჰ, როგორ მკიდა, როგორ მკიდა! დიდი სიკეთე გეიყო!

— განა არ მინახავს რომა?! ჩვენში არა ყოფილა მაგრამ, აი, იქა, გორში, დიდი ხანია მუშაობს. იქა სულ კომბაინითა მკიან! ხო, იმას ვამბობდი, ჩემს გიგას ძალიან უყვარდა ცოლ-შვილი! მთელი სოფელი უყვარდა!

— მთელი სოფელი კი არა, მთელი ჩვენი ქვეყანა! — მივუგე მე.

ლაპარაკში დიდდა ოლა ჩაერია.

— ერთი რამ გულს მიკლავს. ჯაგრი მაქვს ჩაყოლილი და უნდა ვიამბოთ. როცა გიგა ოშში მიდიოდა, გია სამი წლისა იყო. მამამისს აუჩემა, არ გაგიშვებო. გიგა დიდხანს ეალერსა, გული მოიჯერა, ბევრი ჰკოცნა, მაგრამ გია მაინც არ მოეშვა. ბოლოს სხვა გზა არ ჰქონდა, გაეპარა. იცით, როგორ გაეპარა? მეორე ოთახში თამბაქოსთვის მივდივარ და ახლავე მოვალე. გავიდა მეორე ოთახში და აღარ გამობრუნებულა. ბავშვმა უცადა, უცადა, როდესაც ნახა, რომ მამამისი აღარ გამოდიოდა, თვითონ გავიდა მოსაძებნად. ტირილით გაიძახოდა: მამილო! მამა კი უკვე წასული იყო. ბავშვი ტირილით უკან შემობრუნდა და თვალცრემლიანი მომაჩერდა. მეკითხებოდა მამა სად არისო.

— მოვა, გენაცვალოს დიდდა, ვამ-
შვიდებდი მოფერებით. მაგრამ განა მო-
ვიდა?

დიმიტრი წამოდგა, ნელი ნაბიჯით
ფანჯარასთან მივიდა. ფანჯარა გამოა-
ლო, გადაიხედა. იქნება მართლა სწო-
რედ ახლა მოდისო. მერე ჯავრიანი შე-
მობრუნდა და ხმაიმოუღებლად დაჯდა.
ერთ ადგილს მიაშტერდა. ფიქრობდა...
ცალი წარბი მალლა ასწია... — ნუ-
თუ?! — გამოიხატა ეს კითხვა მოხუცის
სათნო სახეზე.

— ერთხელ მე და გია ახალციხეში
ვიყავით, — განაგრძო — დიდდამ, —
ჭუნაში ერთი ჯარისკაცი შემოგვხვდა.
გიამ მიირბინა მასთან, შეაჩერა. სწო-
რედ მუხლებამდე სწვდებოდა ბავშვი,
ახედა გიამ და შეეკითხა:

— ძია, მამაჩემი ხომ არ გინახავს?..

ჯარისკაცი ჯერ დაიბნა, მერე გაერკ-
ვა, გაუღიმა და უპასუხა:

— არა, არ მინახავს!..

ნაწყენი მოვარდა ბავშვი. მამა რომ
იწერება ჯარში ვარო, მამ რატომ არ
უნახავს იმ ძიას?

საუბარში გავერთეთ. შევექცეოდით
მართლაც თაფლივით ტკბილ ბაჭმას.
მე და დიმიტრიმ თითო არაყიც გადაე-
კარით.

— ფერმას როდის ჩამოიყვან მთი-
დან? — იკითხა დიდდამ, — დარო მა-
ინც ჩამოვიდეს, მოხედოს აქაურობას!

— ჯერ კარგი დარებია. ცოტა ხანს
კიდე იქნებიან მთაში! ჩვენი საქონელი
გასუქებულია. კარგადაც იწველის...

დიმიტრი ისევ საკუთარ ფიქრებში
გაერთო.

— ერთი ამბავი ვიცი. ფრონტელმა
ჯარისკაცმა მიაშპო. მართალი ვითხრათ,
როცა გამახსენდება, სიამაყის გრძობა
მიპყრობს იმის გამო, რომ ჩვენს კუთხე-
შიც იბადებიან ასეთი მამაცი ადამი-
ანები!

პაპა დიმიტრი ჩემსკენ შემოტრიალ-
და, სახეში მომჩერდა, სმენად გადა-
იქცა.

— ეს სტალინგრადში მომხდარა.
ჩვენი ჯარები იცავდნენ ქალაქს, ერთ
პოლკში მედროშედ ქაჩუშვილი, მერე მე-
რი იყო, ახალგაზრდა, სწორედ გიგას
ხნისა იქნებოდა. როდესაც მას დროშა
ჩააბარეს, დროშასთან ფიცი და-
დო: — ვფიცავო, ვიდრე ცოცხალი ვარ
მტრის ხელი არ შეეხება ჩვენს დროშა-
საო! და პოლკი სტალინის ქალაქის
ერთ-ერთი უბნის დასაცავად გაეშურა.
მტერი ცდილობდა, ეს უბანი აეღო და
მდინარე ვოლგაზე გაჭრილიყო. პოლკი
შეუპოვრად იბრძოდა. მებრძოლები
შშობლიურ ქალაქს იცავდნენ უკანასკ-
ნელ სისხლის წვეთამდე, უკანასკნელ
ამოსუნთქვამდე. მეომრები წითლად აფ-
რიალებულ დროშას რომ ხედავდნენ,
იმედიანად და თავდაუზოგავად იბრძო-
დნენ. ვიდრე დამხმარე ნაწილი მოვი-
დოდა, ბევრი ჩვენი მებრძოლი დაეცა.
მართო მედროშე დარჩა. მას რამდენიმე
ჭრილობა ჰქონდა, მაგრამ თავს დამარ-
ცხებულად მინც არ თვლიდა, რადგან
ჯერ კიდე შეეშლო სროლა.

გვიან ღამით დამხმარე ნაწილი მოვი-
და. ამ ნაწილის შტაბში, რომელიც
ღრმა სანგარში იყო მოთავსებული,
ფერმკრთალი და ღონემიხდილი მეომარ-
ი შეიყვანეს. შტაბის უფროსმა თვალ-
წინ გაშლილი რუკიდან თავი მალლა
ასწია და შემოსულს ჰკითხა:

— თქვენ იცავდით ამ უბანს?

— დიახ, მეც... იმ პოლკის მედროშე
ვარ!

— რა გვარი ხართ? სად არის თქვენი
დროშა?

მეომარმა პასუხის გაცემა ველარ შე-
ძლო, ნაბიჯი წინ წასდგა და დაეცა.
ველარაფერი თქვა...

მაშინვე საკინძე შეუხსნეს. უსულოდ
დაცემულ მეომარს ხალათის შიგნით
მკერდზე დროშა ჰქონდა შემოხვეული,
იგი სისხლით იყო დასველებული.
ტყვიებს რამდენიმე ადგილას დაეცხრი-
ლა დროშის ქსოვილი.

სულგანაბული მისმენდნენ. ჩამოვარ-

დნილმა სიჩუმემ ერთი წამით მეც გაამაჩუქა. ჩემი წამიერი სიჩუმე დიდ დროდ მოეჩვენა მოხუცს და მაშინვე შემეკითხა:

— ვინ იყო ის მედროზე?

— მეომარს უბეში პარტიული ბილეთი უნახეს. მისი ფურცლები სისხლს დაეფარა. გაარჩიეს მხოლოდ ორი ასო „ძე“... გვარი კი ვერ ამოიკითხეს...

დემიტრი დაძაბული ყურადღებით მისმენდა, ამბავი დაემათავრე, მაგრამ ის მაინც შემომცქეროდა, კიდევ ზომ არაფერს იტყვისო. წამოვდექი და პირდაპირ ვკითხე:

— პაპა, მართალი მითხარი, ის მედროზე შენი შვილი რომ ყოფილიყო, გეამაყებოდა თუ არა?!

დემიტრიმ თავი ჩალუნა. საგონებელში ჩაეარდა. ხმა არ ამოიღო, მაგრამ ეტყობოდა, გულში მეთანხმებოდა.

— მაშ თუ ასეა, იცი, პაპა დემიტრი, რა უნდა გითხრა?..

მოხუცი ისე უცნაურად შემომაცქერდა, რომ ვერაფრის თქმა ვერ გავბედე... გაჩუმება ვარჩიე. ცხადია, დემიტრი მიხვდა, რომ ის მედროზე სწორედ მისი შვილი იყო, მისი გიგა, რომელსაც ასე ელოდებოდა!..

— ეჰ, განა არ ვიცი, გამარჯვება უმსხვერპლოდ არ იქნება! — თქვა მან.

— ომში ბევრი დაეცა, მაგრამ ვინც ვაეკატურად იბრძოდა, ის მაინც ცოცხლობს. ის ახლაც ჩვენთან არის, რადგან ჩვენს საქმეს შეეწირა!

ჭიქა ავიღე ხელში. ამ დროს გია შემოვიდა. ის უკვე ათი წლის ბიჭი იქნებოდა.

— აი, გიგას სიცოცხლე ეს არის! მან ამის ბედნიერებას შესწირა თავი. მაშ იღვრებოდა ჩვენი ქვეყნის ბედნიერება თათბარში. — ვთქვი და მაშინვე დაველოდე. ჭიქა მაგიდაზე ისე ხელმოწყვეტით დავდგი, კინაღამ გამოიტყდა.

დემიტრიმ სიყვარულით სავსე თვალებით შეხედა გიას და აღერსით უთხრა:

— შენ კი გენაცვალე, ჩემო ვაჟკაციო!

— გახსოვს, პაპა დემიტრი, რომის დროს გულის ტკივილზე რომ ვაპრობობდი, გია, გერ კიდევ ნამცეტვა მავზე შეგეკითხა, პაპა, გული რა არისო? შენ მაშინ მკერდზე ყური მიადებინე და უთხარი, შიგ რომ ხმაურობს, გული ის არისო. აი, ესენი გვირჩენენ მტკივან გულს, ესენი!..

დიდელა ოლა წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. ხელების მოძრაობაზე შევატყე, ხილაბანდის წვერებით ცრემლებს იწმენდა.

საქირო იყო მასაუბრო შეგვეცვალა

— პაპა, შენ არ იცი, რა მოგვიწოდა ჩვენმა მთავრობამ? — მოულოდნელად შევეკითხე.

— არა!

— საქართველოში ყოველწლიურად იმდენი პური უნდა მოვიყვანოთო, რომ მთელ წელიწადს ეყოსო. ჩვენი მოსაგვარი, ხომ იცი, სამ თვესაც არ გვყოფნის. განა ცოტა პური მოყავდათ ამ ჩვენს ქუთხეში ძველად ჩვენს წინაპრებს?

— ბევრი, ძალიან ბევრი! — კვერი დამიკრა დემიტრიმ, — გერ მარტო მესხეთ — ჯავახეთი რად ღირდა?.. საქართველოს პურის ბედელი ყოფილა. განა არ გაგიგონია?

„მე ჯავახეთს რა მიჭირდა

მთვარე იღვა მზესავითა,

კალმახი და ქერის პური

წინ მეყარა ბზესავითა“!

— და პაპა დემიტრიმ თავისებურად ლექსიც დააყოლა.

— ხოო და... ჩვენ წელს კორდები გადავხანით. ახალი სახნავ-სათესები შემატა კოლმეურნეობას. პაპა დემიტრი, შენს ახალგაზრდობაში ამ კორდებზე ყანები არ გახსოვს? ერთ დღეს, როცა ტრაქტორი ხნავდა, გადმობრუნებულ ბელტებში დაფანგებულ სახნისს წავაწყდით. როგორც ჩანს, ძველადაც მოუხნავთ და უთესიათ ამ ადგილებში!

— არა, არ მახსოვს, ეს თურქების

პირველ შემოსევამდე იქნებოდა.

— შეიძლება! ამას თავი დაეანებოთ. ერთი სათხოვარი მაქვს, პაპა დიმიტრი, უნდა ამისრულო, სხვა გზა არა გვაქვს!

— ჩემთან რა თხოვნა გვირდება. მითხარი და აგისრულებ კიდევ!

— ჩემი თხოვნა ის არის, რომ ნაკორდალში, იმ ახალ ხნულებში პური დაგვიტეხო. მთავარიანი ადგილია, სათესი მანქანა ეერ გაივლის... მთელ სოფელში, აბა, შენზე უკეთესი მთესველი ვინ შეგულება? გაიხსენე შენი ბარაქიანი მარჯვენის სიკეთე, დათესე პური!..

პაპა დიმიტრის თვალები გაუბრწყინდა, სახე ისე გაუნათდა, თითქოს ახალგაზრდა ყოფილიყოს, ფეხზე წამოდგა და მხრებში გასწორდა.

— როგორ, ჯერ არ დაგიტესიათ? რად აგვიანებთ? თოვლი რომ წამოვიდეს, ზომ დაგვრჩება დაუთესავი?!

„დაუთესავი დაგვრჩებაო“ — გულზე მალამოდ მომხვდა ეს სიტყვები. ის ახლა მთელ კოლმეურნეობაზე ფიქრობდა, საერთო სათესზე, საერთო საქმეზე!.. ეს ბრგე და წარმოსადგი მოხუცი უფრო

გაიზარდა ჩემს თვალში. დაუბრუნდა თავისი ჩვეული გამომეტყველება... ॥

— მაშ ხვალ დილას ნაცურადილხე გელოდებით, პაპა დიმიტრი!

— დილიდანვე, დილიდანვე გამოვალ! — მიპასუხა და მოწყვეტილად შეტრიალდა, — დედაკაცო, სად წახვედი, ჩემი სათესი მოძებნე. ხვალ დილას თესვაზე გავდივარ. ქალამნები და პაკიკებიც მომიშადე, არ დაგავიწყდეს!

„ამინდი არ შეიცვალოს“. — გამიელვა გულში, მართლა თოვლი რომ წამოვიდეს ყველაფერი ჩამეშლება. ვეღარც პაპა დიმიტრი გამოვა მინდორში.

ფანჯარა გამოვადე.

მთვარე კარგად შემალღებულიყო. პირსავსედ ანათებდა. თითქოს ვარსკვლავებიც დაზრდილიყვნენ. მთასა და ბარში დიდი მუქი იღვა.

პაპა დიმიტრი მიხვდა ფანჯრის გაღების მიზეზს და შემეკითხა:

— ამინდი ზომ არ გვიღალატებს?

— არა, ხვალ მზიანი დილა გათენდება!..

ლიმით მივადექ ღია თანჯარას
სიოს საამო პანგის მსმენელი,
ეფინებოდნენ ქუჩებს კვლავ ჯარად
ღარით დამტკბარი თბილისელები.

გამოიღარა, ფრთა გეკრა ნიაემა,
რა წუთიერი იყო ავდარი.
ბალებს ეამათ, ქუჩებს ეამათ,
პირს უკოცნიდა ჭადარს ჭადარი.

თვალის საამოდ ცა გამხდარიყო
უფრო ფირუზი, უფრო მაღალე...
მთაწმინდაც ასე მწვანე...
თითქოს სამოსი ეცვა ახალი.

ნისლს აქარგავდა სიო კალთაზე
ელვის ბატარა კვამლად დარჩენილს,
ლხენით ქუჩებში გასულ ათასებს
შეც შევეურთე ლხენით გზა ჩემი
და ვთქვი: დიდება ამ სილამაზეს,
თბილისს სიცოცხლის კერად გაჩენილს.

ჩვენი სოფლის ყვავილი



შინ მიმავალმა მამულზე ფიქრით
შემოვიარე ქალაქის ბაღში...
აგერ უეცრად, შადრევნის იქით,
თვალი მოგკარი ყვავილთა ზღვაში.

ვთქვი: დაუთმია მინდვრების კალთა,
სოფელი ჩვენი — სიცოცხლის ბუდე.
განა მშვენება უმისოდ აკლდათ
დედაქალაქის ყვავილთა გუნდებს?!

მოგიახლოვდი და გამოიცინე, —
აღბათ გეამა ნაცნობის ნახვა.
ქალი ცქრილა, თვალმოციმციმე
უფრო ლამაზი მეჩვენე ახლა.

როგორღა დაგთმო სიცოცხლე დედამ,
შენც როგორ დათმე ალერსი მშობლის!
ვინ გადმოგნერგა ამ ბაღში, ნეტავ,
ყვავილი ჩვენი ლამაზი სოფლის.

ო, ვიცი, ვიცი რა გაქვს სათქმელი, —
გსურს გაიბადრო ცოდნის ნათელით.

ქვეყნად არ გინდა უსხვიოდ ყოფნა,
დიდების შუქში ოცნებით დაჭრი,
გინდა სწავლული დაბრუნდე სოფლად
და გაახარო ქვეყანა საქმით.

ზვილიზვილის აკვანთან



გქონდა მარჯვენა მუდამ ძლიერი,
შენი ცხოვრება შენით აყვავდა.
თვალსხვიანი ქალის იერით
ახლა გრილოში ზიხარ აკვანთან.

შეგ შეილიშვილი გიწევს, გიცინის,
ვაჟი ფუნჩულა, ქვეყნის იმედი.

სხვის გმატებს მისი თვალის ციმციმი,
მისი სილადე, ფართო გულ-მკერდი.

აღბათ ვიქნებით გმირის მნახველი,
ჩანს, არ გაუშვებს დროს უბარაქოდ...
მას ჯერ ვერ უთქვამს დედის სახელი
და გინდა უკვე ილაპარაკოს.

მშობლები პირმშოს დღესაც შინ არ
 ჰყავს,
 მინდვრის მუშაკნი მინდვრად არიან...
 ზომ არ გაფიქრებს, შინ რომ ხშირად
 ხარ, —
 რა სამუშაო დღე და დარია!

ხუმრობ: გაგინდა თითქოს
 გამცდენი, —
 ნეტავ მიწის ქვეშ ქმარი არ გყავდეს,
 რომ მის გულშიაც ტკბილი განცდები,
 პაპის განცდები ტკბილად აყვავდეს.

შინ მყოფი ლაწვზე ყვავილს გიშლიდა,
 შორს მყოფი მუდამ გწერდა
 ბარათებს...

რომ დაფიქრდები, ახლაც ტიშტიონდნ
 მისი თვალის მზე შემოგაჩაყვებს...
 ზიზღილით
 ქვრივობამ დედა ვეფხვად გაქცია.
 ახლაც იმ გულით აკვანს უყურებ;
 შიგ შეილიშვილი, ვაჟი პაწია,
 მკერდგადაშლილი წყნარად
 ლულუნებს.

ალბათ ვიქნებით გმირის მნახველი,
 ჩანს, არ გაუშვებს დროს უბარაჭოდ...
 მას ჯერ ვერ უთქვამს დედის სახელი
 და გინდა უკვე ილაპარაკოს.

კარგ დროს მოხვედი



კარგ დროს მოხვედი, შეილო, ქვეყნად, — იბედნიერე,
 არ დაგხვედრია სამშობლოში მეფე, ბორკილი.
 შენია ქვეყნის ეს სიმდიდრე, სიმშვენიერე,
 გარშემო ყველა შენი ძმია, შენი დობილი.

ბევრი ებრძოლენ სიღარიბეს, ბორკილს მამებმა,
 მათმა შეილებმა ავაყვავეთ მათი ნათესი.
 გაქრა შიმშილის ყველა კერა, კაცის წამება,
 გატკბა სიცოცხლე, შეილისათვის — მშობლის ალერსი.

გატყდა ხრიოკი, უდაბნოშიც გაჩნდა ქალაქი,
 სასახლეებად გაიზარდნენ შავი ქოხები.
 ქვეყნის ბელელი საესე არის შრომის ბარაქით, —
 იბედნიერე, — შეილო, ქვეყნად კარგ დროს მოხვედი.

იბედნიერე, — შენს ყვავილებს ჩენს დიდ მთა-ველში
 არ მოაკლდებათ მზის ნათელი, ნამის ციმციმი.
 როგორ მიციანი! გაიციენ, მე მაგ თვალეშში
 გამარჯვებული კომუნისთვის თვალი მიციანის.

ორი ლექსი



ზუა თიანეთისკენ

რა მომხიბლავი და რა ნათელი
სხივით მაღალი მთა მოქარგულა!
ნისლი, ქედებზე ღამენათევი,
საღღაც უფესკრულში გადაკარგულა.

პოას რომ ასცდები, მთები ჩანს ისევ,
გადახურული წიფლების ჩრდილით,
ფართო შარაგზა მწვერვალებს მისდევს,
ველარსად ვამჩნევ ძველებურ ბილიკს.

ვეკას მაგონებს ახლა ეს მთები,
როგორც ოცნება, ნატყორცნი ცაში:
რა ჭაპანწყვეტით, რა მძიმე გზებით
ჩამოდიოდა მგოსანი ბარში!

იქნებ ნატრობდა, წლები ბრწყინვალე
თავის საკუთარ თვალთ ენახა,
ცხენით კი არა, ფრთამოკრიალე
მანქანით ეს მთა გადაეღახა.

ან ტყეში, როცა შეღამდებოდა,
და გზის გაგნება უჭირდა ბნელში,
იქნებ ეს შუქი ელანდებოდა,
ახლა კარბად რომ ციმციმებს ზევში?

და შორეული მთაწმინდის სერი
უცებ ჩემ თვალწინ აღიმართება.
ვეგრძნობ, მგოსნის ჩანგი ახლებურ
ელერთ
აღიდებს ახალ მთის დაბადებას!

შპრაინელი მასწავლებელი



თითქოს ნანატრი ნახე ძმობილი,
ვისი შეზღვევაც გულს გიხარებდა —
ჩუმი ღიმილით, როგორც დობილი,
შემოგვეგებე სკოლის კარებთან.

დაო, შორიდან მოსულო ჩვენთან,
ვარდი გაშლილა შენს გულის თქმაში
ყრმობიდან, თათქოს, შეზრდილი
მთებთან —
გმირული შრომით გვიდგახარ მხარში.

ხან ვურამიშვილს კითხულობ ეშხით,
ხან მღერი ტკბილად მოთას
სტრუქონებს,

ხან გაგიტაცებს ბუშყინის ლექსი
და ხან შეეჩენკოს „ანდერჰს“ იგონებ.

ხანაც მწვერვალებს მზერით რომ
ხედები,

მოგაგონდება მშობელი ბარი,
მაგრამ არ ნაღვლობ, რადგან ეს მთებიც
შენი მეორე სამშობლო არის.

შრომაში ერთად! ბრძოლაშიც ერთად!
ჩვენი მიზანი ერთი გზით მიდის,
ყველას გამზრდელი ერთი გვყავს
დედა —

ჩვენი საბჭოთა კავშირი დიდი!
აი, თუ რატომ, ალერსით სავსე,
ხალხისთვის მუდამ სიყეთის მქნელი —
თავს დასტრიალებს აღსაზრდელ
ბავშვებს
შენი თვალი და მზრუნველი ზელი.

ო, როგორ მინდა: სახე ნათელი
საღაც არ წავალ, ყველგან მახსოვდეს,
და გწამდეს, შენზე სიმღერა წრფელი
არ მოსწყინდება გულს არასოდეს!

შეგობრობა

საბავშვო მოთხრობა



ლამაზია ატენის ხეობა. ორ მხრივ ფიჭვითა და ნაძვით დაფარული მთე-ზია აღმართული. დაბლა მოქუხს პატა-რა ტანა, რომელსაც მარჯვენა ნაპირ-ზე ვიწრო გზა მისდევს. გზა და მდი-ნარე ერთმანეთზე ისე არიან გადახ-ლართული, რომ მთვარიან ღამეში, როცა ორივე ვერცხლის ზოლივით ბზინავს, ძნელია მათი ერთერთისაგან გარჩევა.

სოფელ ბოშურთან იქ, სადაც და-ქუცმაცებული ტანა ერთ ტოტში იყ-რის თავს, სოფლის გადაღმა მდებარე ფერდობზე რამდენიმე დიდი კაკლის ხე დგას. კაკლებს შუა პატარა ერთ-სართულიანი სკოლის შენობაა წამოს-კუბებული. თუმცა შენობა თეთრად არის შეღებილი, მაგრამ კაკლებში ისეა ჩამალული, რომ, თუ ახლო არ მიხედვით, ვერც კი შეამჩნევთ. აი, სწორედ ამ კაკლების ჩრდილში, ხაზზე იდგა პიონერთა რაზმეული.

— სჯობს დამნაშავე თვითონ გა-მოტყდეს, გამოვიდეს და თქვას, ვინც ჩაიდინა პიონერისათვის ეს უღირსი საქციელი. — ეუბნებოდა ბავშვებს პი-ონერრაზმის ხელმძღვანელი.

რაზმეული ღუმდა. არც ოთარი და ზურაბი იდებდნენ ხმას. ისინი რაზმის ბოლოში იდგნენ და ხელმძღვანელს სულგანაბელი უსმენდნენ.

სუსტი აგებულების და დაბალი ტა-ნისაა ზურაბი. ის წესრიგის მოყვარული და გამგონე ბავშვია. დიდიდან საღამომ-დე ხელში წიგნად უჭირავს. როგორც კი

თავისუფალ დროს გამოხახავს, უმაღ-წიგნს ხელში აიღებს. ჭადრაკის თამა-შიც უყვარს. ბანაკში ყველას სჯობნის. ამხანაგებმა მას „ბანაკის ჩემპიონიც“ კი შეარქვეს.

სულ სხვაა ოთარი. დღე ისე არ გაეა, წესრიგი არ დაარღვიოს. ხან ტყეში იბარება ბუდეების ჩამოსაშლელად, ხან მდინარეზე შირბის სათევზაოდ. ისეთი ღონიერია, — ვისაც ხელს წააგლებს, ფეხზე არ გააჩერებს. ყველას ეშინია, ყველას ერიდება მისი. ახლა, თვითონ როგორ ამყოფს, ნეტავი განახათ! მკერ-დი ამობერილი აქვს, მკლავები ოდნავ მოღუნული. აფხორილი ინდაურისვით დადის.

ზურაბი და ოთარი ერთ რგოლში არიან, მათი საწოლებიც ერთი მგორის გვერდით დგას. სკოლაშიც ერთად სწავ-ლობენ და ერთ მერხზე სხედან. ბანაკში თავისუფალ დროს ერთად ატარებენ. კარგი მეგობრები არიან, მაგრამ წარა-მარა კამათობენ. რაც არ უნდა თქვას ერთმა, მეორე უსათუოდ საწინააღმდე-გოს იტყვის. განსაკუთრებით ფეხბურთ-ზე ლაპარაკობენ ბევრს, ოთარი მოსკო-ვის „სპარტაკის“ გულშემმატკივარია, ზურაბი კი — თბილისის „დინამოსი“.

მათი კამათი ხშირად იმდენად მწვავე-დება, რომ ისინი ნაწყენი სცილდებიან ერთმანეთს. ასეთი შემთხვევის დროს ორივე თითქმის ერთსადაიმავს ამბობს: რა დაუჯერებელი ვინმეა, მე მას არა-სოდეს აღარ დაველაპარაკებო!

ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ კი,



ვითომ მათ შორის არაფერი მომხდარი-
ყოს, ისევე მეგობრულად საუბრობენ.

ახლა ორივე მოკენტული დგას. ოთა-
რი ისე აბუზულა, თითქოს ბედურა
იყოს, თანაც გული ნაპირზე ამოგდე-
ბული თევზავით უფართხალებს. ერთი
შეხედვით მთელი ყურადღება ხელ-
მძღვანელისაკენ აქვს მიქცეული, მაგ-
რამ, სინამდვილეში, მას თვალს არი-
დებს, განზე იხედება. დროდადრო იგი
გვირდში მდგომ ზურაბს მუჯლუგუნს
კვრავს და მუშტს უჩვენებს. მუჯლუ-
გუნს ზურაბი მუჯლუგუნითვე უპასუ-
ხებს, თანაც თვალებით აფრთხილებს —
გაჩერდი, თორემ ყველაფერს ვიტყვიო.
ზურაბმა მწყრივიდან გამოსვლა და რა-
ღაცის თქმაც კი დააპირა, მაგრამ ოთარ-
მა ერთი ისეთი დაუბრიალა თვალები,
თან ისე ღონხერად წასცხო ფერდში
იდაყვი, რომ განზრახვა შეაცვლივინა.

ზურაბმა იცის, თუ ვინ არის დამნა-
შავე. მან ზომ თავისი თვალით ნახა ყვე-
ლაფერი.

გუშინ შუადღისას რაზმეული საბა-
ნაოდან ბრუნდებოდა. სულ წინ პიო-
ნერხელმძღვანელი მარო მიაბიჯებდა.
მას სიმღერით მისდევდნენ ორად ჩა-
მწყრივებული პიონერები. მწვანედ ახა-
ვერდებულ ნაპირებს განუწყვეტლად
აწყდებოდნენ მდინარის მჩქეფარე
ტალღები.

სულ ბოლოს, რაზმეულისაგან გან-
ცალკეებით, ზურაბი და ოთარი მი-
დიოდნენ.

რაზმეული რაც უფრო უახლოვდებო-
და ბანაკს, ოთარი და ზურაბი მით უფ-
რო უკან რჩებოდნენ.

როცა რაზმეულმა გზიდან მარჯვნივ
გადაუხვია და ვიწრო ბილიკით ბანა-
კისკენ გზა განაგრძო, ოთარი შეჩერდა.

— ზურაბ, ისე გარბიხარ, თითქოს
უკან ვინმე მოგდევდეს, — უთხრა მან
ამხანაგს, — რა გეჩქარება, ხელმძღ-
ვანელმა ხომ გვითხრა, ნელა იარეთო.

მოდე, ცოტა დაეისვენოთ, თორემ სია-
რული არ შემოდია.

ამის თქმა და ოთარის გზისპირა ღო-
ბის ჩრდილში წამოგორება ერთი იყო.

— ნუთუ ასე უცბად დაილაღე? —
კითხა ზურაბმა და ისიც შეჩქვდა.

— დალლით არცთუ ისე ძალიან და-
ვილაღე, მაგრამ მგონი დასვენება არ
მაწყენს.

მცირე ყოყმანის შემდეგ ზურაბიც
ჯირკვზე ჩამოჯდა. აბა, სხვა რა გზა
ქონდა, ამხანაგს მარტო ხომ არ მიატო-
ვებდა?!

ოთარი გულაღმა იწვია, თვალდახუ-
კული, გახშირებით სუნთქავდა, გეგო-
ნებოდა, სირბილით ფერდები ამობერ-
ვია და ისეენებსო. ხანდახან ცალ თვალს
მალულად გაახელდა და ბანაკისკენ მი-
მავალ ამხანაგებს გახედავდა. ზურაბის
ფხიზელ თვალს ეს როდი გამოჰპარვია.

რაზმეული თვალს მიეფარა თუ არა,
ოთარი ფეხზე წამოხტა.

— ზურაბ, გულზე ხელი დაიდე და
ისე თქვი, ჯერ ატამი თუ დაგიძლე-
ვია? — შეეკითხა იგი ამხანაგს და
თვალის ჩაკერით ნარწემოვლებული ვე-
ნახი უჩვენა.

ვენახი იქვე, გზისპირას, პატარა ფერ-
დობზე იყო გაშენებული. ლარივით ჩა-
მწყრივებულ ვაზს დაკუნწული მტევ-
ნები ესხა, მაგრამ ჯერ შეთვალებული
არ იყო. ვენახში რამდენიმე პატარა
ატამი იდგა. მსხმოიარე მხოლოდ ერთი
ძირი იყო. ამ ერთ ძირსაც სულ რაღაც
ათიოდე ცალი ატამი ესხა.

ზურაბი უცბად ვერ მიხვდა ამხანა-
გის განზრახვას.

— რა დოყლაბიასავით დაგიღია პირი,
ვერ ხედავ, რა ატამია? დედა არ მო-
მიკვდეს, რომ ვუტყერი კბილებს კაწ-
კაწი გააქვთ!

— არა, ოთარ, მოპარული ატამი მე
არ მინდა, — მიუგო ზურაბმა.

ოთარმა გულიანად გადაიხარხარა:

— ბალში რომ ატამი მოწყვიტო, განა ეს ქურდობაა?

— მაშ, რა არის?

— რა და პირის ჩატკბარუნება, გირჩენია, ზედმეტ ლაპარაკს თავი დაანებო. თუ მოდიხარ, წამოდი, თუ არა და, გზას ხომ ხედავ, მოუსვი.

— კარგი, მე წავალ, მხოლოდ იცოდე...

— რა უნდა იცოდე?

— ის, რომ ბანაკში მისვლისთანავე ხელმძღვანელს ვეტყვი.

— ეს რა, კარგ საქმედ ჩაგვთვლება? ამხანაგი განა ამხანაგს დააბეზლებს? თუ შენსას არ დაიშლი, იცოდე, იმდენი მოგზავდება, რომ სულ „ვია დედა“ იძახო.

ზურაბმა ისე ვასწია ბანაკისაკენ, რომ ოთარისათვის არც შეუხედავს და აღარც რამე უთქვამს.

ოთარმა კი მელიასავით წაიგრძელა კისერი, ნარის ლობეში ხელიკივით გაძვრა და მალე მსხმოიარე ატამთან გაჩნდა. ერთი კი მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და თვალის დახამამებისთანავე ატამს კენწეროზე მოექცა. ტოტი მოიწია და ატმით უბე გაივსო. უცბად რაღაცამ ლაწანი გაიღო. ოთარს კინაღამ გული საგულედან ამოუვარდა. ხიდან ჩამოსრიალდა და ლობისკენ გაიქცა. ხან რას წამოჰკრაედა ფეხს, ხან რას და სულ ყირა-ყირა გადადიოდა. საიდანაც ლობეში შეძვრა, იქიდანვე გამოძვრა და ქუდმოგლეჯით ბანაკისკენ გაიქცა.

ამ დროს ბანაკისკენ ნელი ნაბიჯით მიმავალი ზურაბი იმაზე ფიქრობდა, გაეთქვა ამხანაგი, თუ არა?

ვთქვათ, ხელმძღვანელს უთხრა ოთარის უღირსი საქციელის შესახებ, მერე, როგორი თვალით უნდა შეხედოს ოთარს? ვაითუ, ამხანაგებმა მძებელარა შეარქვეან, შეიძულონ და აბუჩად აიგდონ! ისევ ისა სჯობს, კრინტი არ დასძრას.

ის-ის იყო პიონერებმა ისაღილეს, რომ ბანაკში მოხუცი კოლმეურნე მივი-

და. მას ხელში ატმის მოტეხილი ტოტი ეკირა. მოხუცს თმა და წვეწარსა და თოვლივით გათეთრებული დაწარქვბულ და მზით დამწვარ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. დაღონებული იყო. ბავშვები მოხუცს კომკართან შეეგებნენ.

— რას გვიბრძანებ? — ჰკითხა მას მორიგე პიონერმა.

— თქვენს კარგად ყოფნასა და ჯანმრთელობას, შეიღებო!

— ტყუილუბრალოდ არ გაირჯებოდით. ან ეს ატმის ტოტი რას ნიშნავს?

— ეჰ, რაღა მეთქმის, ჩემო პატარა მეგობრებო, — თქვა მოხუცმა და ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ მთელი გული ამოატანა, — ათი წელია ატმის ახალი ჯიშის გამოყვანაზე ვმუშაობ, როგორც მშობელ დედას თქვენზე უზრუნვია და გამოუზრდიხართ, ისე მე უზრუნავდი და ვზრდიდი ატმის ამ ახალ ჯიშს. უნაყოფოდ არ ჩაიარა ჩემმა შრომა-ამაგმა, წელს პირველად მივიღე ნაყოფი. ნეტავ თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი სიხარული... ხელახლად დავიბადე, მაგრამ ვაი ჩემს თავს — დიდი სიხარული, მწუხარებად გადამექცა. თქვენმა ერთმა ამხანაგმა ფეხით გათელა ჩემი ნაღვაწ-ნადაგი, ვენახში ვადაიპარა, ისე გაკრიფა ჩემი გამოყვანილი ახალი ჯიშის ატმები, რომ ერთი ცალიც არ შეარჩინა, თანაც აი ეს ტოტი მოსტეხა.

— ქურდი ვერ დაიჭირეთ? — ერთდროულად შეეკითხნენ აქეთიქიდან ბავშვები.

— დაქერით ვერ დავიჭირე, დანახვით კი დავინახე.

— ვერ იცანით?

— ცნობით როგორ ვარ ვიცანი, მაგრამ არ ვიტყვი, არ მინდა ამხანაგებში შეეარცხეინო. უფრო იმიტომ შეგაწუხეთ, მეშინია, ვაითუ ამ პიონერმა თავისი არ დაიშალოს, კიდევ დრო იხელთოს და ჩემი გამოყვანილი სხვა ჯიშის ატმებიც მოკრიფოს. ახლა თქვენ იცით,

როგორც სჯობდეს, ისე მოიქეცით. ღამე მშვიდობისა და კარგად ყოფნა, შეილებო!

მოხუცი სოფლისკენ წავიდა. პიონერები დაღონებული გასცქეროდნენ ნელი ნაბიჯით მიმავალ მოხუცს. ზურაბიც სხვებთან ერთად იყო. როცა მოხუცი ლაპარაკობდა, გული ჩიტვით უფრთხილდებდა. სულ აქეთ-იქით იყურებოდა, უნდოდა ოთარი დაენახა, მაგრამ ის არსად ჩანდა. მან არ იცოდა, რომ მოხუცის კიშკარში შემოსვლისთანავე ოთარი მალულად გაიპარა და ბანაკის შორიახლო ბუჩქებში დაიმალა.

მოხუცის წასვლისთანავე ხელმძღვანელმა რაზმეული დაამწყობა. როცა ოთარმა მოიბრინა ყველა რიგში იდგა. ხელმძღვანელისგან ნებართვა აიღო და ზურაბის გვერდით დადგა.

აი, ახლა ოთარი ზურაბის გვერდით დგას და თვალთ ანიშნებს — არაფერი თქვაო.

„რა ჰქნას, როგორ მოიქცეს ზურაბი თქვას თუ არა თქვას?“ ვინ იცის, რამდენჯერ დაუსვა ეს კითხვა თავის თავს, მაგრამ მაინც ამჯობინა, რომ არაფერი ეთქვა.

— ბავშვებო, ქურდობა ერთი დანაშაულია, მეორე დანაშაული ის არის, რომ ამის ჩამდენი არ ტყდება, განაგრძობდა პიონერრაზმის ხელმძღვანელი. პიონერებს სათითაოდ შეხება და თვალი ზურაბზე შეაჩერა. დაკვირვებით დააცქერდა მის გაფითრებულ სახეს და მიხვდა, რომ ზურაბი ლეღვდა, მას თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა.

— ნუთუ არც ერთმა თქვენგანმა არ იცის, ვინ შეგვარცხვინა, ვინ მოგვკრა თავი? ეს შეუძლებელია. კარგი, ბავშვებო, დაიშალენით. ეს ამბავი ყოველმხრივ ასწონ-დასწონეთ, იფიქრეთ, იმსჯელეთ. ამ საკითხზე ლაპარაკი ჩვენ კიდევ მოგვიხდება.

3. „ნათობი“ № 6.

გრილი, წყნარი ღამე იყო. მალალ მთის წვერზე ჩამომჯდარი მთვარე მნოსა და ლაზათს მატებდა ატენის ლამაზ ხეობას. ერთი საათი მაინც იქნება, რაც მებუქემ ძილის ნიშანი დაუკრა და ბანაკში ბავშვების ყვილ-ხვილი მიწყდა.

მარო საწოლ ოთახში იდაყვებზე დაყრდნობილი იჯდა, წიგნს კითხულობდა. კითხვით ისე იყო გართული, რომ ვერც კი გაიგო, თუ როგორ შევიდა ოთახში ზურაბი და კარებთან შეჩერდა.

— ამხანაგო ხელმძღვანელო, — წარმოთქვა ოთახში შესულმა.

— შენა ხარ, ზურაბი?!

— დიას, მე ვარ, — წაიჩურჩულა ზურაბმა.

— რაშია საქმე, ასე ხმადებლა რატომ ლაპარაკობ?

— მეშინია, ვინმემ არ გაიგოს.

— განა რა საქმეზე ხარ მოსული, რომ ასე შიშობ?

— ერთი რამ უნდა გითხრათ, ამხანაგო ხელმძღვანელო.

— მე გისმენ!

— ამხანაგო ხელმძღვანელო, ატმები ოთარმა დაკრიფა... მდინარიდან რომ ვბრუნდებოდით, აი, სწორედ მაშინ...

— მერე, შენ არ დაუშალე?

— დაუშალე, მაგრამ არ გამოგონა.

— მოსვლისთანავე რატომ არ მიიხარო, ან მწყრივში რატომ არაფერი თქვი?

— როგორ უნდა მეთქვა, როცა ოთარი ჩემი კარგი ამხანაგია!.. ამხანაგო ხელმძღვანელო, გეხვეწებით, არავის უთხრათ, არ მინდა ბეზღია შეპარქვან, — ზურაბი განუხდა, ერთხანს თავდახრილი იდგა — წავალ, თორემ ლოგინიდან ჩემად ავდექი და ამხანაგები გაიგებენ, — ჩაილაპარაკა ბოლოს.

— წადი, თავისუფალი ხარ.

ზურაბი მიტრიალდა და ოთახიდან გავიდა. მარომ ფანჯარა გამოაღო. მივა-

რის შუქზე გარკვევით დაინახა, თუ როგორ მიიპარებოდა ზურაბი კედელ-კედელ იმ ოთახისაკენ, რომელშიც მისი რაზმის პიონერებს ეძინათ.

მაროსთვის მოულოდნელი როდი იყო ზურაბის ნათქვამი. მას ეჭვი სწორედ ოთარზე ჰქონდა. მაგრამ მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო ზურაბის საქციელი. ზურაბს არ ეყო გამბედაობა, რომ ამხანაგების თანდასწრებით, როგორც ეს ნამდვილ პიონერს მოეთხოვება, ეთქვა, ის, რაც მალულად უთხრა ხელმძღვანელს.

„არა, ეს დაუშვებელია, — ფიქრობდა მარო. — ზურაბი სწორად არ მოიქცა ის უნდა დაეარწმუნოთ, რომ მანაც ამით დანაშაული ჩაიდინა. ოთარს ჯერ არაფერს ვეტყვი, იქნებ თვითონვე გამოტყდეს. რაზემულის საბჭოს სხდომაზე კი ამ საკითხის განხილვა აუცილებელია“.

*
* *

მეორე დღეს რაზმეულის საბჭოს რიგგარეშე სხდომა ჩატარდა. საბჭოს წევრები გრძელ მაგიდას უსხდნენ. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, წითელენტიბიანი გოგონა, მაგიდის თავში იდგა. აქვე იყო პიონერრაზმის ხელმძღვანელი. სხდომა დიდხანს არ გაგრძელბულა. მარომ საბჭოს წევრებს დაწვრილებით უამბო მასთან ზურაბის ფარულად მისვლისა და ოთარის ქურდობის ამბავი.

როცა ხელმძღვანელმა ლაპარაკი დაამთავრა, საბჭოს წევრები ახმაურდნენ. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. განსაკუთრებით ვახტანგი ლაპარაკობდა ზევრს. ის როგორც წლოვანებით, ისე ტანით ყველაზე პატარა იყო, მაგრამ ლაპარაკით ვინ შეედრებოდა. საბჭოს სხდომაზე ისე არც ერთი საკითხი არ გადაწყდებოდა, რომ სულ ცოტა ორ-

სამჯერ სიტყვით არ ვიმოსულყო.

ასეც ხდებოდა, რამდენი პიონერიც ილაპარაკებდა, ისიც იმდენჯერ მოითხოვდა სიტყვას და ყველას სათითაოდ ეკამათებოდა. ახლაც ვახტანგი ერთ ამბავში იყო. მამ როგორ? ოთარი და ზურაბი ხომ მესამე რგოლის წევრები არიან. ამ რგოლის ხელმძღვანელი კი ვახტანგია.

— ოთარმა რომ პიონერისათვის უღირსი საქციელი ჩაიდინა, ამას მტკიცება არ უნდა, თქვა ვახტანგმა, — მაგრამ არც ზურაბს უნდა გადაეუსვათ თავზე ხელი. სად გაგონილა, რომ პიონერი ასეთი მშიშარა და გაუბედავი იყოს?!

— რას ლაპარაკობ, რაებს ნიშნავ, — არ დააცადა სიტყვის დამთავრება მუდამ ჩუმმა გაიოზმა. — განა ზურაბი იმის გულისათვის უნდა დავსაჯოთ, რომ მან ხელმძღვანელს ამბავი მიუტანა?!

ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ სხდომის მონაწილეებმა გარკვევით გაიგონეს კედელზე დაკიდებული საათის წყარუნი.

— ამხანაგებო, მე ვახტანგის აზრს ვიზიარებ, — თქვა ქერათმიანმა და ცისფერთვალება პიონერმა ვასო გელაშვილმა.

— არა, ზურაბს დანაშაული არ ჩაუდენია, არ ცხრებოდა გაიოზი, — ამხანაგო ხელმძღვანელო, მამ, როგორ უნდა მოქცეულიყო? — უნდა გამოსულიყო მწკრივის წინ და ამხანაგების თანდასწრებით ოთარისათვის პირდაპირ ეთქვა ის, რაც მერე მალულად მითხრა, — მიუგო მარომ გაიოზს.

— იტყოდა და კარგ მელასაც დაიჭერდა. ოთარი სადმე მორგდებდა და სულ «ვამ დედას» აძახებინებდა.

გაიოზის ლაპარაკიდან ხელმძღვანელისათვის ნათელი გახდა, რომ გაიოზი და, ალბათ ზოგიერთი სხვა პიონერიც, სწორად ვერ აფასებდნენ ზურაბის მოქ-

მედებას. მისთვის ისიც ნათელი გახდა, თუ რატომ ვერ გაბედა ზურაბმა მწკრივში ხმის ამოღება.

— ამხანაგებო, მე ვფიქრობ, ჩავატაროთ რაზმეულის შეკრება, რომელზეც განვიხილავთ საკითხს ამხანაგობისა და მეგობრობის შესახებ.

— როდის, ამხანაგო ხელმძღვანელო? — წამოიძახა ვახტანგმა, — გეგმაში რომ არ გვაქვს გათვალისწინებული?

— შეკრებას ამ ორ-სამ დღეში ჩავატარებთ, რიგ გარეშე, მომხსენებელი მე ვიქნები!



კაცლების ჩრდილში ჩამწყრივებულ სკამებზე მსხდომი პონერები სადილს შეექცეოდნენ, როცა გაიოზმა ხაზის შორიასლო კედლის გაზეთის ახალი ნომერი გააკრა. ეს ნომერი რაზმეულის საბჭოს დადგენილებით ერთი დღით ადრე გამოვიდა. გაიოზმა, რომელიც ერთდროულად რედაქტორიც იყო და მხატვარიც, ორი საათი თავაუღებლივ იმუშავა, სადილზეც დაიგვიანა, მაგრამ საბჭოს დადგენილება დროზე შეასრულა.

სადილის შემდეგ ბავშვებმა კედლის გაზეთის გარშემო მოიყარეს თავი. ვინ თითის წვერებზე დგებოდა, ვინ კისერს იგრძელებდა, ვინ ამხანაგების შუა ძერებოდა. ყველას უნდოდა დაენახა გაზეთში მოთავსებული მეგობრული შარჯი: პიონერი ღობეში ძერებოდა, თავი ვენახში შეეყო, ხოლო მელასავით გრძელი კუდი გარეთ ჰქონდა დარჩენილი. სურათის ქვეშ ეწერა: „აი, ვინ დაკრიფა მიიწორინელ კოლმეურნის გამოყვანილი ახალი ჯიშის ატამი“.

სურათში დახატულ ბიჭს ეგ არის, რომ ცხვირი ჰქონდა მეტისმეტად გაგრძელებული, თვლები გადმოკარკლული და კუდი გამობმული, თორემ სხვა ყვე-

ლაფერი — ტანიც და სახეც ოთარს მიუვადდა. დროდადრო გაისმოდა ამათქიმ პიონერის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები:

— ზედგამოჭრილი ოთარია!

— კუდი და კისერი აქვს ცოტა მოკლე, თორემ სხვამხრივ რა უჭირს, მშვენიერი ნახატია.

მხოლოდ ზურაბი იდგა ყველასაგან განცალკევებით. ოთარმა, რომელსაც უკვე მოესწრო კედლის გაზეთის ნახვა, გვერდით ჩაუარა.

— გამთქვი არა? ახლა გირეწებ სეირს! — უთხრა მას ოთარმა და პიონერთა ოთახისაკენ გასწია.

ზურაბმა პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. დარდი შემოაწვა გულზე. რა იცოდა, თუ საქმე ასე წავიდოდა, თორემ კრინტსაც არ დაძრავდა. თვალწინ ედგა ოთარი, ესმოდა მისი მუქარით ნათქვამი სიტყვები.

ოთარი პიონერთა ოთახთან შეჩერდა. სული მოითქვა. მოურიდებლად შეალო კარი და ოთახში შევიდა.

— შეიძლება? — იკითხა და შუა ოთახში შევიდა.

— რაღას კითხულობ, შემოხვედი და ეგ არის, — მიუგო მაგიდასთან მჯდომმა მარომ.

ოთარი ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. არ იცოდა, რით დაეწყო.

— ოთარ, რა საქმეზე მოხველ? — შეეკითხა ხელმძღვანელი.

— რაზე და იმაზე, ამხანაგო ხელმძღვანელო, რომ ატმის მოკრეფას მე მამბრალებენ.

— ვინ გამბრალებს?

— რედკოლეგია, ამხანაგო ხელმძღვანელო.

დაწყება უჭირდა, თორემ ლაპარაკი არ გასძნელებია. დაწყებულებით უამბო იმის შესახებ, თუ როგორ არის დახატული კედლის გაზეთში. ისიც უთხრა, რომ მას ეს ზურაბმა მოუგონა და ამისათვის სამაგიეროს გადაუხდის.

— მაშ ატამი შენ არ მოგიკრეფია? — შეეკითხა ხელმძღვანელი და თვალბეჭდით შეხედა.

— დიახ, არ მომიკრეფია.

ოთარის თვალბეჭდით უცბად რაღაც ნაპერწყალი აენტო და მაშინვე ჩაქრა. თავი დახარა. აწითლებული თვალები მაგიდის ფეხს მიაშტერა და კრინტს აღარ სძრავდა.

— კარგი, ოთარ, მე შენი ნათქვამი მჯერა, ან როგორ შემიძლია არ დაგიჯერო, შენ ხომ პიონერი ხარ?!

ოთარი მძიმედ შემოტრიალდა და ოთახიდან გავიდა. წელი ნაბიჯით მიდიოდა ხანისაკენ. ეზოში არაფერ ჩანდა. უკვე დასვენების საათი იყო და ბავშვები ოთახებში იწვნენ. ოთარი არასოდეს ასე დაღონებული არა ყოფილა. ვერ ჩაიღინა კარგი საქმე. რა ეშველება! რაღა მიჩურინელ კოლმეურნისა გამოდგას ატამი? ეტყობა, ნადრევი ჯიშის ატამი გამოუყვანია მოხუცს, რომ ასე ადრე დამწიფებულა. რა იცოდა, თორემ ახლოც არ გაეკარებოდა. მერე რა კეთილი ადამიანი ყოფილა ის მოხუცი. სხვა მის ადგილზე ერთ ამბავს ატეხდა, მთელ ბანაკს შეძრავდა. არ ჰგავს ზურაბს, ან სხვა მის ამხანაგებს. მაშ არა და ისინი მოიქცევიან ასე. ყველა-ყველა და გაზეთში მაინც არ დაეხატათ. მერე როგორ გაამასხარავეს. ოთარი შეჩერდა, ცხვირზე ხელი მოისვა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ვერ მივართვი, მე სულაც არა მაქვს ასეთი გრძელი ცხვირი.

„ვინ იცის, ახლა როდემდის ეკიდება ეს ნომერი. ამხანაგები ყოველდღე დასცილებენ. ეგებ დღეს — ხვალ ბანაკში დედა, ან მამა ჩამოვიდეს. რას იტყვიან მშობლები, ან თვითონ რა პასუხი უნდა გასცეს. ვაი სირცხვილო, ვაი თავის მოჭრაე! ეჰ, ამას როგორღა მოიფიქრებდა, რომ ზურაბი, მისი კლასის ამხანაგი და მეგობარი არ დაინდობდა და ხელმძღვანელთან დაბეჭდებდა. დაიცადოს

ზურაბმა, ოთარი რაღა ბიჭია, თუ სამაგიერო არ გადაუხადა?“

ოთარი ამ ფიქრებში მძიმე-გარბნილს როდესაც პიონერთა ოთახისკენ მიმავალ ზურაბს თვალი მოჰკრა.

„ნეტავი რა საქმეზე მიდის ხელმძღვანელთან?“ — გაიფიქრა მან და თვითონაც პიონერთა ოთახისკენ გასწია. ფეხაკრეფით ავიდა კიბეზე და ოდნავ გაღებულ კართან შეჩერდა.

— ზურაბ, რა გატირებს, პატარა ხომ არა ხარ? — შეეკითხა მარო.

— ამხანაგო ხელმძღვანელო, ამბავი იმიტომ კი არ მოგიტანეთ, რომ ოთარი მეჯავრება, არა. ოთარი მე გულითად მეგობრად მიმაჩნია და ისე მიყვარს, როგორც ღვიძლი ძმა. თქვენთან პიონერულმა სინდისმა მომიყვანა და სიმართლე მათქმევინა. ახლა როგორღა შევხედო, ოთარს, რით გამოვისყიდო ეს დანაშაული? — სლუკინით ეუბნებოდა ხელმძღვანელს ზურაბი.

ოთარი უძრავად იდგა, გარკვევით ესმოდა ზურაბის სიტყვები, მაგრამ ყურს არ უჯერებდა. რას იფიქრებდა, თუ ზურაბი, რომელსაც უკვე თავის შეურაცხებელ მოწინააღმდეგედ თვლიდა, მის შესახებ ასე ილაპარაკებდა. ახლა მას ეცოდებოდა კიდევ ზურაბი. გაიფიქრა. შესულიყო ოთახში, მეგობრულად ხელი გადაეხვია მისთვის და ეთქვა — ნუსწუნხარ, მე ყველაფერი მიპატიებია შენთვისო. მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ ეს-ეს არის ხელმძღვანელთან იყო და სიმართლე დაუმალა. არა, შესვლა არ შეიძლება. აქ დგომაც უხერხულია. ხომ შეიძლება, ხელმძღვანელმა გამოიხედოს და დამინახოს. მერე რას იფიქრებს ხელმძღვანელი? იტყვის — ეს რა გაიძვერა ყოფილა, მოსულა და მალულად ყურს გვიგდებსო. ამის გაფიქრების უმაღლეს ოთარი შემოტრიალდა, ფრთხილად ჩაევიდა კიბეზე და პიონერთა ოთახს მოსცილდა.



პიონერთა დასაძინებელ ოთახში ათამდე საწოლი იდგა. გაიოზი ზურაბის მეორე მხარეს იწვა, როგორც ყოველთვის მას, უცბად ჩაეძინა და ზერინვა ამოუშვა, ვახტანგსაც მალე ჩაეძინა, ძილიც კი წყნარი ჰქონდა ამ უწყინარ ბიჭს. ზურაბი მარცხენა გვერდზე იწვა, ოთარისგან პირშექცეული. ხელში შუაზე გადაკეცილი წიგნი ეჭირა და კითხულობდა. ოთარი შამფურივით ტრიალებდა. ხან გულადმა წვეებოდა, ხან გვერდზე, ხან პირქვე, მაგრამ არ იქნა და არ ეშველა — ვერა და ვერ ჩაიძინა. „ნეტავი ზურაბი რა წიგნს კითხულობს“ — უტრიალებდა ოთარს თავში ეს აზრი და ამხანაგს საბნის ქვეშიდან თვალს ადევნებდა. არც ერთი მისი მოძრაობა არ გამოჰპარვია. გარკვევით დაინახა, თუ როგორ ამოიღო ჩანთიდან ლურჯყდიანი ბლოკნოტი, სწორედ ის, რომელშიც ზურაბი დღიურს წერდა. ბლოკნოტი ფრთხილად გადაშალა, ფანქარი მოიმარჯვა და თვალე ელნათურას გაუშტერა. მცირე ფიქრის შემდეგ კი ბლოკნოტში რაღაც ჩაწერა.

დიდხანს, დიდხანს კითხულობდა ზურაბი ამ წიგნს. ოთარს კი არც ეძინა და არც ეღვიძა.

როდის-როდის ბავშვებს ჩაეძინათ და ტკბილი ზერინვა ამოუშვეს.

უკვე ყველას ეძინა, როცა ფრთხილად გაიღო კარი და ოთახში მარო შევიდა. განაძირა საწოლთან მცირე ხანს შეჩერდა და ბავშვებს თვალი მოავლო. ყველას ტკბილად ეძინა. ოთარის გარდა საბანი არავის ჰქონია გადახდილი. ის პირქვე იწვა, ერთი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე კი ძირს გადმოეგდო.

ხელმძღვანელი ფეხაკრეფით მივიდა ოთართან საბანი დახურა და ძირს დამკვებული ხელი საბნის ქვეშ მოუქცია.

ზურაბს ხელში შერჩენილი წიგნი მკერდში ჰქონდა ჩაკრული. საწოლის გვერდით მდგარ სკამზე გაშლილი ბლოკნოტი აიღო და, აი რა წაიკითხა:

16 აგვისტო. საღამო.

მეგობრობა

„ძილის წინ წაიკითხე მეგობრობის წიგნი, რომელიც მე ხელმძღვანელმა მომცა და მირჩია, წამეკითხა. შეც წაიკითხე და ძალიან მომეწონა. როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, ისე მეჩვენებოდა, თითქოს მაღალ მთაზე ავდიოდი და იქიდან ყველაფერს გარკვევით ვხედავდი. თვალწინ მიდგას მერცხალივით ცოცხალი ბიჭი, რომელმაც საკუთარი მამა არ დაინდო და გაბედულად ამხილა მისი ბოროტი განზრახვა.“

მე კი რა ვარ? მშიშარა და მეტი არაფერი. იმის მაგივრად, რომ მწყრივში შეთქვა, რაც ჩაიძინა ოთარმა, ქურდულად მივიბარე ხელმძღვანელთან და ამბავი მივუტანე. ნათლად გავიგე ჩემი შეცდომა. ასე არასოდეს აღარ მოვიქცევი.

გულითა და სულით მინდა, მთელი არსებით მენატრება — ვიყო ისეთი, როგორც იყო გმირი პიონერი პაკა მორაზოვი. პიონერულ სიტყვას ვიძლევი, რომ ვიქნები კიდევ“.



მეორე დღეს ოთარმა სახლიდან ბართი მიიღო. ზეგ მოსკოვში მიემგზავრები მშვიდობის მომხრეთა კონფერენციას, ატყობინებდა მამა.

— მამაჩემი მშვიდობის მომხრეთა კონფერენციის დელეგატად აურჩევიათ! — შესძახა ოთარმა და სიხარულით შეხტა და შეტრიალდა.

იქვე მდგომმა პიონერებმა ყურები ცქვიტეს და ოთარს გარს შემოერტყნენ. კითხვას კითხვაზე აძლევენ. წერილი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველას უნდოდა საკუთარი თვალით წაეკითხა, თუ რა ეწერა შიგ, თითქოს ოთარს არ უჯერებენო. ბავშვები ხელის ჩამორთმევით ულოცავდნენ ოთარს. ზურაბმაც კი ჩამოართავ ხელი. თქმით არაფერი

უთქვამს. ოთარმა ამხანაგის გაღიმებულ თვლებში ამოიკითხა ის სიხარული, რაც მისი მამის დელეგატად არჩევამ გამოიწვია ზურაბში.

როცა ამხანაგები შემოეცალნენ, ოთარი პიონერთა ოთხისაკენ გაემართა უნდოდა პიონერთა ოთახში მარტომარტო ჩაეტილიყო და წერილი მიეწერა მამისათვის.

მიდიოდა წელი ნაბიჯით, ფიქრებში გართული. წინასწარ მოიფიქრა ყოველივე ის, რაც მამისათვის უნდა მიეწერა. მამას დელეგატად არჩევას მიულოცავს და მშვიდობით მგზავრობას უსურვეს. რაც შეეხება თავის შესახებ, მისწერს, რომ კარგად არის. გუშინდელ ამბავს სულაც არ ახსენებს, მორჩა და გათავდა. პო, მართლა, იმასაც მისწერს, რომ ბანაკის პიონერებს, მათ შორის ზურაბსაც, ძალიან გაეხარდათ მამის დელეგატად არჩევა. ამხანაგებმა, როგორც დიდებს სჩვევიათ, ხელი ჩამოართვეს და მიულოცეს...

ხელის ჩამორთმევა და მილოცვა კარგი საქმეა, მაგრამ, ისე რომ ვთქვათ, მას ხელს რად ართმევენ, ან რატომ ულოცავენ?! მამამისმა დაიმსახურა ასეთი პატივისცემა, ის კი არაფერ შუაშია. ნამდვილად კი იგი მამის შემარცხვენელია და თავის მომკრელი.

რა ქნას, როგორ მოიქცეს? მისწეროს თუ არა მამას, რაც გუშინ გადახდა. არა, ოთარი მშობლების მოტყუებას არ არის ჩვეული და ვერც ახლა მოატყუებს. ყველაფერს ისა სჯობს, მამას ჩადენილ დანაშაულში გამოუტყდეს და პირობა მისცეს, რომ ასე არასოდეს აღარ მოიტყუება.

პიონერებმა გადაწყვიტეს, მშვიდობის მომხრეთა კონფერენციის გახსნის დღეს დანახვისის მთაზე ასულიყვნენ. მალაღობა დანახვისის მთა. მისთვის იმიტომ

შეურქმევიათ ასე, რომ აქედან ირგვლივ, სადამდისაც კი კაცის თვალი მისწვდება, ყველაფრის დახატვა შეუძლებელია.

სისხამ დილით, სალაშქროდ გამზადებული რაზმეული გზას გაუდგა. ბავშვებს ჩალის ქუდები ეხურათ, ზურგჩანთები ეკიდათ და ხელში ჯოხები ეჭირათ.

ბავშვები ჯერ ვიწრო ურმის გზით მიდიოდნენ. შემდეგ ბილიკით განაგრძეს სვლა. მალე მოლაშქრენი ყოველმხრივ ბუჩქებით დაფარულ ფერდობს მიაღწენ. აქ წყდებოდა ბილიკი. ბუჩქებში უთვალავ ფრინველს მოეყარათა და მშვენიერ სიმღერას უგალობდნენ ფერდობზე შეფენილ ბავშვებს.

ბუჩქებს შუა კუნძულივითაა დარჩენილი პატარა მინდორი. ზედ შუა მინდორზე ანკარა წყარო მოწინაწარებს. ლაშქრობის დროს კი ცივ წყალს რასჯობს?!

ბავშვებმა ჩანთები მოიხსნეს და წყაროს გასწვრივ გაიშალნან. წყურვილი რომ მოიკლეს, აბიბინებულ მოლზე წამოწვნენ და კარგად დაისვენეს. შემდეგ ხმელი ფიჩხი მოაგროვეს.

რამდენიმე ალაგას ცეცხლი გააჩაღეს. ცეცხლის აქეთ-იქით ორკაპი ჯოხები დაარქეს, ზედ ქვაბები დაჰკიდეს და სადილის გამზადებას შეუდგნენ. ბავშვების უმეტეს ნაწილს პირველად უხდებოდა მინდვრად სადილის მომზადება. ზურაბიც პირველად ხარშავდა კერძს. ამიტომ ადევნებდა თვალყურს ასე ყურადღებით ოთარს, რომელიც კარგი მზარეულივით ტრიალებდა. ის და ოთარი ერთ ქვაბში აკეთებდნენ სადილს. ორივეს ერთი საერთო ქვაბი მისცეს, სურსათიც ერთად მიიღეს. გზაში ვითომ ერთმანეთს თვალსაც არიდებდნენ და არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ მაინც ერთად მიდიოდნენ. თითქმის ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ორივე ერთმანეთს უტყუროდა.

სადილი რომ მოხხარშა, ოთარმა ჩანთიდან კოვზი ამოიღო და ხელში რამდენიმეჯერ გადაატრიალ-გადმოატრიალა. ალბათ ამით ამხანაგისთვის ის უნდოდა ეთქვა, რომ კერძი მოხარშულია და ვისადილოთო.

ზურაბმაც როდი დააგვიანა კოვზის ამოღება.

ქვაბი პატარა ჯირკვზე დადგეს, თვითონ ჯირკვის აქეთ-იქით მოიკეცეს და კიბას შეუდგნენ. ვინ იცის, რამდენჯერ უქვამია ზურაბს მაკარონი, წვეწმინდი, თუ შშრალად მოხარშული, მაგრამ არასოდეს ასეთი გემო არ ჩაუტანებია. უცხად გაიფიქრა, ვინ თუ მე ჩქარა ვუკამ, ოთარი კი ნელაო. კიბას მოუწელა და ამხანაგისაკენ თვალი გააპარა.

ეს ოთარს არ გამოჰპარვია. მან ერთი-ორი ლუქმა კიდევ შექვამა და კოვზის გაწმენდას შეუდგა.

— სქამე, ზურაბ, მე უკვე გაეძეხი, — თქვა ხმადაბლა ოთარმა.

დიდხანს არ დასჭირებიათ ერთმანეთის ხვეწნა. ორივეს ვერ ისევ შიოდა, ამიტომ ადვილად გამოხანხეს საერთო უნა და კვლავ აამოძრავეს კოვზები.

— ზურაბ, წუხელ რას კითხულობდი, ან რას წერდი? — შეეკითხა ოთარი.

— ბლოკნოტი აქა მაქვს, მოგცემ და წაიკითხე. წიგნში წაიკითხულს კი, თუ გინდა, გიამბობ, — მიუგო ზურაბმა, უბიდან ბლოკნოტი ამოიღო და ოთარს გაუწოდა.

ოთარმა დაკვირვებით წაიკითხა ზურაბის ჩანაწერი და მცირე დუმილის შემდეგ შეეკითხა:

— მოდი და ისიც მიაბე, რაც წიგნში ეწერა.

ზურაბი დაწვრილებით მოუყვა პიონერ ბავკა მოროზოვის გმირულ თავგადასავალს. იდაყვებზე დაყრდნობილი ოთარი თვალ-წარბში შესცქეროდა ამხანაგს და თანხმობის ნიშნად დროდადრო თავს უქნევდა. მისი ყოველი მოძრაობა და გაბრწყინებული თვალები

ბავშვის გაზრდილ ცნობისმოყვარეობასუ მეტყველებდა.

როცა ზურაბი ამბის მწყობრს შორჩა, ოთარი ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა შემდეგ ამხანაგს დილიური გამოართვა და წუხანდელი ჩანაწერი ერთხელ კიდევ წაიკითხა.

— რა კარგად დაგიწერია, ზურაბ, რომ იცოდე, — ახლა მეც სწორედ ამას ვფიქრობ. მეც შენსავით მენატრება, ვიყო ისეთი, როგორიც იყო, ბავკა მოროზოვი.

ოთარს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვები ველარ გამოხანხა.

— მე კი როგორი ვარ? — წარმოთქვა მან ცოტა ხნის შემდეგ. ძნელი გასაგები იყო, ზურაბს ეკითხებოდა ის ამას, თუ თავისთვის ამბობდა. — მიჩურინელ კოლმეურნეს ახალი გამოყვანილი, იშვიათი ჯიშის ატამი გაეუკრიფე. ხელმძღვანელთან და ამხანაგებთან ჩემი უღირსი საქციელი დაემაღე. მარო ჩემს სიტყვას ენდო, მითხრა, პიონერს როგორ არ დაუჯერებო. მე კი სინამდვილეში ცრუ და მატყუარა ვარ. ხომ ხედავ, ზურაბ, როგორი ვარ! არ ვიცი, რანაირად მოვიქცე ახლა. მითხარი, დამარიგე, ზურაბ, მე მჯერა, რომ შენ ჩემი ნამდვილი მეგობარი ხარ.

— ოთარ, დანაშაულში უნდა გამოტყდე. შემდეგ რაზმეულის შეკრებას პარობა უნდა მისცე, რომ ასე არასოდეს აღარ მოიქცევი.

— გეთანხმები, ზურაბ, საესებით გეთანხმები! — თქვა ალტაცებით ოთარმა და მადლობის ნიშნად მეგობარს დიდი კაცივით ხელი ჩამოართვა.

როცა შესვენება დამთავრდა, მოლაშქრეებმა გზა განაგრძეს, თუმცა სად იყო გზა. ნეტავ თუ როდისმე გაველო ამ ადგილებში ადამიანს. მიდიოდნენ დაბურულ ტყეში, მიტოპავდნენ მდინარეში, მიტოპავდნენ კლდეებზე, მაგრამ ბავშვები გულს არ იტეხდნენ, შეუსვენებლივ მიდიოდნენ და მიდიოდნენ

წინ — დანახვისის მწვერვალისაკენ.

ოთარი და ზურაბი ერთიმეორის გვერდით მიაბიჯებდნენ.

ზურაბი დაიღალა, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, წყურვილი-საგან პირი უშრებოდა, მისი მათარა კი რახანია დაცარიელდა. ზურაბმა ითმინა, ითმინა და მეტი ვეღარ მოითმინა.

ნეტავი წყალი მაინც დამალეენა, — ჩაილაპარაკა მან.

ოთარმა წელზე დაკიდებული მათარა შეანჯღრია და ამხანაგს უთხრა:

— წყურვილმა მეც შემაწუხა. მომეცი შენი მათარა, მდინარეზე ჩავირბენ და წყალს ამოვიტან!

— ხელმძღვანელის დაუეთხხავად წასვლა არ შეიძლება!

— ხელად ჩავირბენ ორ-სამ წუთში აქ გავჩნდებით.

ბევრი უშალა ზურაბმა, მაგრამ ოთარმა მაინც თავისი არ მოიშალა. ამხანაგს მათარა გამოართვა და წინ მიმავალი ამხანაგების შეუშინებლად მდინარისკენ დაეშვა.

ზურაბი ცოტა ხანს კიდევ მისდევდა ამხანაგებს, მერე იმის შიშით, რომ ვაითუ ოთარს შეავიანდესო, გადაწყვიტა — დალოდებოდა. ბუჩქებს ამოეფარა, რომ უკან მიმავლებს არ დაენახათ და იქით დაიწყო ცქერა, საითაც ოთარი წაიდა. ოთარი არ ჩანდა. ამასობაში კი ამხანაგები სულ უფრო შორს მიდიოდნენ. ჯერ ბავშვების ლაპარაკი მიწყდა, მერე სიცილ-კისკისი და ამ უღრან ტყეში დღეშილი გაბეჭდა.

ზურაბმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ხან ხეზე ასვლა გადაწყვიტა, ხან მდინარისკენ გაქცევა, ხან კიდევ უნდოდა ხმამალა დაეყვირა და როგორმე ხმა ამხანაგებისათვის მიეწვდინა. მაგრამ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ოთარი გამოჩნდებოდა და არც მდინარისაკენ მირბოდა და არც ამხანაგებს უხმობდა.

„იქნებ ოთარს გზა აებნა. ან იქნებ

მეცს შეეყარა და მისი სიცოცხლე საფრთხეშია“. ამის გაფიქრებისთანავე რაღაც უცნობმა გრძნობამ მწვერვალზე ზურაბი. ნუთუ ეს შიშია! არა, ზურაბი მშიშარა არ არის. ახლავე ჩავა ხეებში და ამხანაგს მოძებნის.

ზურაბი ხევისკენ გაიქცა. ხევი საკმაოდ ღრმა იყო, დაბლა მდინარე ისე ჩანდა, თითქოს წვრილი ლურჯი ხაზი ყოფილიყოს გავლებული.

ზურაბმა ერთი კი გადასძახა — ოთარ, ოთარო, და პასუხი რომ ვერ მიიღო, დაბლა დაეშვა. ადგილი იმდენად დაჭანებული იყო, რომ ბავშვი თავს ვერ იკავებდა და სანახევროდ დამჯღარი მისრიალებდა ქვევით. ხელ-ფეხი დაეკაწრა, შარვალიც კი დაეხა, მაგრამ ზურაბს განა ახლა ამის ჯაგრი ჰქონდა! უკვე გარკვევით ესმოდა მდინარის შხუილი. აი, ვიღაცის ძახილიც შეესმა. ყური დაუგდო.

— ზურაბ, ზურაბ!

იცნო ეს ოთარის ხმა იყო. ზურაბმა ერთი კი დაიყვირა — ოთარო! და შემდეგ მთელი სისწრაფით გაიქცა მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, ის თანაც ყვიროდა:

— ოთარ, გესმის, ოთარ, ნუ გეშინია, მე აქა ვარ!

რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვები უკვე ერთად იყვნენ.

— გზა დამებნა. რა ხანია ერთ ადგილზე ვტრიალებ. — თქვა დარცხვენით ოთარმა.

— დარდი ნუ გაქვს, მომყევი! — მიუღო ზურაბმა და ამხანაგს წინ გაუძღვა. — თუ არ ვირბინეთ რაზმეულს! ვერ დავეწვიით!

— გავიქცეთ! — უთხრა ოთარმა.

ბავშვები გაიქცნენ. მალე ისინი წიფლით დაბურულ ტყეში შევიდნენ. მათ იმის გაგებაც კი უძნელდებოდათ, მზინი ამინდი იყო, თუ ღრუბლიანი. ბავშვები მალა-მალა მიდიოდნენ. სულ უფრო თხელდებოდა ტყე, აღარც მდი-

ნარის ხმაური ისმოდა.

უცბათ გამაყრუებელი კეჭა-ჭუხილი გაისმა. ფრინველებმა ერთმანეთი ატეხეს. ციყვებმა დაიწყეს ხტუნვა. მელი-ებმა სოროები მონახეს.

ქარმა ერთი კი წამოუბერა და ისე ერთბაშად წამოვიდა წვიმა, თითქოს მაღლიდან ტყეს წყალი გადმოასხესო.

მეგობრებმა თავი მუხის ფულუროში შეაფარეს.

პატარა ნაკადულები ნიაღვრებად იქცა. მათი ტალღები აქეთ-იქით ეხეთქებოდა ნაპირებს. ბავშვებს წყლის შხეფები სახეში სცემთ. სადაცაა წყალი ფულურომდისაც მიაღწევს.

— ზურაბ, მუხაზე უნდა ავიდეთ.

— აღი და ამოვალ.

ოთარი მუხაზე ადვილად აცოცდა და ერთ მსხვილ ტოტზე ჩამოჯდა.

ზურაბმაც დაიწყო აცოცება. ნახევარ მეტრზეც არ იქნებოდა ასული, რომ მეტი ვერ შეძლო და უკან ჩასრიალდა.

— ზურაბ, ამოდი, რატომ არ ამოდიხარ? — გადმოსძახა განცვიფრებულმა ოთარმა.

— არ შემძლია, ფეხი მტკივა და ვერ ამოვიდვარ, — მიუგო მშვიდად ზურაბმა.

მომატებული წყალი კი ზურაბის სი-ცოცხლეს საფრთხეს უქადდა. ოთარმა თვალის დახამხამებაზე ქამარი შეიხსნა და ხალათი გაიძრო. ხალათი თოკივით დაგრისა და ქამარს გადააბა. შემდეგ თოკის ერთი წვერი ტოტს გამოაბა, მეორე — ძირს დაუშვა და თვითონ ტოტზე გადმოეკიდა. მისი დახმარებით ზურაბმა თოკი მოიშველია და ხეზე აცოცდა. ფულურო მალე წყლით გამოივსო.

*

რაზმულში უცბათ ვერ გაიგეს ოთარისა და ზურაბის ჩამორჩენა. პიონერებმა ბევრი იარეს, თუ ცოტა, ერთ მოცარიელებულ ფერდობს მიაღწიეს

და მალა, სულ მალა თვალი მოაქრეს ძველ დანგრეულ ციხე-სიმაგრესკენ.

— ესეც დანახვისის მთავრდება ხელმძღვანელმა და ციხისკენ ხელი გაიშვირა.

ამ სიტყვებით გახარებულმა და გამხნეებულმა ბავშვებმა ნაბიჯს აუჩქარეს. მწვერვალს მიაღწიეს და კეჭა-ჭუხილიც გაისმა. პიონერებმა თავი შეაფარეს ციხის გვერდით მდგარ პატარა ეკლესიას. მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ ოთარი და ზურაბი მათ შორის არ იყვნენ. ყველას გული ატკინა ამან, ყველა დააღონა, განსაკუთრებით ხელმძღვანელი იყო შეშფოთებული. გამოჰყვეს დაკარგული ამხანაგების საქმენელად ჯგუფი. ჯგუფს თვითონ მარო გაუძღვა.

მთელი ღამე ელაგდა და ქუხდა. მთელი ღამე წვიმდა. გათენებამდე იარეს პიონერებმა ტყეში. დასველდნენ, ტალახში ამოისვარენ, მაგრამ ბავშვების კვალს ვერ მიაგნეს.

გათენებისას გამოიღარა. მშვენიერი, წყნარი დილა გათენდა. ოთარსა და ზურაბს ერთმანეთთან ჩახუტულებს ტკბილად ეძინათ მდელიოზე. მოღლილ-მოქანცულ და გათოშილ ბავშვებს მზის თბილი სხივები ეალერსებოდა. ტყის ფრინველები საზეიმო ჰიმნს უგალობდნენ მზეს. ციყვი სიამოვნებით აწნატუნებდა თხილს. მელიას ბუჩქიდან თავი გამოეყო და უთვალთვალებდა იქვე მჯდომ ძერას, რომელიც წუხანდელი გრიგალის მსხვერპლს — კოდალას ბარტყს შეექცეოდა. ნერწყვოსულ მელიას ვერ გაეგებდა ძერასთან მისვლა და ტუნებს აცმაცუნებდა. აქლემის ზურგივით ამობურცულ კლდეზე ჯიბვებს რქებზე მოედერებინათ.

მეგობრები პირველად ხელმძღვანელმა დაინახა.

— აი, ოთარი და ზურაბი! — წამოიძახეს ჯგუფის წევრებმა და მძინარე ამხანაგებს შემოეხვივნენ.



დანახვისის მთიდან ყველაფერი ისე ჩანდა, როგორც ხელისგულზე. მაღალი და უზარმაზარი მთები დიდი ლოდებივით ეყარა დაბლა. გარკვევით ჩანდა სოფელი ბოშური, მის მოპირდაპირე მხარეს კი — კაკლის ხეები, სკოლის შენობა კაკლის დიდ ტოტებს დაეფარა. შორს, სულ შორს, მხარგავშილი ვორის ციხის დაბლა მარგალიტივით ბრჭყვიალებდა მარმარილოთი გადახურული პატარა სახლი. ამ სახლის ელვარება აქაც უწყევდა.

შორს გაიქრა პიონერული საყვირის ხმა. კედელზე გადმომდგარი მედოლე და მეტუკე შეკრების ნიშანს უკრავდნენ. პიონერებმა ციხის ეზოში მოიყარეს თავი. გაისმა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის განკარგულება.

— რაზმეულო, ხაზზე!

აქ, ამ ისტორიულ ციხე-სიმაგრესთან რგოლების მიხედვით ხაზზე დადგა რაზმეული.

ოთარი რგოლის ხელმძღვანელ ვახტანგის გვერდით იდგა, ზურაბი კი ბოლოში.

როცა პიონერთა საბჭოს თავმჯდომარემ რგოლის ხელმძღვანელების პატაკი მიიღო, მარჯვნივ შეტრიალდა და უფროს ხელმძღვანელს უპატაკა.

— რაზმეულო, სმენა, აღამთან სწორდი! — გასცა განკარგულება ხელმძღვანელმა. მედოლემ პიონერული მარში დაუკრა. ხაზის გასწვრივ მტკიცე ნაბიჯით გაიარა მედროშემ. ოდნავ მჭროლავი ქარი ლალად აფრიალებს დროშას, ოქროსფრად ბრწყინავს დროშაზე წარწერა:

„ლენინ — სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“

შეწყდა დოლის ხმა, დროშა მარჯვენა ფრთაზეა.

რაზმეული მწყობრი ნაბიჯით გაემართა პატარა ტყისაკენ, რომელიც ციხეს აღმოსავლეთ მხარეს ეკვროდა. ტყის

ნაპირას, მაღალი რცხილების ჩრდილში აბიზინებულ მოღვრულად დგნენ პაეშეები.

გინჯლირთქა

— ამხანაგებო, მიმართა პიონერებს საბჭოს თავმჯდომარემ. — ახლა ხელმძღვანელ ჩაატარებს საუბარს მეგობრობაზე.

ხელმძღვანელმა მოხერხებული ადგილი შეარჩია, რვეული გადაშალა, პიონერებს თვალი მოავლო და დაბალი ხმით დაიწყო:

— არსად, არც ერთ ქვეყანაში, ადამიანებს შორის არ არის ისეთი მეგობრობა, როგორც ჩვენს ქვეყანაშია. სამამულო ომის მრისხანე დღეებში, ბრძოლის ველზე, საბჭოთა მეომრები, ჩვენი მამები და ბიძები ერთიმეორისთვის არ იშურებდნენ არაფერს, არც სისხლს და არც სიცოცხლეს. ყველა ჩვენთაგანმა იცის ვ. ლენინისა და ი. სტალინის დიდი მეგობრობის შესახებ. ამ ორი დიდი ბელადის მეგობრობის მაგალითი მისაბაძი უნდა იყოს ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, ყველა საბჭოთა პიონერისათვის... სამწუხაროდ, ჩვენს რაზმეულში ზოგიერთ პიონერს არასწორად ესმის ნამდვილი მეგობრობა. ზურაბი მალულად მოვიდა ჩემთან და ამბავი მომიტანა ოთარზე. რატომ მოიქცა ზურაბი ასე? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ გამბედაობა არ ეყო. შიში კი არ შეჰყვარის პიონერს. მეგობარმა მეგობარი კი არ უნდა დააბეზლოს, არამედ პირდაპირ, გაბედულად უნდა უთხრას და მიუთითოს ნაკლოვანებებზე. ვის არ გაგიგონიათ ჩვენი ქართული ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. მშობარა გამოდგა ოთარიც, რომელმაც ერთდროულად ორი დანაშაული ჩაიდინა. ჯერ ერთი, დაუკითხავად გაკრიჭა მიწურიელი კოლმეურნის გამოყვანილი ახალი ჯიშის ატამი და, მეორეც ჩვენ ყველა მოგვატყუა, ატამი მე არ გამიყრფიო... ხელმძღვანელმა ლაპარაკი დაამთავრა თუ არა, ბავშვები ახმაურდნენ. რამდე-

ნამე პიონერმა ერთდროულად ასწია ხელი.

— ამხანაგებო, — მიმართა პიონერებს საბჭოს თავმჯდომარემ, — გთხოვთ დაიცვათ წესრიგი, ჯერ შეიკითხვები, სიტყვები კი მერე.

— შეიკითხვები არ არის! — წამოიძახა ერთდროულად რამდენიმე პიონერმა. გადავიდეთ პირდაპირ სიტყვებზე!

გაიოზმა იმდენი იყოჩაღა, რომ პირველი სიტყვა აიღო.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან ისე ხმაშლით, რომ რამდენიმე პიონერმა თავი ვერ შეიკავა და სიცილი წასკდა, — მე მხოლოდ ჩემს თავზე მინდა ვილაპარაკო. დღემდე არც მე ვიცოდი, თუ რა იყო ნამდვილი მეგობრობა. საბჭოს სხდომაზე ზურაბს ვიცავდი, რაც ახლა საესებით არასწორად მიმაჩნია. აი, რის თქმა მინდოდა მე.

გაიოზის შემდეგ კიდევ რამდენიმე პიონერმა ილაპარაკა. წამოდგა ოთარიც. ყაყაოსავით იყო გაწითლებული. ხელში ქუდი ეჭირა და კმუქნიდა, ალბათ ამით უნდოდა აღელვება დაეფარა.

— ამხანაგებო, — თქვა მან ოდნავ აკანკალებული ხმით, — დამნაშავე ვარ. ეს კარგად ვიცი. მე ისიც ვიცი, თუ როგორ უნდა გამოვასწორო ჩემი შეცდომები. სიტყვას გაძლევა, რომ გამოვსწორდები, ვიქნები ნამდვილი პიონერი.

ოთარი მცირე ხანს შეჩერდა, ამხანაგებს თვალი მოავლო და მათ გაღიმებულ სახეზე თანაგრძნობა ამოიკითხა.

— რაც შეეხება იმას, რომ გუშინ მე და ზურაბი ჩამოვრჩით, — განაგრძო მან მტკიცე ხმით, — ამაშიც მე ვარ დამნაშავე. ზურაბს წყურვილი აწუხებდა. მე გავიქეცი ხევში, მეგონა ხელად ამოვარბენინებდი წყალს და წამოგეწეოდით. მაგრამ გზა დამეხნა. კიდევ კარგი, რომ ზურაბმა არ მიმატოვა, მომძებნა და გზაზე გამომიყვანა. ამასობაში გააედარდა და ტყეში მოგვიხდა ღამის გათევა.

— ამხანაგო ოთარ, — მიიძახა ვახ-

ტანგმა, — ლაშქრობის დროს ხელმძღვანელის დაუქითხავად სადმე წასვლა, წესრიგის დარღვევა. *გიგლიძეთა*

— მართალი ხარ, ვახტანგ, აკი ვთქვი, დამნაშავე ვარ-მეთქი.

ოთარმა ხელმძღვანელს შეხედა. ხელმძღვანელიც მას უცქეროდა და კმაყოფილების ნიშნად თავს უქნევდა. ოთარს გულზე მოეშვა და გამოუთქმელი სიხარული იგრძნო.

დადგა ზურაბის რიგი. იგი მიიმედ წამოდგა. თავჩალუნული იდგა და სიტყვის თქმას აგვიანებდა. ხელებს ერთავად ამოძრავებდა, თითქოს მათთვის ადგილი ვერ გამოენახა და არ იცოდა, როგორ დაეჭირა.

— რით შემძლია, ამხანაგებო, თავის გამართლება! — დაიწყო მან ნაღვლიანი ხმით, — რა თქმა უნდა, არაფრით. სწორედ რომ არ მოვიქეცი, ჩემთვის ეს ნათელია და გასაგები. მორჩა, ამას არასოდეს აღარ გავიმეორებ.

ზურაბი დაჯდომას აპირებდა, მაგრამ ხელმძღვანელმა უთხრა:

— ახლა წაგვიკითხე 16 აგვისტოს, ძილის წინ დაწერილი დღიური.

ზურაბს ელდა ეცა. როგორ იფიქრებდა, რომ ხელმძღვანელს ეცოდინებოდა მისი დღიურის შესახებ. მას ხომ ბლოკნოტი დღენიდავ ჯიბეში ედო.

როცა ხელმძღვანელმა განმეორებით უთხრა — რატომ გერიდება, წაგვიკითხე, ზურაბმა ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, გადაფურცლა და კითხვას შეუდგა. ჯერ მორიდებით კითხულობდა, მაგრამ თანდათან ხმას აუწია, ხოლო ბოლოს სიტყვები მთელი ხმით შესძახა:

— გულითა და სულით მინდა, მთელი არსებით შენატრება ვიყო ისეთი, როგორც იყო პაეკა მოროზოვი, პირობას ვიძლევი — ვიყო პაეკა მოროზოვივით პირდაპირი, გაბედული და პრინციპული, სწავლაში და ყოველგვარ საქმეში პირველი.

ღლეები სვალინგრაღში



რუბინ იბარუნი

სტალინგრაღში, გმირთა მოედანზე, დასაფლავებულია სტალინ-
გრადის დამცველი ესპანელი მებრძოლი რუბინ იბარუნი.

ვით დროშის ნაფლეთი, ცაზე ჩანს ღრუბელი
და ეოლგის გარშემო ქარხნების ბოლია;
წყნარია სამარე მგზნებარე რუბინის,
საფლავზე ვარდები და მწვანე მოლია.

საკუთარ სამშობლოს სახსნელად მოსული —
იბრძოდა, რომ ხალხის უფლება დაეცვა;
ნათელი მომავლის ფიქრებით მოცული —
საბჭოთა ქვეყნისთვის ბრძოლაში დაეცა.

ის გრძნობდა დაჩაგრულ ესპანელთ სიბრაულეს,
მზისათვის მეომარ მებრძოლებს რაზმავდა.
ღვენილი წამოჰყვა დოლორეს იბარურს, —
იმ დედას საყვარელს, ვინც გმირად გაზარდა.

ტოვებდა ესპანეთს და ზღვიდან ხანდახან
ხედავდა, იმედის შექურა ელავდა.
და, ზღვა რომ ღელავდა — დოლორეს, სადა ხარ!
ეძახდა გმირების მშობელი გრენადა!..

ღელავდა მადრიდი და დროშა აღური
ზღვა ხალხში ზღვასავით მრისხანედ ღელავდა...
იციოდი შეტევა — კვეთება ქარული;
კვლავ ბრძოლა მოგელის გმირული გრენადა!..

ვინ იცის, რამდენი მებრძოლი გაზარდე!
მათ სურდათ დაეცვათ ჩაგრული ქვეყანა.
იბრძოლე, სანამდე აღმური დაწვავდეს
მშობლიურ შენს ველებს, მშობლიურ შენს ყანას!



ვინ იცის, რამდენმა დაგტოვა, ლამაზო,
და განშორებისას, მწამს, გრძნობდი სიბრალულს.
შენ, ფრანკოს მთავრობამ ნაღველით აგავსო
და ისევ ეძახი დოლორეს იბარურს.

ეძახი და მისი სიციცხლე აქ არი,
ვაეკაცის დედაა, გულს ჰბურავს ღრუბელი,
როდესაც სტალინგრადს იცავდა ლაშქარი, —
გმირულად დაეცა აქ მისი რუბენი...

დიდება მის ყრმობას, გმირულს და მჩქეფარეს,
დიდება, ვინც მშობელ ხალხისთვის დელავდა.
დიდება იბარურს — მომავალ ესპანეთს —
გმირობით მგზნებარეს მადრიდს და გრენადას!..

უსახელო მებრძოლი



* სტალინგრადში აღმართულია უსახელო მებრძოლის ძეგლი.

სდგას მებრძოლი უსახელო
და მახვილით ზეცას კვეთავს,
ვინც სამშობლო ასახელა, —
დღის სინათლეს ველარ ხედავს.

ვინც იტანდა ბრძოლას გმირულს
და ესროდა სიკვდილს ტყვიას, —
სამშობლოსთვის თავგანწირულს
დაღუბული აღარ ჰქვია.

ახალგაზრდა გაჰქრა ადრე,
ველარ ვხედავთ მამაც მხედარს.
და ცრემლებით ღამეს ათევს
გულმოკლული მისი დედა.

მოიწმინდე, დედავ, ცრემლი,
ნულარ გაწევს გულზე დარდი,
არ მომკვდარა კვეყნის მცველი,
მის ძეგლად სდგას სტალინგრადი...

მ ბ რ ხ მ ი



— ვიგონებ წარსულ ბრძოლების ამბებს
და ისმის ჩემი ფოთოლთ ჩურჩული,
მე დღეს, რომელიც მოედანს ვამკობ —
ერთ დროს ვიყავი ტანშერუჯული.



ვიყავ შიშველი, ტოტებდაბრილი,
როს სისხლის ღეარებს ხალხი ზედავდა,
და თვით სიკვდილი ბასრი მწხვილით
ჩემს ახლოს მოსვლას ვერა ზედავდა.

ერკონულნი
ზიგლირთქა

თუმც დამჩხაოდნენ შავი სვაგები,
თუმც მეცემოდა ნაღმი მეხადა,
ბრძოლის ფერხულში მაინც ჩაგები —
სამშობლოს ვალი რომ მომეხადა.

მტარვალს ჰკვეთავდა ხალხის მახვილი —
ებრძოდა ურჩხულს ცეცხლის ფრთებიანს,
ო, რაოდენი ბრძოლით დაღლილი
სხეულით ჩემს ტანს მოფარებია...

დღეს ცოცხალი ვარ. ქვეყნის სალხენად —
ისევ ვიზრდები, ისევ ვმალღღები
და სტალინგრადის ახალ სახლებთან
შემშრიალებენ ნორჩი ბალები.

ვგრძნობ ახალ ძალას და სიყმაწვილეს,
ცვარით ბრწყინავენ ჩემი ფოთლები
და დიდ შენობებს ცამდე აწვდილებს
ვზედავ — თანდათან ვუახლოვდები!..

ფაღღის ძმარშინსკი



ცოცხალს გიგონებ. ქვა ხარ თვალწინ ძეგლად დამდგარი,
გიგონებ ვაეკაცს დაუცხრომელს, სათნოს და გულწრფელს,
სადაც ვეება მანქანების ისმის დგანდგარი —
შენ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას უმზერ!

თითქოს იგონებ ურდოებთან ვაეკაცთა შეხლას,
ვასცქერი ვოლგას ცხოველმყოფელ მზით ანთებული.
ერთგულების და თავდადების ქალაქში დგეხარ,
თვითვე ერთგული — სამშობლოსთვის თავდადებული.

იქნებ, ომის დროს შენც მახვილის ამართვა გსურდა,
გსურდა მოგესპო, ჩვენი ხალხი ვინც არ დაინდო.
გულით მღელვარე, შესცქეროდი ბრძოლების სურათს,
რევოლუციის უშიშარო დიდო რაინდო!



დღეს თავს გადგია გამარჯვებულ დროშის ნათელი, თვით ხარ სიცოცხლე შავ სიკვდილთან შეურიგალი, ძეგლი კი არა, ხანძარი ხარ ლელვის დამტევი — მართალი გულის დაუმცხრალი დიდი გრიგალი.

შენი თვალები ცეცხლი არის ჩაუქრობელი, მზად არის მარად სამშობლოსთვის ღამე ათიოს. სიმართლისა და სიფხიზლისკენ მარად მხმობელი გრძნობათა ლელვა ცივმა ძეგლმა ვით დაიტოოს?!

გიყვარდა ხალხი და შეგეძლო თავის განწირვაც, შენი ხელყოფა დავიწყებამ ველარ გაბედოს. მარადისობამ შეგითვისა თავის ნაწილად წრფელო რაინდო, უკვდავების შარავანდელო!

მდინარე გიჟბაქოს

მსკიზები სამგზავრო ალბომიდან

★

1

გამელევიდა და კარგა ხანს ვერ გავერ-
კვიე, სად ვიყავი. თავზე მტრედისფე-
რი ცა დამცქეროდა. ლაპლაპა ღრუბე-
ლი ზანტად მიცურავდა და ნელ-ნელა
ილეოდა. თავი უკან რომ გადავწიე,
მალლობზე დავეინახე ჩაშავებული ხის
საყდარი, რომელიც მწვანე ხეებიდან
მიამიტად გადმომყურებდა. მარჯვნივ,
რამდენიმე საეენის დაშორებით, ერთი
ჩემთვის უცნობი ფაცხა იდგა, მარცხ-
ნივთ — გაურანდავი რუხი ბოძი ფიც-
რის ფართო სახურავით, ყულაბითა და
პატარა დაფით.

გამვლო, ვაილე მოწყალეა
უფლის ზარისათვის,

ეწერა დაფაზე.

ზედ ჩემს ფეხებთან კი მდინარე დგა-
ფუნებდა. სწორედ ამ დგაფუნმა გა-
მომალვიდა ტბილი ძილისგან. რა ხა-
ნია შემაწუხებელ ჩურჩულად მწვდე-
ბოდა ყურში ეს თითქოს მოალერსე,
მაგრამ ამავე დროს უღმობელი ხმა,
რომელიც ალიონზე წამოგაყენებს,
დღიურ შრომას შეუღეპითო. აღგომა
კი არ გინდა.

თვალები ისევ დავხუქე, რომ ასე
მიყუჩებულს მომესაზრა, საიდან მოვ-
ხვდი აქ, ამ ღია ცისქვეშ, ამ გიჟმაყი
მდინარის პირას, ამ ფაცხისა და გამე-
ლელთა წინაშე ასე მიამიტი მიმართვით
აღმართულ ბოძის მეზობლად.

გონებაში თანდათან აღმიდგა მომხ-
დარი ამბები. წინა დღეები „წმიდა
ტბასთან“, უჩინარ ქალაქ კიტყეთან გა-

ვატარე; დაცვიალედი ხალხში, ვუსმენ-
დი ბრმა მათხოვრებს, რომლებიც დუღ-
ლუნით მღეროდნენ, ვჩერდებოდი ტო-
ტებგაშლილი ხეების ქვეშ იმპროვიზი-
რებულ საკურთხვევლებთან, სადაც სხვა-
დასხვა სექტის უხუცონი, მოსავანე მა-
მაკაცები და ქალები ღვთისმსახურე-
ბის თავთავიანთ წესს ასრულებდნენ.
მაშინ როდესაც სხვადასხვა ჯგუფად
თავმოყრილ ხალხში ცხარე რელიგი-
ური დაეა იყო გაჩაღებული. ძველ სამ-
ლოცველოსთან ხალხში მიჰქეცილმა
მთელი დამე ფეხზე გავატარე. მომა-
გონდა მისიონერისა და ორი მღვდლის
დაქანცული სახე, საწიგნეზე წიგ-
ნების გორა, ცვილის სანთლები, რე-
მელთა შუქზე მოკამათენი სქელ ფო-
ლიანტებში სათანადო ტექსტებს ეძებ-
დნენ, „რასკოლნიკებისა“ და „ცერკოვ-
ნიკების“ აგზნებული სახეები, ყოველ
მოსწრებულ პასუხს მრავალხმიანი გუ-
გუნით რომ ზვდებოდნენ. გამახსენდა
ძველი სამლოცველო, მისი ღია კარი,
საიდანაც ხატების წინ დანთებული სან-
თლების ყვითლად მოკიაფე ალი მო-
ჩანდა, ლურჯ ცაზე კი ნათელი მთვარე
წყნარად მიცურავდა სამლოცველოსა
და მშვიდად მოჩურჩულე ჩაბნელებუ-
ლი ხეების თავზე. ალიონზე რის ვაი-
ვაგლახით დავაღწიე თავი აქაურობას
და ამ უნაყოფო სჭოლასტიკური დავი-
საგან დაღლილს თავი დამიმძიმდა.
უსაზმნო სევდამ და გატრუებულმა
იმედებმა გული ამიკვნესა; უკვე გაშ-

ლილ, ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ მლოცველებს გამოვყევი და ვეტლუგისპირა ტყის ლურჯი ზოლისაკენ მინდორ-მინდორ მიმავალ გზას ტაბით გავყევი. მძიმე, უსიხარულო შთაბეჭდილებები მიმყვებოდა წმიდა ტბის ნაპირებიდან, ამ უსიხარ, მაგრამ ხალხის მიერ მინც ესოდენ გზნებით ნანიანატრ ქალაქიდან... თითქოს ეს უძილო ღამე შესუთულ აკლდამაში, მბეტბავი კანდელის მიმქრალ შუქზე გამეტარებინოს, თითქოს მესმოდა, რომ სადღაც, კედლის იქით, ვიღაც ერთფეროვანი მშვიდი ხმით ხალხის საუკუნოდ მიძინებულ აზრს სულათათანას უგალობდა.

მზემ გადმოანათა ვეტლუგის მდინარეებსა და ტყეებზე, როცა ტყეში თხუთმეტი ვერსი ბილიკ-ბილიკ გავიარე, მდინარის პირას გამოვედი და დაღლილი, ტბიდან გამოყოფილი მძიმე შთაბეჭდილებებით დაოსებული, იმ წამსვე მკედარივით მივეგდე ქვიშაზე.

როცა გამახსენდა, რომ ახლა უკვე შორს ვიყავი იმათგან, მხნელ უკუვაგდეთველმა და ჩემს ქვიშიან საწოლზე წამოვიწიე.

II

მდინარის შეგობრულმა დუღუნმა კარგი სამსახური გამიწია. სამი საათის წინ, როდესაც გემის მოლოდინში ნაპირზე მოვიკალათე, წყალი შორს, დაპირქვავებული ძველი ნავის იქით იყო; ახლა კი მოვარდნილი წყალი ნავს ძირს უთხრიდა და ატორტმანებდა. მთელი მდინარე გამალებით მიიჩქაროდა და ქაფმოკრული ჩემს ფეხებთან თქაფუნობდა. კიდევ ნახევარ საათს მაგრად რომ მძინებოდა, მეც ამ გადმოყირავებული ნავივით წყალში ამოვყოფდი თავს.

ვეტლუგა აღიდდა. რამდენიმე დღის წინათ დიდი წვიმები იყო; ახლა ტყის ტევრებიდან მოვარდა წყალი, აღიდდა მდინარეც და თავისი მხიარული მწვანე

ნაპირები წალეკა. ჩქარი ნაყადები გამალებითა მოედინებოდნენ, ერთმანეთს ასკდებოდნენ, ტრიალებდნენ, მორევივით ბრუნდებოდნენ, კვლავ იშლებოდნენ და გზას განაგრძობდნენ. მთელ მდინარეზე ერთმანეთს უსწრებდნენ მოთეთრო-მოყვითალო ქაფის ნაფლეთები. ვეტლუგას ნაპირებზე მწვანე დუღუნარას წყლიდან თავი ამოეყო და ჯერ დაუფარავ კენწეროებს მშფოთვარედ აქნევდა, ხოლო რამდენიმე ნაბიჯზე, კარგა დიდ სიღრმეში დუღუნარა, ვირისტერფა და მათი მწვანე ძმობილებიც უკვე მორჩილად და წყნარად იღგნენ... ტოტებდაზნეკილი ნორჩი ტირიფნარი ფურთუნის ყოველ დაძგერებაზე ცახცახებდა.

გაღმა ნაპირზე მხიარულად აქოჩრილიყო ძეწნები და ნორჩი მუხნარი. მათ უკან მუქ მწვანე ნაძვებს მოეხატათ კუწუბოებიანი ზოლი; ტანი აეყარათ ღამაზ ქორაფებს და შედიდურ ფიკვებს. ნაკაფის ერთ აღგილას თეთრად მოჩანდა ფიცრების საპალნეები, ახლად მოჭრილი მორები და ძელები, მათგან რამდენიმე საყენზე ჩაძირულ წანწალას წყლიდან ამოეშვირა წვერი... ამ მყუდრო პეიზაჟს შლეგი მდინარის შხუილმა, თქაფუნმა და ხმაურმა თითქო ჩემს თვალწინ ჩაუდგა სული და გამოაცოცხლა. მოთქაფუნებდნენ ცელქი ნაყადები მორევიში, წკრიალით ეხეთქებოდა ძველი ნავის ქიმს ფურთუნი, ხოლო წამდაუწუმ ტკაცუნით გამსკდარ ქაფის ფარატინებს ან, როგორც ვეტლუგაზე ეძახიან, მდინარის „ყვაველებს“ შარიშური გაქქონდათ მთელ მდინარეზე.

და მომეჩვენა რომ ყოველივე ეს უკვე ოდესღაც მენახა, რომ ეს მდინარე, მისი ქოჩორა ნაპირები, ფლატეზე შესკუბებული სოფლური, უბრალო საყდარი, ფაცხა და ის მომართვაც — „უფლის ზარისათვის“ — შესაწირავის გასაღებად, ოკრობოკრო ასოებით გულუბრყვილოდ რომ იყურებოდა ბოძი-

დან, მეტად მშობლიური, მახლობელი და ნაცნობი იყო ჩემთვის...

ყოველივე ეს იყო ოდესღაც,
მაგრამ არ მახსოვს, თუ როდის მოხდა...

უნებლიეთ მომავონდა პოეტის სიტყვები.

III

— შენ რომ მივდიოდი, ძმაო, ვხედავდი, თანდათან გეპარებოდა მდინარე. უკან გამოვტრიალდი, გავიფიქრე: ალბათ, გამვლელი მომტაცა-შეთქი ვეტლუგამ. მაგრად კი გეძინა, შე კაი კაცო!

მეუბნება ფაცხასთან პატარა სკამზე მჯდარი შეახნის გლეხი, მისი ხმაც რაღაც საამოდ ნაცნობია ჩემთვის. ჩემს მოსაუბრეს ბოხი, გულიდან ამომავალი ხმა აქვს, კარგა ნაქვიფარივით ოდნავ ჩახრინწული, მაგრამ შიგ ისეთივე უშუალო, მიამბიტი ბგერები ისმის, როგორც ეს საყდარია, ეს ბოძი და ამ ბოძზე დაკიდებული წარწერა.

— ჰაი, რასა სჩადის ჩვენი ვეტლუგა, ერთი ნახეთ, რასა შერება... უპ, შენი! ხათაა სწორედ, ხათა!..

ეს მებორნე ტიულინია. იგი თავის ფაცხასთან ზის, თავი ჩაუჭინდრავს და როგორღაც მთლად მოდუნებულია. ჩითის ქუქყიანი პერანგი აცვია და ლურჯი ხამის პერანგის ამხანაგი. შიშველ ფეხებზე ჯღანები წამოუცვამს. თითქმის უწვერულეაშო, ახალგაზრდული სახე აქვს და მეტყველ ნაკეთებზე დამახასიათებელი ვეტლუგური იერი გადაჰკრავს, თუმცა ახლა სახე დაღრეჯია და კეთილ, მაგრამ სულით გაწამებულ კაცსა ჰგავს...

— ეპ, მომტაცებს ნავს, — მეუბნება ტიულინი, თუმცა ადგილიდან ფეხს არ იცვლის და მცოდნე კაცის თვალით საქმის ვითარებას აკვირდება, — უეკველად მომტაცებს.

— შენც ადექი და ამოათრიე, — ვე-

უბნები შმორებით.

— ეპ, უნდა ამოვაფიქროვო შენც რა გზაა. შეხე, შეხე ერთი... შენც... მო-მო!

ნავი შეტოვდა, ამოიწია, ერთი შეშფოთებით შეტორტმანდა და კვლავ უმწეოდ გაწვა.

— ტიუ-უუ-ლი-ინ! — ისმის გაღმიდან ვიღაცა მგზავრის ძახილი. ნაკაფადილას, მდინარის ჩასავალთან, პატარა, ძალიან პატარა ცხენი მოჩანს, ხოლო წყლის პირას მომდგარი ტანმორჩილი გლეხი სასოწარკვეთილებით იქნევს ხელებს და გამყვივანი ხმით ვაჰკივის:

— ტიუ-უუ-ლი-ინ!

ტიულინი ისევ მოღუშული გასცქერის ატორტმანებულ ნავს და თავს აქნევს.

— ერთი უყურე, ისევ ეტანება და... წუხელ ჯერ კიდევ წანწალას იქით იყო წყალი... ერთი ნახე, ღამით რას იზამს. ეპ, ეს რა ვიცი მდინარეა! თუ დაიწყო, ჩემო ძმაო, დაიწყებს და აგრე...

— ტიუ-უუ-ლინ, წყეულო!.. — გაჰკივის გაღმა ნაპირზე მგზავრი, მაგრამ ტიულინზე ეს ძახილი არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. თითქოს ეს განწირული გოდება მდინარის ისეთივე ჩვეულებრივი კუთვნილებაა, როგორც ფურთუნის ცელქი თქაფუნია, ხეთა შრიალი და მდინარის ყვავილის შარიშური.

— შენ გეძახიან, მგონი! — მივმართე ტიულინს.

— მეძახიან, — არხეინად მიპასუხა ტიულინმა იმ ფილოსოფიურ-ობიექტური კილოთი, რომლითაც იგი ნავზე და მდინარის ოინებზე მელაპარაკებოდა. — ივანკო, ჰაი, ივანკო! ივანკო-მეთქი!

ივანკო, ათიოდე წლის ქერათმიანი ბიჭი, ფლატეში ჰიებსა ჩიჩქნის და ისევე ნაკლებ ყურადღებას აქცევს მამამისის ძახილს, როგორც ტიულინი გაღმა ნაპირზე გლეხის ღლაღის. ამ დროს საყდრიდან დაქანებული ბილი-



კით ქალი ჩამოდის, ხელში ბავშვი აუყვანია, ჩერებში გამოკრული ბავშვი ტირილით იჭაჭება. ხუთი წლის გოგონა დედამისის გვერდით მოტუსტუსებს და კაბაში ჩაფრენია. დედაკაცს შეწუხებული, გაავებული სახე აქვს. ტიულენის კიდევ უფრო მოედუნა სახე, კიდევ უფრო სერიოზული გაუხდა.

— დედაკაცი მოდის! — მეუბნება, თვითონ კი სულ სხვა მხარეს იციჩრება.

— აბა? — ღვარძლიანი ხმით უთხრა ტიულენის ახლოს მოსულმა დედაკაცმა და ზიზღნარევი, გაბოროტებული თვალებით მიაცქერდა. ეტყობა, მათი ურთიერთობა დიდი ხანია გარკვეულია. ჩემთვის ნათელია, რომ უღარდელი კაცი ტიულენი და ორი ბავშვის პატრონი, შეწუხებული და დაღლილი ქალი — ორი მტრულად განწყობილი მხარეა.

— რა აბას გაიძახი? რა გინდა, დედაკაცი, ჩემგან? — კეითხება ტიულენი.

— რა გინდაო, კიდევ რომ მეკითხება... რა და — ნავი მომეცი! ვაი, რომ მდინარეს ვერ გაეტოპავ, თორემ შენისთანა აჯამს ლაპარაკსაც არ დავუწყებდი.

— ჰო-ჰო! — აღშფოთდა ტიულენი. — რა დიდი გულით მოხვედით... რომ ლაპარაკობ კიდევ...

— რატომაც არ ვილაპარაკებ, შე თვალბედავებულო! ნეტავი სოფელი მაინც რას უყურებს, ან ჩვენი ლოთიბაშები რასა ფიქრობენ, თორემ შენისთანა უქნარა ლოთი ადრევე იყო ბორნიდან კინწისკვრით გადასაგდები. ნავი მოიტა-მეთქი, გესმის?

— ნავი? აგერ ის ბიჭი გადაგიყვანს... ივანკო, ჰაი, ივანკო, არ გეყურება? ივანკო-მეთქი!.. მე მაგ არამზადას თუ წნელი არ გადაუტოვებ... გესმის, გამეღელელო, — ტიულენი მე მომიბრუნდა. — აბა, ერთი კაი წნელი მომაწოდე. — ტიულენი დიდი გაჭირვებით წამოიწია, თითქოს წამოდგომა დააპირაო. ივანკო მყისვე ნაეისაკენ გაქანდა და ნიჩბებს

ჩააფრინდა.

— ორი კაბიკი გამოართვეფქმავს... გოგოს კი არა! — ზანტადს (უბრაქანს) ტიულენმა და ისევ ჩემსკენ მოტრიალდა:

— ვაჰმე, ლამის თავი გამისკედეს.

— ტიუ-უ-ლი-ინ! — ზელახლა კენესის გაღმა ნაპირი. — ბორანი-ი!

— მამილო, ჰაი, მამილო! ნახე, ბორანს ეძახიან, — ეუბნება ივანკო, რომელსაც, ეტყობა, იმედი მიეცა, იქნებ დედაკაცის გადაყვანას გადაერჩეო.

— მესმის, რა ხანია იძახიან, — მშვიდად კვერს უკრავს ტიულენი. — ერთი დაელაპარაკე. იქნებ არცა ჰქირდება... იქნებ აღარც წამოვიდეს... მაინც რატომ მისკდება თავი? ჰა? — მომიბრუნდა ისევ საოცარი და გულამაჩუყებელი ნდობის კილოთი.

მიზების გამოცნობა ძნელი არ არის. საბრალო ტიულენს პირიდან ისეთი არყის სუნი ამოსდის, თითქოს ნახევარ-შტოფიანო, ორი საყენის მანძილიდან შიგადაშიგ ჩემამდეც აღწევს არყის მძაფრი სუნი, მდინარისა და ნაპირის სიმწვანის სურნელთან შერეული.

— ნეტავი დამელიოს მაინცა, — ჩაფიქრებით ამბობს ტიულენი, — რომ არ დამიღვეია?!

ტიულენის თავი უფრო უმძიმდება და ექინდრება.

— რა ხანია არ დამიღვეია... თუმცა, ესეც კია, გუშინ დავლიე... — ტიულენი ხელახლა ღრმა საგონებელს ეძლევა.

— ბევრი მაინც დამელიოს... თუმცა გუშინ ბევრი დავლიე... მაგრამ დღეს რომ არ მისევამს.

— როგორც ჩანს, ნაქეიფარი რომ ყოფილხარ, იმის ბრალი იქნება, — ეცდილობ გავამართლო.

ტიულენი დიდხანს სერიოზულად და ძალიან ჩაფიქრებული მიცქერის. ჩემი სიტყვები, ჩანს, არც ისე უსაფუძვლო ეჩვენა.

— მაგის ბრალი თუა, დღეს ცოტაც რომ დავლიე...

ვიდრე ტიუღინი ამგვარი წელი, მტანჯველი, მაგრამ, სამაგიეროდ, სწორი გზით უახლოვდება თავისი ტანჯვის ქეშმარიტ მიზნებს, მეორე საპირზე გლუხს საბოლოოდ ჩაუწყდა ხმა.

— ტიუ-უ-უ-... — ძლივს ისმის გაღმიდან იდიხარის ჩქრიალში.

— მაგის ბრალი თუა, ეს ალბათ, ძმაო, შენ სწორეთ მითხარი. ეჰ, ვსვამ ამ არაყს, ვყლურწავ, ჩემო ძამია, ვყლურწავ...

IV

ამასობაში გლუხი, რომელიც ამდენ ხანს ამოდ გაჰყვიროდა, ჩუმდება, ცხენშებმულ ფორანს ნაპირზე ტოვებს და მოსალაპარაკებლად ივანკოსთან ერთად ჩვენთან გადმოდის. ჩემდა გასაოცრად, ერთობ კეთილგანწყობილად მიესალმა ტიუღინს და გვერდით მიუჯდა. ის გაცილებით უფრო ხნიერია. ქალარა წვერი აქვს, ისევე როგორც ტიუღინს — გამოხუნებული ცისფერი თვალები, თავზე წოწლოკინა ქუდი ახურავს, ხოლო პირის კილოებში ისეთივე ვეტლუგური იერი დასათამაშებს.

— რაო, იტანჯები? — თითქმის დამცინავი ღიმილით ეკითხება მეზორნეს.

— ლამის თავი გამისკდეს, ძმაო. ვითომ რისგანაა?

— შენც ნუ სვამ ბევრს!

— მაგის ბრალი თუა... აგერ, გამველელიც მაგას მეუბნება.

— ნავი არ მოგტაცოს წყალში!

— როგორ არ მომტაცებს, მართლაც რომ მომტაცებს!

ერთ ხანს ორივე უცქერის გადაყირავებულ წავს, რომელიც სულთმოზრდავივით ძაგძაგებს.

— რას უყურებ, მოიტა რაღა ბორანი, წასვლა გვინდა.

— ვითომდა საჭიროა შენი წასვლა? ალბათ, კრასიხაში მიდიხარ გამოსაბრუნეველ, არა?

— შენ უკვე გამობრუნულხარ!

— დავლიე, მაშ. ვაჰ, თავი მთლად

მისკდება! შენ კი, ძმაო, იქნებ სჯობდეს, არ წახვიდე?!

— რა ახირებული ვაროცხე! ქალი მყავს გათხოვილი, უქმეებზე დაგვატიყეს. დედაკაციც თან მახლავს.

— ჰო, თუ დედაკაცი აქაა, რა გაეწყობა, ძმაო, უნდა წახვიდე. ეჰ, ლატნები არა მაქვს.

— როგორ არა მაქვს. ტყუილს რად ამბობ? აგერ ლატნები!

— მოკლებია. ოცნარეკიანი მაინც უნდა იყოს. ხომ ხედავ, ვეტლუგა როგორ აღიღდა.

— თუ აგრეა, შე დალოცვილო, რაღას უყურებდი, ლატნები ვერ მოიზადე?.. ივანკო, ბიჭო, ერთი ლატნებზე გაიქციე!

— შენ თვითონ წალი, ბიჭისთვის მძიმეა, გაუჭირდება, — ეუბნება ტიუღინი.

— შენ წალი, შენი საქმეა!

— მე რა, მდინარეზე გადასვლა შენ გინდა!

ორივენი, მათთან ერთად მესამე — ივანკოც არხეინად სხედან და ფეხს არ იცვლიან.

— დამაცა ერთი, მე მაგ არამზადას თუ წნელი არ გადავუჭირე, — ამბობს ტიუღინი და ხელახლა წამოიწვეს, ვითომ წამოდგომას აპირებს. — გამველელი, აბა, ერთი წნელი მომაწოდე...

ივანკო ღრიალით წყდება ადგილს და ტუსტუსით მირბის სოფლისაკენ.

— ვერ მოიტანს, — ამბობს გლუხი.

— მძიმეა, მაშ! — კვერს უკრავს ტიუღინიც.

— შენც შესახვედრად მაინც გაქცეულიყავი, — ურჩევს გლუხი, როდესაც ბექობზე ლატნებით ხელში ჰინჰველასავით პატარა ივანკოს ხედავს.

— მეც ეგ მინდოდა შენთვის მეთქვა: გაიქციე-მეთქი.

ორივენი სხედან და ივანკოს გასცქერიან.

— ევსტიგნე-ე-ი! წყვეულო!.. — ისმის გაღმა ნაპირიდან ქალის გამყვიანი და

გაანჩლებული ხმა.

— დედაკაცი ყვირის, — ერთგვარი შეშფოთებით ამბობს გლენი.

ტიულინი გულგრილად: ქალი შორს არის.

— ჩემმა ცხენმა თავი არ აიწყვიტოს, ბიჭუნას და დედაკაცს არაფერი დაუშავოს... — წუხს ევსტიგნეი.

— ფიცები ცხენია?

— გადარეული!

— მაშ თუ აგრეა, მართლა არ დააშავოს! შენც ადექი და უკან გაბრუნდი. ვითომ რა იქნება, რომ არ წახვიდე, რა საჭიროა?

— ახირებული კაცი ხარ! ხომ ხედავ, დედაკაცი წამომიყვანია, როგორ შეიძლება, არ წავიდე.

არაქათგამოღულმა ივანკომ, როგორც იქნა, მოათრია ლატნები და ნაპირზე დაყარა. ყველაფერი მზადაა. ტიულინი იძულებულია საქმეს შეუდგეს.

— ჰეი, გამვლელი! — მომიბრუნდა მე ტიულინი. — შენც ჩვენთან წამოდი! ხომ ხედავ, როგორ გადაირია ჩვენი მდინარე.

ყველანი ხის კრიალა ბორანზე ავედით, ტიულინი ყველაზე ბოლოს ამოდის. ეტყობა, რამდენსამე წამს საგონებელში იყო ჩაეარდნილი, კინაღამ გადაწყვიტა — დარჩენილიყო, უჩემოდაც საკმაო ხალხიაო. მაგრამ მაინც გამოტოპა წყალი, ამოვიდა, მერე ნაღვლიანად გახედა პალოებს, რაზედაც საბლები იყო დამაგრებული და ყველას გასაგონად უწყინარი საყვედურით ჩაილაპარაკა:

— ეეჰ! საბლები კი არავის აუხსნია, ეეჰ!

— ტიულინ, ყველაზე ბოლოს ბორანზე აკი შენ ამოხვედი, საბლებიც შენვე უნდა აგეხსნა, — პროტესტს ვაცხადებ მე.

ტიულინმა პასუხი არ გამცა, ეტყობა, იგრძნო ჩემი ნათქვამის სიმართლე და ისევე ზანტად, ისევე უნუგეშო მწუ-

ხარებით წყალში ჩავიდა საბლების ასაშვებად.

ერეტიკული

ბორანი აკრიალდა, ეტყობა და ნაპირს მოშორდა. მებორნის ფაცხა, გადმოყირავებული ნავი, ბეჭობი და ზედ წამოსკუპებული საყდარი თითქოს უხილავმა ძალამ გაიტაცა და გააქროლა, ხოლო პატარა მწვანე კონცხი — ძირგამოთხრილი ტირიფით — ჩვენს შესახვედრად გამოექანა. ტიულინმა გახედა დამორებულ ნაპირს, მოიქექა თმა, ქუდივით რომ ადგა თავზე, და ლატანს თავი დაანება.

— ქვევით მიაქვს, არა?

— მიაქვს, — მიუგო ევსტიგნეიმ, რომელიც მთელი ძალღონით მარჯვენა მხრით აწეება ლატანს.

— სწრაფად მიაქვს.

— შენ რაღას გაჩერდი? რატომ არ უბიძგებ?

— მოდი და უბიძგე. მარცხენა მხრიდან ფსკერს აღარ წედება.

— რაო?

— რაო და ასე!

ევსტიგნეიმ გააფთრებით ჩაპყო თავისი ლატანი და კინაღამ ზღართან მოადინა წყალში, — ვერც მისი ლატანი ჩაწვდა ფსკერს. ევსტიგნეი შეჩერდა და გარკვევით უთხრა:

— არამზადა ხარ, ტიულინ!

— თვითონ შენა ხარ არამზადა, რას ილანძღები?

— მაშ ფულს რისთვის გაძლევენ, შე საზიზღარო, შენა?

— ილაყბე, რამდენიც გინდა.

— რატომ გრძელი ლატნები არა გაქვს?

— მაქვს.

— აბა სადა გაქვს?

— შინ. განა ბიჭი შეძლებდა იმის მოტანას? ოცნარეკიანი სიგრძისა...

— გეუბნები, არამზადა ხარ-მეთქი.

— აბა, აბა კიდევ რას მტყუვი? დამიწყე ახლა ლაპარაკი!

ტიულინის არხეინად ყოფნამ, ეტყობა, აღშფოთებული ევსტიგნეიც მოდ-

რიკა და დააშოშმინა. ევსტიგნეიმ თავისი წოწლოკინა ქული მოიხადა და თავი მოიქექა.

— სად მიგვაგდებს ნეტავი? კოზმა დემიანთან (კოზმო-დემიანსკში) თუ სადმე სხვაგან?

V

მართლაც, სწრაფმა დინებამ, თითქოს ბორანს ეხუმრება და დაცინისო, ჩვენი უხეირო ნაგებობა სულ თამაშ-თამაშით გააქანა ქვევით. ირგვლივ გამალებით მოექანება ქაფის ქულები, წინ გვისწრებს, სკდება და კვლავ იბუშტება. თვალწინ გაგვიელვა პატარა კონცხმა — ძირგამოთხრილი ტირიფით — და მიიძალა. შორს დარჩა ნაკაფი, ნეღლი ბეტრისაგან ნაშენი ახალი ქოხი, პატარა ფორანი — ახლა რომ სულ პაწაწკინტელა მოჩანს — და ნაბირზე მომდგარი დედაკაცი, რომელიც ხელებს იქნევს და რალაცას გვიყვირის.

— ვითომ საით მიგვაგდებს ახლა? ვაპ, ხათაა, ხათა, — გასცქერის ევსტიგნეი დედაკაცს და უიმედოდ გაიძახის.

მდგომარეობა მართლაც საკმაოდ კრიტიკულია. ლატანი ღრმად ჩადის წყალში, თუმცა ფსკერს ვერ სწვდება.

ტიულინი ყურადღებას არ აქცევს ევსტიგნეის წუწუნს და შეფიქრიანებული დაპყურებს წყალს. ეს ამბავი ყველაზე მეტად მისთვისაა სახიფათო, რადგანაც უთუოდ ბორნის წყალალმა აყვანა მოუხდება. ტიულინს გამოცოცხლება დაეტყო, გამოხედვა უფრო გონიერი, უფრო მტკიცე გაუხდა.

— ივანკო, მოსახვევს უმარჯვე, ბიჭო! — ბრძანებას აძლევს შვილს. ბიჭი ამჯერად სწრაფად ასრულებს ბრძანებას.

— ევსტიგნეი, ნიჩბებს მოუჯექი!

— გაქვს კი ნიჩბები? — დაეპყვებული ეკითხება ევსტიგნეი.

— აბა, დამიწყე დავა!

ტიულინის სიტყვები ახლა ისე მტკიცედ გაისმის, რომ ევსტიგნეი მორჩი-

ლად ჩამოდის ფიცარნაგიდან და ნიჩბებს მოუჯდა, ფსკერზე რომ ეყარა.

— აბა, გამვლელო... შენც კი მოუხევი. მეც „მოუხევი“... მარჯვენა ნიჩაბს სწორედ ისე, როგორც ევსტიგნეი მარცხენას უხის. ამგვარად, ჩვენი ზომალდის შემადგენლობა მზადაა. ივანკო, რომელსაც სახეზე აგდებული და უდარდელი გამომეტყველება გაუქრა, მამას გაბრწყინებული თვლებით, ყურადღებით შეტყურობს. ტიულინი ლატანს წყალში ჩრის და თან შვილს ამხნევებს: „უმარჯვე, ივანკო, შენ იცი, არ ისუსტო!“ ჩემს წინადადებას — ბიჭს საჭეზე შეეცვლი-მეთქი, ტიულინი ყურადღებას არ აქცევს. ეტყობა, ერთმანეთს ენდობიან.

ბორანი როგორღაც შეტოკდა... უცბად ტიულინის ლატანი ფსკერს მოხედა. პატარა ქვიშიანმა ფსკერმა საშუალება მოგვცა ათიოდე საყენზე აგვეთრია ბორანი.

— ფონს უყეღე, ივანკო, ფონს! — ყრუდ და სწრაფად იძლევა ბრძანებას ტიულინი, თვითონ კი მხრით ლატნის მომრგვალებელ თავს აწევბა.

ივანკო, ფეხებშიმიჯენილი, საქვს თავისკენ ეწევა. ბორანი შემოტრიალდა, მაგრამ ერთბაშად საქის ნიჩაბი ჰაერში ავარდა და ივანკო, ბორნის ფსკერზე გაიშხლართა. ბორანი შეტორტმანდა, მაგრამ წამიც და ისევ თავის ადგილზე მჯდარი ივანკო შიშით შეტყურობს მამას.

— დაამაგრე! — ბრძანებს ტიულინი.

ივანკო ბაწრით ამაგრებს საქვს, ბორანი საბოლოოდ გეზს იღებს ნაპირისაკენ და ჩვენც ნიჩბებს ვაწვებით. ტიულინი ერთი ღონიერი ბიძგით ბორანს დინების განივად უქცევს პირს და რამდენიმე წუთის შემდეგ ცხადად ვგრძნობთ წყლის შესუსტებულ მოწოლას. ბორანი წყალალმა მიიწევს.

ივანკოს ალტაცებისაგან თვლები უბრწყინავს. ევსტიგნეიც პატივისცემით უყურობს ტიულინს.

— ეჰ, ყმაწვილო, — ამბობს თავის ქნევით, — არაყი რომ არ გლუბავდეს, ძვირფასი ადამიანი იქნებოდი. არაყი თავგზას გიბნევს შენ...

მაგრამ ტიულინს თვალები უკვე ჩაუქრა და მთლად მოდუნდა კიდევ.

— მოუსვი, მოუსვი ნიჩბები... შენც უფრო ღრმად მოუსვი, გამველო, ნუ გძინავს! — გვეუბნება ზანტად და თვითონ წინანდელი ნაღვლიანი სახით უგულოდ ატრიალებს ლატანს წყალში. ბორანს სვლავ ვატყობთ, რომ ტიულინის ლატანი ახლა ნაკლებ ეხმარება ჩვენს ნიჩბებს. განვლო კრიტიკულმა წუთმა, როცა ტიულინმა მებორნეობის საყოველთაოდ აღიარებული თავისი ნიჭი გამოამყვანა, და ტიულინს სამიშრობესთან ერთად თვალბში ნაპერწკალიც ჩაუქრა.

თითქმის ორ საათს მაინც მივიწვევდით წყალღმა. ტიულინს რომ უკანასკნელად მდინარის „ქვიშიანი ფსკერით“ არ ესარგებლა, ბორანს დინება ვიწრო, სწორი მეჩენისაკენ გააქანებდა და იქიდან მის გამოყვანას ორი დღე და ღამე მაინც დასჭირდებოდა. რაკი ბორანის მიდგომა ჩვეულებრივ ალაგას შეუძლებელი იყო, — წაწწალა დიდი ხანია წყალს დაეფარა, — ტიულინმა თიხიან ფლატეს მიაყენა ბორანი და ტირიფს საბელი გამოაბა. დაიწყო ფორანის ჩამოყვანა. მე და ევსტიგნიც ვმონაწილეობთ ამ საქმეში. ტიულინი გულგრილად გვიცქერის. ზოლო ევსტიგნიის ცოლი, რომელსაც აღმფოთების გამო-მხატველი ყველა სიტყვა გამოელთა, ფორანზე გაქვავებულვით ზის, არ ინბრევა და ჩვენსკენ გამოხედვაც არ უნდა, თითქოს ყველანი უკიდურესობამდე მოვბზრდით და შეეძაგდითო. ღვარძლიანმა ზიზღმა „ამ არამზადა კაცებისადმი“ თითქოს გააქვავა ფორანზე და თავსაც არ იწუხებს, თავისი ბავშვით ფორანიდან ჩამოვიდეს.

ცხენი დაფრთხა, ყურებს ზურგისკენ სკიშავს და უკან-უკან იხევს.

— აბა, აბა, ერთი გავაზე შემოარტყი მაგ გულფიცს, მაგას, — გვირჩევს ცოტა არ იყოს გამოცოცხლებული ტიულინი.

ცხენმა გავა აიზიდა და ნაპირიდან გადმოხტა. ისმის ჭახკუჭი, ბრახუნი, რახრახი, თითქოს მიწა ჩაინგრა და ყველაფერი ჩაიტანაო. რალაცამ ბრახანი გადინა, რალაცამ დაიგმინა, რალაც გასკდა, ცხენმა წვრილი ხარიხები მიამსხვრია და კინალამ წყალში არ გადავარდა, მაგრამ, როგორც იქნა, ფორანი ატორტმანებულ და მერყევ ბორანზე მოთავსდა.

— მთელია? — ეკითხება ტიულინი ევსტიგნიის, რომელიც შემფოთებით ათვალეირებს ფორანს.

— მთელია! — სიხარულით და განცვიფრებით აძლევს პასუხს იგი.

ღელაკაცო მუმიასავით ზის.

— რას ამბობ? — უკვირს ტიულინსაც. — მე კი მეგონა, უპველად გატყულებოდა!

— განა არა... ნახე ერთი, რა ციცაბო ფლატეა.

— მამა! სწორედ ისეთი ფლატეა, უნდა გატეხილიყო კიდევ... ეგჰ, საბეული კი მაინც არავის აუხსნია! — ამბობს ტიულინი ისეთივე მჭმუნვარე სამღურავით და ზღაზვნით გადაღის ნაპირზე საბელის ასახსნელად — აბა, ნუ გძინავს, მოუსვი ნიჩბები, გამველო!

ნახევარ საათს ნიჩბებით მძიმე მუშაობისა, „მოაწეკი“, „გუზი ნაპირისაკენ“, „დაამაგრე!“ და სხვა ამისთანა შეძახილების შემდეგ ჩვენ, როგორც იქნა, ფაცხას მივადექით. მე, ამ საქმეში შეუჩვეველს, ოფლი წურწურით ჩამომდის.

— მიდი, ტიულინს მოსთხოვე ნახევარბოთლიანი, — ხუმრობით მეუბნება ევსტიგნი.

მაგრამ, ჩანს, ტიულინი ხუმრობის გუნებაზე ვერაა. მდინარის უკაცრიელ ნაპირზე ზანგროლივი ყოფნა, მუღამ მჭმუნვარე ფიქრები, ნამთვრალევე

ნიადაგ მძიმე უქეიფობის მიზეზები — ეს ყოველივე სერიოზულ გუნებაზე აყენებს მას. ამიტომაც მომავლო თავისი ჩამქრალი თვალები, რალაც ღრმა ჩაფიქრების მსგავსი ნელ-ნელა უღვივდება თვალებში და გულახდილად მეუბნება:

— მივადგებით ნაპირს და მოგართმევ კიდევ... განა ერთს, — ხმადაბლა დაუმატა მან გულითადი ნდობის კილოზე და სახეზე აშკარად დაეტყო თუ სიამოვნება არა, ყოველ შემთხვევაში, ნაქეიფარის მძიმე ტანჯვის წუთიერი დავიწყება.

ბექობიდან ამ დროს უკვე ორი ფორანი მოხოხავს უხერო გზით.

— მოდიან... — ნაღვლიანად მეუბნება მებორნი.

— შესაძლოა, არ წავიდნენ, — ვანუგეშებ მე, — იქნებ მნიშვნელოვანი საქმე არა აქვთ.

იროინით ვეუბნები ამას, მაგრამ ტიულინი ვერ ხვდება ჩემს იროინას. იქნებ იმიტომ, რომ თავადაც მთლად გამსჭვალულია რალაც განსაკუთრებული შეუგნებელი ჰუმორით, რაიც თითქოს გაუზიარებია ამ გულუბრყვილო ქოჩორა არყის ხეებს, ამ კორძიან ტირიფებს, ამ აღიდებულ მდინარეს, ბექობზე შესკუპულ საყდარს, ბოძზე დაკიდებულ წარწერას, ვეტლუგის მთელ ამ მიაშიტ ბუნებასთან ერთად, რომელიც ერთთავად მილიმის თავისი საყვარელი, გულწრფელი, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ღიმილით...

ასეა თუ ისე, ტიულინი ჩემს ამ დამცინავ შენიშვნაზე სრულიად სერიოზულად მაძლევს პასუხს:

— თუ საქონელი არა აქვთ, ცხადია, მოიცდიან. როგორ წავიყვან? ლამისაა თავი გამისკდეს!..

VI

გემი მაინც არა ჩანს. მითხრეს, სანამ აქ ჩამოვა, ერთი საათით ადრე საღლაც

ზემოთ მდებარე ნავმისადგომზე „ორი-ალს“ გააბამსო, მაგრამ სოფელში სამი საათის ხეტიალის შემდეგ, საბოლოოდ კი გეახელით, ნაპირს მივადექი, — იქ გემის მაინც არა ისმოდა რა. მდინარე ისევ დიდდება და, მგონი, აღარ ხუმრობს. ტიულინი მეხლებამდე წყალში ფაცხისაყენ მოტოპავს და შიშველ ფეხებს ზანტად მოატყაპუნებს ჩაძირულ ბალახზე; იგი მთლად გაწუწულა, განიერი შარვალი ფეხებზე ეკერის და სიარულს უშლის; თან საბელით მოათრევს იმ ძველ ნავს, რომელიც, გამოცდილი მებორნის წინასწარმეტყველები-სა არ იყოს, მართლაც წაელო დინებას.

— რაო, ტიულინი, ჯანზე როგორა ხარ?

— მადლობა ღმერთს. რალაც ვერა ვარ კარგად. წამო, გაღმა გავიდეთ.

— რატომ?

— ივანინის ტივებს მდინარე დაშლას უპირებს.

— მერე შენ რა?.. გენანება თუ?

— შეხედე, ივანინი ჩარეჟიანს მოათრევს. თუმცა ჩარეჟი რაა, აქ, ძმაო, ნახევარეცდრიანსაც არ დაიშურებს კაცი...

სოფლის მზრიდან ჩქარი ნაბიჯით ასე ორმოციოდე წლის კაცი გვიახლოვდება; სოფლის ჩარჩივით აცვია, გამჭრიახი, მოუსვენარი თვალები აქვს. გრძელი ზიფთანის კალთებს ქარი უფრიალებს, ხელში არყის ჭურჭელი უბრწყინავს ახლოს რომ მოვიდა, პირდაპირ ტიულინს მიმართა:

— რაო, მატულობს?

— ეჰ, ნუ იტყვი! განა ვერა ხედავ?

— ჩემი ტივები წაიღო?

— ეტანება, მაგრამ ჯერ ვერ ერევა. წაიღებს კი. წელან ნავი ამჟამა, — ძლივძლივობით სირბილით დავეწიე ქალის ქვემოთ...

— მართლა?

— მაშ, მაშ. ვერა ხედავ, რა ამოწუმ-პული ვარ.

— უჰ შენი! — სასოწარკვეთილებით

მიამახა ჩარჩმა და თავისუფალი ხელი თემოზე დაირტყა. — მოხედვას ვერც მოვასწრებ, — ტივებს მიმომიფანტავს. ვაჰ, რა ზარალში ვარ, რა ზარალში! ჰო-ჰო, რა უნამუსო ხალხია ჩვენში! — მომიბრუნდა ივახინი.

— სწორედ, ტყუილად არ გავლანძღავდი. ქრისტიან ხალხს, — გამოესარჩლა თავისიანებს ტიულინი, — ხომ მოროგებულნი იყავით?

— ვიყავით.

— ქვიშაზე უნდა ჩამოეტანათ, არა?

— სწორედ რომ ქვიშაზე.

— ჰოდა, სწორედ ქვიშაზედაც ჩამოგიტანეს, სხვაგან ხომ არა.

— მაგრამ, თქვე არამზადებო, მდინარე უკვე ქვიშაზეც გადმოდის!

— გადმოვა, მაშ, გადმოვა! რაც არის, დილით იმის კვალიც აღარ დარჩება.

— ხომ ხედავ! იმ არამზადებს კი სიმღერებისა და ღრილის გარდა სხვა არაფერი ედარდებათ. დახე, რას ღრიალევენ! რაში ენალვლებათ პატრონის ზარალი...

ორივე დადუმდა. გაღმა ნაპირიდან ნაკაფზე მდგარ პატარა, ახალი ქოხიდან არეულ-დარეული სიმღერის ხმები მოდიოდა. ეს ვასიუხინელების არტელი მასხარად იგდებდა ხე-ტყის წვრილ ვაჭარს. გუშინ მათ ანგარიში გაუსწორეს და ივახინმა ოცი მანეთით მოატყუა ისინი. დღეს კი ვეტლუფა გამოექომაგა თავის შვილებს და არტელის სახეიროდ ადიდა და აზვიროდა. ახლა პატრონი მუხლმოდრეკით ეხვეწებოდა, მაგრამ არტელი ქედს არ უხრიდა და დასცილნოდა.

— არც ასი მანეთის გულისათვის! გაიგებ, როგორ უნდა არტელთან ცხოვრება! ჩვენ გასწავლით ქუთას...

მდინარე თანდათან მატულობდა. ივახინს შეეშინდა. სოფელში გაქეუულმა საჩქაროდ ჩარეკიანი იშოვა და არტელს თავი დაუტყრა. თან არავითარ პირობას არ უღებდა, არც ტივებზე დაუძრავს კრინტი, ოღონდ მორჩილად ეხვეწებო-

და, არტელს მისი წყენა გულში არ ჩადო და დაყაბულბულდებულად დაეწინა დეღლიათ.

— ჰაი, შე ასეთო და ისეთო, ხუ შელაკედობ, — ეუბნებოდნენ მეარტელეები, — ვერ მოგვატყუებ, ვერა!

— ას მანეთადაც არ ჩავალთ წყალში.

— დაე, შეილოსა, მაგ დალოცვილმაე გაინავარდოს და გაითამაშოს ლაღად.

— დაე, გაფანტოს, მიყარ-მოყაროს მორები, მერე წადი და შეაგროვე!

— მაგრამ ჩარეკიანი კი მაინც დაეცალეს და სიმღერა გააჩალეს. გაღმიდან გაშმაგებული მდინარის შხუილსა და დედუნში არეულ-დარეული, ველური, გაღლებული ხმები მოდიოდა.

— კარგად კი მღერიან! — აღტაცებითა და შურით წარმოთქვა ტიულინმა.

ივახინს, მგონი, ნაკლებად მოსწონდა სიმღერა. შეშფოთებული უღებდა ყურს და დაბნეული, დამწუხრებულ თვალებით იყურებოდა, სიმღერა კი ქუხდა, გრგვინავდა და, ეტყობოდა, კარგს არაფერს მოასწავებდა.

— ბევრი დააკელ გუშინ? — პირდაპირ ჰკითხა ტიულინმა.

ივახინმა თავი მოიქექა და, თუმცა შეშფოთებული თვალი არ მოუშორებია იმ ადგილისათვის, საიდანაც ეს არეულ-დარეული ხმები მოდიოდა, ასევე პირდაპირ უპასუხა:

— ორ წითლიანზე იყო ლაპარაკი.

— ბევრი კია, ფრთხილად, გვერდები არ დაგზილონ... — ივახინს სახეზე ეტყობა, რომ ეს ვარაუდი შეუძლებლად არ მიაჩნია.

— ნეტავ ტივები მაინც გამოეთრიათ, — ღრმა მწუხარებით ჩაილაპარაკა მან.

— ალბათ გამოათრევენ, — დაანუგეშა ტიულინმა.

— მოელაპარაკე, რა იქნება, — მლიქვნელურად შეეხვეწა ვაჭარი, — ასე უთხარი, წყალი ნაპირზე აღარ გადმოვა, ღამით უკან დაიწევს-თქო!

ტიულინმა პასუხი შეაგვიანა; თვალი არყის ჭურჭელზე დარჩა და სულწასულად უთხრა:

— მეორე ჩარეკიანსაც მოიტან?

— მეორესაც.

— მესამეზეც ყაბულს იქნები. მაშ გადაგიყვანო?

— გადამიყვანე!

ნავი უკვე შუა მდინარეზე იყო გასული, როცა გაღმიდან შეინიშნეს. სიმუერამ უფრო ძლიერად იტყუა. უფრო მეტად აირ-დაირია ხმები და გახშირდა მწვანე ზღუდედ ამართულ დიდ ტყეში, რომელსაც ნაკაფი მიჰქროდა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ შეწყდა და ნაკაფიდან მხოლოდ ხმამაღალი, ასევე უწყსრიფო ყაყანი ისმოდა. მალე ივახინი ისევ შურდულივით მოჰქროდა ჩვენი ნაპირისაკენ და ახალი ჭურჭლით ხელახლა გაღმისაკენ გაქანა. თუმცა საბუზე გაბოროტება ეტყობოდა, მაგრამ თვალეში მაინც სიხარულის ნაპერწკალი უციმციმებდა.

შის ჩასვლისას მთელი არტელი „მოაკვდა“ ივახინის ტივების ამოთრევას. „დუბინუშკას“ სევდიან ხმაზე მორებს ნაპირისაკენ მიაგორებდნენ და ხელით აჰქონდათ აღმართზე. მალე ივახინის მთელი ხე-ტყე გროვა-გროვად გაღმოეკიდა ფლატეს და ონავარი მდინარისთვის უკვე მიუწვდომელი გახდა.

მერე ხელახლა აგუგუნდა სიმღერა. ამოწუწული, დაქანცული მეარტელები უკანასკნელ ჩარეკიანს ცლიდნენ. გაოფლიანებული, გაბრაზებული, მაგრამ კიდევ უფრო მეტად კმაყოფილი ივახინი უკანასკნელად გაღმოვიდა ჩვენს ნაპირზე და სოფლისკენ გაქანდა. ქარი უფრიალებდა გრძელი ხიფთანის კალთებს, ორივე ხელში ცარიელი ჭურჭელი ეჭირა.

უფრო მეტად დამძარბებულმა ტიულინმა ხანგრძლივი მზერა გააყოლა მას.

— რაო, სცემეს? — ვკითხე მე.

ტიულინმა ახლა ჩემზე გადმოიტანა მზერა და მითხრა:

— ვისა?

— ვისა და ივახინს. *ერეკუნული*

— არა, რატომ უნდა *ერეკუნული* მე გაკვირვებით შევხედე ტიულინს და უეტრად შევამჩნიე, ტიულინს პირისახე შეშუბებოდა, ხოლო თვალის უბე ახლად ჩალილავებული ჰქონდა.

— ტიულინ, საყვარელო!

— ჰო, რაო?

— თვალი რატომ გაქვს ჩალილავებული?

— ჩალილავებული?.. რისგან უნდა მქონდეს ჩალილავებული, ჰა?

— შენ, ალბათ, გცემეს, ტიულინ.

— ვინ მცემა?

— მეარტელებმა.

ჩაფიქრებულმა ტიულინმა პირდაპირ თვალეში შემომხედა.

— მაგისგან თუა... მაგრამ ძალიან მაგრად რომ არ უცემიათ. — მითხრა და ისევ შემომხედა. — იქნებ პარფენმა ჩამანათა, ა?

— შეიძლება, პარფენმაც...

— მაშ, უპველად პარფენი იქნებოდა. ო, რა მავნე ვინმეა, — სულ იმის ცდაშია როგორმე კაცი გააფუქოს...

საეითხი საკმაოდ გამორკვეული აღმოჩნდა. თუმცა ძალიან მინდოდა ისიც გამეგო, თუ როგორ მოხდა, რომ არტელის წყრომამ ასე მოულოდნელად იცვალა გეზი და მეარტელეთა რისხვა ივახინის ნაცვლად ტიულინის სრულიად ნეიტრალურ ფიზიონომიას დაატყდა, მაგრამ ამ დროს გაღმა ნაპირიდან კვლავ მოისმა ძახილი:

— ტიუ-ული-ინი!..

ტიულინს თავიც არ მიუბრუნებია, ზანტად გაემართა ფაცხისკენ და გზაზე გაღმომილაპარაკა:

— გვეძახიან. შენ გასულიყავი, ჰა? ხელდახელ გახვიდოდი. — მაგრამ უეტრად ყურები ცქციტა, მოტრიალდა და გამოოცხლდა. მიუხედავად ბინდბუნდისა, გაღმა ნაპირზე მაინც გაარჩევდით წითელ პერანგებს. ეს მეარტელები

ექაზდნენ ტიულისს და თითქოს მაცდურადაც უქნევდნენ ხელებს.

— მეძახიან, არა? — სიხარულით მკითხა ტიულისმა და შეკითხვის თვალთ შემოხედა.

— რა თქმა უნდა, გეძახიან. შესაძლოა, ისევე გცემონ...

— არა, რას ამბობ, ღმერთმა დამიფაროს, სად გაგონილა! არტელს სურს გამიმასპინძლდეს, შერიგება უნდა, მაშ...

ტიულისი საოცარი სიმკვირცხლით გაეჭანა ნაპირისკენ. რატომღაც ორი ნაღი ერთმანეთს გადააბა, ერთის ცხვირი მეორის კიჩოს მიაბა, თვითონ წინა ნაღში ჩაჯდა და სწრაფად მოსწყდა ნაპირს; აქეთა მხარეს არც ერთი ნაღი არ დატოვა.

VII

ამ მიაშიტ ეშმაკობას მაშინ მივხვდი, როცა ბინდში ბეჭობიდან ფორანის ქრიალი მომესმა. ფორანი ნელ-ნელა მიუახლოვდა ნაპირს. ცხენმა რამდენჯერმე დაიფრუტუნა, ყურები გადაიწია და გაოცებული დააკვირდა საოცრად შეცვლილ, აქამდე მორჩილ ვეტლუგას.

გლეხი ფორანს მოშორდა, წყალს მიადგა, გადახედა, თავი მოიჭექა და მე მომიბრუნდა:

— მებორნე სადაა?

— აგერ... — მივუთითე მე პატარა ნათელ ზოლზე, რომელიც უკვე შუა მდინარის ჩაბნელებულ ზედაპირში შეჭრილიყო.

გლეხი დააშტერდა იმ ადგილს, კვლავ გაიჭნია თავი, ვასიუხინელების სიმღერას მიუგდო ყური და ფორანი შემოატრიალა.

— დიდი უსინდისო კაცია აქაური მებორნე, — მითხრა მან მშვიდი ხმით. — დახე, ნაგებიც რომ წაუთრევი... ახლა მთელ ღამეს იქიდან ვეღარ გამოიტყუებ.

მან ცხენი განზე გაიყვანა, მერე ჩემთან მოვიდა და მომესალმა.

— გამვლელი ბრძანდებით?

— დიახ, გამვლელი. *ეროვნულნი*

— ტბიდან ხომ არ მუდმობენ?

— ტბიდან მოვდივარ.

— ჰოო, ბევრი ხალხი მიდის ახლა.

ხვალაც უფრო მეტი წავა. ეჰე, რასაცხარობს მდინარე! ახლა მე და თქვენ რომ ბორანზე ავიდეთ... მაგრამ ვერა... ისე ეტყობა, ღამე უნდა გავათენოთ, გემს ხომ არ ელოდებით?

— დიახ, გემს.

— დილამდე არ იქნება. მაშ, თქვენც მოგიხდებათ ღამის თევა. — გლეხმა ფორანი ფაცხის უკან დააყენა და დაფლმანდებული ცხენი ფერდოზე მიუშვა. რამდენიმე წამის შემდეგ ფაცხის უკან კვამლის სვეტი აიკლაცნა.

ჩანდა, ტიულისს თავისი მუშტრები მოთმინებას ჰყავდა მიჩვეული.

მზე რა ხანია ამოეფარა მთებსა და ტყეებს, ვეტლუგაზე ლურჯი, თბილი და წყნარი ბინდი ჩამოწვა. ჩვენი ცეცხლი გაღვივდა, ავიზგიზდა, კვამლის სვეტი ზევით აიჭრა. როგორღაც მეუცნაურა ეს მშვიდი გაყურებული ჰაერი ასე გამალეებით მიმავალი გამშაგებული მდინარის გვერდით, რომელიც სულ უფრო და უფრო მშვილით მოიბრძოდა. გაღმიდან კვლავ ისმოდა სიმღერა, და, მგონი, ამ საერთო ორიანცელში ტიულისის გამყვიანი ხმაც გამოვარჩიე. ერთ-ერთ მახლობელ ბორცვზე შეფენილ სოფელში ერთი-მეორეზე მიყოლებით აენთო სინათლე. დღისით ვერ შევამჩნიე ეს სოფელი, — ისე შერწყმოდა მისი ნაკირისფერი ქოხები და ჩამაგებული სახურავები პეიზაჟის საერთო იერს... ახლა ბორცვის ჩაბნელებულ კორტოხზე სინათლე ღამაზე გუნდებდად აკიფდა, მხოლოდ აქა-იქცის სილურჯეში იხატებოდა სახურავთა ოთხკუთხედები.

ეს სოფელი სოლოვიხა იყო. ჩემმა ახალმა ნაცნობმა, რაკი მეტი საქმე არ ჰქონდა, იქაურ მცხოვრებთა რამდენიმე არცთუ ინტერესმოკლებული ზნე-ჩვე-

უღება მიაშბო, სოლოვიჩხაში თავგზიანი და ამპარტაენი ხალხი ცხოვრობს; ამ მიდამოებში სოლოვიჩხელებს „ქურდ-ბაცაცების“ სახელი ჰქონიათ გავარდნილი. ჩემი ახალი ნაცნობი ერთხელ თურმე სოფელ ბლაგოვეშჩენიეში შედავით-ნესთან გაჩერებულა. ზამთრის საღამო იყო. მაგიდასთან სხედან. უცებ ვილა-ცამ სარკმელზე დააკაუნა. შედავით-ნეს გაუხედავს: ფანჯარასთან მეზობელი ბერიკაცი ივანე სემიონოვი იდგა და სთხოვა, ღამე გამათვიენო. „რას ამბობ, შენ სახლამდე ხომ მარტო ერთი ვერსილა იქნება?“ — „ერთი ვერსი კია, მაგრამ სოლოვიჩხას რომ უნდა ჩავუარო? ვაითუ ისევე ყინულჭრილთან მიმიყვანონო“.

თურმე ამ ბერიკაცსა და სოლოვიჩხე-ლებს შორის მეტად თავისებური დამოკიდებულება დამყარებულა. როგორც კი ბერიკაცი ფულს მოიგებდა, უთუოდ გამოთვრებოდა სოფელში, ხოლო ამასთანავე ტრაბახსაც მოჰყვებოდა: ჯიბეში „კატენკა“ მიჰყავისო. მე-რე, შინ რომ წავიდოდა, სოლოვიჩხელებიც მდინარესთან მოიხეტლებდნენ და ყინულჭრილისკენ დააქანებდნენ.

— ხომ არ გინდა ყინულჭრილში ჩაგაგდოთ?

ბერიკაცს, რა თქმა უნდა, არ უნდოდა. არც ისინი ატანდნენ ძალას, — ოღონდაც „კატენკა“ მიეცა. ბერიკაციც მისცემდა, სხვა რა ჩარა ჰქონდა. ისევე მოუბრუნდებოდნენ.

— გინდა ყინულჭრილში ჩაგაგდოთ?

— არა, ძმებო, არ მინდა.

— მაშ, იცოდე, კრინტი არავისთან დაძრა. იტყვი?

— არა, ძმებო, არა.

— დაიფიცე!

— აი, ეს მიწა გასკდეს და შიგ ჩამიტანოს, თუ ვინმე სულიერს ვუთხრა.

და არც ამბობდა. რამდენჯერ დაი-ჭირეს ასე, — ბოლოს შობებურა ბე-რიკაცს და შეწყვიტა საღამოობით სო-ლოვიჩხას ახლომახლო სიარული,

მეტადრე თუ ნასვამი იყო, მაგრამ თქმით არავისთვის არ უფრქვემხს... სო-ლოვიჩხელებმა ყინულჭრილთან მიმხე-ვანესო, — იტყოდა ხოლმე, მაგრამ ვინ მიიყვანა, — ამას არ ამბობდა.

ამ ნაამბობის შემდეგ განსაკუთრე-ბული ცნობისმოყვარეობით გავხედე „ქურდბაცაცების“ პატარა სოფელს. მაშ სხვაგან საღ შეხედები, ვეტლუგის გარდა, ასეთ უშუალო, ასეთ მარტივ ხერხებს, სხვისი სიტყვისადმი ასეთ კეთილშობილურ მინდობას ან ასეთ გულუბრყვილო რწმენას, რომ შეიძლე-ბა ფიცის გატეხის შემთხვევაში „ამ ადგილმა ჩაიტანოს?“ — ვფიქრობდი გულში. ჩემი ახალი ნაცნობი, თავად ვეტლუგელი, მარწმუნებდა, მთელი მდინარის გაყოლებაზე მეორე ასეთ სო-ფელს ვერ ნახეთო. აი, მარიინოში სამი წლის წინათ „კრასნოიარსკებს“ (ყალბ ფულებს) პრიდნენ, — მეუბნებოდ-ის, — მაგრამ ეს სხვა საქმეა. იქ კარ-ლია ქოხში ფული რომ დატოვოთ და ერთი დღე-ღამით საღმე წახვიდეთ, ხელს არავინ მოჰკიდებს.

— მაშ სოლოვიჩხელებს რა დაემარ-თათ?

— ასეთი ჩვეულება აქვთ.

აბა საღ შეხედებით კიდევ სხვისი ჩვეულებებისადმი ასეთი შეწყნარების გამოჩენას?.. — კვლავ გავიფიქრე მე. ხოლო სოლოვიჩხადან გამოჩნაშუქი სი-ნათლე აღერსიანად და გულუბრყვი-ლოდ მიკრავდა კერს: „არსად, არ-სადო“...

— აი, ტიულინსაც თავისი ზნე აქვს, — ღიმილით ვუთხარი მე.

— მაშ! ღიმი არამზადაა, დალახეროს ღმერთმა! მაგრამ ისიც უნდა ითქვას: თავისი საქმე იცის. აგერ, შემოდგომა რომ დადგება ან ისევე გაზაფხული მოვა, მაშინ გამოიჩენს თავს... ამ წყალდიდო-ბაში სხვა ვერასგზით ვერ გაართმევდა თავს ბორნის გაყვან-გამოყვანას. ამი-ტომაც ვინახავთ...

— მშვიდობა აქა მყოფთ!

— მობრძანდით, მობრძანდით!

ჩვენს ცეცხლს ორი მწირი მოუახლოვდა, ზურგზე არყის ხის ქერქის შულდაკები ეკიდათ და ხელში კვერთხით ხელჯოხები ეჭირათ. ერთმა მათგანმა შულდაკი ჩამოიხსნა, დაკვირვებით შემოამხედა და თქვა:

— ეს კაცი ჩვენ გვინახავს.

— საკვირველი არაფერია, — მივუგე მეც.

— ლიუნდაზე იყავით?

— ვიყავი.

— სწორედ იქ გნახავდით. თქვენი ნებით ბრძანდებოდით თუ აღთქმული გქონდათ?

— ჩემი ნებით. თქვენ?

— ჩვენც უქმეზე წავედით, თვისტომებში ვიყავით.

— აბა, ცეცხლს მიუგეპით.

— გადასვლა გვინდოდა, — სახლი შორს აღარაა. ბარემ დილაზე მივიდოდით.

— მაშ, გადასვლა... — ჩაერია ჩემი ნაცნობი. — ტიულინმა უკანასკნელი ნაციც წაათრია. იქნებ ბორნით გავსულიყავით?

— ძალიან აღიდებულა მდინარე.

— არც გრძელი ლატნებია აქ.

მეორე ახალმოსული დაღლილი ნაბიჯებით მივიდა ნაპირთან და მყისვე ხმამაღალმა გაბედულმა შეძახილმა გადაუარა მდინარეს:

— ტიუ-უ-ლი-ინ! ნავი მოგვეცი!

თითქო სწრაფმა დინებამ გაიტაცაო, ეხო მთელ მდინარეზე გახმიანდა. გეგონებოდა, ამ გეგმაგმა მდინარემ თან წარიტანა და სიბნელეში მთელემარე ნაპირებს შუა ტრიალ-ტრიალით გააქანაო. ანარეკლი ხმები მიჰქროდნენ საღდაც შორს, საღამოს ბინდბუნდში და წყლებოდნენ იქ ჩუმად, დამაფიქრებლად და ისე ნაღვლიანად, რომ ყურმიპყრობილმა მწირმა ვედარ გაბედა ხელმეორედ დაერღვია საღამოს მყუდროება.

— შაბაშ! — თქვა მან, ხელი ჩაიჭნია და ჩვენს ცეცხლს მოაშურა.

— ამ ბიჭის სახლი უცვლელია, — ჩემმა პირველმა ნაცნობმა, — სულ ოთხი ვერსილა იქნება პესონაიაამდე! პესონიელებზეც არაფერი გაგიგიათ? — მკითხა ეშმაკური ღიმილით.

— არა, ამ მიდამოებში ნამყოფი არა ვარ.

— ამ პესონიელებსაც თავიანთი ადათი და ზნე აქვთ. რამდენიც ქალაქია, ამბობენ ხალხში, იმდენი ზსეაო, რამდენიც სოფელია — იმდენი ჩვეულებაო. სოლოვიხინელებს, აკი გაამბეთ, სხვისი ავღადიდების წართმევა უყვართ, პესონიელები კი თავიანთი ქონების დიდი დამცველი და დამზოგველი ხალხია. ხუთიოდე წლის წინათ შვიდი პესონიელი თურმე სოფელ ბლაგოვეშჩენიეში რკინეულის შესაყეთებლად წასულა, — სახნისების, ნამგლების თუ სხვა რამ სასოფლო იარაღისა. ჰოდა, შეაკეთეს კიდეც და ისევ უკან, მდინარისკენ გამოეშორნენ, რკინეული კი ჩანთაში უწყვიათ და ხელით მოაქვთ. მაგრამ მდინარე, როგორც ახლა, აღიდებული ყოფილა, — მოღელავს და თან ქარიც ამოვარდნილა, ტალღებს აქეთ-იქით ახეთქებს. ნავი, მოგესხენებათ, ვერ უმკლავდება, ხანხალებს. „ერთიც ვნახოთ, ძმებო, ნავი გადაგვიბრუნდა, — თქვა ერთმა, — რკინა ხომ ჩაიძირა და დაგვეღუბა. მოდიო, ბიჭებო, ჩანთები ზურგზე მივიკრათ, რომ რკინა აღარ ჩაიძიროსო“. — ეს ქუთასთან ახლოსააო! — თქვეს და ასეც მოიქცნენ. მდინარისაკენ შრდიოდნენ. რკინა ხელით მიჰქონდათ; ნავში ჩასხდნენ — აიღეს და ზურგზე აიკრეს. შუა მდინარეს რომ მიაღწიეს, ნავი წყლით აივსო და გადაბრუნდა. ჰოდა, რკინა კი ზურგზე მაგრად ჰქონდათ მიკრული, — არ დაეკარგათ. ასე რომ რკინასთან ერთად პატრონებიც ფსკერზე აღმოჩნდნენ, შვიდნივე... რაო, ყმაწვილო, განა ტყუილს ვამბობ?

პესონიელი არ შესიტყვებია; ცეცხლის შუქზე ჩემს სამივე მოსაუბრეს სახეზე ერთნაირი გულკეთილ-დამციწავი ღიმი უკრთოდა, ის განსაკუთრებული ვეტლუგური ღიმი, რამაც ცოცხლად მომაგონა ტიტუნი.

— თქვენ კი საიდან ბრძანდებით? — ვკითხე იმ ბერიკაცს, რომელსაც ლიუნდაზე ვენახე.

— მე, ბატონო, ისე, ჩემთვის გახლავართ, ერთი უთვისტომო, ბოგანოკაცი ვარ, ნასალდათარი.

— მაინც, ვეტლუგიდან ხართ?

— ვეტლუგიდან, მაშ, ამ დალოცვილიდან. ჩემს ბიჭობაში არა ერთხელ მიტევხავნია მის წყლებში. ჰოდა, სალდათობის შემდეგაც, აგერ უკვე თხუთმეტი წელია, აქ დავწაწალებ.

ამ ბერიკაცს ნასალდათევისა ცოტა რამ ეტყობოდა: ესაა მხოლოდ, საუბრის რამდენადმე გულდაჯერებული კილო ჰქონდა და კიდევ ძველი, გაქონილი, კანტებგადახუნებული და საჩიხედახეული კარტუზი შემორჩენოდა. საჩიხის ქვემოდან ნაცრისფერი თვალები უბრწყინავდა, ხოლო უღვაშებთან ოდნავ შესამჩნევი ღიმილი უთამამებდა. მოხუც სალდათს მეტად საამო ხმა ჰქონდა, გულიდან ამოწადენი. ხმაზე ეტყობოდა, ბიჭობაში დიდი მოსიძღვრე იქნებოდა, თუმცა ახლა სიბერისა თუ მდინარის სინესტისაგან, ან იქნებ არყის სმისაგან ხმა საგრძნობლად ჩახლეწოდა. ყოველ შემთხვევაში, მოხუცი სალდათის ხმის მოსმენა, ოდნავ იუმორისტული კილო რომ დაჰკრავდა, და მისი ვეტლუგური გაღიშების ცქერა მეტად საამო იყო ჩემთვის. ახლა გამახსენდა, რომ ჩვენ მართლაც ტბაზე შეგხვდით ერთმანეთს. გაცხარებულ კამათში თემაზე: „ქურდთან, ავაზაკთან, მით უფრო ერეტეკოსთან ურთიერთობას ნუ იქონიებ“, — როცა ორივე მხარე ერთმანეთს ტექსტებსა და „მედავითნური“ დიალექტიკის ნაირ-ნაირ მოსწრებულ აზრებს სეტყვა-

საით აყრიდა, — ეს ბერიკაცი, თავზე დაფხრეწილი საჩიხითა და კრთვნილ თვალებით, უეცრად შთაგულწიკრმურტყვრა და მთელი ეს სჯა-ბაასი ყოველგვარი ტექსტების გარეშე, ჩვეულებრივი ყოველდღიური ამბის მეტად უბრალო მოყოლით გააფუქა. ამ ნაუბარმა უმეტესობაზე გამომაფხინლებლად იმოქმედა; „მედავითნებმა“ ბაიბურში არ ჩაადგეს ეს. მაგრამ სჯა-ბაასი ამჟამად ჩაიშალა. ხალხიც წავიდწამოვიდა და ვინ იცის, არა ერთი და ორი აღძრული ეჭვი გაიყოლია თან.

— რა ბრძანებაა, დედაკაცური ჩმახვაა, მდაბიოსიტყვაობა, — უკმაყოფილოდ მითხრა ერთმა „მედავითნემ“, — განა საღვთო წერილში ასეა?

— ეს ვინაა, ეფიმი ხომ არ არის? — იკითხა ერთმა, რომელმაც ლაპარაკის კუდს მოუსწრო.

— ისაა.

— ერთი აჯამი გლეხუქაა, ვეტლუგელია, ჩვენში მოჯამაჯერედ იყო. საღვთო წერილისა მაგან რა იცის, მარტო სახარება წაუკითხავს! — და მოსაუბრემ ხელი ჩაიქნია.

ეფიმი-ვეტლუგელი კი ამაზე თავისი ჩვეული ღიმილით იღიმებოდა და ვინ იცის, რას მიეწერებოდა ეს ღიმილი, — ლაპარაკის საგანს თუ მსმენელებს, ან იქნება თვითონ მასაც, ერთ აჯამ გლეხუქას, ბოგანოსა და ნასალდათარს. მაგრამ ჩემთვის ვეტლუგელის საუბარი იყო პირველი ცოცხალი სიტყვა, რომელიც მე სვეტლოიარში გავიგონე.

ახლა ჩვენ კვლავ გვაგებით საუბარი: ლიუნდაზე, სვეტლოიარსა და კიტეხზე, ურენეელებზე. იმ მრავალრიცხოვან, ნაირ-ნაირი რწმენის უგულვებში, რომლებიც სვეტლოიარში იყრიდნენ თავს და თავთავიანთი წიგნები, საგალობლები და თავთავიანთი რწმენა მოჰქონდათ, — განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ურენეეელი „მედავითნები“, რომელნიც თავიანთ საკუთრებეველს

ყოველ წელს სულ ერთ და იმავე ბებერი მუხის ქვეშ, ბორცვის კალთაზე აწყობდნენ. მაშინ როდესაც ავსტრიელი მღვდლის ირგვლივ, რომელსაც მოკლე მანტია ესხა და ყურებზე გადმოწეული გრძელი ნაწნავები ჰქონდა, ძლივძლივობით ათიოდე მლოცველი თუ მოიყრინა თავს, — ურენეველთა მუხასთან მუდამ დიდძალი ხალხი იდგა. მე გამაოცა ამ „მეღვინეთა“ პირქუშმა, მედიდურმა სახეებმა. აქ იყვნენ სქიმოსანთა თალხ სამოსში გამოწყობილი ქალები, ვიღაც აყლაყულა მკვახე სახის სუბიექტი, ჩოფურა ყმაწვილი — მათხოვრის შულდაკით ზურგზე — და თმაბურძენული სალოსი... ასინი რიგრიგობით კითხულობდნენ და გალობდნენ დუდღუნა ხმით, მათ ირგვლივ მყოფთ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. მაშინ როდესაც სხვა სექტების წარმომადგენლები ხალხისთვებობოდნენ კამათში, ურენეველებს ქედმაღლურად ეკირათ თავი, არავის არაფრად აგდებდნენ, კითხვაზე არც კი უპასუხებდნენ. გეგონებოდათ, მათთვის ამ ქვეყნად უკვე აღარ არსებობს თუნდაც ოდნავი შეწყნარების ღირსი რამ და მთელი მათი სიწმინდე და გულისყური მიეზიდა ამ პატარა კუნძულს, რომელიც მათ მჭიდროდ მიჯრილ, „გაკრევილ კინკრინობს“ დაეჭირათ და მათ მშუმნვარე გალობას მოეცვა.

— ძალიან მაღლა კი უჭირავთ თავი, — თქვა ეფიმმა. — თქმა არ უნდა, საზრიანი და ფხიზელი ჰქუის ხალხია. მაგრამ ჩვენს ძმას მათთან რალაც ეჩითირება ზოლმე ყოფნა.

— მაინც რატომ?

— მოსაწყენია და იმიტომ, ჩვენი რწმენა, კაცმა რომ თქვას, ბევრად უფრო სახალისოა, — ეფიმის ნაცვლად მიპასუხა ფორნის პატრონმა.

აქამდე მდუმარე პესონიელმა ამ სიტყვებზე რალაც სიხარულით ჩაიღიმა და თქვა:

— მე ხომ ნამყოფი ვარ მათთან, უცნაური ხალხია, ძმებო!

— მაინც რა აქვთ უცხოური ქუთუბა

— იმ ზამთარს ერთს მოჯამაგირედ დაეუდექი: ტყიდან ძელები უნდა გამოგვეზიდა. მე და ჩემი ახალგაზრდა პატრონი ჩემი ცხენით ღამით დაებრუნდით. დილით ადრე გამომეღვიძა, ჯერ კიდევ ბნელოდა, ზამთრის ხანი იყო. გადმოვიხედე: დედაბერმა სანთელი აანთო, მერე ხატების წინ ლოცვა დააპირა. კარგი ხატები იყო, ფერად-ფერადი. ოპო, გავიფიქრე, ჩემი წასვლის დროცაა; მოდი, მეც ვილოცებ და მერე ცხენს შევებამ-მეთქი. ნელ-ნელა გადმოვიჩოჩი ბალახანიდან, უკან დაუდექი და პირჯვრის წერას მოვეყვი. ამ დროს მობრუნდა ჩემსკენ, დამინახა და ხელები გაასავსავა: „ამას რას სჩადიხარო? — მითხრა. „რა იყო, ლოცვას ვაპირებ-მეთქი“. „მოიცაო“ — მითხრა, — „რა მოცდა უნდა, სწორედ დროა“. — „მოიცა, მერეო“. მერე იყო-მეთქი და ისევ ბალახანზე ავძვერი. მოათავა დედაბერმა ლოცვა. სანთლები ჩააქრო, შეინახა. შევხედე: ცოტა ხნის შემდეგ ბერიკაცი ჩამოძვრა ლუმელიდან, სახატზე თავისი ხატი მოიტანა და სანთელიც თავისი აანთო. მე ისევ ბალახანიდან ჩამოვედი. ვიფიქრე, ახლა კი შემიძლია ვილოცო-მეთქი. ის იყო პირჯვრის დასაწერად მოვეშხადე, ბებრუცანამ ხელი არ მტაცა?! „ამას რას სჩადიხარო?“ — „კაცო, ლოცვას ვაპირებდი-მეთქი“. — „მოიცაო, — მითხრა, — შენ არ გმართებსო“. აი შარი თუ გინდა ესაა! ისევ ბალახანზე უნდა ავსულიყავი, მეტი რა ჩარა მქონდა. ამ დროს პატარძალიც ჩამოვიდა, ახალგაზრდა კაცთან ერთად გვერდით სენაკში სანთელი დაანთეს. იმათ ხატიც არ ჰქონდათ — მარტო ჯვარცმა ეკიდა. სწრაფად გავძვერი იმათკენ, ისევ სალოცავად მოვეშხადე. ვიფიქრე, ჯვარცმაზე მაინც ვილოცებ-მეთქი.

— მერე მიგიშვებს განა? — კითხა

ერთერთმა დაინტერესებულმა მსმენელმა, როცა ნახა, მოამბე შეჩერდა.

— გაგიგონიათ? არც იმათ მიმიშვეს. თვითონ რომ ილოცეს, მერე მე დამიძახეს: ახლა მოდი და ილოცეთ. გავედი სენაქში, იქ ცარიელი კედლები დამხვდა. აბა, ჯვარქმაც კი წაელთ... უპ, ეშმაკმა დაგლახვროთ! აქ არაფერი ცოდვა დამედოს—მეთქი, ვიფიქრე გულში. არა მჭირდება! თუ ასეა, ისა სჯობს, რომ წავალ, გზაში იმ ჩვენი გამჩენის მზესე გაღვიწერ-მეთქი პირ-ჯვარს.

— ერთ ოჯახში სამი რწმენაა! — შენიშნა სალდათმა.

— სამი, მაშ. სადილობამაც მოაწია. დამსვეს ეს კეთილი და პატიოსანი კაცი, როგორც წესი და რიგია. ბებრები თავიანთ ქალთან ერთად დასხდნენ, მე და ახალგაზრდა კაცს ცალკე სუფრა გაგვიშალეს და, გარდა ამისა, ცალკე ჯამებიც დაგვიდგეს. მაშინ კი გული მომივიდა. „ჰაი, თქვე ასეთ-ისეთებო, — ვუთხარი მე, — თქვენ მე კი არა, თქვენს კაცსაც თაკილობთ“. „ეს იმიტომაო, — მითხრა დედაბერმა, — რომ რუსეთში დადის, თქვენისთანა ხალხთან, ათას უწმინდურთან აქვს საქმეო...“ თურმე, ნუ იტყვი, როგორ გვიყურებენ!

— ჰოო, — კვერი დაუკრა მეფორანემ, რომელიც უკვე გაწოლილიყო და ხელები თავქვეშ ამოედო. — ერთი უყურეთ მაგათ, ვითომ რა მკაცრად ცხოვრობენ... თვითონ კი უსირცხვილონი არიან! ახლა ჩვენთან, ახლო სოფელში ორი ძმა ცხოვრობს: ერთი სალდათად წავიდა, მეორემ კი მისი ცოლი შეირთო, თავისი რძალი, მაშ! ისიც ფეხმძიმე! მეორე რომ ჯარბიდან მობრუნდა, არც იმას უფიქრია ბევრი: თავისი ყოფილი ცოლის ღვიძლი და ითხოვა. გესმით: ორ ძმას ორი და ჰყავთ ცოლად. პატარა ბიჭს სალდათი ღვიძლ შიძად ერგება, თუ მამად არა. მაშ, ამას კი არ თაკილობენ. ჰო-ჰო-ჰო... ვითომ არ დავიძინოთ?!

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— სასერიო ამბები ხდება ახლა რუსეთში, — გაისმა ერთი წუთის მშუბდებ პესოჩნიელის მიამიტი ხმა.

— დიდი ხანია ასეა, — თქვა სალდათმა და დასაძინებლად დაწვა. — გუშინდელი ამბავი არაა.

— ვითომ დიდი ხანია? აგერ ახლა მოლოკანებმა ისევ...

— ეს სხვა საქმეა, სხვა რიგისა. დაწვექი, დაიძინე, ტყუილად ნუ ყბედობ! მაგრამ პესოჩნიელმა, იმ „სასერიო ამბებზე“ ფიქრით შეპყრობილმა, რომელიც ახლა „წმიდა რუსეთში“ ხდებაო, დიდხანს ვერ მოახერხა დაწოლა. იჯდა ცეცხლთან, ხის ტოტს უჩუჩუნებდა და, რომ დაინახა, არც მე შეძინა, თავით ცბიერად მანიშნა ეფიშე და მითხრა:

— სხვა საქმეაო, ამბობს... ვითომ რატომაა სხვა საქმე? თვითონ იმათი ავანჩავანია, ჩვენ ღმერთებს ეგ აღარა ლოცულობს, პარასკეობით რძესა თქვლევავს. ჩემი თვალითა ვნახე, თორემ არც ვიტყვოდი...

და თვითონაც სილაზე დასაძინებლად წამოწვა.

VIII

მე წამოვდექი და მივიხედ-მოვიხედე. მდინარე სალამოს მუქ სილურჯეში მიმალულიყო. მთვარე არ იყო ამოსული, ვარსკვლავები წყნარად და ჩაფიქრებით დაციმიციმბდნენ ვეტლუგას. წყვდიადში ჩაფლულ ნაპირებს, ბუნდოვანად რომ მოჩანდნენ, საიდუმლო იერი გადაჰკეროდათ, თითქოს ამ უფრო და უფრო ადიდებული მდინარის დაუღუპარ ჩხრიალს ყურს უგდებენო. ჩაბნელებული იყო მდინარის ზედაპირი, აღარ ჩანდა ზედ „ყვავილის“ ქულებიც, მხოლოდ გამალეებით მიმავალ ნაყადებზე აქა-იქ გაკრთებოდა ვარსკვლავთა ზოლად გაწოლილი მთრთოლვარე ანარეკლი და მყისვე ქრებოდა, ანდა ხანდახან ტალღა ნაპირზე ამოხტებოდა და, სიბნელეში შოეღვარედ აქაფებული,

აკუნტრუსებული ცხოველივით ჩვენსკენ გამოქეჩანებოდა...

გალმა ნაპირზე კვლავ ბობოქრობდა არტელი, მაგრამ სიმღერა ჩვენი კოცონივით ნელდებოდა, ხმები თანდათან აკლდებოდა: ალბათ, არა ერთი და ორი ლოთი-ფოთი უკვე გაწვა ნაკაფზე თუ ჩირგვებში. ხანდახან ვილაცის ველური ხმა ომახიანად დაიქეჭებდა, მაგრამ სხვებს ველარ იყოლიებდა და სიმღერაც თანდათან წყდებოდა.

მეც მძინარე ვეტლუგელების გვერდით დაწვივი, ვტკბებოდი ვარსკვლავიანი ცის მზერით. ბორცვებს იქით ამომავალი მთვარის ოქროსფერ სხივებს გაენათებინა ცა. ბექობიდან ნელი ჭრიალით კვლავ ეშვებოდა შეგვიანებული ურემი, მოდიოდნენ მგზავრები და ნაპირზე მცირე ხნით გაჩერების ან ერთი-ორჯერ უიმედოდ დაქახების შემდეგ — ნაეიო, უდრტვინელად უერთდებოდნენ მებორნე ტიულინის საომარი სერხით დაბრკოლებულ ჩვენს ბანაკს.

გორაკზე შეფენილ სოფელში რა ხანია ნელ-ნელა ჩაქრა სინათლე. კოცონის ალით შეფერილი წარწერაინი ბოძი ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ ბნელში ინთქმებოდა.

გალმა ნაპირზე ბულბული სტვენდა.

— ბორა-ანი!

— ბორანი, ბორანი, ბორანი!

— ჰაუ, მებორნე-ეე, ჩქარაა-აა!

— ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ო!..

ამ ხმამალაშმა შექაბილებმა, რომელიც ალიონის დაფდაფივით ასე მოულოდნელად, მკვახედ და მქეპარედ გაისმა, გამოშალვიდა მეც და ცეცხლთან მიყუყული მთელი ჩვენი ბანაკიც. გეგონებოდათ, ამ ღრიანცელმა ცაც და დედამიწაც გააყრუაო და ვეტლუგის მშვილად მძინარე ღარტაფსა და ყურეში გახშიანდა. ღამენათევი მგზავრები იღვიძებდნენ და თვალებს იფშვენტდნენ; პესონიელი, რომელიც გუშინ ასე შეარცხვინა საკუთარმა მორიდებულმა ძა-

ხილმა მიძინებულ მდინარეზე, ახლა რაღაც შეშინებული იყურებოდა. და კითხულობდა:

გინჯლირთქაა

— რა მოხდა? ჯვარი აქაურობას, რა ამბავია?

თენდებოდა, მდინარე ნისლს დაებურა, ჩვენი კოცონი ჩამქრალიყო. ბინდში ვილაც ადამიანთა უცნაური ჯგუფები მოჩანდა ნაპირზე. ერთნი ჩვენ შემოგვხვეოდნენ, სხვები, ზედ წყლის პირას მიმდგარნი, მებორნეს გასძახოდნენ. შორიხლოს ფორანი იდგა, შიგ შემბული გათქვირებული შაქლარი ცხენი მშვილად ელოდა გადაყვანას.

მუისვე ვიცანი ურენეველები... აქ იყვნენ, ამ სამი დღის წინათ რომ ვნახე, თალხსამოსიანი მოსავანენი, პირქუში სახის აყლაყუდა სუბიექტი, ჩოფურა მათხოვარი, თმაბურტკვნილი „სალოსიც“ და კიდევ ვილაც მათი ჯურის პიროვნებანი.

ახლა ისინი ჩვენს აყრილ-დაყრილ ბანაკს შემოხვეოდნენ და მოურიდებელი ცნობისმოყვარეობით, აგდებით დაგვეცქეროდნენ. ჩემი თანამგზავრები რაღაც დარცხვენით მოიბუზნენ და ახალ-მოსულებს თავისი მხრით, ცოტა არ იყოს, შემკრთალი შესცქეროდნენ. რატომღაც მომაგონდა კრომველის დროინდელი ინგლისელი პურიტანები და ინდეპენდენტები. ალბათ, ის წმინდანებიც ასევე მედიდურად დაჰყურებდნენ თავიანთი ქვეყნის გულუბრყვილო ცოდვილებს და ისინიც პასუხად ასევე დარცხვენილი და მორჩილი თვალთ შესცქეროდნენ.

— ჰეი, თქვე ვეტლუგელო-წყლის-ყლაიებო! სადაა მებორნე?

— ბორანი, ბორანი, ბორანი!..

იფიქრებდი, მთელი არმია შემოსევია უღარდელი მებორნის მშვიდობიან სამფლობელოსო. ურენეველთა ხმები ჰქედა და გრგვინავდა მდინარეზე, რომელიც ახლა თითქოს დარცხვენილი სწრაფად გაურბოდა ამ შემოსევას, კვლავ მთლად გადათეთრებულ-გადაყვითლ-

ბული მდინარის „ყვავილისაგან“. ეხოს გრგვინვა-გრგვინვით შორს მიჰქონდა ეს შეძახილები.

„ერთი ვნახოთ, ამასაც თუ გაუძლებს ახლა ტიულინის სტიოციზმი?“ — ვფიქრობდი გულში.

მდინარეს რომ გავხედე, ჩემდა განსაკვიფრებლად, დილის ბურუსში ტიულინის პატარა ნაღვი უკვე შუაზე შევაშინე. ჩანს, ფილოსოფოსი მებორნეც მოეჯადოვებინა მრისხანე ურენეველ გოლიათებს და ახლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უსვამდა ნიჩბებს. ნაპირზე მომდგარს უფრო მეტად დაღრეჯილი და ნაბახურევის უქეიფობით გატანჯული სახე ჰქონდა; მაგრამ ამან როდი შეუშალა ხელი, სწრაფად აქუნძულე-ბულიყო ბექობზე გრძელი ლატების ჩამოსატანად.

ჩვენი ბანაკიც ამოძრავდა. ღამენათვე მეფორნეებს ცხენები მოჰყავდათ და საჩქაროდ აბამდნენ ფორნებში, ალბათ, შიშობდნენ, ურენეველები არ მოგვიცდიან და ვაითუ კვლავ ტიულინის თვითნებობის მსხვერპლი გავხდეთო.

ნახევარი საათის შემდეგ დატვირთული ბორანი ნაპირს გაშორდა.

ჩამქრალ კოცონთან დაერჩით მზოლოდ მე და ეფიმი. ეფიმი თითებით ნაცარს ქექდა, რათა მოკლეთარიანი ჩიბუხისათვის ნაკვერჩხლით ცეცხლი მოეკიდებინა.

— რატომ თქვენ არ გადახვედით მათთან ერთად?

— ეჰ, მაგათი... არ მიყვარს ეგ ხალხი, — მიპასუხა და ჩიბუხი გააბოლა. — რა მეჩქარება, — ჩემთვის ნელ-ნელა ნაპირზე გავწვიე... მაგრამ თქვენ კი, მგონი, დროა, მოემზადოთ. გესმით, ზემოდან გემი მოდის.

ერთი წუთის შემდეგ მეც გავარჩიე გემის ბორბლების გუგუნე, ხოლო ხუთმეტი წუთის შემდეგ კონცხზე გამოჩნდა

თეთრი ალამი და „ნიკოლოზი“ ნელა შემოსრიალდა მდინარეს მოხვეულში; გემზე აქა-იქ მკრთალად ცდილობდა ალიონის შექმნე გაუფერულებული სინათლე; გვერდით საბელმობმული დიდი კარქაბი მოჰყვებოდა.

საღდათმა დაუზარელად მიმავენა ტიულინის ნავით გემის ქიმს, შერე თვითონ უმაღ კიჩოს ქვემოდან გამოსრიალდა და გაემართა გაღმა ნაპირისაკენ, სადაც ბორნიდან ურენეველები გადმოდიოდნენ.

შემე რა ხანია მოაოქროვა ვეტლუგისპირა ტყეთა კენწეროები. მე, მთელი ღამის უძინარი, ზედა ბაქანზე ვიჯექი და ეტებებოდი სულ ახალი სურათებით, რომლებსაც ყოველ მოსახვევზე უხვად მიშლიდა აქა-იქ ჯერ კიდევ მოლურჯო ნისლით შებურული ტურფა მდინარე. და ვფიქრობდი: ნეტავ რად ვგრძნობდი თავს ასე მძიმედ იმ ტბაზე, ხალხის მწიგნობრული საუბრების დროს, „პეიტარ“ გლუხებსა და „მედავითნეთა“ შორის. და აქ კი, ამ მყუდრო მდინარეზე, ამ სტიქიური ბუნების მქონე დაუღვევარ, თავგასულ, ნიადაგ ნაბახურეზე უქეიფობით გატანჯულ ტიულინთან — ასე მსუბუქად, ასე ღალად? რისგანაა, ერთი მხრით, ამ სიმძიმისა და გულგატეხილობის გრძნობა და, მეორე მხრით—ასეთი სუფობა? რატომაა, რომ ჩემთვის, თავად მწიგნობარი კაცისათვის, ისინი ასე უცხო, ასე გაუგებარი არიან, ეს კი ისეთი მახლობელი, ისეთი ნაცნობი მეჩვენება, თითქოსდა მართლაც.

ეს ყველაფერი იყო ოდესღაც.

მაგრამ არ მახსოვს, თუ როდის მოხდა...

საყვარელო ტიულინ, საყვარელო, მხიარულო, გიჟმაყო ვეტლუგავ! ნეტავ სად ან როდის გნახეთ წინათ?

თარგმანი რუსულადან ქიზულაძისა

ახალ სამკობში



ირემმა ყური აპყარა,
 ირემმა ირემს ახარა:
 — ხელხედავანი შრომითა
 სოფლად იორა მოვიდა.
 იორს აქეთ და იქითა
 მტარვალი თვალს ვერ აკარებს,
 ჯეჯილი ამობიბინდა.
 ყანაა — უკვე სამკალი.
 თავსაც იწონებს თავთავი
 მარცვლითა მჯილისტოლათი,
 დამძიმებულან ბელლები
 ქართული პურის დოვლათით.
 მზე ამზეურებს სანახებს,
 ვაზი თმობს ყვავილობასა
 და მარტყოფელი არ ნაღვლობს
 მარტყოფში მარტო ყოფნასა.
 იორს აქეთ და იქითა
 მასპინძლის მძიმე რიხითა
 კარისმეზობლებს გავძახეთ,
 დავლოცეთ სახლი ახალი,
 სახლი კი არა სასახლე.
 პურდიდი სუფრა გავშალეთ,
 ღვინოს ვხარჯავდით შარშანდელს,
 — ბიჭებო, ჩვენი მარჯვენა
 ხვალ მეტად გაქრის ასჯერა.
 თუ მოგვიწოდებს პარტია,
 გავევითოთ კლდეც და პიტალოც,
 იორი რაა, რიონიც
 თბილისში ჩამოვიყვანოთ.

მიჯაჩინელ ქალიშვილს



ყინვას ებრძვი, ხმელ ნარინჯებს
 სცვლი ნერგების ათეულით,
 ხეთა მწკრივში დააბიჯებ
 თეთრად ღამე — გათეული.
 რომ სიცოცხლემ ყველა ტოტში
 მოიღზინოს, გაიხაროს,
 და გიმღეროს: „ქარაშოტი
 რას დამაკლებს, ჩემი ხარო“.
 ტუნგოები შენი გარჯით
 ველს უდგანან დარაჯებად,
 ხე შემოსე კრელი ფარჩით,
 ხარ სიცოცხლის გამარჯვება.
 რასაც შენი ხელი ტკბილად
 შეეხოს და მოეფერა,
 მას ქარი და ზამთრის ყინვა
 ვერ იმეტებს გასათქვრად.
 ევკალიპტი მხრების გაშლით
 თავს ევლებს დიად მხარეს,
 გაახარე მთაში ვაშლი,
 მთაში ვაზიც გაახარე.
 მკლავს მიეცი ძალა ლომის,
 ნერგებს უველი ალტაცებით,
 ახალგაზრდა აგრონომი
 ხარ ოცნება ვაეკაცების.
 შენ ბუნებას სძლიე, ქალო,
 შენ აყვავებ საქართველოს,
 მზეც ჩურჩულებს: „კარგი ხარო“,
 სხვა რა გინდა სასახელოდ
 სატრფო მღერის: „ჩემო სულო“...
 გვერდს მოგყვება დღდინჯებით,
 ნატყრასავით უსასრულო
 გილიმიან ნარინჯები.



ალიო მირცხულავა

დაბადებიდან 50 წლისთავის ბაშო



ჯერ პირველი მსოფლიო ომით, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომით მიყენებულ მძიმე კრილობებს იშუშებდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა, როცა პოეზიაში პირველად გაისმა ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) მებრძოლი პოეტური ხმა.

პირველი, ადრინდელი პერიოდი პოეტის შემოქმედებისა ხასიათდება ბრძოლის პათოსით, განყენებული რევოლუციური აღტყინებით, კოსმიური ლტოლვით. ამ პერიოდში შექმნილი ლექსებით ალიო მირცხულავამ გამოხატა თავისი მძაფრი სურვილი წინსვლისა, ახლის ძიებისა, მომავლის გარიყრავებისკენ მისწრაფებისა. ელვის რაშებზე მხედრად აღმართულ პოეტს ხელთ უპყრია ლექსებით სავსე პოეზიის გლობუსი. იგი მიმართავს მზეს, მთვარეს, ციურ მნათობებს მოწოდებით — მოუსმინონ მას და პოეტი მოუთხრობს „თუ რა ხდება მიწის გარშემო“. პოეტის გული ვერ იფარგლება დედამიწით, მიწის გარდა იგი „სხვა თვალებს იტევს“, ბევრი რამ სურს, ბევრ რამეს ეძებს და განუზრახავს ქარიშხლის ფრთებით მზესთან ერთად დედამიწას ირგვლივ შემოუქროლოს. მიუხედავად ასეთი აბსტრაქციისა, ზოგადდღანეტარული განწყობილებისა, ალიო მირცხულავას ადრინდელი პერიოდის შემოქმედება ნიშნული და საგულისხმოა იმით, რომ ცხოვრების განაზღვრულმა აზვირთებამ პოეტის სიტყვას ახალი სიმხნე და სიღრმე შესძინა, მისი სიმღერა აღგზნებული გულივით აძგერდა, სული მძლავრად ატოკდა

ბნელეთთან შესარკინებლად, ქვეყნად ბედნიერების განთიადის დასამყარებლად. პოეტი აღტაცებულია ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნით, ახალი გზებისა და ჰორიზონტების გადაშლით, ახალი მიზნების, ფიქრებისა და სურვილების აღმობრწყინებით.

ალიო მირცხულავას ზემოაღნიშნული პერიოდის შემოქმედების მთავარი თემა არის ბრძოლა, მუდმივი მოქმედება, დაუცხრომელი აბობოქრება. იგი ებრძვის მათ, ვისაც ჰგონია, რომ ცხოვრება არის „ბაიდა მშვიდობიანი“. მისი ღრმა რწმენით შეუძლებელია გამარჯვებათა მოპოვება მუდმივი ბრძოლის გარეშე. შუბლზე აღბეჭდილი ღარებიც ბრძოლის შედეგად გავლებული ნაპრალებია. პოეტს ცხოვრება ტაიგად აქვს წარმოდგენილი, ხოლო საკუთარი თავი — გაშმაგებულ ვეფხვად, რომლის სხეულის თითოეული ძარღვი სისხლით მღელვარებს, იგი მზად არის ბრძოლას ბოლომდე შეაბერდეს, ბრძოლას შესწიროს სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ხოლო ამ ბრძოლას რა უნდა მოჰყვეს შედეგად?

გავლენ დრონი და... მზის კარნავალი
ივლის მხურვალე სხივთა ელარებით,
გადიგრიალებს წელი მრავალი
ახალ სიცოცხლით და სიხარულით.

პოეტი მზად არის თავი გასწიროს უკეთესი მომავლისათვის, ხალხის ბედნიერი ცხოვრების შექმნისათვის. იგი მზად არის, როგორც ხალხის შვილი და მოქალაქე, დაეცეს ბრძოლის ველზე და

ნუგეშობს იმით, რომ „დარჩება ლექსი, როგორც შერანი, ბრძოლის ველიდან გამოქცეული“. დარჩება ლექსი, ვინაიდან კემშარიტი პოეზია უკვდავია, იგი მარადისობას ეკუთვნის, მას დრო და განსაცდელი ჯავარს ვერ შეუბღალავს. დარჩება ლექსი, ვინაიდან მასში დღეობდა არის ჩარკინული ადამიანის სულის ლელვა, მისი გული, წრფელი სიმღერა და ღალადისი. დარჩება ლექსი, კემშარიტი პოეზიის ნიმუში, ვინაიდან მასში ხალხის რწმენა და აზრია ჩაქსოვილი, ვინაიდან მასში ადამიანთა მისწრაფებებს და გულისთქმათ ღრმად გაუდგამთ ფესვები როგორც საერო საგალობელს:

განდებდა ერთი მეოცნებე
ვარსკვლავთმორიციველი,
წყვილი ღამეში
ცის კოგრიტით შეაჩერდება.
თვალს გარინდებით ცის გუმბათზე
შეშატარებს,
ამოიკითხავს
ვარსკვლავებით ნაწერ სტრიქონებს, —
ხალხში სიმღერად გატყეულხელ
ხმას შეადარებს
და ქართლის ცოცხალ წინაპრებში
მეც მომიგონებს.

ამრიგად, პოეტს ღრმად სწამს, რომ პოეზიის უკვდავ სტრიქონებს ხალხი მღერის, ვარსკვლავებით ნაწერ სტრიქონებს თავის ხმას უერთებს, სათუთად ინახავს მათ და თაობიდან თაობას მოკრძალებით გადასცემს. ამიტომ ვარსკვლავთმორიციველი

გახსნის ფოლიანტს,
სიტყვის კლავის შესძრავს კანკალით,
დროთა ბრუნვისგან ხმაშელახელ
სტრიქონს შორჩენს, —
და შიგ,
ვით ოქროს საუნჯეში — ძვირფას
მარგალიტს,
ადამიანთა მისწრაფების
აზრს აღმოაჩენს.

აქედან ნათლად სჩანს პოეტის აქტიური დამოკიდებულება ხალხის საარსე-

ბო, სასიცოცხლო ინტერესებისადმი. აქედან ნათლად სჩანს კემშარიტის მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან. ეს სჩანს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეაფიოდ ვგრძნობთ აბსტრაქციას, როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, სტრიქონებს, რომლებიც დაკავშირებული არიან პოეტის შემოქმედების ადრინდელ პერიოდთან. მართალია, უკანასკნელი სტრიქონები მოყვანილია იმ ლექსიდან, რომელიც აეტორმა დიდი სამამულო ომის დროს, ცხრაას ორმოცდაოთხში დასწერა, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი ეხმარებიან ცხრაას ოცდაშვიდში დაწერილი ლექსის („ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“) განწყობილებას, ეხმარებიან და მასთან ორგანულად არიან დაკავშირებული.

ალიო მირცხულავას პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა ნათელი, გამჭვირვალე პოეტური აზროვნება. მაგრამ ეს თვისება პოეტის შემოქმედებას თავიდანვე როდი ახასიათებდა. პირველ ხანებში მისი ლექსი დამძიმებული იყო ბუნდოვანი პოეტური სახეებით, განყენებული, განზრახ გართულებული მხატვრული ხერხებით. ამის ნიმუშად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ადგილი ლექსიდან „აეტობორტრეტი“, რომელიც ცხრაას ოცდასამ წელს არის დაწერილი:

გავსებულია ეს გლობუსი
ლექსების ბოშით,
ფიჭრი — შხის ღტოლვა
სურვილების ლანდებს გადაყვავა, —
გათუნებამდე მე რაც მოქვემს,
რასაც ვამბობდი,
ცას აწერია ვარსკვლავებდად
მთების ვადღაშა.

პოეტის შემოქმედების ამ მხარისადმი ჩვენ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ნათელი გახდეს — რაოდენ რთული და საინტერესო იყო ის გზა, რომელიც განვლო ალიო მირცხულავამ, ვიდრე იგი ჩამოყალიბდებოდა ისეთ მხატვრად, როგორიც დღეს არის. ალიო მირცხულავას პოეტური ხერხები და



საშუალებანი თანდათან იხვეწებოდა, მარტივი და წარმომსახველი ხდებოდა. სწორედ ამის შედეგია ის გარემოება, რომ იგი ამჟამად სხარტი, ენერგიული სტილის შემოქმედია. იგი, უახლოესი მონაწილე ქართული საბჭოთა პოეზიის ფორმირების საქმეში, საყოველთაოდ აღიარებული, ხალხის ფართო მასები-სათვის უაღრესად საყვარელი და ახლო-ბელი პოეტი გახდა. მას აქვს საკუთარი, მკაფიოდ გამოკვეთილი პოეტური ხმა. მისი შემოქმედება აღბეჭდილია ღრმა პოეტური ინდივიდუალობით.

ალიო მირცხულავას ყოველი ლექსი მკითხველს აღელვებს, აღვიძებს მისში ახალ აზრს, იწვევს ჯანსაღ ემოციებს, ამღიძრებს მის სულიერ სამყაროს. ამ სასიხარულო მოვლენის მთავარი მიზე-ზი მდგომარეობს იმაში, რომ პოეტი თავის შემოქმედებას ასაზრდოებს სამ-შობლოს, ხალხის სასიცოცხლო ინტე-რესებით, ცხოვრების სინამდვილის მართალი ასახვით. ამაშია პოეტის ფან-ტაზიის დაუსრეტელი წყარო. განახ-ლებული და აღორძინებული სოცია-ლისტური სამშობლო წარმოადგენს ალიო მირცხულავას პოეტური შთაგო-ნების უმაღლეს მასაზრდოებელ მასა-ლას. პოეტი აღფრთოვანებულია იმით, რომ მშობლიურმა ქვეყანამ შორი გზა მოიტოვა უკან, გზა დუხჭირი ცხოვრე-ბისა, გზა ბრძოლისა, გამირული შემარ-თებისა და ბრწყინვალე გამარჯვებე-ბისა. იგი ალტაცებით მიმართავს სამ-შობლოს:

ჩემო სამშობლო, დღეს შენი ერი
განახლებული ქართლის ერია,
ასე ხშივრად და ბედნიერად
შენ არასოდეს არ გიშფერია.

ვინ არის ამ ბედნიერების შემოქმე-დი? ვინ გამოიხსნა ქვეყანა საუკუნეობ-რივი წყვედიადისაგან? ვინ დაამკვიდრა ამქვეყნად ნანატრი თავისუფლება? მშრომელი კაცობრიობის უკვდავმა ბე-

ლადებმა — ლენინმა და სტალინმა,
რომელთაც

ეროვნული
გმობიროვნება

მტრებს არ დაუთმეს ბედნიერება,
ორგვლად სიბნელე ჩაუქოლიათ,
და ახლაც მთელი ქვეყნიერება
შვებით შეპყრებს ორ დიდ გოლიასს.

ლენინმა და სტალინმა ფრთები შეას-ხეს ხალხთა იმედებს, მზის შუქი დააფ-რქვიეს, გაარღვიეს ჯანდი და ოქტომბ-რის დროშა ამოანათეს. იმ უკუღმართ დროშივე, როცა მრისხანე მტერი მძვინ-ვარებდა და მშრომელ ხალხს წალეკვით ემუქრებოდა, მათ ერთმანეთს მკვიდრი ძმები უწოდეს, დასდეს უკვდავი ფიცი და წინ წაუძღვნენ რევოლუციის არწი-ვებს. მათ სამარადისოდ დაიმკვიდრეს დიდება და საყვარელი ხალხის გულში, უკვდავებად აღმართა საუკუნეებში მა-თი წმინდა სახელები მთელმა პროგრე-სულმა კაცობრიობამ, და ამჟამად

ყველგან მზესავით შუქის მფენია
უკვდავ იმედად ხალხთან მისული
ორი მებრძოლი, ორი გენია,
ორი ბელადი მად შეფიცული.

ალიო მირცხულავას ლექსების უდი-დესი ნაწილი სასიძლერო რიტმზეა აგე-ბული. პოეტი მოხერხებულად იყენებს ლირიკული პოეზიის ამ ყველაზე უფრო ერთ-ერთ უძველეს ფორმას. ამით კიდევ მეტი ძლიერებით სჩქედს მის შემოქ-მედებაში ხალხურობის ელემენტები, ამით კიდევ მეტად ძლიერდება ლექსის მუსიკალობა, მისი მელოდირობა, ოს-ტატურად შეერთებული ნაწარმოების გამირული მხარე და მისი ხობტითი ხა-სიათი. პოეტის ამ ქანრის ლექსებში მხატვრული სისადავით, დიდი დამაჯე-რებლობითი ძალით არის გამოთქმული არა მარტო მისი პირადი განწყობილება და დამოკიდებულება ადამიანისადმი თუ მოვლენისადმი. მათში გარკვევით ისმის ყველა ნამდვილი საბჭოთა პატრი-ოტის შეხედულება, მისი გრძნობა და სულისკვეთება.

აქ იგი მთელი სისხვით გამოხატავს საბჭოთა ადამიანის ფიქრსა და გრძნობას. მკითხველი გრძნობს, რომ ლექსში ხართული პოეტური მღელვარება — ეს მისივე მღელვარებაა, ეს არის მკითხველისათვის განცდა, მის მიერვე ნაზრევი და შესისხლბორცებული შეხედულება.

ემოციურად ძლიერი ლექსია „დაბადება“. ალიო მირცხულავა მასში აგვიწერს დეკემბრის ღამეს გორში, როცა იბადებოდა ქვეყნის გარიყრაყი. იგი მარტოოდენ აღწერითი ხასიათის ლექსი როდია. ამ ნაწარმოებში ყოფითი სურათების გვერდით გარკვევით იგრძნობა პუბლიცისტური პათოსის შძლავრი ნაკადი. თოვლით დაფარული მიდამოს ფონზე, თოვლით შებურვილი ძველი ქოხის, მშობიარე ქალის მძიმე ურვა-წუხილის, ვაჟის დაბადების მახარობლად გასროლილი თოფის ხმის ფონზე პოეტი ხატავს ჩაგრული მსოფლიოს სიმბოლოს — ყვავ-ყორნებით გარემოცულ კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს, რომელიც უნდა გამოიხსნას გორის პატარა ქოხში დაბადებულმა გმირთა-გმირმა. ქვეყანას მან უნდა მოაშოროს ტანჯვა-წამება. ბელადის დაბადებით გამოწვეულ ხალხის სიხარულს ბუნების ზეიმიც უერთდება:

არის ღზინი მხიარული
მტკერის, ღიბვის ტამისყერაში,
ქქუხს მრისხანე მომავალი
ამომავალ ხალხის ზნაში:
რომ ოჯახის მახარობლად
შეეძინა დედას ვაჟი,
რომ პატარა გორის ბერქვეშ
დაიბადა გარიყრაყი.

ნაწარმოებთა ამ რკალში შედის ალიო მირცხულავას ბევრი საუკეთესო ლექსი. პოლიტიკური სიმბავილით, სოციალური და პუბლიცისტური პათოსით არიან აღბეჭდილი პოეტის ისეთი საყურადღებო ლექსები, როგორიცაა „კეცხოვე-

ლი“, „საქართველო — მრძენის დედა“, „გორი“, „გემი „იოსებ სტალინი“ და სხვა მრავალი. ზოგ მათგანში მხატვრული ძალით არის ასახული დიდი სტალინის თანამებრძოლის, მგზნებარე რევოლუციონერის ღადო კეცხოველის ვერაგულად მოკვლა მეფის ჯალათების მიერ, ზოგში კიდევ პოეტი ღირიკული სითბოთი ხატავს ჩვენს თავისუფალ და ბედნიერ სამშობლოში სიცოცხლის, შრომის, სიყვარულის ზეიმს, გორისადმი — ხალხთა სასიხარულო ცხოვრების ამ ჩაუქრობელი მშობლიური კერისადმი უსაზღვრო ტრფივას, ლენინის სახელობის ვოლგა-ღონის არხში გემ „იოსებ სტალინის“ ამავად გასვლას. ამ ფაქტს იგი სიმბოლურად უკავშირებს სოციალისტური სამშობლოს თექვსმეტი გემის ძლევამოსილ სვლას კომუნისმისაკენ.

ერთადერთი ძალა, რომელიც ხელმძღვანელობს მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს, მონობის უღლისაგან მშრომელთა დახსნისათვის, მათთვის ადამიანური, თავისუფალი, სასიხარულო ცხოვრების შესაქმნელად, არის საბჭოთა ქვეყანა, შექმნილი უკვდავი ბელადების — ლენინისა და სტალინის მიერ. ამიტომ არის დაკავშირებული მათ ძვირფას სახელებთან ყველაფერი, რაც კი ჩვენი წინსვლის, ზრდისა და ძლიერების გამოშხატელობა. დიდი სტალინის დაბადებიდან სამოცდაათი წლის შესრულების დღეს პოეტი იგონებს იმ წუთებს, როცა მას ბედნიერება ხვდა წილად — კრემლში ენახა ბელადი. დაუფიწყარი და ყველაზე უფრო დიდ-მნიშვნელოვანია ეს მოვლენა პოეტის ცხოვრებაში. ეს მღელვარე განცდა გამოხატა მან თავის ლექსში „რა დამავიწყებს...“ ეს მოხდა ცხრაას ოცდათექვსმეტ წელს, როცა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია მიღებულ იქნა კრემლში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან თხუთ-

მეტი წლისთავთან დაკავშირებით. დელეგაციამ მოუთხრო პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებს იმ ისტორიულ წარმატებებზე, რასაც მიღწეა ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების დროს. დელეგაციის ნაამბობში ნათლად ჩანდა ხალხის შრომითი გმირობა და შემოქმედებითი პათოსი, რითაც შესაძლებელი გახდა ამ უდიდესი გამარჯვების მოპოვება. ბელადს სიხარულს ჰგვრიდა ხალხის ეს საარაკო გმირობა, მის მიერ თავგანწირული დაცვა რევოლუციის დიდი ნაამბოვარისა, აგონდებოდა საქართველო „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვანი“, სადაც თვით იშვა, სადაც გაატარა ბავშვობის წლები და აღტაცებული ამბობდა: „ჰაი, ბარაქა მაგ თქვენს მარჯვენას!“

ლექსის აღწერითს ფორმაში პოეტს შეაქვს უაღრესად ლირიკული მომენტი, რაც გამოხატულია ძლიერი ემოციის შემცველი ასეთი ტაეპით:

მოსწყდნენ ჩიტები კრემლის ბაღიდან,
სარკმელს მოასკდნენ ვივილ-ხივილით,
ბელადმა, წამით სარკმელს ვახედა,
მის ღიმილს შეხვდა ჩვენი ღიმილი.

ლექსის ეს სტრიქონები ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებენ მხატვრული უბრალოებით და ნათელი პოეტური წარმომსახველობით. მკითხველი კარგად გრძნობს, როგორ გახდა ბუნება ადამიანთა საზეიმო განწყობილების თანაზიარი. ავტორის მხატვრული ოსტატობა სჩანს აგრეთვე ბელადისა და ხალხის განუყოფლობის, მათი ერთიანობის ხაზგასმასში მოხდენილი პოეტური ხერხის გამოყენებით; ბელადმა შეხვდა სარკმელს, გაიღიმა და მის ღიმილს დარბაზში მყოფმა ხალხმაც შეაგება თავისი ღიმილი, რითაც ერთხელ კიდევ გამოხატა სიყვარული ბელადისადმი, სრული თანხმობა და ერთიანობა ბელადის ფიქრთან, გრძნობასთან, სულისკვეთებასთან.

მხატვრული ოსტატობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე ალიო მირცხულავას ლექსის *„სადაც ვმყოფილვართ“* შემდეგი სტრიქონები:

მოხრილან მთვარის ბაიარლები
და მოგვებივით ძირს დამხობილან.

აქ მოცემულია ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვანი და მრავალი ჯურის მტრთა დამარცხების პოეტური სურათი. წარსულში საქართველოს ხშირად კალიასავით შემოსევია ხოლმე გარეშე მტრების ურდოები. მაგრამ ჩვენი ხალხის გმირული სული არასოდეს არ გატეხილა იმ უთანასწორო ბრძოლებში. მუდამ იმარჯვებდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი და თავდამსხმელ აგრესორს შესაფერ პასუხს აძლევდა. ლექსის ეს ორიოდე სტრიქონი მხატვრულად ასახავს მტრის დამარცხების სურათს, რომელზედაც ნაჩვენებია ძირს დაშვებული ნახევარმთვარიანი დროშები და მიწაზე დამხობილი მტრის ჯარისკაცები. ისინი უკვე მეომრებს აღარ ჰგვანან, არამედ თითქოს ლოცვად მუხლმოდრეკილ მოგვებად ქცეულან მტვერში გართხმულნი.

ძლიერი პოეტური სახეებია აგრეთვე ალიო მირცხულავას ისეთი სტრიქონები, როგორიცაა: „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს — ტყვიით საესე ყუმბარა“ („დამკვრელი ბრიგადები“); „მთვარე, ქარავანს ჩამორჩენილ ბედუინივით, ცის უდაბნოში მოქანცული მიემგზავრება“, ან კიდევ: „წყლიდან ვარსკვლავნი თევზებივით იხედებიან“ („ზღვა“); „მეტეხის ციხე თვალბდათხრილი ნისლის კუპრში დგას, როგორც წამება“, „და სისხლიანი ვარსკვლავის მსგავსად კვამლის წყვილიადში ერთოჭრილობა“ („კეცხოველი“); „შენს ბრძენ აახეზე, ვით ცისარტყელა, ქვეყნის ღი-

მილი გამოსახულა“ („გამარჯვების მთავარსარდალი“).

შედარება, როგორც ერთ-ერთი დიდ-მნიშვნელოვანი პოეტური ხერხი, აქ გამოირჩევა თავისი ხატოვანებით და სილამაზით. ასე, მაგალითად, მთვარეს პოეტი აღარებს მოქანცულ ბედუნის, რომელიც ჭარავანს ჩამორჩენია და უდაბნოში ძლივსა მილასლასებს. ცაკი შედარებულია უდაბნოსთან, რაც სავსებით გამოხატავს ცის, როგორც თვალუწვდენობას, ისე მის უკაცრელობას და გაშლილ ერთფეროვნებას. მეტეხის ციხეს, რომელიც ცარიზმის დროს თავისუფლებისათვის მებრძოლთა საპრობილეს წარმოადგენდა, პოეტი აღარებს თვით წამებას, რომლისთვისაც თვალები დაუთხრიათ და ნისლის კუბრში ჩაუყენებიათ. ხოლო ლადო კეცხოველისათვის მეფის ჯალათის ტყვიით მიყენებული სასიკვდილო ჭრილობა შედარებულია სისხლიან ვარსკვლავთან, რომელსაც გარს თოფისწამლის კვამლის ამაზრზენი წყვდიადი შემობურვია.

ალიო მირცხულავას პოეტური ოსტატობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ღრმა ლირიზმი. უმეტეს შემთხვევებში მისი ლირიზმის დამახასიათებელია პუბლიცისტური სიმახვილე, სოციალური პათოსი, რომლითაც მხატვრული წარმოსახვის სიმართლე და დამაჯერებლობა განზოგადოების დიდ ძალას იძენს. ამით ნაწარმოების შემეცნებითი და ემოციური შემოქმედება მაღალ დონეს აღწევს. ლექსი „დამკერელი ბრიგადები“ პოეტმა შექმნა იმ დროს, როცა ახლად იყო ჩასახული დამკერელთა მოძრაობა, როცა სოციალისტური შეჯიბრების ტალღა ღონივრად ააზვირთეს თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის ენთუზიასტებმა. წარმოების ფრონტზე საფუძველი ჩაეყარა მანამდე ისტორიაში არნახულ ტემპს. ყველაფერი წარმართა იქითკენ, რომ საბჭოთა ქვეყანა თამამად გამოსულიყო ინდუს-

ტრიალიზაციის ფართო გზაზე დამასწინ გაესწრო კაპიტალისტური სამყაროსათვის. შეიქმნა დამკერელი ბრიგადები, ამობოქრდა გმირული შრომა, მანქანა მხარში ამოუდგა სოციალიზმის მშენებელ ადამიანს და შეერთებული ძალით გააჩაღეს ბრძოლა გარღვევების წინააღმდეგ სოციალისტური ინდუსტრიის ასაყვავებლად. ამ საყოველთაოსახალხო მოძრაობისადმი თავისი დამოკიდებულება ალიო მირცხულავამ მხატვრულად გამოხატა ლექსში „დამკერელი ბრიგადები“. პოეტს თავისი შრომაც დამკერელურ შრომად მიაჩნია. მას ღრმად სწამს, რომ საბჭოთა პოეზიაც ჰქმნის ინდუსტრიას, ვინაიდან „ფიქრთა გვირაბი არის მადარო, ლექსი-ფოლადის ნაწარმოები“. საბჭოთა მწერლის შემოქმედების თითოეული სტრიქონი პოეტს მიაჩნია იარაღად, რომლითაც იჭედება ბოლშევიკური განწყობილება. იგი მთელი მგზნებარებით აცხადებს:

ჰქმნიან საბჭოთა ინდუსტრიალიზმს
ჩვენი ლექსები და პოემები.

ამ ლექსის რიტმი მონოლიტურია. აქ იგრძნობა დინამიურობა, პოეტური მეტყველების სრული შეხამება გამოსახატავ მოვლენასთან. ლექსის ბგერითი ნაკადი სტოვებს საოცარი სისწრაფით მომუშავე მანქანისაგან შექმნილი გრილის შთაბეჭდილებას:

მა, გრაგანებენ კვლავ მანქანები,
ყალზე დგებიან, გრიგალებიან,
ტემპს რომ ხედეზიან მძლავრ გაქანებით, —
კომკავშირული ბრიგადებია...

ან კიდევ:

მამ იგრგანეთ კვლავ, მანქანებო,
გრიგალოვით რომ დაზგებს დახმართ,
დასცხეთ, დაკართო, აზნანებო,
დასცხეთ, დაკართო, დასცხეთ, დაკართო!

ალიო მირცხულავას აღნიშნული ლექსი შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკური ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად, იგი შრომის მუსიკის პრინციპზეა აგებული და ჰქმნის მხნე, ხალი-



სიან, საბრძოლო განწყობილებას. ეს განწყობილება იმითაც ძლიერდება, რომ აქ ვერ ნახავთ ინტიმს, სითბოს, ეგრეთწოდებულ ლირიკულ სინაზეს.

სამაგიეროდ ეს თვისებები უხვად ახასიათებს ალიო მირცხულავას სხვა ლექსს, რომლის სათაურია „მეგობრები“. შეიცვალა ნაწარმოების თემა და მასთან ერთად შეიცვალა ლირიკის ხასიათიც. ამ ლექსში დახატულია ის დიდი განცდა, რაც გამოიწვია თბილისის დებოს მემანქანის მ. ტიტვინიძის მიერ დიდი სტალინისაგან წერილის მიღებამ. მ. ტიტვინიძე სტალინის სკოლის ამხანაგია. თვითმპყრობელობის დროს, როცა ი. სტალინი არალეგალურად მუშაობდა, მ. ტიტვინიძემ იგი თავის ორთქლმავალში დამალა და ისე გაიყვანა ბაქოდან. ამით მან დიდი სტალინი იხსნა მეფის ჯალათებისაგან. და აი, ორმოცი წლის შემდეგ, ცხრაას ორმოცი წლის 31 დეკემბერს, ახალწლის ღამეს მ. ტიტვინიძემ სტალინისაგან მიიღო წერილი და ამანათი. ეს იყო ყველაზე ადამიანური გრძნობის — მეგობრობის უბრწყინველესი გამოხატულება.

პოეტმა ეს საინტერესო ამბავი ალიო თავისი ლექსის თემად. მან შექმნა ლირიკული განწყობილების, გულთბილი განცდით აღსავსე ნაწარმოები, რომელიც გვიამბობს, რომ „სადღაც, უბრალო მუშის მარჯვენამ დაიხსნა ხალხის თავისუფლება.“

ამ ლირიკული ლექსის ექსპოზიციური ნაწილი აკვიწრს ზამთრის ღამეს, ვარსკვლავებით მოქედილ ცას, რომელიც თავისი ლურჯი თვალებით გაოცებული დაჰყურებს ქალაქს. ბელადი კრემლშია. ახალი წელი უნდა გათენდეს. მას მოაგონდა შორი წარსული, „დრო სიღარიბით შემოპარკვეული და მაინც ტკბილად მოსაგონარი“. ბელადს გაახსენდა თავისი ბავშვობის წლები:

რა კარგი იყო ეს თამაშობა,
ეს გიჟმაური ელურტული წელის
კვლევა გაუღიმა თავის ბავშვობის
თავზე აღურსით გადუსვა ხელი.

გაისმა ორთქლმავლის ხმა. ამ ხმამ ბელადის მეხსიერებაში გააცოცხლა ერთი მომენტი შორეული წარსულიდან. მოაგონდა ბაქოს სადგური, მეგობარი მემანქანე, რომელმაც „გვერდით მოისვია ყრმა გადაცმული და გამოსტაცა მეფის ჯალათებს“. აქ უკვე გაისკვნა ნაწარმოების კვანძი. ბელადი მიუჯდა მაგიდას და შეუდგა ბარათის წერას რკინიგზელ მემანქანე მ. ტიტვინიძისათვის გამოსაგზავნად. მოქმედება ვითარდება: თბილისში, თავის ოჯახში, ახალწელს ხედება მ. ტიტვინიძე. სუფრა გაუშლიათ. მასპინძელი ხელში ჭიქას იღებს და ადღეგრძელებს ბელადს, „ვინც გაზაფხული ხალხებს ახარა“. ამ დროს ისმის კარის კაკუნი. ფოსტალიონს მოაქვს წერილი და ამანათი. დგება კულმინაციური მომენტი. გახსნიან წერილს და კითხულობენ ბელადის ძვირფას სტრიქონებს, სადაც გახსენებული იყვნენ სიყრმის სხვა ტოლებიც. გაიხსნა ნაწარმოების კვანძი: ბელადის სიყრმის ტოლები აღტაცებით ეხვეოდნენ ერთმანეთს, „ბელადს ლოცავენ ხმათრთოლებით, სვამენ და ძირში კოცნიან ჭიქებს“.

ლირიკულ პოეტურ სახეს წარმოადგენს ვერხვი ალიო მირცხულავას ამავე სახელწოდების ლექსში. მცენარე აქ გვევლინება, როგორც ცოცხალი, გრძნობიარე არსება. იგი ისე აზროვნებს, მსჯელობს და განიცდის, თითქოს ადამიანი იყოს. ლექსში პოეტს უხვად აქვს გამოყენებული მეტაფორის ელემენტები. პიროვნების ხარისხში აყვანილ ვერხვს ხშირად გაუწოდებია ხელი ხრამში ფეხდასხლეთილი ადამიანისათვის. მისი ფოთლების დაცვივნა სიტყვების წარმოთქმვა. ვერხვს ატოტვილი მხრები მტრედების გუნდის დასაფრენად აქვს გაშლილი, ამიტომ ამბობს

ვერხვი, რომ მტრედები „მხრებზე და-
მაფრინდებიან, ტკბილად აღუღუნდე-
ბიანო“. ვერხვი უქმად არც სამამულო
ომის დროს მდგარა. მშობლიურ მიწაში
ფესვგადგმულ მცენარეს, როგორც მა-
მულის ერთგულ გუშაგს, მტრის ტყვი-
ით მიუღია კრილობა. ხალხთან ერთად
იგიც იღვა სამშობლოს თავისუფლებისა
და დამოუკიდებლობის მტკიცე დამცვე-
ლად; ვერხვის ეს განცდა ასე გამოხატა
პოეტმა:

მეც ვშფოთავდი!
საგულში
ცეცხლის ალი ფრიალებდა,
წკრიალებდა ველის კარი,
თუ ცისკარი კრიალებდა,—
მეც ვშფოთავდი,
და ფიქრებში
ტვერი მწარედ შრიალებდა,
ხრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ,
ტანში გამაფრიალებდა.

დამთავრდა ომი. შეწყდა სისხლის-
ღვრა. დაპრილ ვერხვსაც შეუხორცდა
ნატყვიარი. ახლა კი მზად არის —
მშვიდობის საქმეს ემსახუროს და თეთ-
რი მტრედების გუნდს საკუთარი მხრე-
ბი მისცეს დასაფრენად. ლექსის თითო-
ეული მომენტი სუბიექტური ემოციური
ფერადებით არის შესრულებული. ეს
ნაწარმოები თავისი საზოგადოებრივ-შე-
მეცნებითი მნიშვნელობით ხალხურო-
ბის შემცველია, რის გამოც მხატვ-
რულობის უმაღლეს ფორმას განეკუთ-
ვნება. მაგრამ პოეტი ყოველთვის როდი
აღწევს მხატვრული შემოქმედების ამ
ღონემდე. ალიო მირცხულავას შემოქ-
მედებაში ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე
ისეთი ნაწარმოები, სადაც პოეტური
მღელვარება შეცვლილია მშრალი აღ-
წერით, განყენებული მსჯელობით, რი-
ტორიკით. მაშინ მკითხველი გრძნობს,
რომ პოეტს ლალატობს. შთაგონება და
შემოქმედებითი ტემპერამენტი. ასეთ
შემთხვევებში ნაწარმოებს უკვე აღარ
გაანნია შინაგანი ენერჯია. მხატვრულ
ღირსებებს მოკლებულია, მაგალითად,

ლექსი „ფერმის ეზოში“. აღწიშნულ
ნაწარმოებს ახასიათებს პრუფანდში... იგი
შექმნილია აღწერილობით და მხატვრულად
ნათქვამის საილუსტრაციო მაგალითიც:

ჭიშკარს გასცქერვ
ნაგაზები დაგეშილები,
ნახოს იცავენ,
ცეცხლის თვალებს აგიზგივებენ,
ხზობს ტუქსავენ ყმაწვილები,—
ძლივს აჩერებენ,
ელერენ კასრები,
ივსებიან რძის ჩანჩქერებით...

აღამიანებზე აქ მხოლოდ ის არის
ნათქვამი, რომ „ყოველქტივის ქალიშვი-
ლები ცურებს სწურავენ გატაცებით
და კისკისებენ“.

ზოგჯერ ალიო მირცხულავას სტრი-
ქონებში ემოციურად ძლიერი, ცოცხა-
ლი მებრუნება შეცვლილია უფერუ-
ლი სიტყვით, მშრალი, უსახოვნო მსჯე-
ლობით. ასე, მაგალითად, ლექსში „ახა-
ლი წელი“ აღწერილია შვილიშვილის
გაბაასება ბაბუასთან. მართალია, ლექსა
არ არის გრძელი, გაკვიანურებული,
მაგრამ მასში არც ერთი მხატვრული
ფრაზა, არც ერთი პოეტური სახე არ
მოიპოვება. პოეტს მუდამ უნდა ახსოვ-
დეს, რომ აბსტრაქცია, მშრალი დიდაქ-
ტიკა და პირდაპირი მსჯელობა ქვეშა-
რიტ პოეზიასთან შეუთავსებელია. ბე-
ლინსკის შესანიშნავი განმარტებით,
გრძნობა, რა თქმა უნდა, აზრისაგან
წარმოიშობა. მაგრამ პოეზიაში რა ფუნ-
ქცია უნდა შეასრულოს აზრმა, გონე-
ბამ? მან არავითარ შემთხვევაში არ
უნდა დაჩრდილოს ემოცია. პირიქით,
არ უნდა დაეფიქსიროს, რომ მხოლოდ
ღრმად ნაგრძნობი და განცდილი შეიძ-
ლება იქნეს ღრმა აზრის გამომხატველი
პოეტურ ნაწარმოებში და მხოლოდ პო-
ეტის მიერ ღრმად ნააზრევი შეიძლება
გახდეს წარმომქმნელი ღრმა პოეტური
გრძნობებისა და ემოციებისა.

ნათქვამის საუკეთესო ილუსტრაციას
წარმოადგენს თვით ალიო მირცხულა-

ვას შესანიშნავი ლექსი „ძველი მახარა“. აქ მაღალი და ნათელი აზრის მიერ წარმოშობილია მაღალი და ნათელი განცდა. მახარა, რომელსაც ბელადთან ერთად გამოუვლია მკაცრი და ხანგრძლივი ბრძოლები, მოქანცული მეომარობით ისვენებს, „ომგადახდილ ჯარისკაცვით დაბრუნებულა და ისვენებს კრემლის ბინაში“. სად არ ყოფილა ეს მახარა, რა გასაჭირი არ გადაჰხედია თავს სამოქალაქო ომის დროს, როცა ბრძოლების ქარიშხალი მძვინვარებდა და მიწა ირყეოდა. ეს მახარაც მღვარა მტრის ურდოების პირისპირ, მასაც დაუცავს რევოლუციის მონაპოვარი, მას დიდი ლენინის თბილი ხელიც შეჰხებია. ახლა კი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ჯარისკაცის უფლებით მშვიდად ისვენებს:

თითქოს იგრუნებს ბრძოლის წარსულს,
საზარელ ომებს,
მაგრამ ეს ომი არ უნახავს
უფრო საზარი,—
შვიმშუშნება,
როცა გვერდით ჩაუვლის ზოდამ
ფოლადის კაცი,
შემოსილი მარშლის მახარით!

ამ ლექსში ნამდვილად იგრძნობა პოეტური მღვდვარებაც, მებრძოლი პუბლიცისტური პათოსიც, დიდი მოქალაქეობრივი ინტონაციაც და ღრმა ლირიზმიც. ერთი კონკრეტული საგნის მხატვრული ჩვენებით აქ გადმოცემულია მოვლენათა ფართო რკალი. აბსტრაქციისა და დიდაქტიკის ნასახსაც ვერ იპოვნით მასში. ლექსი შესრულებულია ამაღლებული, რომანტიკული, ზეაღწეული სტილით, მაგრამ ამასთან ერთად პოეტი განგვაცდევინებს გულითად ლირიზმს, გულწრფელ სიტბოს. ალიო მირცხულავა ასეთ გამარჯვებას აღწევს როგორც პოლიტიკურ და სოციალურ, ისე სატრფიალო მოტივებზე აგებულ ნაწარმოებებში მაშინ, როცა მას არ ლალატობს მხატვრული ალლო და პოეტური გზნება.

დიდი სამამულო ომის თემატიკას უაღრესად თვალსაჩინო ადგილზე უჭირავს ალიო მირცხულავას შემოქმედებაში. თავისი პოეზია, თავისი ჩანგის ელერა პოეტს ერთი წუთითაც არ გამოუთიშავს საყოველთაო-სახალხო აზვირთებისაგან. თავისი მხატვრული შემოქმედების მთელი არსენალი მან ჩააყენა მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად წარმოებულ მოქალაქეობრივ ბრძოლების სამსახურში. სამშობლოს თავდადებულ დამცველს, მგზნებარე საბჭოთა მეომარ პატრიოტს პოეტი ამხნევებს: „მეც ხელს შეგიწყობ რაც შემიძლია,— ლექსების ნალმით მოგეშველებიო“.

ალიო მირცხულავას ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ სამშობლოს მრისხანე განსაცდელის ეამს პოეზია უნდა იქცეს ვერაგი მტრის გამგმირავ მახვილად, მისი ძალა უნდა გაუტოლდეს ხიშტის ძალას, პოეტის მკლავიც ჯარისკაცის მკლავის თანაბრად უნდა სქედდეს გამარჯვებას. პოეტის თითოეული სიტყვა უნდა ამხნევებდეს სამშობლოს გმირ დამცველებს, მისი თითოეული სიტყვის წინაშე უნდა ძრწოდნენ მტრის ურდოები:

მინდა ხიშტს ჰკავდეს ამ დროს კალამი,
მეგრდში მახვილად ხედვოდეს ჯალათს,
მინდა მგზნებარე ჩემი სიტყვებიც
მტრის ბანაკებში სკდებოდეს ალად...

პოეტს სხვა საზრუნავი არ გააჩნია, თუ არა სამშობლოს დაცვის წმინდა სურვილი. მისი ერთადერთი საზრუნავია — იდგეს მტერთან გამირულად დაჯახებულ თანამემამულეთა გვერდით, მასაც სურს მერანს მოახტეს გრიგალივით და სიმხნე შეჰმატოს სამშობლოს დამცველ არწივებს, ვინაიდან, „თუ არა მამულს, ვის შეეწიროს ჩემი ჯანი და სიმღერის ძალაო?“ — ამბობს პოეტი. მისი ერთადერთი სანატრელი ოცნებაა:

მხოლოდ ცოცხლობდეს ჩემი სამშობლო,
მისი ლამაზი შთები და ჰალა,
მედამ ჰკვაოდეს დროსა წითელი

ხალხთა ძმობის და სიმატლის აღად,
თუ არა მამულს, ვის ენაცვალოს
ჩემი ჯანი და სიმღერის ძალა?

ეს ორი უკანასკნელი სტრიქონი რეფრენად გასდევს ნაწარმოებს. მათშია გამოხატული პოეტის მთავარი აზრი და მიზანი. ამ პოეტური ხერხით ავტორი აძლიერებს შთაბეჭდილებას. უფრო მკაფიოდ, რელიეფურად გამოაჟყოფს ნაწარმოების მთავარ იდეას.

შავი ზღვის სანაპიროს გმირ დამცველებს მიმართავს პოეტი და ლექსში „გრიგალი“ ამბობს:

ჩანგს ვარხევ კალმის მახვილთ
და მეც გიმღერი, გიგალობ
შავ ზღვაზე გადასახტომად
ყალზე შემდგარო გრიგალი!

ეს ლექსი ამხნევებს მამაც მეომრებს იმით, რომ მათზე ფიქრობენ და ზრუნავენ დები, დედები. მთელი ზურგი გართულია გმირულ შრომაში, რათა ფრონტი უზრუნველყონ ყველაფრით, რაც კი აუცილებელია გამარჯვების მოსაპოვებლად.

პოეტს ღრმად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა სოციალისტური სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე და უმღერის გმირ ჯარისკაცებს:

დღეს ჩემი ლექსი ყოველი
თქვენს ბრძოლებს აქებს, იგონებს,
სამშობლოს ჯარისკაცი ვარ,
ომისთვის ვრაზმავ სტრიქონებს.

პოეზიის დანიშნულება და მისი ადგილი ცხოვრებაში კარგად აქვს გააზრებული ალიო მირცხულავას. მან იცის, რომ საზოგადოებრივ-ისტორიული პირობებით, კონკრეტული სოციალური ვითარებით განისაზღვრება პოეზიის ხასიათი, მისი პოტენციური შესაძლებლობა და ზემოქმედების ძალა. როცა მშვიდი და მზით გასხვიოსნებული დღეები იდგა, მაშინ ლალად მღეროდ-

ნენ პოეტის ლექსებიც. მათი ხმა ფრინველის საგალობელ ქლუტეტულს ჰგავდა. ისინი გამოხატავდნენ ქვეყნად/გმრელებულ სულიერ სიმშვიდეს, მათთვისაც ჰყვაროდა ირგვლივ ბაღნარი. ხოლო როცა ომის ქარიშხალი დაიჩნდა, ლექსებიც თავს დასტრიალებს ბრძოლის ველს, ხშირად შეხედებიან მამაც მეომრებს, „რომ შთაუბერონ გულში მხნეობა, უთხრან მშობლიურ ქვეყნის ნუგეში“. ხშირად დაიძვრიან ისინი ბრძოლის ველიდან და შინ მოაქვთ სასიხარულო ამბავი დედებისათვის. ეს ლექსები მოუთხრობენ მათ ვაჟაკი მეომრების თავდადებული ბრძოლის შესახებ საყვარელი სამშობლოს გადასარჩენად. მაშინ კი, როცა ომის ხანძარი ჩაპქრება და გაიფანტება წყვედიადის ნისლი, პოეტის აზრით,

ისევ სათნო და სააღერსებო
შოვა ცხოვრება ფრინველთ გუნდებით,
თქვენც დაბრუნდებით, ჩემო ლექსებო,
და საამურად აღუღუნდებით!
(„ჩემი ლექსები“).

მთელმა ჩვენმა დიადმა სამშობლომ სამამულო ომის დროს აუწერელ განსაცდელს გაუძლო. იგი წლების განმავლობაში მარტოდმარტო ებრძოდა ფაშის სამხედრო მანქანას, ებრძოდა, და საარაკოდ უმკლავდებოდა. ბევრმა ქალაქმა და ზღუდემ, ადამიანთა დიდძალმა მასამ ისახელა თავი გმირობით და მტრისგან შეუვალაობით. ამ მიუღგომელ ციხესიმაგრეთა სიმბოლოდ ალიო მირცხულავას წარმოდგენილი ჰყავს ორი ძმადნაფიცი ქალაქი — ლენინგრადი და სტალინგრადი. ავტორის პოეტური წარმოსახვით ლენინის ქალაქს იცავს „ლენინის ჯავშანი მხურვალე, წინ დროშად მიუძღვის უკვდავი აჩრდილი“. ამიტომ არ შედრკა იგი და მტერს არ დანებდა. ჩრდილოეთელი ძმა ამხნევებს უმცროს სამხრეთელ ძმას — სტალინგრადს, სა-

დაც გაიფხვებულა ტყვიების წვიმა და ბრძოლის ქარიშხალი. უმცროსი ძმაც სალი კლდესავეთ აღმართულა და შიშის თავზარს სცემს მტრის ურდოებს, ვინაიდან „სტალინის დროშაა რომ დაჰქრის შეჭივით, ტყვია ვერ განგმირავს, ვერ დასწავს ხანძარი“. ასე იბრძვიან მტრის წინააღმდეგ ქალაქები, რომლებიც ღირსეულად ატარებენ ლენინისა და სტალინის სახელს. მიუხედავად იმისა, რომ ნევიდან ვოლგამდე მთელი მიდამო სისხლით არის მორწყული, მტკიცედ და შეუპოვრად

დგას ორი ქალაქი, ორი ძმანდიცი, ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი.

ამ ქალაქების ზღაპრული გმირობა საბჭოთა ადამიანების მტკიცე ნების განსახიერებას წარმოადგენს. ასეთი გმირობის გამოქვედვა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეს შეუძლია, ვინაიდან ამ სინამდვილეს ადუღებებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მიზნის სიკმაღლე და სიმართლის ზეიმი. ეს აზრი მხატვრული ოსტატობით და დამაჯერებლად გადმოგვცა პოეტმა ზემოაღნიშნულ ლექსში.

კიდევ ბევრი სხვა კარგი ნაწარმოები მიუძღვნა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის თემას ალიო მირცხულავამ. მათ შორის უნდა აღინიშნოს ოთხკარიანი ლექსი „ფიცია“. აქ მხატვრულად არის ნაგრძნობი და გადმოცემული სამამულო ომის სხვადასხვა ეტაპები: მტრის ვერაგული თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე, ფიცით შეკრული თექვსმეტი ძმის დარაზნება მტრის შესამუსრავად, ფიცის დადება ბელადის აკვანთან — გორში,

შეფიციან სტალინს, — ლენინის დროშას,
ერთხმად უმღერონ და უღაღადონ,
რომ ბრძოლის დროსაც, ვით შრომის
დროსაც,
ძებნა ერძმანეთს არ უღალატონ.

ლექსის მესამე კარში ასახულია საბჭოთა ქვეყნის ერთსულოვანი დაძვრა ფაშისტური ურჩხულის გასახადგურებლად, ხოლო უკანასკნელ თავში — აღლუმი მტერზე გამარჯვების გამო. ამ ისტორიულმა გამარჯვებამ კიდევ უფრო გააყვია და ამაღლა ჩვენი სამშობლო. ეს ნაწარმოები მკითხველში განამტკიცებს რწმენას სოციალისტური სახელმწიფოს უძლეველობისადმი, მისი კიდევ უკეთესი მომავლისადმი. ამ რწმენისა და აზრის განმტკიცებას ემსახურება აგრეთვე ალიო მირცხულავას ბევრი სხვა ლექსი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ლექსები სათაურით: „ლენინი“, „მშვიდობა“, „ღალადი საქართველოსი“ და „ნატერა“. ეს რწმენა სოციალისტური სამშობლოს შექნაუჭრობი დიდებისადმი განმტკიცებულია პოეტის შემოქმედებაში იმის გამო, რომ საბჭოთა ქვეყანა მშვიდობას იცავს, ასრულებს რა ხალხთა კეთილ ნებას, ხალხის სულისკეთების შემუსვრა კი არავითარ მუხანათობას არ ძალუძს. საქართველოც იმიტომ დაღუდებს ამ რწმენით აღსავსე სიტყვებით:

ქვეყნიერების ბერჯია
ცრემლის ურყევი კედელი,
შვი ბრძენი შვილი მეგულის,
მშვიდობის გამოქვედელი.
მას, როგორც დროშა მზიერი,
სიმართლე აღუდგენია,
მისი დროშა ლენინი,
დიდი რუსეთის გენია.

ეს არის პოეტური ღალადი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყნის, ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლევა მოსილებასა და უკვდავეზაზე. ზემოხსენებული ლექსების მთავარი მხატვრული ღირსება ის არის, რომ მათში უაღრესად თვალსაჩინოა გამოსახატავ საშუალებათა უბრალოება, პოეტური ხმის მკაფიობა და საღებავების გამჭვირვალე ტონი.

ალიო მირცხულავამ ეპიური პოეზიისა და დრამატურგიის დარგშიაც რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შექმნა. მისი პიესა „განგაში“ თავის დროზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარში. ცხოვრების მწვავე კონფლიქტის საფუძველზე აგებული ნაწარმოებით ავტორმა საინტერესოდ წარმოგვისახა ჩვენში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გარკვეული ეტაპი.

პოემა „მე და ბარათაშვილი“ ალიო მირცხულავამ 1926 წელს გამოაქვეყნა. ავტორმა განიზრახა დაეპირისპირებინა ახალი, საბჭოთა საქართველო ძველ, ფეოდალურ-ბურჟუაზიულ საქართველოსთან. პოემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე უცხო მიმდინარეობათა პოეტებისადმი ავტორის დამოკიდებულებას. ცხადია, ამ გარემოებით არის შეპირობებული ნაწარმოების პოლემიკური ტონი.

რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოემის იმ ადგილებს, სადაც პოეტი ერთგვარ ნიპილისტურ დამოკიდებულებას იჩენს ქართული კლასიკური პოეზიის სიამაყისადმი—ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, ეს ნაწარმოები სავსებით გამართლებულია თავისი პუბლიცისტური ელერით. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ბარათაშვილის შემოქმედების ზოგიერთი მომენტი პოემის ავტორს მცდარად აქვს წარმოდგენილი. გაუბრალოებუღია, მაგალითად, მერნის ცნება, მისი ადგილი და დანიშნულება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში. პოემაში საყვედურია გამოთქმული იმის გამო, რომ ბარათაშვილი მთელი თავისი შემოქმედებით ხალხს გაექცა და ამიტომ დარჩა უდაბნოს მწირად. ხოლო პოეტი იქვე აცხადებს, რომ ბარათაშვილის ყველა ლექსი გვიყვარს,

მათ „ხალხის გული აქვთ თავშესაფარად“. საერთოდ კი ნაწარმოებში ძველი კარგი პოეტური სახეა, რომლებშიც დღესაც უნარჩუნებენ მას თავის მნიშვნელობას და სათანადო ადგილს ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ა. ა. უდანოვმა თავის მოხსენებაში ეურნალების „ზევზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ აღნიშნა: „ჩვენ უნდა გამოვარჩიოთ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო გრძობები და თვისებები, გადავუშალოთ მას მისი ზვალინდელი დღე და ამავე დროს ვაჩვენოთ ჩვენს ადამიანებს, თუ როგორი არ უნდა იყვნენ ისინი, უნდა ვამათრახებდეთ გუშინდელი დღის გადმონაშთებს, გადმონაშთებს, რომლებიც წინსვლას უშლიან საბჭოთა ადამიანებს“.

ეს სიტყვები ნათქვამია სამამულო ომის დამთავრების შემდეგ 1946 წელს, როცა საბჭოთა ქვეყანამ დიდი მანძილი განვლო თავისი წინსვლისა და განვითარების გზაზე. მით უმეტეს მთელი სიმწვავეით იდგა საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ეს ამოცანა, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის—ნეპის გავლენით ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მძლავრად იჩინეს თავი ობიექტულობამ, წარსულის გადანაშთებმა, რაც შემაფერხებელ ბარიერად აღიმართა სოციალისტური ცხოვრების წინაშე. სწორედ მაშინ შექმნა ალიო მირცხულავამ თავისი პოემა „ი, ადამიანი!“ ამ სატირულ ნაწარმოებში პოეტი მთელი ხმით, მკაცრად ამხილა ჯანსაღ საბჭოთა ცხოვრებაში შემოჭრილი უცხო, უარყოფითი ხასიათის მოვლენები.

პოემაში აღწერილია ცხოვრება ისეთი ადამიანისა, რომელიც მთელი არსებით ჩაფლულა ობიექტულობის ზავსიან ჭაობში. ასეთია ის ოჯახშიც, სამსახურშიც და ყველგან, სადაც კი ყოფნა უხდება. იგი ხელქვეითებთან უსამართლოა, სასტიკი და უღმობელი, ხოლო უფროსების წინაშე მელაკულობს,

თვალთმაქცობს, მლიქვნელობს. ერთი სიტყვით, ადამიანს დაუქარგავს სოციალური ფუნქცია. მას არ გააჩნია მორალის ნასახი. იგი ცოლის პირველადი მონად ქცეულა. რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მიღებულ პრილობად ასაღებს იმ ნაიარევს, რომელიც მას სადღაც ქეიფის დროს უზნეო საქციელისათვის მიაყენეს ღვინის ბოთლებით. ეს ვიგინდარა ცდილობს მოატყუოს პარტია, სახელმწიფო, ხალხი.

ნამდვილი, შეგნებული, ადამიანური ცხოვრების პირობები მას აშშორებულ გუბედ უქცევია, სადაც გამეფებულია ფუქსავატობა, პირუტყველი განცხრომა, მცონარეობა და გარყვნილება.

სატირის ბასრი მახვილით იბრძვის პოეტი თავისი ნაწარმოებით ამ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ. პოემას დღემდე არ დაუქარგავს აქტუალობა, ვინაიდან „სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი საბჭოთა სინამდვილე არ იძლევა მასალას სატირისათვის. ჩვენ გვესაჭიროებიან საბჭოთა გოგოლები და შეხედრინები, რომლებიც სატირის ცეცხლით ამოსწავდნენ ცხოვრებაში ყოველივე უარყოფითს, დამპალს, მკედარს, ყოველივე იმას, რაც აფერხებს წინსვლას“ (გ. მ. მაღენკოვი).



შეუძლებელია ხაზგასმით არ აღინიშნოს ის დიდი ცხოველყოფელი გავლენა, რაც მოახდინა ალიო მირცხულავას პოეტურ შემოქმედებაზე სოციალისტური პოეზიის ფუძემდებელმა, ჩვენი ეპოქის უნიჭიერესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. განსაკუთრებით სჩანს ეს გავლენა ალიო მირცხულავას იმ ნაწარმოებებში რომლებიც შექმნილია პუბლიცისტური პათოსით. ამ გავლენით არის აგრეთვე დაწერილი პოეტის სატირული ხასიათის ნაწარმოებნი.

ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებითს ტრადიციებთან აახლოებს და ანათესავებს 6. „მნათობი“ № 6.

ალიო მირცხულავას ისეთი ნაწარმოებნი, როგორცაა „ქაქუცა ხაქაბიაძის სიმბოლო“, „ლენინი“, „ქვედადემიკრატული ში“, „რა დამაიფიქებს“, „რიქმა“, „დამკვრელი ბრიგადები“ და სხვა მრავალი. საინტერესო მასალას იძლევა პარალელისათვის აგრეთვე შედარება ვ. მაიაკოვსკის ლექსისა „არაჩვეულებრივი ამბავი, რომელიც შეემთხვა ზაფხულში აკარაკზე ვლ. მაიაკოვსკის“ ალიო მირცხულავას პოემასთან „მე და ბართაშვილი“.

რაც შეეხება სატირულ პოემას „აი, ადამიანი“, იგი ბოლშევიკური სიმკაცრით და პრინციპულობით გმობს სოციალისტურ ყოფაში შემოჭრილ უცხო მოვლენებს, გმობს ისეთი „საბჭოთა საქმოსანის“ ტიპს, რომელიც

დარაჯს უყვირს, მაგრამ უფროსთან უყვარს მოქცევა თავისებური.
მის წინ თავდახრით ღვას კარებს შუა,
მუდამ მორჩილი, მუდამ კეთილი,
იკავს მაგიდას... და მისი კეჟა
შიგ უჯრაშია გამოკეტლი.

აქ მაიაკოვსკისებური უღმობელობით არის მხილებული და გაკრიტიკებული გადაგვარებული ადამიანი, უცხო გავლენების შედეგად ჩაფლული ობიექტულურ ჭიობში.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ორი პოეტის შემოქმედებითი ურთიერთობა მხოლოდ უბრალო გავლენით ამოიწურება. ალიო მირცხულავა ერთი პირველი იმ ქართველი პოეტთაგანია, რომელმაც აითვისა და შემდგომ განავითარა ვლ. მაიაკოვსკის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართულ საბჭოთა პოეზიაში.



სტალინური ხუთწლიელების პირმშოა ახალი ქალაქი რუსთავი. მეტალურგიის ეს მძლავრი კერა საბჭოთა სამშობლოს სიამაყე, მისი შემდგომი აღორძინებისა

და აყვავების მკაფიო გამოხატულებაა. რუსთავი. არა მარტო ჩვენი სახალხო-სამეურნეო ძლიერების მაჩვენებელია. მასში სჩანს კომუნისმის ნათელი კონტურები, თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ზორცემსხმა, ჩვენი ეპოქის გმირი თაობის სრულიად ახლებური დამოკიდებულება მოვლენებისადმი; მისი აგება განხორციელდა საბჭოთა ადამიანის ოპტიმისტური განწყობილებით, მისი მაღალი მორალური თვისებებით.

ამ გიგანტის მშენებლობის საკითხებს, იქ მომუშავე ადამიანთა სულიერ სამყაროს, მათ მიერ ახლის ღრმად შეგრძნობას, მომძევე ერთა შორის სტალინურ მეგობრობას აგვიწერს პოეტი ალიო მირცხულავა თავის პოემაში „რუსთავი“. ეს პოემა ავტორმა მიუძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდაათი წლისთავს. „ქვეყნის გულის და ძარღვების ძგერა სიცოცხლის ბგერა განუწყვეტელი“ — ასეთი მხატვრული სახით წარმოგვიდგინა პოეტმა სოციალიზმის ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის მშენებება და სიამაყე.

პოემა „რუსთავი“ წარმოადგენს ალიო მირცხულავას მიერ 1934 — 36 წელს შექმნილი პოემა „ენგურის“ შემდგომ განვითარებას. მასში მოქმედებენ „ენგურის“ გმირები ბურღუ შელია და ლია ლენდია. ახლა ისინი რუსთავში მუშაობენ სოციალისტური შრომის სხვა ენთუზიაისტებთან ერთად

რათა. — სიტურფის და სოსუფთავის, შის და სიცოცხლის უკნობ ალაგად, — ახალ ჭაღაჟდ იქვეს რუსთავი, სოციალისტურ შრომის ჭაღაჟად.

პოემის გმირები ნამდვილი სოციალისტური ფორმაციის ადამიანები არიან. მათთვის არ არსებობს აღმოუფხვრელი კონფლიქტი პირადულსა და საზოგადოებრივს შორის. კერძობითსა და სახელმწიფოებრივ ინტერესებს შო-

რის. ისინი ამკლავებენ დიდ კეთილშობილებას, ფართო მსოფლმხედველობას, ჯანსაღ განწყობილებას, სულიერ თვისებებს, რაც დამახასიათებელია ყველა ნამდვილი საბჭოთა ადამიანისათვის. სოციალისტური ქვეყნის მოქალაქის მორალური თვისებები უცხოა პოემის ერთ-ერთი გმირის, ძველი ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლის ვასილ გარიშვილისათვის. მისი ბუნება ზვიადი, ქედმაღლურია. მას თავი ვერ დაუღწევია უცხოეთისადმი მოწიწებითი დამოკიდებულებისათვის. იგი ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ვიღაც ახალგაზრდა სპეციალისტი, მისი ყოფილი მოწაფე, მეტოქეობას უწევს მას, უწუნებს პროექტს და დარწმუნებულია საკუთარი პროექტის უპირატესობაში. ვასილ გარიშვილი დიდხანს ჯიუტობს, თავს ესხმის დევიძის პროექტს, მაგრამ სიმართლე მაინც იმარჯვებს საბოლოოდ. გარიშვილი მარცხდება. მის სულში ხდება გარდატეხა. იგი რწმუნდება თავის მცდარ შეხედულებებში. სხვებთან ერთად მასაც ალაფრთოვანებს სიმართლის ზეიმი, ვინაიდან ჩვენში, საბჭოთა ადამიანებს

სძულთ მეთავისე, მეშურნება,
სურთ მათი ძირი ყველგან აყარონ,
არ იშურებენ ძალას, მხნეობას, —
დიდი სამშობლო რომ გააზრონ.

„რუსთავში“ არის პარალელური სიუჟეტური ხაზი — სატარფიალო „სამკეთხედი“ ლია ლენდიას, ბურღუ შელიას და არჩილ დევიძის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ეს მომენტი ბუნდოვანებისა და ნაძალადეგობის შთაბეჭდილებას სტოვებს საერთოდ, საბჭოთა ადამიანის მორალური თვისებანი აქაც მაღალი, უმწიკლოობის თვალსაზრისით არიან დანახული. არჩილსა და ლიას შორის ჩასახული სიყვარული წმინდაა, უანგარო. მასში არ არის ნასახიცი კი რაიმე სიბილწისა, მხოლოდ ფიზიოლოგიური ლტოლვისა. ეს სპეტა-

კი გრძნობა წარმოიშვა და განმტკიცდა საქმბანი ურთიერთობის ნიადაგზე. ამ ორი საბჭოთა ახალგაზრდის შეგობრობა, დაახლოება ორგანულად არის ჩაქსოვილი მათ საზოგადოებრივ საქმიანობასთან, მათ დამოკიდებულებასთან ხალხის ინტერესებისადმი, ქვეყნის კეთილდღეობისადმი. პოეტი ამბობს:

ჩვენი, საბჭოთა ადამიანებს ერთი საქმე აქვთ, ერთი მიზანი, ერთად სჭედვენ დღეებს მზიანებს, ერთი სურვილის და ნებისანი.

ამ საზოგადოებრივი სტიმულით არის შეზიარებული ჩვენი ეპოქის ადამიანთა სიცოცხლის ყოველი წუთი. ეს არის მათი არსებობის ბურჯი და გამართლება. იმით სუნთქავენ ისინი

და შეზიარებულნი დღეებს მზიანებს, ნეტარ სიცოცხლეს და სიტკბობას, — ამ ახალ გრძნობას ადამიანებს ჭებას უმღერის ჩემი პოემა. —

დაასკვნის ავტორი.

ძირითადადში პოემა „რუსთავი“ დაწერილია კარგი ლიტერატურული ენით. საერთოდ მასში მიწვიდგელი მხატვრული სახეებია, მიზანშეწონილი პოეტური ბერბებით შესრულებული. მაგრამ შეუძლებელია დუმილით ავუაროთ გვირდო ნაწარმოების ზოგიერთ ადგილს, რომელთაც ხან პრიმიტივი, ხან აშკარა პროზაიზმი ახასიათებთ. მაგალითად, არ შეიძლება კარგ პოეტურ სამკაულად ზაითვალოს ასეთი სტრიქონები:

ბურღუე თხილსში ამოდის ჩქარად, ლას შეხედება მწუხარ სახით...

ან კიდევ:

მტრის თვითმფრინავი დაჭროდა ცაში ხარბი სიკვდილის მფრინავ აკანად...

უთუოდ დისონანსად გაისმის მხატვრულ ნაწარმოებში უკიდურესად გა-

უბრალოებული, შემდეგი არაპოეტური ფრაზა:

ერკონესული
ზიგლიროთქა

დასტვენს სასტვენი და ზმას გაკმინდაეს, თან ვაგონებმაც იწვეს ტორტმანი, უკანასკნელად, ღია სარკმლიდან კვლავ გაუწოდეს ზელი ერთმანეთს...

გაუმართლებელია ასეთი მხატვრულად დაუმუშავებელი ტაეპის შეტანა პოემაში:

ღიას უსურვებს, — ასე მამაყად მეგობრისათვის მუდამ შრომობდეს, ურჩვეს, — ასევე სუფთად, ღამიზად ვადაათორის იგი ბოლომდე.

სასურველი და აუცილებელიც არის, ალიო მირცხულავამ კვლავ გადაამუშაოს პოემა „რუსთავი“, რომ მასში აღარ დარჩეს მხატვრულად სუსტი ადგილები. ეს ნაწარმოები ღირსია იმისა, რათა ავტორმა მეტი შრომა გასწიოს პოემის შემდგომი მხატვრული გადამუშავებისათვის. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ ალიო მაშაშვილის პოემა „რუსთავის“ მთავარი ღირსება და მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ ეს ნაწარმოები გამოხატავს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, მის გარდუვალ ნებას მშვიდობის საქმის მტკიცედ დაცვისადმი. პოემა „რუსთავის“ მკითხველი ნათლად იგრძნობს, რომ საბჭოთა ადამიანისათვის უცხო და მიუღებელია საომარი განწყობილება, სამხედრო ფსიქოზი, რაც განუყრელი თანხმლები და ორგანული თვისებაა ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მმართველი წრეებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო, კომუნისტური მშენებელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ დგას მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის პოლიტიკის გზაზე. ამ გზას იგი არასოდეს არ გადაუხვევს. საბჭოთა ქვეყნის განვითარების ეს ერთადერთი სწორი გზა პოეტის მიერ

დიდი ზრანგი მწერალი

ანრი ბარბიუსის დაბადებიდან
80 წლისთავის ბაშო



საბჭოთა კავშირის ხალხები, ფრანგ ხალხთან ერთად, ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავენ ფრანგი კომუნისტი მწერლის, დიდი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ხსოვნას, ხსოვნას იმ ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე შესწირა ჩაგრულთა განთავისუფლების საქმეს; ადამიანს, რომლის შემოქმედებასა და მოღვაწეობას წითელ ხაზად გასდევს მშვიდობისა და კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლა; მწერალი, რომელიც დაუნდობლად ამხელდა კაპიტალისტური წყობილების მახინჯ მხარეებს. მრისხანების ნაბერწყლებს ანთებდა მათ მიმართ, ვინც ქვეყნად უსამართლობასა და ბოროტებას სთესდა.

ანრი ბარბიუსი დაიბადა 1873 წლის 17 მაისს ქალაქ ანიერში (სენის დეპარტამენტი). იგი ჯერ სწავლობდა პარიზში ლიცეიში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო სორბონში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1894 წელს დაამთავრა. ამავე წელს იცავს იგი დისერტაციას ფილოსოფიაში.

ანრი ბარბიუსის შემოქმედება მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. მწერალმა განელო შემოქმედების რთული გზა სიმბოლიზმიდან ახალი ტიპის რეალისტ მწერლამდე, რევოლუციურ მწერლამდე.

ანრი ბარბიუსი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, იმ დროს, როდესაც დეკადენტურმა ლიტერატურულმა მიმართულებამ საფრანგეთში დაჰფარა ყოველივე კარგი ლიტერატურაში და ხელოვნებაში. ანრი ბარბიუსის ლექსები „მოტირალნი“ დაწერილია ამ ლიტერატურული მიმართულების უშუალო გავლენით, მაგრამ ამ ლექსებშივე იგი განსხვავდება იმდროინდელი ლიტერატურის ბოჰემის წარმომადგენლებისაგან. „მოტირალნი“ იგრძნობა კონფლიქტი სინაშდეილესთან, რომელსაც მტკივნეულად განიცდის ახალგაზრდა პოეტი. პოეტი სევდითა და მწუხარებით არის მოცული, მაგრამ ასეთ ვითარებაშიც კი იგი ხშირად იფეთქებდა ხოლმე და ამჟღავნებდა იმ დიდი ენერჯის ნაპერწყლებს, რომლებიც შემდეგ „ცეცხლად“ აინთო. უფრო მეტი; ანრი ბარბიუსს იტაცებდა იმ ადამიანთა ცხოვრება, ვინც დილიდან საღამომდე შრომაში ათენებდა. იგი უდიდესი გულშემატკივრობითა და სინაშით გვიხატავს მათ სახეებს (ლექსები „მკერავი ქალი“, „მუშა ქალი“). ანრი ბარბიუსი ხედავდა ირგვლივ გაშფოთულ უსამართლობას, ადამიანთა ატირებულ, აცრემლებულ თვალებს, მაგრამ ჯერ შორს იყო კლასობრივი ბრძოლის იდეებიდან,

თუმცა ახალგაზრდა პოეტს სჯეროდა მომავალი. „მოვა დრო და ჩემი იდეალები, ჩემი სურვილები აინთებიან ულმობელ სიმართლეში იმისათვის, რომ სიხარულში მოვკვდეთ“.

ანრი ბარბიუსის სიცოცხლით სავესე ბუნება ვერ ეგუება სიმბოლისტების წრეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ წრემ დიდი აღფრთოვანებით მიიღო. ოსკარ უალდმა მას საჩუქრად თავისი ლექსების კრებული გაუგზავნა. „პოეტთა მეფემ“ კატოულ მენდესმა უზრუნველყო მისი წიგნის გამოცემა და მას ლაურეატობაც კი მიანიჭეს.

ბარბიუსმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება — კავშირი გაეწყვიტა სიმბოლისტების ლიტერატურულ სალონებთან. იგი იწყებს ბურჟუაზიული საზოგადოების ჩიხიდან გამოსავლის ძებნას. სწორედ ამ დროს გაისმა ზოლას უშიშარი ხმა — „მე ბრალს ვღებ!“ ბარბიუსი დაინტერესდა ზოლათი და იგი თავის მასწავლებლად აღიარა. ზოლას უშუალო გავლენით წერს ბარბიუსი რომანს „ჯოჯოხეთი“, რომელშიც ლახავს ბურჟუაზიული იდეების ზღუდეებს. „კანონი, რომელიც ერთს მდიდრად ბადებს და მეორეს ღარიბად და საზოგადოებაში ამყარებს ქრონიკულ უთანასწორობას, არის უდიდესი უსამართლობა“ — ამბობს აღშფოთებული მწერალი. ამ რომანში ბარბიუსი უკვე ილაშქრებს შოვინიზმის, ვიწრო პატრიოტული გრძნობის. და ღმერთის იდეების წინააღმდეგ, ღმერთისა, რომელიც ქადაგებს — ყველაფერი მოითმინე იმისათვის, რომ იმ ქვეყნად ბედნიერი იყო. ეს რომანი იყო ნაბიჯი წინ სიმბოლიზმიდან რეალიზმის გზაზე.

ყველაზე დიდი და გარდამქმნელი გავლენა ბარბიუსის იდეოლოგიის რადიკალურ შეცვლაზე იქონია 1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა. ომის სანგრებში მოხდა ბარბიუსის, როგორც მოაზროვნისა და შემოქმედის, ხელახალი დაბადება. ომის დასაწყისში

ბარბიუსი დარწმუნებული იყო, რომ იგი მიმართული იყო მილეტარისტების წინააღმდეგ, ამიტომ მტკიცედ უკვე და ფრონტზე, მაგრამ ხალხთა სასაჯლაოს ხილვაში მან შეიცნო ტეშმარიტება, რომელსაც ასე მოწოდებით ეძებდა „ჯოჯოხეთში“, რომ ომი არის იმპერიალისტური სამყაროს კანონი და მხოლოდ ამ სამყაროს მოსპობით შეიძლება მისი თავიდან აცილება. „ცეცხლის“ მამაცური ოპტიმიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში დასმულია რევოლუციის საკითხი, რომლითაც უნდა დამთავრდეს იმპერიალისტური ომი. ეს იყო წიგნი ომზე და ომის წინააღმდეგ. ჯარისკაცები ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ გაზეთ „ევრის“ ფურცლებს, სადაც ნაწყვეტებად იბეჭდებოდა ეს ნაწარმოები. იმპერიალისტური მთავრობა მტრულად შეხვდა მათი ბუნების მრისხანე მამხილებელს. მაგრამ ამ შესანიშნავმა ნაწარმოებმა ძალიან მალე მსოფლიოს ყველა კუთხეში გაიკვლია გზა.

„ცეცხლში“ უდიდესი მხატვრული ძალით აქვს ნაჩვენები ხალხთა მასების, უბრალო ადამიანების, მუშებისა და გლეხების რევოლუციური სულისკვეთების ზრდა, იმპერიალისტური ომის ქარცეცხლის გავლენა, რევოლუციური ზრდა იმ ადამიანებისა, რომლებიც ბრძოლის ქარ-ცეცხლამდე გაბრუებული იყვნენ შოვინისტური იდეებითა და ყალბი პატრიოტიზმით; მათთვის ომი შეიქმნა ის პუნქტი, რომელმაც გადატრიალება მოახდინა მათს აზროვნებაში.

„ყველა რევოლუციის ისტორია გვეუბნება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რომ არმია ერთად ერთი შესაკრები პუნქტია, სადაც სხვადასხვა გუბერნიის მუშები და გლეხები, ერთმანეთს მოწყვეტილნი ერთად იყრიან თავს და რომ შეიყრებიან იმუშავებენ თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს. შემთხვევითი როდია, რომ დიდი მობილიზაციები და სერიოზული ომები ყო-

ველთვის იწყებენ ამა თუ იმ სოციალურ კონფლიქტს, ამა თუ იმ მასობრივ მოძრაობას. ეს იმიტომ ხდება, რომ არმიაში სულ შორეული კუთხეების გლეხები და მუშები პირველად ხვდებიან ერთბეორეს“ (ი. სტალინი, თხზ. ტ. 5, გვ. 225).

მართლაც, ვინ არიან „ცეცხლის“ მთავარი გმირები? ადამიანები, რომლებიც ომმა საფრანგეთის სხვადასხვა კუთხიდან ერთად შეპყარა. ვინ იყვნენ ისინი და რა სოციალური მდგომარეობა ეკავათ, სანამ თავიანთ ბედ-იღბალს შეიტანდნენ სანგრებში, რომლებსაც წვიმა და ყუმბარები ანადგურებდა. ესენი იყვნენ, უმთავრესად, მზვნელ-მთესველები და მუშები. „ცეცხლში“ მთავარი გმირია ხალხი, გმირი კოლექტივი, ავტორს უნდოდა ეჩვენებინა სწორედ ამ ხალხის რევოლუციური ზრდა. ბარბიუსი აღფრთოვანებული იყო, რომ ფრანგი ხალხი თვალებს ახელდა და თავიანთ ადგილს ეძებდა მზის ქვეშ. სწორედ ამ ხალხის გამოღვივებაში ზედადედა ბარბიუსი თავისი შემოქმედების ძალებსა და აღმადგურებას. ფრონტიდან დაბრუნებისთანავე ბარბიუსი მთელი თავისი დაუცხრომელი ენერჯით ჩაება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1919 წელს მან ჩამოაყალიბა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჯგუფი „კლარტე“, რომლის პროგრამა მთელი კაპიტალისტური კულტურის დაგმობას და კომუნისმისადმი თანაგრძნობას შეიცავდა.

ამის შემდეგ ბარბიუსს რევოლუციური გზიდან უკან აღარ დაუხვევია. იგი წერს მეორე რომანს — „სიცხადე“. ამ ორი რომანის გამარეკოლტციონერებელ როლს ზაზს უსევამდა ვ. ლენინი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლითაც მსოფლიოს ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, შეიქმნა ბარბიუსის შემდგომი ცხოვრე-

ბისა და შემოქმედების განმსაზღვრელი. ოქტომბრის რევოლუციამ მიმართულება მისცა მთელ მსოფლიო კულტურულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. მის ლიტერატურულ შემოქმედებაში იწყება ახალი ეპოქა, რევოლუციური პუბლიცისტიკა. „მებრძოლი სიტყვა“ — რევოლუციური პუბლიცისტიკის საუკეთესო შედეგია, რომელშიც მთავარი თემა რუსეთის რევოლუციაა. ეს კრებული საესეა რწმენით, რომ კაპიტალიზმის კრახი გარდაუვალია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი პუბლიცისტიკა ყველაზე ძლიერია სწორედ იქ, სადაც სოციალიზმის ქვეყნის, მისი ცხოვრების გაცნობისა და მისი დაცვის თემა აქვს აღებული.

დიდი გავლენა მოახდინა ანრი ბარბიუსზე აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურამ, კერძოდ პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ, რომელსაც იგი უწოდებდა დიდ შექურას, რომლის გზითაც უნდა ევლო ყველა მოწინავე მწერალს. ბარბიუსი 1934 წელს მაქსიმ გორკისთან ერთად ილაშქრებდა ჩან კაი-შის სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ.

1923 წელი იყო ღირსშესანიშნავი თარიღი ბარბიუსის ცხოვრებაში. ბარბიუსი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა და „ლუმანიტეს“ ფურცლებიდან მსოფლიოს კაცობრიობას მოწოდებით მიმართა — კომუნისტურ პარტიაში გაერთიანებულიყვნენ.

„უყოყმანოდ შევეუბრთდეთ ამ პარტიას, ამ ცენტრალურ პარტიას, რომელიც თავისი დარაზმულობითა და თავისი ძალ-ღონის განუზომელი თანმიმდევრობით უკვე მომავალი კაცობრიობის პირველ სახეს წარმოადგენს და თავისი განშტოება აქვს ყველგან, ხოლო დიადი გული ამ ორგანიზმისა ძგერს ესოდენ ცხოველყოფელ და ესოდენ დიად ქვეყანაში“. ბარბიუსი

დაეწაფა მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას.

ამის შემდეგ ბარბიუსი წლიდან-წლამდე იზრდება როგორც მწერალი და მხატვარი. მხატვრული პროზის ბრწყინვალე ოსტატი სულ უფრო და უფრო უკავშირდება პროლეტარიატის საქმეს. იგი წერს რომანს — „რგოლები“, რომელშიც ისტორიული ეპოქების მიხედვით — დაწყებული ბაბილონით, ეგვიპტით, საბერძნეთით და რომით — მხატვრულად ასახა სოციალური უთანასწორობის პრობლემები. ამ რომანში ბარბიუსი ამტკიცებს, რომ სანამ ხელისუფლება პარაზიტების ხელში დარჩება, ყოველივე კეთილი და მშვენიერი ბოროტების სამსახურში იქნება. ამიტომ იგი მოუწოდებს მშრომელ მასებს — ძალაუფლება გამოგლიჯონ მჩაგვრელებს და ბოროტება სიკეთედ აქციონ.

რეალისტურ მოთხრობებში ბარბიუსმა დღის სინათლეზე გამოიტანა „შემადრწუნებელი თანამედროვე ცივილიზაციის“ ანუ „სისხლიანი ეპოქის ამსახველი სურათები“. რომანში „ემილ ზოლა“ ბარბიუსი იბრძვის ცხოვრებასთან დაკავშირებული ლიტერატურისათვის.

ბარბიუსმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეიკნო პირსისხლიანი ფაშიზმის გამანადგურებელი როლი მსოფლიოს პროგრესული კულტურის მოსპობის საქმეში და ყველას — ექიმს, მწერალს, მხატვარს, პროფესორს, მასწავლებელს, მოსამსახურეს, სტუდენტს, — მოუწოდებდა მუშებთან და გლეხებთან ერთად ებრძოლათ ფაშიზმის წინააღმდეგ.

საყოველთაოდ ცნობილია ბარბიუსის როლი ტელმანისა და დიმიტროვის განთავისუფლების საქმეში. სტატიები — „იცნობ თუ არა ტელმანს?“, „გავასამართლოთ მოსამართლეები“ სწორედ აქეთვე იყო მიმართული.

ანრი ბარბიუსმა ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის დასაცავად. იგი მთელ მსოფლიოს მოუწოდებდა დაეცვათ რუ-

სეთის რევოლუცია. იგი თავგამოდებით იცავდა ქვეყანას, რომელშიც ვლადიმერ მთელი კაცობრიობის განმანათლებელი დროშა, „ქვეყანა, სადაც პირველად გავარდა თოფი, რომელმაც მოძრაობაში მოიყვანა მთელი კაცობრიობა“.

ანრი ბარბიუსი დიდ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შინაარსის გასაშუქებლად. იგი რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში. მწერალი მუდამ ყურადღებით სწავლობდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის პროცესებს აცნობდა მას მთელ მსოფლიოს („როგორ ჰქმნის ახალ სამყაროს 150 მილიონი ადამიანი“). ბარბიუსი განცვიფრებული იყო იმ გრანდიოზული მშენებლობებით, რომლებიც საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა. მწერალს სწამდა საბჭოთა ადამიანების სიძლიერე ბრძოლაში თუ შრომაში. აი, როგორ მიმართავდა იგი ჩვენი ქვეყნის ადამიანებს:

„თქვენ, საბჭოთა თანამემამულენო, პატიოსანო განთავისუფლებულო ხალხო, თქვენ, რომელთაც ცხოვრების მწარე ტკივილი ჰიზნად აქციეთ, თქვენ, რომელთაც თქვენი ადგილი ქვეყნის ერთ მეექვსედზე მხოლოდ თქვენივე ხელით მოიპოვეთ, თქვენ, ვისგანაც დასაველეთის ჯერ კიდევ დამარცხებული პროლეტარები გამარჯვებულთა ხელობას ისწავლიან, დიდი ხალხი ხართ, თქვენ ყველაზე უფრო დიდი იქნებით, თუ არა მხოლოდ ერთადერთი“.

ანრი ბარბიუსმა ამიერკავკასიაშიც იმოგზაურა. საქართველოში იგი ჩამოვიდა 1927 წელს. საქართველოში მას იზიდავდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ლამაზი ბუნება, არამედ უნდოდა ციფრებითა და ფაქტებით გაეპარყებინა ის ცილისმწამებლური ჭორები, რასაც საქართველოზე საზღვარგარეთ ავრცელებდნენ. საქართველოში დასარჩენად ანრი ბარბიუსს განსაზღვრული დრო ჰქონდა, მაგრამ იგი ისე გაიტაცა ჩვენი



ქვეყნის სილამაზემ, ხელოვნების ისტორიულმა ძეგლებმა, ქართველი ხალხის შრომითმა საქმიანობამ და წარმატებებმა, რომ დაარღვია წინასწარ შემუშავებული გეგმა. პირველად მან იმოგზაურა მესხეთ-ჯავახეთში. ბარბიუსი აღფრთოვანა ზარზმისა და ვარძიის ტაძრებში. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ვარძიის ტაძარმა, ხელოვნების ამ უკვდავმა ძეგლმა.

„პირდაპირ განსაცვიფრებელია თავისი მონუმენტალური აგებულებითა და ტექნიკით ვარძიის დიდებული ტაძარი, რომელიც მთელ მსოფლიოში ხუროთმოძღვრების ორიგინალურ ნიმუშს წარმოადგენს. ამ ტაძრის ხუროთმოძღვრება საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი არ ემორჩილება ქრისტიანულ მსოფლიოში გავრცელებულ სარქიტექტურო ნორმებს; აქ ჩანს არა უბრალო, სავალდებულო ასლის გადაღება, შაბლონი, არამედ საკუთრად დამუშავებული სახუროთმოძღვრო ნორმები, საღმრთნებლო მეთოდები, ფორმები, მოტივები. ვარძიის ტაძარი წარმოადგენს ხელოვნების პირველხარისხოვან სამაგალითო ძეგლს, რომელშიც არ არის არც ერთი შემთხვევითი, არც ერთი დაუსრულებელი პუნქტი, რაც იძლევა ტაძრის სისრულის პარმონიულ ეფექტს“.

მესხეთ-ჯავახეთიდან დიდი ფრანგი მწერალი ესტუმრა აჭარას, იქიდან კი გურიას. როგორც იგონებს ბარბიუსი, გურული სოფლები თავისი კარ-მიდამოებითა და ეზოებით მას პირველად კარგად მოწყობილი საზაფხულო აგარაკები ეგონა. გურიაში იგი ჩამოვიდა იმ დროს, როდესაც საშემოდგომო მუშაობა მიმდინარეობდა, დაესწრო სიმინდის ტეხვას, ყურძნის კრეფას; მას საშუალება მიეცა გასცნობოდა ქართველი გლეხების წარმოებით პროცესებს. ასევე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე გურულების გულუხვმა სტუმართმოყვარეობამ და გურულმა მელოდიურმა სიმღერებმა. ანრი ბარბიუსი მო-

ხიბლული იყო ქართული მუსიკით. „ქართული ხალხური მელოდები: მესხეთივე ლამაზი და წარმტაცია მსხვერპლ საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება“. წიგნში საქართველოზე ასე იგონებს მწერალი ქართველთა მასპინძლობას, მათ კერძებს, ქართული სუფრის წესებს, თამადასა და ქართულ მრავალეამიერს:

„აი, შუაქარი წყნარად გაიღო და თეფშ-შეჩებით დატვირთული სუფრა მხიარულად დაიდგა ჩვენ წინ. ვახშაპი გაიმართა. ნალებით შენელებული წვინანი, ცხვრის მწვადები, შემწვარი ვარიები და თხელი მჭადები, რომლებიც ცხელი და ოხშივრიანი უნდა ჰქონონ, რადგან, თუ გაცივდა, ლოდით დააწვება კუჭს.“

ბაასი იმსხვრევა და სხვადასხვაედემა. თამადა სადღეგრძელოებს წარმოთქვამს თითქმის ყოველი ათი წუთის შემდეგ, ქართული ჩვეულებისამებრ, ნაღვგრძელები — (ყოველი სადღეგრძელო ამა თუ იმ დამსწრეს ეკუთვნის) — უპასუხებს და მაშინვე გაისმის უცნაური, მკვეთრი და შემსქვალავი სიმღერა, რომელსაც ნაღვგრძელების პატივსაცემად ამბობენ ხოლმე. ესაა პარმონიული უთანხმოებით აღსავსე სუფრული, ნაზ ყრეოლვასა და აღფრთოვანებას რომ ჰგვრის“.

საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ბარბარეუსმა გადაწყვიტა რომ თავისი შთაბეჭდილებები საქართველოს წარსული და დღევანდელი კულტურული ყოფა-ცხოვრების შესახებ ფრანგი მკითხველებისათვის გაეზიარებინა ცალკე წიგნში, რომლის წერასაც უნდა შესდგომოდა საფრანგეთში დაბრუნებისთანავე.

აი, როგორ იგონებს ეს ფრევილი ამ თემავ მორის ტორეზთან ანრი ბარბიუსის საუბარს:

„1928 წელს მე ვაგროვებდი მასალებს საქართველოზე ჩემი წიგნისათვის, რომელიც მომდევნო წელს უნდა გა-

მოსულიყო. მე ვთხოვე ი. ბ. სტალინს მიველე და დავამზადე კითხვარი, რომელშიც 160 კითხვა იყო. საექვეოა, ვფიქრობდი მე, რომ სტალინმა დააკმაყოფილოს ჩემი თხოვნა, შეუწყნარებელია ჩემი პირადი ინფორმაციისათვის მას ძვირფასი დრო წავართვა.

ამხანაგმა სტალინმა მიმიღო თავისი ჩვეული გულდიაობით, გავაცანი ჩანაფიქრი ჩემი წიგნისა, რომელიც ეხებოდა ეროვნულ საკითხს — პრობლემას, რომელიც სტალინს გამოკვლევული და მეცნიერულად დასაბუთებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლუციამდე. მე მიხდოდა მეჩვენებინა წიგნში, თუ ცარიზმის მიერ წინათ ჩაგრული საქართველო როგორ აყვავდა მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოში თანასწორულებიან და ხალხთა მეგობრულ ოჯახში, როგორ განავეითარა მან თავისი ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ამას უნდა გაეზათილებინა ის სიცრუე და ცილისწამება, რომელსაც მტრები ავრცელებდნენ საბჭოთა კავშირზე.

სტალინმა მოიწონა ჩემი განზრახვა და დიუნჯად დაიწყო ლაპარაკი. კითხვარი ჯიბეში მედო და განზრახული მქონდა წასვლის წინ სტალინისათვის დამეტოვებინა, რაკი მან ჩემი წიგნისადმი ინტერესი გამოიჩინა. სტალინის სიტყვებს მითარგმნიდნენ და მე დაეინახე, რომ მან პასუხი ვასცა ყველა ჩემს კითხვაზე ისე, რომ არც კი იცოდა მათი არსებობა. რა არაჩვეულებრივი გენიოსია!“

როგორც ენ ფრევილი იგონებს, სწორედ ამ დროს ურჩია მორის ტორეზმა ბარბიუსს დაეწერა წიგნი სტალინზე. ეს — ანრი ბარბიუსის შემოქმედების გეორგიანი იყო.

ანრი ბარბიუსმა მართლაც სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა და დაწერა წიგნი საქართველოზე: „აი, რა უყვეს საქართველოს“. ეს წიგნი, ხუთი თავისაგან შედგება: „კავკასიის სალა-

მოები“, „დიღები“, „ის, რაც მოხდა“, „მიღწევანი“, „ეროვნება“ (და შემდგომად უნდა იქნებოდა).

„მენშევიკების ისტორიის ყოველ ფურცელზე, — წერს ანრი ბარბიუსი ამ წიგნში, — ამას წაიკითხათ: ქართველი მენშევიკების პოლიტიკა არასოდეს არ ყოფილა ისეთი, რომ სოციალური პრინციპები განეხორციელებინოს, არამედ ის იყო პოლიტიკა-ინტრიგებისა და კორტუნიტულ დათმობათა, რომელთაც ყველაფერი პირადი წარმატებისათვის მიჰქონდათ. მსხვერპლად“.

მენშევიკების ნამდვილი სახის შეცნობა არ გაუძირდა ნიჟიერ მწერალს, იგი დაწერილებით ჩერდება იმ ხრიკებზე და ოინებზე, რომლებსაც მენშევიკები სჩადიოდნენ იმისათვის, რომ ზელისუფლება შეენარჩუნებინათ.

მენშევიკების ბუნების მხილების შემდეგ ანრი ბარბიუსი აღწერს იმ მიღწევებს, რომლებიც საქართველომ საბჭოთა ზელისუფლების დამყარების შემდეგ მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის თუ ზელოვნების სფეროში. „აი, რა უყვეს საქართველოს“ — ეს არის მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ საბრალმდებლო აქტი და საბჭოთა საქართველოს ზრდა-განვითარების შესანიშნავი დოკუმენტი.

დიდი ფრანგი მწერლის მჩქეფარე სიცოცხლე შეწყდა მოსკოვში, იმ ქალაქში, რომელიც მისთვის იყო მოწინავე იდეებისა და გამარჯვების სინონიმი. „მოსკოვის ნიშანდობლობა ისაა, რომ იგი მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო რყევის ძრავია და აკვანია იმ ახალი ქვეყნიერებისა, რომელიც თვით დედამიწის წიაღიდანაა შობილი ბრძოლის კანონების ძალით“, — ამბობდა ბარბიუსი.

ბედმა ისურვა, რომ იგი მომკვდარიყო განთავისუფლებულ ხალხთა შორის, — თქვა ანრი ბარბიუსის დაკრძალვის დღეს მარსელ კაშენმა.

ანრი ბარბიუსი აღარ არის, მაგრამ

მისი სახელი უკვდავია. საფრანგეთის მოწინავე მწერლები ღირსეულად განაგრძობენ ანრი ბარბიუსის მიერ აღებული გეზს. ბარბიუსის მგზნებარე სიტყვები ომის წინააღმდეგ დღესაც მშვიდობის დროშის ქვეშ საბჭოთა კავშირის გარშემო რაზმად მსოფლიოს მოწინავე აღამიანებს. ანრი ბარბიუსის ცხოვრება და შემოქმედება მუდამ მაგალითი

იქნება ყველა ქვეყნის ახალგაზრდა თაობისათვის.

„დაე, მისი ცხოვრება, მისი ბრძოლა, მისი მისწრაფებანი და პერსპექტივები მაგალითი იყოს ყველა ქვეყნის მშრომელთა ახალგაზრდა თაობისათვის კაპიტალისტური მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში“ (ი. სტალინი).

სოციალისტური რეალიზმის საკითხები



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალისტური რეალიზმის პრობლემებს, რომლებიც თავიანთ კონკრეტულ გამოხატულებას ლიტერატურის მცოდნეობაში პოულობენ შემოქმედებითი მეთოდის, ტიპურობის საკითხის და მხატვრული ენის პრობლემის სახით.

სოციალისტური რეალიზმი, როგორც ახალი ქვეყნის ესთეტიკური მსოფლმხედველობა, რომელიც საბჭოთა მწერალს ეხმარება ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესის მხატვრულ ასახვაში, ორგანულად დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

იმისათვის, რომ გავიგოთ სოციალისტურ რეალიზმის არსი, მისი ჭეშმარიტი ბუნება, იგი უნდა განვიხილოთ კრიტიკულ რეალიზმთან მიმართებაში, რადგან სოციალისტური რეალიზმი, ისტორიული აუცილებლობის გამო, კანონზომიერად იკავებს კრიტიკული რეალიზმის ადგილს.

როგორც ცნობილია, კრიტიკული რეალიზმი პირველია ბურჟუაზიის ბატონობის ეპოქისა. თითქმის ოთხასი წელი ბატონობდა კრიტიკული რეალიზმი ხელოვნებაში. ვერც რომანტიზმმა, ვერც ნატურალიზმმა, ვერც სიმბოლიზმმა ვერ შეცვალეს იგი; მის მეტოქედ გამოდის და მასზე მალლა დგება მხოლოდ სოციალისტური რეალიზმი.

როგორც ახალი ქვეყნის ესთეტიკური მსოფლმხედველობა.

რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება კრიტიკული რეალიზმი?

კრიტიკული რეალიზმი, როგორც ესთეტიკური მსოფლმხედველობა, თავისი ხასიათით ოპოზიციურად არის განწყობილი არსებულ სახელმწიფო გაბატონებულ ფორმასთან. სახელმწიფო გაბატონებულ ფორმებთან დამოკიდებულებების ამგვარმა პოზიციამ განსაზღვრა კრიტიკული რეალიზმის დამოკიდებულება სამწერლო ობიექტთან, ე. ი. ადამიანის სულიერ ცხოვრებასთან. კრიტიკული რეალიზმის დამახასიათებელ და ტიპურ გმირს წარმოადგენდა სახელმწიფო, გაბატონებული ფორმებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი.

როგორც ცნობილია, შექსპირის შემდეგდროინდელი ხელოვნების, კერძოდ კი მე-18 — 19 საუკუნის ლიტერატურის გმირად გვევლინება პიროვნება, რომელიც ოფიციალურ საზოგადოებასთან კონფლიქტშია. სიტყვისა და ფერწერის ჭეშმარიტი ოსტატები ოფიციალურად გაბატონებულ წრეებში ვერ ნახულობდნენ თავიანთი სულიერი ცხოვრების შესატყვის გმირებს; ამიტომ მათ ხელი ჩასჭიდეს იმ ადამიანებს, რომლებიც სასურველ (პროგრესულ) მიზნებს ისახავდნენ, მაგრამ ისტორიული აუცილებლობა ხელს არ უწყობდა მათ ამ სასურველი მიზნების პრაქტიკულ განხორციელებაში. გმირის გან-

ზრახვანი არსებულ გაბატონებულ საზოგადოებასთან ბრძოლაში შეუბრალებლად იმსხვერველდნენ და ამ განზრახვათა მატარებელი ადამიანები ტრაგიკულად იღუპებოდნენ. ასეთი გმირების ტრაგიკული ხვედრი დიდებულად გამოსახეს გრიბოედოვმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა, შილერმა, ბალზაკმა, სტენდალმა, გოეთემ. ამ დიდი მწერლების გმირთა უბრალო ჩამოთვლაც კი — ჩაიკისა, ონეგინისა, პეჩორინისა, ვერტერისა, კარლოსისა, რაფაელისა, ჩაილდ-პაროლდისა, ნათელს ზდის იმ ქეშპარიტებას, რომ ისინი „უდროობის გმირები“ იყვნენ, კეთილშობილი განზრახვებით, მაგრამ ტრაგიკული ხვედრით დაღდასმულები. მათი მხატვრული გამოსახვის ფორმებს რომანტიკული ელფერი დაკრავს, მაგრამ კრიტიკული რეალიზმი იყო მათი ესთეტიკური მსოფლმხედველობა.

კრიტიკული რეალიზმის დამახასიათებელ ტიპებს წარმოადგენდნენ არა მარტო „უდროობის გმირები“, არამედ „ყოფილი ადამიანებიც“, მსოფლმხედველობა და ხასიათი ყოფილი ადამიანებისა რადიკალურად განსხვავდებოდა „უდროობის გმირების“ მსოფლმხედველობისა და ხასიათისაგან. „ყოფილი ადამიანების“ ტიპიური ხასიათის შემცველი არიან გონჩაროვის ობლომოვი, ილია ქაეკავაძის ლუარსაბ თათქარიძე.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიის ბატონობის ეპოქაში მაქსიმალურად ვიწროვდება შემოქმედების სფერო და თვით ბურჟუაზიის ბატონობის ფორმა მტრულად არის განწყობილი ხელოვნების ზოგიერთი ფორმებისადმი, კერძოდ ეპიკური ფორმებისადმი.

თუ გონების თვალთ შევხედავთ კრიტიკული რეალიზმის განვითარების მთელ პროცესს, შევატყობთ, რომ რევოლუციამდელმა ხელოვნებამ და, კერძოდ, ლიტერატურამ ამოსწურა თავისი

თავი. ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში კრიტიკული რეალიზმი ვეღარ ახერხებს შემდგომი განვითარებას. ასე რომ კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა ბორკილად იქცევა ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განსხვავება კრიტიკულ რეალიზმისა და სოციალისტურ რეალიზმს შორის წარმოიშვება გაბატონებულ სახელმწიფო ფორმასთან მათი დამოკიდებულებით. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მათ გათიშვასთან, მეორე შემთხვევაში კი მათ ორგანულ მთლიანობასთან.

თუ რატომ გაითიშა კრიტიკული რეალიზმი და სახელმწიფოს გაბატონებული ფორმა, ავსენით ზემოთ. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ავსენათ სოციალისტური რეალიზმისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანულ მთლიანობის გამომწვევი ისტორიული კანონზომიერება.

ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხებში“ აღნიშნავს, რომ ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ კლასი დევნილი და ექსპლოატირებული პირველად კაცობრიობის ისტორიაში აამალა გაბატონებული კლასის დონემდე. „საბჭოთა ხელისუფლებას კი არ უნდა შეეცვალა ექსპლოატაციის ერთი ფორმა სხვა ფორმით, როგორც ეს იყო წინანდელ რევოლუციებში, არამედ უნდა მოესპო ყოველგვარი ექსპლოატაცია“. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა ნიშნავდა ამ ექსპლოატაციის წარმომშობი წყაროს მოსპობას. ბურჟუაზიული საკუთრების დამხობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამხობაც იყო. ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით — ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით — საბჭოთა ხალხმა მიზნად დაისახა ქვეყნის არა მხოლოდ მატერიალური ცხოვრების, არამედ ადამიანის სულიერი ცხოვრების გარდაქმნა.

თუ კრიტიკული რეალიზმის დროს პროგრესული ადამიანები გათიშული იყვნენ სახელმწიფოს გაბატონებული ფორმებისაგან, სოციალისტური რეალიზმის დროს სახელმწიფო გაბატონებული ფორმების გარეთ დარჩნენ მხოლოდ ყოფილი ადამიანები, რომლებიც ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბურჟუაზიული საკუთრების პიედესტალიდან ჩამოიყვანა. სოციალისტური რეალიზმის ტიპიურ გმირს წარმოადგენს ადამიანი, რომელიც ამტკიცებს სოციალისტური სახელმწიფოს იდეურ, ესთეტიკურსა და მორალურ ნორმებს როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში. ეს არის მეორე ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სოციალისტური რეალიზმისა კრიტიკული რეალიზმი-საგან საერთოდ.

მაგრამ კონკრეტულად სად უნდა ვეძიოთ სოციალისტური რეალიზმის დასაყრდენი ძალა?

ხელოვნების განვითარების გოველ პერიოდში, ხელოვნების ესა თუ ის დარგი ყოველთვის ეძებდა თავის დასაყრდენს ადამიანის განსაზღვრულ გრძნობაში. ბერძნული ხელოვნების ამგვარ დასაყრდენს, როგორც მარქსი ამბობდა, წარმოადგენს მითის ნიადაგზე წარმოშობილი ტრაგიკული ვნებიანობა. შექსპირისა და შემდგომი დროის ხელოვნებისათვის ასეთ დასაყრდენს წარმოადგენდა იმ ადამიანის სუბიექტური ვნებები, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას წინ უსწრებდა თავისი გაღვიძებული შეგნებით და დიდი განზრახვებით; მაგრამ რაკი ამ განზრახვათა განზორციელების საშუალება შეზღუდული იყო გარეშე ძალებით, გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობით, სუბიექტი გამოდიოდა საერთო ორბიტიდან და იჭეკოდა ზედმეტ ადამიანად.

ჩვენი დროის ადამიანისათვის არ არის დამახასიათებელი არც პირველი და არც

მეორე გრძნობა. მას სად არის ჩამარხული ჭეშმარიტი იდეალური კოციალისტური ხელოვნებისაგან? მისი დროის ხელოვნებისათვის ამგვარ იდეალს წარმოადგენს შეტაკება კოლექტივიზმის უწმინდესი გრძნობისა — ადამიანის შეგნებაში დარჩენილ ჯერ კიდევ ცოცხალ ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმის ნაშთებთან.

სოციალისტური რეალიზმი ავალებს ყოველ შემოქმედს, რომ მან ცოცხალი სინამდვილიდან აიღოს ადამიანი, რომელიც თავისთავთან მართალია, გულწრფელია, რომლის ყოველ გრძნობაში ფეთქს ახალი ცხოვრების მაჯისცემა. ეს ადამიანი მოქმედებს არა გარეგანი ძალდატანებით, არამედ შინაგანი სტიმულით, მაგრამ შემოქმედმა რომ შეძლოს ჩვენი დროის გმირის სრულქმნილი გამოხატვა, თვით შემოქმედმა ახალი ქვეყანა უნდა იგრძნოს ახალი გრძნობით. ამ გზით სოციალისტური რეალიზმი სუბიექტური ორბიტიდან გამოდის და სახალხო, საყოველთაო ორბიტში შედის. მაგრამ სოციალისტური რეალიზმის ზოგად-საყოველთაოება შემოქმედების პროცესის დროს ხელოვნებისათვის უნდა იყოს არა აბსტრაქტული სქემატურობა, არამედ ხორცშესხმული კონკრეტულობა.

ამ თვალსაზრისით სოციალისტური რეალიზმის აყვავების უშუალო მიზეზია ჩვენი დროის ადამიანის ახალი გრძნობა, რომელიც მასში შთანერგა სოციალისტური საკუთრების ბატონობამ.

სოციალისტური რეალიზმი, როგორც ახალი ქვეყნის ესთეტიკური მსოფლმხედველობა, ხელოვნის მკაცრად სთხოვს — იყოს მართალი ადამიანებისა და მოვლენების ასახვის დროს. ი. სტალინი ამბობდა: „დაე მწერალმა ისწავლოს ცხოვრებისაგან. თუ იგი მაღალ მხატვრულ ფორმაში ასახავს სინამდვილეს, ის უეჭველად მივა მარქსიზმთან. არ შეიძლება გამოიგონო სახე

და მოველენა კაბინეტში ჯდომით. უნდა აიღოთ ისინი ცხოვრებიდან, შეისწავლოთ ცხოვრება, ისწავლეთ ცხოვრებისაგან“.

სოციალისტური რეალიზმი ხელოვანს „აიძულებს“ სინამდვილე ასახოს თავის განვითარებაში, ვაჩვენოთ ჩვენს ხალხს, — ამბობდა ამხ. ედანოვი, — არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ დაევანახოთ ხვალისდელი დღეც; გავუნათოთ ხვალისდელ დღესთან მისასვლელი გზა. ასეთია ყოველი საბჭოთა მწერლის ერთიანი ამოცანა. ამხ. ედანოვის ეს განმარტება საეხებით სწორად გამოხატავს არა მარტო მწერლის მოვალეობას, არამედ სოციალისტური რეალიზმის ბუნებასაც. „ჩვენ დღეს ისინი აღარ ვართ“, ამბობდა ამხანაგი ედანოვი. ამ ისინი აღარ ვიქნებით, რაც დღეს ვართ“, ამბობს ამხანაგი ედანოვი. ამ ფორმულაში მოცემულია სოციალისტური რეალიზმის ბუნება.

ხვალისდელი დღის ჭეშმარიტი შეგრძნობა არა ჰქონია კრიტიკული რეალიზმის სტილით მომუშავე არც ერთი მწერლის ნაწარმოების პერსონაჟს, მაგრამ ამაში ბრალი მიუძღვის არა კრიტიკულ რეალიზმს, არამედ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელსაც თავისი მომავლადი ბუნების გამო ხვალისდელი დღე სმაგდა, როგორც უბედურების მაწიფებელი. სოციალისტური რეალიზმი მთელი სიმძიმით ებჯინება აწმყოს, როგორც წარსულისაგან წარმოშობილსა და მომავლის მშობელს. კრიტიკული რეალიზმის დროს ჭეშმარიტ ხელოვანს ზალხთან მისასვლელ გზას უღობავდნენ, სოციალისტური რეალიზმის დროს ხალხთან მისასვლელი გზა ხსნილია და თავისუფალი. პრაქტიკული მოღვაწეობა კრიტიკული რეალიზმის დროს (მაგალითად, გოეთეს ადმინისტრაციული სამსახური ჰერცოგთან და ბალზაკის კომერციული საქმეები) ხელოვანს ხელს უშლიდა და ზღუდავდა მისი შემოქმე-

დების სარბიელს. სოციალისტური რეალიზმის დროს საზოგადოებრივი საქსახური შემოქმედს აახლდებდა, ჩაუღებდა და ხელს უწყობს მისი შემოქმედებითი პორიზონტის გაფართოებას.

თუ როგორი უნდა იყოს ტიპის სულიერი ცხოვრების გამოსახვის ფორმები სოციალისტური რეალიზმის დროს, შესაძლებელია აიხსნას მხოლოდ ტიპიურობის (ტიპიურის) პრობლემების მარქსისტულ-ლენინური გაშუქების საფუძველზე. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობაზე ამ პრობლემამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ამხანაგ მალენკოვის მოხსენებაში.

ტიპიურობის პრობლემა ერთი ძირითადი პრობლემათაგანია საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში. ამ პრობლემის მნიშვნელობა მარტო იმით როდი განისაზღვრება, რომ გვეხმარება უკვე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟთა ანალიზის დროს, არამედ იმითაც რომ, ის ხელს უწყობს სიტყვის ოსტატებს ჩვენი სინამდვილის მხატვრულ წარმოსახვაში და ტიპების შექმნაში.

სწორედ ამიტომ ტიპიურობის პრობლემის მარქსისტულ-ლენინური გაშუქება გზას გვიხსნის ესთეტიკის ურთულესი პრობლემების, მათ შორის მშვენიერებისა და ამაღლებულის პრობლემის ახლებურად გადაწყვეტისაკენ.

იმისათვის, რომ ჭეშმარიტად გადაწყდეს ტიპიურობის პრობლემა, საჭიროა შემდეგი საკითხების ანალიზი: პ ი რ ე ლ ი — ტიპიურობის ცნების საკითხისა, მ ე ო რ ე — ტიპისა და მწერლის თვალსაზრისის ურთიერთობის და ტიპის იდეით აღჭურვის საკითხისა. მ ე ს ა მ ე — სახის ტიპიური ბუნების ასახვის დროს ენობრივი გარსის (ფორმის) მნიშვნელობის საკითხისა, მ ე ო თ ხ ე — კონფლიქტისა და კოლიზიის საკითხისა.

დაეწყით პირველი საკითხიდან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი მალენკოვი ამბობდა: „ჩვენს მხატვრებს, ლიტერატორებს, ხელოვნების მუშაეებს მხატვრული სახეების შესაქმნელად თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ტიპურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ისიც რაც ყველაზე მეტი სისრულითაა და სიმახველთ გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით ტიპური სრულიადაც არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. ტიპურობა შეესაბამება მოცემული სოციალ-ისტორიული მოვლენის არსს, და მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს, რაც ყველაზე გავრცელებულია, ხშირად მეორდება, ჩვეულებრივია. სახის შეგნებულად ქარბი ფერებით დახატვა, გამახვილება კი არ გამორიცხავს ტიპურობას, არამედ უფრო სრულად, უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს მას. ტიპურობა რეალისტურ ხელოვნებაში პარტიულობის გამოვლინების ძირითადი სფეროა. ტიპურობის პრობლემა ცოცხლთვის პოლიტიკური პრობლემაა.“

ამხანაგი მალენკოვის მიერ ტიპურის შემოაღნიშნული განმარტება, ერთი მხრით, განამტკიცებს მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის გაგებას ტიპურის პრობლემის შესახებ. მეორე მხრით, იგი მიმართულია საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში გაბატონებულ მცდარ შეხედულებათა წინააღმდეგ ამავე საკითხში.

თუ რა ძლიერი იყო ტიპურის ცნების გაყალბება საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში, ამას მშვენივრად ამტკიცებს ერთ-ერთი გამოჩენილი ლიტერატურისმცოდნის პროფ. ტიმოფეევის თვალსაზრისი. მალენკოვის მოხსენების

შემდეგ ამხ. ტიმოფეევი გამოვიდა გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში და წყვილადგინა დებულება, რომ სოციალისტური რეალიზმის დროს ტიპური შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი გმირი, ხოლო უარყოფითი პერსონაჟის ტიპურობის სიმალლემდე აყვანა არის რეაქციული და თითქოს ეს ეწინააღმდეგება ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს. გაზეთმა „პრავდამ“ სპეციალური მოწინავე სტატია უძღვნა ტიპურობის ცნების ტიმოფეევისებურ გაყალბებას და „სახაზინო ოპტიმიზმი“ უწოდა იმ ადამიანების თვალსაზრისს, რომლებიც ფიქრობენ, თითქოს ჩვენი ლიტერატურის და ხელოვნების კონფლიქტის ობიექტს წარმოადგენს არა დადებითი და უარყოფითი პერსონაჟის დაპირისპირება, არამედ უკეთესსა და საუკეთესოს შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც თურმე კონფლიქტში არასოდეს არ გადაიზრდება.

გაზეთმა „პრავდამ“ სახელმძღვანელო მითითება მოგვცა ტიპურობის ცნების მარქსისტულ-ლენინური გაგების საკითხში. ამ მითითების საფუძველზე, ტიპური შეიძლება იყოს არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი პერსონაჟიც. „ჩვენში, — წერდა გაზეთი „პრავდა“, — ყველაფერი როდია იდეალურად, ჩვენში არიან უარყოფითი ტიპები; ჩვენს ცხოვრებაში ბოროტება ცოტა როდია, და ყალბი ადამიანებიც ცოტანი როდი არიან. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ვაჩვენოთ ნაკლოვანებანი და სიძნელენი. ნაკლოვანებებს მეურნალობა უნდა... ნაკლი იქ არ არის, სადაც არ არის მოძრაობა, არ არის განვიფარება. ჩვენ კი ვვითარდებით და წინ მივდივართ, — მაშასადამე, გვაქვს სიძნელენიც და ნაკლოვანებანიც“.

სად არის იმ შემცდარი შეხედულების სათავე, რომელმაც ასე დააბნია ზოგიერთი საბჭოთა ლიტერატურისმცოდნე?

ამ შემცდარი შეხედულების სათავეს წარმოადგენს ხელოვნების კანონების ხასიათის ობიექტური არსებობის უარყოფა და უარყოფა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისა, როგორც მეცნიერებისა, რომელიც სწავლობს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესის მხატვრული ასახვის სპეციფიკას.

ი. სტალინი გვასწავლის: „მარქსიზმს მეცნიერების კანონები ესმის... როგორც ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესის ასახვა. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიციონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შესცვალონ ან გააუქმონ ისინი, მით უფრო არ შეუძლიათ მათ ჩამოაყალიბონ ან შექმნან მეცნიერების ახალი კანონები“.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიტერატურის მკვლევარებმა იმიტომ კი არ ირჯება, რომ ხელოვნის შემოქმედებითი კანონები დაუწყეს, არამედ იმიტომ, რომ კანონების დაწესების სურვილის გარეშე ახსნას, შეაფასოს განმარტოს შემოქმედებითი პროცესი, როგორც ბუნებრივი პროცესი, რომელიც არ ემორჩილება ავტორის მიერ ხელოვნურად გამოგონილ კანონებს.

ი. სტალინი თავის გენიალურ შრომაში — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ხაზს უსვამს ამა თუ იმ მეცნიერული დარგის სპეციფიკურ ბუნებას. ამ სპეციფიკური ბუნების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ავსხნათ ადამიანის შემოქმედების რომელიმე დარგის ფუნქცია, მისი ნამდვილი დანიშნულება. მარქსიზმი კატეგორიულად უარყოფს სხვადასხვა დარგის სპეციფიკისა და ფუნქციის ერთმანეთში აღრევას. სამწუხაროდ, ლიტერატურის-მკვლევების ერთი ნაწილი, ნებით თუ

უნებლიეთ, ხელოვნებას და, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურას უარყოფავს თავის ბუნებრივ სპეციფიკურ ფუნქციას და სხვა დარგის ფუნქციის შემსრულებლად სახავს მას. იმის მაგიერ, რომ ხელოვნება და, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურა სახეების, ტიპების საშუალებით ასახავდეს სინამდვილეს თავის ბუნებრივ ფორმაში, ზოგიერთი ავტორის ხელში სახეები და ტიპები ძალით გამოგონილ სქემებად იქცევიან და რეალური სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმიდან გადადიან აბიურბული ფანტაზიის ფორმაში.

ამის შედეგია საბჭოთა მკითხველის ინდიფერენტული დამოკიდებულება ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებისადმი, რომელიც არც ისე იშვიათად გვხვდება „სალიტერატურო ვიტრინაზე“.

როგორც ცნობილია, სიტყვიერი ხელოვნების ეპიკურ ფორმაში ტიპი ძირითადი ელემენტია, რომლის მეშვეობით აისახება სინამდვილე. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ტიპს განსაზღვრავს, როგორც ობიექტური სინამდვილის შედეგს. რეალური სინამდვილე დემიურგია ტიპის სულიერი ცხოვრებისა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იდენტურობა დავამყაროთ ცოცხალ ცხოვრებაში მოქმედ ადამიანსა და ხელოვნებაში მხატვრულად ასახულ ტიპს შორის. ამ საკითხის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი, ამიტომ აქ ერთ საკითხს უნდა შევხვით; როგორ ზდება ტიპის, ხასიათის იდეით განმსჭვალვა მწერლის მიერ. უნდა ითქვას, რომ ვერც ერთი მწერალი ტიპს ვერ განმსჭვალავს ისეთი იდეალით, რომლის ელემენტები თვით ტიპში ბუნებრივად არ არის მოცემული.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გვასწავლის, რომ ყოველი იდეოლოგია, რაკი ერთხელ წარმოიშვება, უკვე არსებული წარმოდგენების ურთიერთობაში ვითარდება და თავის მხრივ მათ

გადამუშავებას იწყებს. უამისოდ ის არ იქნება იდეოლოგია, ე. ი. მას საქმე არ ექნება აზრებთან, როგორც დამოუკიდებელ არსებებთან, რომელნიც დამოუკიდებლად ვითარდებიან თავისი თავის წიაღიდან და თავის საკუთარ კანონებს ემორჩილებიან“ (ენგელსი). მარქსის აზრით, „გარემოებას სწორედ ადამიანები სცვლიან“ და მოცემულ პირობებში „სწორედ ადამიანები ქმნიან საკუთარ ისტორიას“. ლენინი ამბობდა: „შეგება არა მართო ასახავს სინამდვილეს, არამედ ქმნის კიდევ მას“. სტალინი გვასწავლის: „მართალია, იდეა ზეციდან არ ვარდება, ის ცხოვრების ღვიძლი შვილია, მაგრამ რაკი ერთხელ დაიბადება, მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ის თავს უყრის ადამიანებს, აერთებს მათ და თავის დაღს ასვამს მის მშობელ საზოგადოებრივ ცხოვრებას“.

შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გვაკეთოთ: ლიტერატურული ტიპის ჩამოყალიბების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იდეას, რომლითაც უნდა განმსჭვალოს პერსონაჟი, როგორც კონკრეტული სახე. მაგრამ სახის გამსჭვალვა იდეით არ უნდა იყოს გარეგნული, თავზემოხვეული, სახის ბუნებისათვის მიუღებელი. პირიქით, ტიპი თვით უნდა იყოს იმგვარი ხასიათის, რომ იდეა მასში შევიდეს, როგორც მისი ორგანული ბუნება. ვერც ერთი ხელოვანი ვერ განმსჭვალავს ხასიათს ისეთი იდეალით, რომლის ელემენტებიც თვით ტიპში ბუნებრივად არ არის მოცემული.

სწორედ ამიტომ ხელოვნებაში სინამდვილის ასახვა ხდება გარკვეული კანონების მიხედვით. ეს კანონები ობიექტური ხასიათისა არიან და ასახვენ ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესებს. სწორედ ამ კანონების ობიექტურ ხასიათს სწავლობს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა.

ხელოვნების ობიექტური კანონების ცოდნა გვაიძულებს ვთქვათ, რომ სი-

ნამდვილის მიერ შექმნილი ტიპი და ხელოვნებაში მისი ტიპიური წარმდგომით ასახვა არ არის სარკისებური იმედიური აქტი, არამედ რთული, გაორებული, მიხვეულ-მოხვეული აქტია, რომელიც, როგორც ამას ლენინი გვასწავლის, შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის გაფრენის შესაძლებლობას.

მაგრამ ერთია შესაძლებლობა და მეორე სინამდვილე. იმისათვის, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს, საჭიროა მისი მხატვრული შემეცნება. ამ საფუძველზე ხელოვნებაში ასახული ტიპიური სახე ბუნების მსგავსი კი არ უნდა იყოს, არამედ ბუნებრივი. რამდენადაც უფრო ბუნებრივი იქნება, იმდენად ის უკეთ გამოიჩენს თავის ხასიათს ადეკვატური ფორმის მეშვეობით.

ტიპიურის საკითხის ამ სიბრტყეზე დასმა არკვევს პრობლემის მხოლოდ ერთ მხარეს; იმისათვის, რომ იგი ყოველმხრივ გაშუქდეს, საჭიროა ასახვის ლენინური თეორიის შუქზე განვიხილოთ ტიპის ცნება. ასახვის ლენინური თეორია ქეშმარიტად წყვეტს, ერთი მხრით, ხელოვანის დამოკიდებულებას სინამდვილესთან და, მეორე მხრით, ამ სინამდვილეში შექმნილი და ხელოვნებაში ასახულ სახეებთან.

„გულუბრყვილო რეალიზმი“ ყოველი ჯანსაღი ადამიანისა, — წერდა ლენინი მახისა და აენარჩისის წინააღმდეგ, — რომელიც არც სულით ავადმყოფთა სახლში დაუყვია და არც ფილოსოფოს იდეალისტების სკოლა გაუვლია, იმაში მღვთმარებობს, რომ საგნები, გარემო, სამყარო არსებობს ჩვენი შეგრძნების, ჩვენი ცნობიერების, ჩვენი „მე“-ს და საზოგადოდ ადამიანის დამოუკიდებლად. სწორედ ის ცდა (ამ სიტყვის არა მახისტური, არამედ ადამიანური მნიშვნელობით), რომელმაც ჩვენ შეგვიქმნა ურყევი რწმენა, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობენ სხვა ადამიანები, და არა უბრალო კომპლექსები

ჩვენი შეგრძნებისა — მაღალი, დაბალი, ყვითელი, მყარი და ა. შ. სწორედ ეს გამოცდილება ჰქმნის ჩვენ რწმენას, რომ ნივთები, სამყარო, გარემო ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობენ. ჩვენი შეგრძნებანი, ჩვენი ცნობიერება მხოლოდ სახეა გარგვანი სამყაროსი, და თავისთავად გასაგებია, რომ ასახულობა არ შეიძლება არსებობდეს ასახულის გარეშე, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად. კაცობრიობის გულბრყვილო რწმენის მატერიალიზმი შეგნებულად უდებს საფუძველს თავის შემეცნების თეორიას¹.

აქ ერთი კითხვა წამოიჭრება: რა მიმართებაშია გამოხატულება, ასახულობა — ასახვასთან, მოდელთან? ლენინი ამის გამო წერს: „აუცილებელია, რომ გამოხატულება სავსებით ვერასოდეს ვერ შეედრება მოდელს, მაგრამ ერთია გამოხატულება, მეორეა სიმბოლო, პირობითი ნიშანი. გამოხატულება აუცილებლად და გარდაუვალად გულისხმობს „გამოხატვის“ ობიექტურ რეალობას“.

ლენინის ეს თვალსაზრისი რადიკალურად უარყოფდა ბურჟუაზიული ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი პრინციპისა, რომლის მიხედვით ხელოვნებაში ასახული ტიპი მხოლოდ სიმბოლოა, პირობითი ნიშანია, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგობაა რეალურად მოქმედი ადამიანების სულიერი ცხოვრებისა.

ლენინი ამასთან ერთად ებრძვის მექანიკური მატერიალიზმის წარმომადგენლებს, რომელთა ესთეტიკური თვალსაზრისი იმ გაგებიდან გამოდის, რომ ხელოვნებაში ასახული ინდივიდუმი მსგავსია სარკისებური ალბედიისა. ხელოვნებაში ასახული მსგავსი უნდა იყოს რეალურად მოქმედი ადამიანისა. „(ადამიანის) ჰკუის მიდგომა, — წერდა ლენინი, — ცალკეული ნივთისადმი, მისი ტეიფარის (ცნების) გადა-

ლება არ არის უბრალო, სარკისებური-მკვდრული აქტი, არამედ რთული, გაორებული, მიხვეულ-მხმვლური სპექტი, რომელიც შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის გაფრენის შესაძლებლობას: ეს კიდევ ცოტაა: აბსტრაქტული ცნების იდეის ფანტაზიად (საბოლოო ანგარიშით — ლმერთად) გადაქცევის შესაძლებლობის. ვინაიდან ყველაზე მარტივ განზოგადოებაშიც, ყოველად ელემენტარულ ზოგად იდეაში... არის ფანტაზიის ერთგვარი ნაგლეჯი“. „ფანტაზია, უალრესად ძვირფასი ნიჭია. ტყუილად ფიქრობენ, რომ იგი პოეტისათვის არის საჭირო. ეს სულელური ცრურწმენაა. მათემატიკაშიაც კი საჭიროა იგი. დიფერენციალურ და ინტეგრალურ გამოანგარიშებათა აღმოჩენაც კი შეუძლებელი იქნებოდა უფანტაზიოდ. ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა“¹.

ლენინის მოძღვრების თანახმად, მოვლენათა ცნობიერებაში ასახვის დროს ჯანსაღი ფანტაზია აძლიერებს, აცხოველებს, აზოგადოებს, კონკრეტულიდან ტიპიურობისაკენ წარმართავს აზროვნებას და ამით მას ანიჭებს ჰეგმარიტეტასთან დაახლოებისა და მასში ჩაწვდომის უნარს. „მთავარი აქ ის არის, — წერდა ლენინი, — რომ მოვლენების ქვეყანა და თავისთავად არსებული ქვეყანა არის მომენტები ადამიანის მიერ ბუნების შემეცნებისა, არის საფეხური, გაღრმავება და ცვალებადობები შემეცნებისა... აზროვნება შემეცნების შენებისას კონკრეტულიდან ადის აბსტრაქტობამდე და მსვლელობის დროს ის ჰეგმარიტეტას კი არ შორდება, არამედ ჰეგმარიტეტასთან მიდის: აბსტრაქციები გამოხატავენ ბუნებას უფრო ღრმად, სწორად და უფრო მთლიანად „აზროვნება, როცა იგი კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ მიიმართება, კი არ შორდება, თუ ის

¹ ვ. ი. ლენინი, ლიტერატურის შესახებ, 1945 წ. გვ. 4, 5.

სწორია... ქეშმარიტებას, არამედ უახლოვდება მას“.

მარქსისტულ-ლენინური გაგებით, იდეოლოგიური ცნებების ანალიზისათვის არ შეიძლება გამოყენება არც მიკროსკოპის და არც ქიმიური რეაქტივებისა; ორივეს მაგივრობა აბსტრაქციის. ძალამ უნდა გასწიოს. თუ ეს ითქმის იდეოლოგიური ხასიათის ცნებების მიმართ, მით უფრო ითქმის ტიპისა და ტიპიურის მიმართ, რომელიც „ყველაზე მეტი სისრულით და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს“ და ამავე დროს „სრულიადაც არ ნიშნავს, რღაც სტატისტიკურ საშუალოს“, „რაც მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს, რაც ყველაზე გავრცელებულია, ხშირად შეორდება, ჩვეულებრივია“.

ამრიგად, ასახვის ლენინური თეორიის შექმნე კარგად ჩანს შემოქმედის, მწერლის ფუნქცია. ეს ფუნქცია განსაზღვრულია რეალური ცხოვრებით. რეალური ცხოვრება არის საფუძველი ხასიათის არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებისა. მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას, მათს სწრაფვას, მათს მიზნებს.

ამის შესანიშნავი დადასტურებაა ლევ ტოლსტოის მეგობართან საუბრის ჩანაწერი. მეგობარი ეუბნება ტოლსტოის: „ამბობენ, რომ თქვენ ძლიერ მკაცრად მოექცეით ანა კარენინას, აიძულეთ ის თავისი სიცოცხლე დაემთავრებინა ვაგონის ბორბლებქვეშ მხოლოდ იმის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს არ შეეძლო მუდამ მონა-მორჩილად მჯდარიყო ალექსეი ალექსეევიჩთან“. ტოლსტოიმ გაიღიმა. ეს შესედულება — ამბობს ტოლსტოი, — მე მაგონებს ამბავს, რომელიც შეემთხვა პუშკინს; ერთხელ მან რომელიღაც თავის მახლობელს უთხრა: წარმოიდგინეთ, რა მოხერხებულად გამისხლტა ხელიდან ტატინა! მე კი მისვან არაფრით არ მოველოდი ამას. იგივე შემთხვევა გავიმეორე ანა კარენინას

მიმართ. საერთოდ, ჩემი გამოცემა აქეთებენ ზოგჯერ ისეთ რაჭყყე რაჭყდაც მე სრულიად არა ვფიქრობდი; ისინი აქეთებენ იმას, რაც უნდა კეთდებოდეს ცხოვრებაში ნამდვილად და როგორც ეს ხდება ხოლმე ცხოვრებაში, და არა ისე, როგორც მე მსურს“.

ყოველი კონკრეტული გარემო, რომელშიაც აღამიანი ცხოვრობს, მის წინაშე აყენებს გარკვეულ ამოცანას. ამ ამოცანის გადაწყვეტა აღამიანს იმდენად შეუძლია, რამდენადაც უკეთ იცის ობიექტური კანონები, რომლებიც ცხოვრებაში მოქმედებენ აღამიანის ნების დამოუკიდებლად. იმისათვის, რომ მწერალმა შეძლოს სრულყოფილი ტიპის შექმნა, ის უნდა დაეყრდნოს სინამდვილეს, როგორც შემოქმედების ქეშმარიტ წყაროს. მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ ხელოვანი დაკმაყოფილდეს ამ მომენტის მხოლოდ ზაზგასმით. რეალურ ცხოვრებას, როგორც გვასწავლის ი. სტალინი, აქვს ორი მხარე: შესაძლებლობა და სინამდვილე. შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე. მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს, იმ კანონების შემეცნებაა საჭირო, რომლებიც აღამიანის ნების დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესებს ასახავენ. სწორედ ამ სიბრტყეზე უნდა დაიხვას საკითხი განზოგადების დიადი პრინციპის შესახებ ხელოვნებაში. ამ პრინციპის გარეშე არ არსებობს ტიპიურის ცნება; მაგრამ ეს შეეხება არა მარტო ტიპს, არამედ ამბავსაც, რომელიც ცხოვრებისა და ტიპის ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს.

მარქსისტულ-ლენინური გაგებით, თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას აღამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობაში. ამ ურთიერთობის გარეშე აღამიანს არ შეუძლია ყოფნა და ამ ნიადაგზე ის მოქმედებაში მოდის. მოქმედება კი

კონფლიქტების საშუალებით ამზეურებს ადამიანის შინაგან ვენებებს, სურვილებს, იდეებს. კონფლიქტებისა და კოლიზიის საფუძველზე წარმოშობილი ინდივიდუალური სულიერი ცხოვრება ხელოვნებაში აისახება განზოგადების პრინციპის დაცვის საფუძველზე. განზოგადების პრინციპი ხელოვნებაში დახატულ სახეს ანიჭებს ტიპურის მნიშვნელობას. ტიპური კი გამორიცხავს მსგავსებებს ტიპსა და რეალურად არსებულ ინდივიდუალს შორის. ეს კანონი უფლებას ანიჭებს ტიპს — ჩადგეს ბუნების მიერ შექმნილ ადამიანთა შორის და იქცეს თაობათა აღზრდის მძლავრ საშუალებად.

მაგრამ ლიტერატურისმცოდნეების ერთი ნაწილი, რომელიც ახლაც იმეორებს თავის მცდარ შეხედულებას ტიპისა და ტიპიურობის შესახებ, სერიოზულად ამტკიცებს, რომ განზოგადების პრინციპი, რომელიც არსებითად ხელოვნების სულს შეადგენს, უკუგდებული უნდა იქნესო. განზოგადება თითქოს არ არის საჭირო, რადგანაც ზოგად მნიშვნელობამდე აყვანა თითქოს მიუღებელია სოციალისტური რეალიზმისათვის. მათ დაჰგმეს უარყოფითი პერსონაჟის ტიპიურობის დონემდე აყვანის ტენდენცია. მათივე აზრით, შესრულება ხელოვნებაში ყოველთვის იმ იდეალზე განუზომლად დაბლა დგას, რომელიც მხატვრის წარმოსახვაში არსებობს, ხოლო თვითონ ეს იდეალი არაფრით არ შეიძლება აღემატებოდეს იმ ცოცხალ ადამიანებს, რომელთა ნახვის სურვილი მხატვარს ჰქონიათ. ამგვარ მსჯელობაში ლიტერატურისმცოდნეთა ერთი ნაწილის მიერ დავიწყებულია ლენინისა და სტალინის აზრი ფანტაზიის გაქანების შესაძლებლობის შესახებ და იმის შესახებ, რომ მწერალი არის ადამიანის სულის ინჟინერი. ადამიანის სულის ინჟინერობა მწერალს ანიჭებს უფლებას იყოს არა დაგერეოტიპის გამკეთებელი, არამედ შემოქმედი, თუკი ჩვენ დავიჯე-

რებდით იმას, რომ ოთარაანთ ქვრივი დაბლა დგას მის რეალურად არსებულ პროტოტიპზე, ჩვენ დავკარგავდით ნდობას არა მარტო ოთარაანთ ქვრივისადმი, როგორც განზოგადებული სახისადმი, არამედ დავკარგავდით აგრეთვე რწმენას ხელოვნების ძლიერებისადმი ადამიანის ცხოვრების გარდაქმნისა და თაობების იდეური აღზრდის საქმეში.

ხელოვნების განუზომელი მნიშვნელობა განზოგადებაშია და არა რეალურად არსებული ადამიანის პორტრეტულ განმეორებაში. ამ აზრის მოწინააღმდეგენი გაკვირვებით კითხულობენ: როგორ, ნუთუ ცოცხალი სახე არაა მშვენიერი, ხოლო პორტრეტზე გამოსახული, ან დაგერეოტიპზე გადაღებული — მშვენიერია. და განა საკითხის ამგვარი, არსებითად მეტაფიზიკური, დასმა ხსნის რაიმეს? რა თქმა უნდა, არა. მან მხოლოდ გაუგებრობა შეიძლება წარმოშვას. არც პორტრეტი და, მით უფრო დაგერეოტიპი, არ ჩაითვლება ხელოვნების ჰუმარტივი ნიმუშად, და მათ არცა აქვთ ამგვარი პრეტენზია. პორტრეტი და დაგერეოტიპი იძლევა მსგავსებას მხოლოდ გარეგნულში ან, უკეთ, ფიზიკურ მსგავსებას. იქ არა ჩანს სული, რომლის ინჟინერსაც მწერალი წარმოადგენს. არსებულ ის მსგავსება და მსგავსება ხელოსნობაა და არა ხელოვნება. ხელოსანს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე საქმე აქვს არა ადამიანის სულთან, არამედ მის შედეგთან; ის კი არ განიცდის, არამედ სხვის მიერ უკვე განცდილის ფიზიკურ მოქმედებას გამოხატავს გარეგანში. ხელოსანი, როგორც სტანისლავსკი ამბობს, კი არ ცხოვრობს ხელოვნებაში, არამედ ცხოვრობს, ადამიანურ გრძნობებსა და სახეებს შიგნით. შემოქმედებით პროცესი კი ყოველთვის თხოულობს მწერლის, ხელოვანის ვირტუოზობის განუსაზღვრელობას, რადგანაც არ არსებობს მისი სისრულის საზღვარი.

სწორედ ამ ფონზე ხელოვანის წინაშე ისმება კითხვა: რომელი ახალი მხრიდან აშუქებს ცხოვრებას და რომელი ახალი ტიპით გამოხატავს მას? მაგრამ ვიდრე ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, ერთი საკითხი უნდა გაირკვეს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ტიპიურობის ცნების მარქსისტული გაგებისათვის.

ლიტერატურის მცოდნეობის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ტიპების სიღარიბეს, მათ სქემატურობასა და უსიცოცხლოებას, რომელსაც ზოგჯერ მიმზიდველობა დაუკარგეს ახალ ტიპებს საბჭოთა მკითხველის თვალში, მიეწერება იმ ხერხებისა და საშუალებების ამოწურვას, რაც თითქოს განსაზღვრული რაოდენობით გააჩნია ხელოვნებას, როგორც სინამდვილის ასახვის ფორმას. ეს თვალსაზრისი მცდარია, ერთი მხრით, იმიტომ, რომ მხატვრული ხერხები და საშუალებანი კი არ განსაზღვრავენ ტიპის სულიერი ცხოვრებას, არამედ თვით ტიპის სულიერი ცხოვრება განსაზღვრავს მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს. რეალური ცხოვრება გულუხვია ახალი ტიპების წარმოსაქმნელად. ძველისაგან განსხვავებით, ახალი დრო ყოველთვის თავის შესატყვის ტიპებს აყენებდა ხელოვნების ცენტრში. ყოველი ახალი თაობა თავისი თავის განსხვავლებას ნაწარმოებში ამ თაობიდან წარმოშობილი ტიპის მეშვეობით ახერხებდა. ი. სტალინის განმარტებით, ყოველი დროის ცხოვრებაში არის ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ახალი ებრძვის ძველს, ძველი კი აგრე ადვილად არა სთმობს თავის პოზიციებს. ცხოვრების ლოგიკის ძალით, ახალი იმარჯვებს ძველზე და ძველი ადგილს უთმობს ახალს.

ძველისა და ახლის ჭიდილი, მათ შორის კონფლიქტი არის ტიპების წარმომშობი წყარო. რაც უფრო მძაფრი იქნება ხელოვნებაში ასახული კონფლიქტი,

მით უფრო უტკთესად გამოიჩენს თავის თავს ხელოვნების იდეალური

მაგრამ იმისათვის, რამდენად უფრო კუმარითად გამოჩნდეს ტიპიურის ასახვის დროს სიტყვიერ ხელოვნებაში, მწერალი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ ძირითად და ურთულეს ინსტრუმენტს — მხატვრულ ენას.

ასახვის ლენინური თეორიისა და ენის შესახებ სტალინის მოძღვრების საფუძველზე სახისა და ხასიათის პრობლემა წინა პლანზე აყენებს მხატვრული ენის საკითხს. ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს ტიპიურის გაგებისათვის და, იმავე დროს, ის საშუალებას გვაძლევს, ერთი მხრით, მხატვრული ენა გავიგოთ, როგორც სახის სულიერი ცხოვრების გადმოცემის ფორმა, რომელიც თვით ამ სახეს ანიჭებს რეალურად არსებობის უფლებას და, მეორე მხრით, გვეხმარება მწერლის ინდივიდუალური სტილის გაგებაში.

ი. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების შემდეგ ის კი არაა საძიებელი, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხელოვნებასა და ლიტერატურას ბაზისთან, რადგან ეს პრობლემა მარქსიზმშია გადაწყვიტა ერთი საუკუნის წინათ, არამედ ის, თუ რატომ ინარჩუნებს მხატვრული ენა, როგორც სახის გამოთქმის ფორმა, მარადიული მიმზიდველობის ძალას? სახელდობრ: რა ანიჭებს ამ ძალას მხატვრულ ენას და რად ხდება, რომ, მიუხედავად საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლისა და ბაზისების გაქრობისა, მინც მხატვრული ფორმა თავისთავში ააშკარავებს თავის ცხოველმყოფელობას?

ი. სტალინი წერდა: „ამბობენ, ადამიანს თავში აზრები მანამდე ებადება, სანამ ისინი მეტყველებენ გამოითქმეზოდეს, ებადება ენობრივ მასალის გარეშე, ენობრივი გარსის გარეშე, ასე ვთქვათ შიშველი სახითო. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის სწორი. ადამიანის თავში რა აზრებიც უნდა გაჩნდნენ

და რა დროსაც უნდა გაჩნდნენ, მათ შეუძლიათ გაჩნდნენ და იარსებონ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, ენობრივი ტერმინებისა და ფრაზების ბაზაზე. ენობრივი მასალისაგან თავისუფალი, ენის „ბუნების მატერიისაგან“ თავისუფალი „შიშველი აზრები არ არსებობს. „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“ (მარქსი). აზრის რეალურობა ენით მკლავდება¹.

ამრიგად, რაკი ხელთა გვაქვს სტალინის დებულება, რომ აზრი შეიძლება დაიბადოს მხოლოდ სიტყვიერ ბაზაზე, რომ ენა არის აზრის რეალობა, რომ ენა იქცევა სიტყვიერ გარსად აზრისათვის, ჩვენ იგივე დებულება უნდა გვაევერცელოთ იდეისა და ამ იდეისათვის შესატყვისი მხატვრული ფორმის ურთიერთობაზე. ამ პირობებში ნაწარმოების იდეა თავისთავს რეალურად არსებობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ფორმის მეშვეობით. ფორმის ნაკლოვანება წარმოადგენს იდეის ნაკლსაც. ფორმა, როგორც საშუალება, უნდა შეეფარდებოდეს იდეის (მიზნის) ღირსებას. მხოლოდ ჭეშმარიტს ძალქს ჭეშმარიტი წარმოშვას.

იდეების, ემოციებისა და ვნების ადამიანური სამყარო — ერთი დიდი წიგნია, რომლის წაკითხვა ყველას როდი შეუძლია. მისი წაკითხვა, გარდა მხატვრული ინტუიციისა, მოითხოვს სპეციფიკურ აპარატს, რომელიც შემოქმედის ხელში იქცევა ადამიანის სულის აშენების საშუალებად. ამ აპარატს, რომელიც ყველა მხატვრული ხერხების ერთობლიობას შეიცავს, მარქსი უწოდებს გამოთქმის ინდივიდუალურ სტილს. სტილის ხარისხი განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების ღირსებას. ინდივიდუალური სტილის ნიშნები შეიგრძნობა პოეტური ფრაზების წყობაში.

მაინც რა ანიჭებს მხატვრულ სახეს და ხასიათს უკვდავებას? ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების შუქზეა შესაძლებელი. ი. სტალინი გვასწავლის, რომ ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმაა¹, რომ აზრები ადამიანის თავში ჩნდებიან და არსებობენ ენობრივი მასალის ბაზაზე, რომ ენა აზრის უშუალო სინამდვილეა და აზრის რეალობა ენით მკლავდება. ამავე დროს მწერალი არის ადამიანის სულის ინჟინერი, მისი მშენებელი. საკითხავია: რით აშენებს მწერალი ადამიანის სულს? რა ანიჭებს ამ სულს რეალურად არსებობის უფლებას? მხოლოდ მხატვრული ენის მეშვეობით ენიჭება ხასიათს რეალურად არსებობა.

მამასადამე, მხატვრული ენა არის ფორმა, რომლის საშუალებითაც შეიძლება სახისა და ხასიათის ბუნება, მათი თვისება. აქედან დასკვნა: მწერლის მიერ ადამიანის სულის შენების დროს მხოლოდ მხატვრული ენის ადეკვატურობა ამ სულთან ანიჭებს სახეს და ხასიათს უკვდავებას. ადამიანის შინაგანი ბუნება ყოველ ფორმაში კი არ ვლინდება, არამედ აშკარადდება მხოლოდ და მხოლოდ შესატყვის ფორმაში. მხატვრული ენა სიტყვიერი გარსია, რომელშიაც უნდა გაეხვიოს ადამიანის ვნებისა და ემოციების სამყარო.

როგორ გავიგოთ ფორმის ადეკვატურობა ადამიანის ბუნებასთან? როდესაც ტიპის, სახის და ხასიათის ემოციები, მისი სულიერი ცხოვრება ისეთ შესატყვის ფორმაშია მოცემული, რომელიც მკითხველში აღძრავს მსგავს ემოციებს, როგორც გადიდების საშუალებას, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ადეკვატურ ფორმასთან. სწორედ ამ საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სიტყვიერ ხელოვნებაში (პროზა, პოეზია და

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951 წ. გვ. 37.

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები გვ. 19.

დრამა) არ არსებობს გენიალური მხატვრული აზრი უნიკო, უხეირო ფორმაში მოცემული. გენიალურ აზრებს რეალურად არსებობის უფლება ენიჭებათ მხოლოდ შესატყვის ფორმაში. ფორმის ნაკლოვანება, როგორც უკვე იყო აღნიშნული, აზრის ნაკლოვანებაცაა.

მწერალი ადამიანის სულის შენების დროს მასში (ხასიათში, სახეში) ხაზს უსვამს ა დ ა მ ი ა ნ უ რ ს. ადამიანში ადამიანურის მოძებნა არის უმაღლესი იდეალი შემოქმედისა და თუ ეს იდეალი ადეკვატური ფორმით გამოვლინდება, შესატყვისი მხატვრული ენით აღიბეჭდება, ყოველთვის მიმზიდველი ხდება. ამიტომ ჩვენში ყოველთვის აღტაცებას გამოიწვევენ რუსთაველის უცვლადი გმირები, შექსპირის დიდებული სახეები, მაქსიმ გორკის შეუღრეკელი პერსონაჟები.

რაკი მხატვრული აზრებისა და ემოციების სიდიადე მხატვრული ფორმით განიზომება, რაკი სწორედ ეს ფორმა აძლევს მათ რეალურად არსებობის უფლებას, ამიტომ მწერლის მხატვრულ ენას, მის ინდივიდუალურ სტილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახეებისა და ხასიათების დასრულებაში.

აქედან დასკვნა: მხატვრული ენა არის სიტყვიერი ხელოვნების ნაციონალურა ფორმა, ისევე როგორც ფერი მხატვრობაში და ბგერა მუსიკაში ხდება მათ ნაციონალურ ფორმად. თავისთავად მხატვრული ენა უნდა იყოს ჰარმონიული, მშვენიერი, კეთილზმოვანი, სასიამოვნო სმენისათვის — დიადი აზრის გადმოსაცემად. ჰარმონიული შეთანხმება სიტყვათა შორის წინადადებაში ერთი ძირითადი პირობაა მხატვრული ენისა. მეტაფორა, ეპითეტი, ჰიპერბოლა, ლექსის ვერსიფიკაციის დაუსრულებელი ვარიაციები მხატვრული ენის სამკაულს წარმოადგენენ. ყველა ტექნიკური ელემენტი მხატვრული ენის სტიქიაში შედის, როგორც ადამიანის

სულის აშენების მასალა.

იბადება კითხვა: არიან თუ არა ერთმანეთის იდენტური მხატვრული ენა და მხატვრული ფორმა? სტალინის მოძღვრების შექმნე, როგორც ზემოთ იყონათქვამი, აზრის რეალურობა ენით მელავნდება, რომ ენა აზრის უშუალო სინამდვილეა, აზრი ეხვევა შესატყვის სიტყვიერ გარსში და ამ გზით რეალუბად იქცევა.

იგივე შეიძლება ითქვას მხატვრულ ენაზე. სიტყვიერ ხელოვნებაში (პროზა, პოეზია, დრამა) მხატვრული ენა იქცევა სახის ან ხასიათის სიტყვიერ გარსად, ფორმად. ხასიათის სულის შენება მხოლოდ მხატვრული სიტყვის მეშვეობით შეიძლება. რაც შეეხება ხელოვნების სხვა ფორმებს (მუსიკას, მხატვრობას, ჭანდაკებას, არქიტექტურას), თავიანთი სპეციფიკური ბუნების გამო ისინი განსაზღვრული არიან ბგერებით, ფერით, ფიგურით, ხაზით. ამრიგად, სიტყვიერ ხელოვნებაში მხატვრული ენა იდენტურია მხატვრული ფორმისა და მათი ერთმანეთისაგან დაცილება მხოლოდ აბსტრაქტულადაა შესაძლებელი.

სად არის ჩამარხული მხატვრული ენის ფესვები? როგორც სტალინის მოძღვრებიდან ვიცით, ენის ძლიერებას განსაზღვრავს ლექსიკური შემადგენლობის სიმდიდრე, მისი სიუხვე. ცნობილია, რომ ძალიან მდიდარი ლექსიკა ჰქონდა შექსპირსა და ტოლსტოის, ასეთივე მდიდარია შოთა რუსთაველის ლექსიკაც. მხატვრული ენის სტიქია ორგანულ კავშირშია ენის ლექსიკურ შემადგენლობასთან. მაგრამ ენის ლექსიკური შემადგენლობა უმოქმედო ინსტრუმენტად იქცევა, თუკი ხელოვანმა კარგად, ზედმიწევნით არ იცის ადამიანთა სულიერი ცხოვრება, მისი შინაარსი, მისი თვისება. ამ შინაარსის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ადეკვატურობის დამყარება ფორმასა და მიზანს შორის. კიდევ მეტი: შინაარსმა უნდა გასაზღვროს ფორმის შესატყვი-

სობა. მაგრამ რაკი ფორმის ნაკლოვანება ბუნებრივად იწვევს შინაარსის დაზიანებას, ამიტომ ფორმის მოძებნის დროს შინაარსმა უნდა მისცეს მიმართება შემოქმედს იმგვარად, რომ ფორმა არ დაზიანდეს. მიზნისა (შინაარსის) და საშუალების (ფორმის) თანაარსებობა, მათი ორგანული მთლიანობა შეადგენს მშვენიერების იდეალს. ქეშმარიტ ლიტერატურულ ძეგლში მხატვრული ენა წარმოადგენს სახისა და ხასიათის ორგანულ ნაწილს. მათი გათიშვის შედეგად კვდება არა მარტო სახე, კვდება მთელი მხატვრული ქსოვილი. ამიტომ მხატვრული ფორმის ძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხასიათის სრულყოფის საქმეში. ფორმის ძიება ფორმალისში როდია. ფორმის აბსტრაქტული ძიება, რომელიც ახირებული ფანტაზიის შედეგს წარმოადგენს და რომელიც დაკლილია ცოცხალი შინაარსისაგან, მართლაც ფორმალისშია. მაგრამ იმგვარი ფორმის ძიება, რომელსაც თხოულობს შინაარსი, როდესაც მიზანი და საშუალება ერთმანეთისაგან გათიშული კი არ არიან, არამედ წარმოადგენენ ორგანულ მთლიანობას, არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებელიცაა. სტალინის მოძღვრების შექმნე, ხელოვნებაში არ არსებობს ახალი შინაარსი ახალი ფორმის გარეშე და ახალი ფორმა ახალი შინაარსის გარეშე.

ამრიგად, სიტყვიერ ხელოვნებაში მხატვრული ენა წარმოადგენს მხატვრულ ფორმას. მაგრამ საკითხავია: რა საშუალებითაა შესაძლებელი ამ ფორმის მოძებნა პოეზიაში, პროზაში, დრამაში? ჩვენ იმ აზრს ვიზიარებთ, რომ ლიტერატურისმცოდნეობა იმისათვის კი არ ზრუნავს, რომ ხელოვნათ შემოქმედების წესები და კანონები დაუწესოს, არამედ მისი მოვალეობაა, ყოველგვარი წესების მიცემის სურვილების გარეშე, განმარტოს, შეაფასოს, ახსნას, თუ რა არის მხატვრული ფორმა საერთოდ და როგორ ამკარავდება იგი

ნაწარმოებში. ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ ტიპური ხასიათების დროს.

გ. ბ. ლ. ი. თ. ე. ე.

ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი პოემაში, პროზაში, დრამაში თავისი ფორმით ეპიკურია, მაგრამ პოეტურ ეპოსს მაინც გააჩნია თავისი სპეციფიკა ამ საქმეში. თავისებური სპეციფიკის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ პოეტურ ეპოსში გმირის ხასიათის გარეგანი გამოვლენა ხდება სიტყვათა ისეთი კომპლექსით, რომელსაც მუსიკალური ელერადობა გააჩნდა; მას აქვს თავისი რიტმი და რითმი, რაც ნაწარმოებს ახალ თვისებას ანიჭებს. მაგრამ პოეტი თავისთავს ვალდებულად თვლის სიტყვათა რთულ ქსოვილში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არა მარტო გმირების ემოციურ სამყაროს, გარეგანში გამოვლინების ფორმას — ტემპერამენტს, სიტყვათა პოეტურ შეხამებას, მუსიკალურ ელერადობას, რითმსა და რიტმს, არამედ ცდილობს დაამყაროს მხატვრული სიტყვის ადეკვატურობა შინაარსთან. ეს იმიტომ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში მიზანი (შინაარსი) და მატერიალური საშუალებანი (სიტყვიერი მასალა) მიზნისა, ერთმანეთთან ორგანულად არიან შერწყმულნი.

სიტყვიერ ხელოვნებაში მხატვრული ენის ლექსიკური ფონდი მდიდრდება ყოველდღიურად ზალხის სალაპარაკო ენიდან შესული სიტყვიერი მარაგით, მაგრამ ნამდვილი მწერლისათვის ლექსიკური ფონდი მაინც უკმარია. საჭიროა სიტყვათა შეერთების ისეთი კომბინაციები, რომლებიც სიტყვას ყოველწინადადებაში ახალ ელვარებას მიანიჭებდა. ისე როგორც სპექტრის შვიდი განსაზღვრული ფერი ბუნებაში ხელს არ უშლის ფერწერის ოსტატებს — შექმნან ფერების განუსაზღვრელობა კომბინაციების გზით, ისე როგორც ბუნებაში არსებული მუსიკალური ბგერის შვიდი ძირითადი ნოტი ხელს არ უშ-

ლის გენიალურ მუსიკოსებს შექმნან სიუჟე მუსიკალური ბგერებისა — იმავე კომბინაციების გზით, ასევე სიტყვიერი ხელოვნების ოსტატებს განსაზღვრული ლექსიერი მარაგი ხელს როდი უშლის მიაღწიონ განუსაზღვრელობას.

ყოველი ტიპური ხასიათის ბუნება არის ობიექტური ანარეკლი რეალური ცხოვრებისა მხატვრულ ფორმაში. ყოველი დრო, აყენებს ახალ ტიპს ახალი შინაარსით. ახალი ადამიანი ცდილობს თავისთავს ამ ახალი შინაარსის საშუალებით რეალურად არსებობის უფლება მოუპოვოს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული ფორმის, მხატვრული ენის მეშვეობით. ახალი შინაარსი, ახალი ემოციები და ვნებები სიტყვიერ გარსში გახვევის დროს — სწორედ ამ სიტყვათა კომბინაციების გზით — იქცევიან რეალურად და მკითხველის ესთეტიკური დაკმაყოფილების საშუალებად. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი გარემოს მხატვრული შემეცნება.

ახალი თვალით დანახვა სამყაროსი — აი რა განსაზღვრავს მხატვრის ფუნქციას ფორმის ძიების დროს. მაგრამ ამოსავალი ამ ძიებაში უნდა იყოს არა ხელოვანის სუბიექტური სურვილი, არამედ თვით სახის და ხასიათის რეალური ბუნება.

თუკი ხელოვანს სურს მიზანს მიაღწიოს, მაშინ მისმა სუბიექტურმა სურვილმა კი არ უნდა განსაზღვროს ტიპის მხატვრული ფორმა, არამედ ამ ტიპის ბუნებიდან უნდა გამოვიდეს და შემოქმედებითი პროცესის დროს თვით უნდა გარდაქმნას ხასიათის მსგავსად. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ადამიანის სულის შენების დროს ისეთი მხატვრული ფორმის მოძებნა, რომელიც ადეკვატურია ამ სულისა.

•••

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის გადაწყვეტი-

ლებანი "შთაგონებულია სტალინის" გენიალური შრომით — "სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრკ-ში".

ამავე ყრილობაზე გ. მალენკოვის მოხსენებაში დასმული და გადაწყვეტილი ლიტერატურული პრობლემები განვითარების გზას უჩვენებენ ლიტერატურის მუშაებს, აიარაღებენ და განმსკვლავენ მათ სოციალისტური სინამდვილის ღრმად შეცნობის თვალსაზრისით.

სოციალისტური რეალიზმი, როგორც საბჭოთა მწერლის ესთეტიკური მსოფლმხედველობა, განსაკუთრებით აყენებს ტიპურობის პრობლემას. იგი უკუაგდება საბჭოთა ლიტერატურის მკოდნების ერთ ნაწილში გაბატონებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ტიპური წარმოდგენს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით, "ტიპურია არა მარტო ის, რაც ყველაზე უფრო გავრცელებულია, არამედ ისიც — რაც ყველაზე მეტი სისრულით და სიმახელით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს" (მალენკოვი).

სოციალისტურ რეალიზმს, რომელიც ასახავს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტურ პროცესს, ტიპურის ცნების გაგებამდე აჰყავს არა მარტო დადებითი გმირი, არამედ უარყოფითი პერსონაჟიც. ამ ორი ძალის მძაფრი კონფლიქტი ბუნებრივად იწვევს უარყოფითი პერსონაჟის დამარცხებას დადებითი გმირის გამარჯვების მეშვეობით.

ტიპურის მარქსისტულ-ლენინური გაგება კატეგორიულად უარყოფს ტიპის გამოგონებას. რაც უფრო ღრმად სწავლობს მწერალი ცხოვრებას, მით უფრო ბუნებრივია მის მიერ ხელოვნებაში ასახული ტიპი.

ასახვის ლენინური თეორია კემპარიტად წყვეტს, ერთი მხრით, ხელოვანის დამოკიდებულებას სინამდვილესთან და, მეორე მხრით, ამ სინამდვილეში შექმ-

ნილ და ხელოვნებაში ასახულ ტიპურ სახეებთან. თავისთავად ამგვარი ასახვა, როგორც ლენინი ამბობდა, არ არის სარკისებური-მკვდარი აქტი.

ასახვის ლენინური თეორიისა და ენის შესახებ სტალინის მოძღვრების საფუძველზე ტიპურის პრობლემა წინა პლანზე აყენებს მხატვრული ენის პრობლემას. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტიპურის გაგებისათვის;

ამვე დროს, იგი საშუალებას გვაძლევს მხატვრული ენა გავიგოთ როგორც ტიპის სულიერი ცხოვრებების ფორმალური სახეს ანიჭებს რეალურად არსებობის უფლებას.

სიტყვიერ ხელოვნებაში (ეპიკურ ფორმაში) ტიპი ძირითადი საშუალებაა, რომლითაც საბჭოთა მწერალი სინამდვილეს ასახავს მხატვრულ ფორმაში.

გამორჩენილი გერმანელი პოეტი და მოქალაქე

მისი მკითხველის გარდაცვალების გამო.



გარდაიცვალა ერის ვაინერტი. მშვიდობისათვის მებრძოლმა მსოფლიომ მისი სახით დაკარგა მგზნებარე ტრიბუნი, საბჭოთა ხალხებმა — უმწიველო მეგობარი, ხოლო გერმანელმა ხალხმა — დემოკრატიისთვის თავდადებული პოეტი, რესპუბლიკის მშენებელი.

მადრიდისა და სტალინგრადის გმირი, მგზნებარე პატრიოტი, ავიატორი და ტრიბუნი, მეგობრებისათვის უანგარო და მტრის მიმართ უღმობელი, პოეტი და კომუნისტი ერის ვაინერტი არასოდეს არ იხრია ქველ საფრთხის წინაშე, თავისუფლებისათვის ბრძოლის ნათელ გზაზე მან არ იყოლა შიში და ყოყმანი. გერმანიის ფაშისმთან ბრძოლის მძიმე დღეებში, როცა ხალხთა თავისუფლების ციხესიმაგრეს — მოსკოვს საფრთხე წისლად მოაწვა, ვაინერტი არა მარტო განაგრძობდა სიტყვით და მახვილით ბრძოლას, არამედ ათასობით თანამემამულეს ამზნებდა, თვალს უხელდა გერმანელ ჯარისკაცებს, მოუწოდებდა გერმანელ ხალხს დაეშო პიტლერის სისხლიანი დექლარაცია, შეეწყობა ბრძოლა მშვიდობის სიმაგრის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლის საბოლოო გამარჯვება მას მტკიცედ სწამდა.

...იგი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პოეტის ბიოგრაფია ისეთივე მღვდელურ და მრავალფეროვანია, როგორც მისი რევოლუციური ლირია. ის არ იყო კაბინეტის პოეტი, მისი შემოქმედებითი გზა, პოეტური შემეკიდრეობა და ბიოგრაფია განუყოფელი და მთლიანია.

ვაინერტი დაიბადა 1890 წელს, მაგდებურგში. მამა პროფესიით ინჟინერი იყო, რწმუნით სოციალ-დემოკრატი, შემგავი — კომუნისტი.

1914 წელს ახალგაზრდა პოეტი არმიამი გაიწვიეს. იმათივე დღიწყო მან ბრძოლა უაზრო სისხლისღვრის წინააღმდეგ და 1915 წელს დაუკავშირდა სამხედრო ავანტურებით გატაცებულ გენერლებს წინააღმდეგ მებრძოლთა წრეებს. ასე რომ, ვაინერტს ირბი მსოფლიო ომის წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა.

როგორც ცნობილია, 1918 წლის რევოლუციამ გერმანიაში ვერ შესწლო ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა.

თავის პირველ მგზნებარე რევოლუციურ ლექსებსა და სატირებში, რომლებიც 1919 წლიდან ქვეყნდებოდა, ვაინერტი გამოხატავდა პროტესტს ბურჟუაზიული „ცივილიზაციის“ სივალბეთა წინააღმდეგ. უკვე მამინ იგრძნობოდა ვაინერტის, როგორც სატირიკოსის, ძალა. შემდეგ მისი სატირა კიდევ უფრო მკვეთრი და უღმობელი გახდა. ვაინერტმა ახალი სიმკვეთრე, მტტი პირდაპირობა მისცა პინესეულ სატირას, გახდა ის მასრ იარაღად თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხელში.

1922 წლიდან ზელსუფლემის სათავეში ფაშისტების ჩადგომამდე ვაინერტი ბერლინში ცხოვრობს და აქტიურად მონაწილეობს რევოლუციურ პრესაში. 1923 წ. ის შევიდა გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში, ამასთან ის გახდა მისი ტრიბუნი და დაუცხროველი პროპაგანდისტი. მან მალე მოიხვეჭა პოპულარობა თავისი მგზნებარე ლექსებითა და გამოხველებით მასობრივ მიტინგებზე, კრებებზე, დემონსტრაციებზე, კონგრესებზე... მას არ ეშინოდა, როცა სამარცხეინო ბოძზე აკრავდა ნოსკეს მსგავს გამცემლებს, თავს ესხმოდა ვულჰე ვანდარმებს, იცავდა საბჭოთა კავშირს იმპერიალისტთა ლაქიების ყოველგვარი გამოზღოვისაგან. პოეტს ჯერ კიდევ ფაშისტების მოსვლამდე ემუქრებოდნენ, სდევნიდნენ, მაგრამ მან გაბედულად გამოუშვა პოლიტიკური ლექსების ორი კრებული „ბალაგანი“ (1925) და „ერის ვაინერტი ლპაჩაკობს“ (1930). ამ წიგნებმა ასახელეს ვაინერტი, როგორც პოეტი და რევოლუციონერი. ყოველი მისი ლექსი, ყოველი ფრაზაც კი გამართლებდა მისივე დევიზის: „ჩვენი ზელოვნება იგებულა მხოლოდ ერთ ნოტზე: რევოლუცია“. ფაშისტებმა ძალადუღობის ხელში ჩაგდებისთანავე იგრძნეს საფრთხე, რასაც მთ უქმნიდა ამ „რევოლუციის ტრიბუნისა“ და „აქტივისტის“ საქმიანობა. რახსტავის ხანძრის შექმე სს-ელები ვაინერტის ბინის კარებს მიაღწენენ. ამ დროს ის შვეიცარიაში ეწეოდა ავიაციას და მის მიხავისფერი ჭირის წინააღმდეგ, რომლის გაძლიერება მსოფლიოს შემდეგში ასე ძვირად დაუჯდა.

შეეცარიდან ის ჯერ საფრანგეთში წაიღო, შემდეგ კი, 1935 წელს, საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. ორი წლის შემდეგ მას ვხვდეთ ესპანეთში, ვეადარაშას ტყვეობში, როგორც გერმანელთა XI ინტერნაციონალური ბრიგადის მებრძოლს. ისე იცავდა ის ნორჩ რესპუბლიკას, რომელსაც შესწირა თავისი ჯანმრთელობის დიდი ნაწილი. ესპანეთიდან ის ჩამოვიდა თავის მეორე სამშობლოში — საბჭოთა კავშირში. თავისი შინაარსიანი ცხოვრების შემდგომი ნაწილი მან მოახმაზა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ყველა ჯურის ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომში ვაინერტმა საბოლოოდ უკვდავყო თავისი სახელი, როგორც პოეტმა და მებრძოლმა, რომელმაც მთელი თავისი დაუცხრომელი ტემპერამენტი, ნიჭი და ენერჯია გამოიყენა პიტლერინზის წინააღმდეგ ბრძოლაში ზენის ხალხის გამარჯვებისათვის.

ვანსაკუთრებით ისახელა თავი ვაინერტმა სტალინგრადთან გამართულ ბრძოლებში. სტალინგრადის ფრონტზე ის საბჭოთა არმიასთან ერთად იბრძოდა იარაღით ხელში, ესაუბრებოდა ტყვე ჯარისკაცებს, გამოდიოდა მოწოდებებით რადიოში, უშვებდა სააგრიტაციო ფერადებს, ლექსთა კრებულებს და ა. შ.

ვაინერტის მავალითა სანამუშაო იყო უმცროსი ამხანაგებისათვის. საბჭოთა კავშირში მყოფი ემიგრანტი გერმანელი მწერლები — ეილი ბრედელა, ჰედა ცინერი, პეტო პეპერტი და სხვები მას თვლიდნენ მზრუნველ მეგობრად და მსაწავლებლად.

ვაინერტის მიერ ომის პირველსავე წლებში გამოშვებულმა კრებულებმა: „გერმანელ ჯარისკაცებს“ (1942), „ნამღელი მტრის წინააღმდეგ“ (1944) და სხვ. დიდი როლი შეასრულა გერმანელ ჯარისკაცთა გათავისუფლების, მათ მიერ ნაშღელი მტრებისა და კემშარიტი მეგობრების გარჩევის საქმეში. ცნობილი წიგნები — „სტალინი ლაპარაკობს“ (1942) და „მსოფლიო ისტორიის მეორე თავი“ (1947) ვაინერტმა უძღვნა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას.

1943 წ. ვაინერტი აირჩიეს გერმანიის ანტი-ფაშისტური კომიტეტის — „თავისუფალი გერმანიის“ პრეზიდენტად. ამ საპატიო მოვალეობას იგი წლების მანძილზე პირნათლად ასრულებდა.

გერმანიის ფაშისტზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების შემდეგ ვაინერტი სამშობლოში დაბრუნდა. ამიერიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ის მონაწილეობდა ახალი დემოკრატიული გერმანიის მშენებლობაში, როგორც

მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე და ხელკრებ-ბათა აკადემიის წევრი.

ვაინერტის შემოქმედების სტილია რეალისტური, ბრძოლა, სიცოცხლე და თავისუფლება. მისი ძირითადი თემა, როგორც თვითონვე ამბობდა წიგნის „Rufe in die Nacht“ წინასიტყვაობაში, არის ცხოვრება მილიონებისა, რომელთაც არ სურთ შეუბრუნდნენ არაადამიანურ საზოგადოებრივ წესრიგს. ვაინერტის, როგორც მებრძოლი პოლიტიკური პოეზიის ისტორიის, ღირსება ისაა, რომ მისი ლექსის ფორმა უღრესად მომხიბლავია — ხან შემტევი, ნიაღვარული, მომთქარი, ხანაც — სადა, ელასტიკური, მუსიკალური. მისი ლექსების უმეტესობა იმდერება. ამიტომაც ვაინერტს ყველა გერმანელ პოეტზე მეტად ჰაინეს შემდეგ შეეფერება მადლი წოდება: „მომღერალი“. მხვდელი, პოლიტიკური შინაარსის გადმოსაცემად მან იპოვნა მოხდენილი ფორმა, და ის იმთავითვე გახდა მწრომელთა სიყვარულს სუვენირი, რადგან ყოველი მისი სიტყვა „გულშიდან ამოდიოდა“; მწრომელთა განცდებს ის უნახესი ლირიკული სიბოთით გადმოსცემდა, და თავს რისხვის ნიაღვარს ატეხდა მტარვალეებს, ხალხის ჯალათებს. რომლებიც მას სძულდა დამსახურებული სიძულელით.

ვაინერტმა ფაშისტთა თავიდანვე გაიგო, როგორც წყლული, როგორც კიბი, ბნელი ძალა, რომელიც კაცობრიობას უფსკრულში გადაუქაბებდა, ააწიოებდა და აწამებდა, რომ მის გზაზე არ იდგეს საბჭოთა კავშირი, მშვიდობის სიმარტე:

...სანძრის ბოლით ერთხელ კიდევ
გაურჯული მიწის პირი
იქნებოდა კიბით-კიბე
მოხსაპული შავი კიბით,
ჩინჩბი ცივი და მგესლავი
გაველებდა სისხლის ღვარებს,
რომ არ იდგეს ხალ კლდესავით
საბჭოეთი, გმირთა მხარე.

თითქმის ორი ათეული წელია, რაც პოეტის ამ სიტყვების სიმართლე და სიხალე სულ უფროდღეფრო საგარანო ხდება თავისუფლებისმოყვარე, კეთილი ნების აღმამანებისათვის მთელს მსოფლიოში.

გერმანიაში ფაშისტთა ურჯულებების გამატონება მტრთა ეროვნული უბედურება იყო. ეს იყო ნაძირალების ურდო, „ქვეყნის ძალა“, „კუობთა შმორი“, ურჩხული, რამაც მოსვენება დაუკარგა ნაწამზე მსოფლიოს, ახალი ომის აღში გაახვია ის:

ძლიეს სამშვიდობო
გზაზე დაღა კაცობრიობა

მომედ დაბრილი, დაქანცული,
 ღონემხიდილი,
 მკვლელი ეს ისევ
 შეტყაზე გადმოდიოდა,
 რომ დაეთესა სიძულელი,
 სისხლი, სიყვდილი...

გერმანიის მმართველობის სათავეში პიტლერისა და მისი თანაშაზრებების მოსვლა პოეტს დახასიათებული აქვს როგორც შორიკება, რამაც ევროპა სისხლით შორწყო. პოეტის ყოველ სიტყვაში ჩანს ზიზღი და აღშფოთება:

შხაშიან წყალში
 ატიტივდა უხსენებელი,
 ძალაუფლება ხელთ ჩაუვლო
 მკვლელებს, მასხარებს...
 და მოქრებოდნენ,
 იღვტრებინი სისხლიან ცეცით.
 რაც გზაზე დახვდათ,
 მოსპეს, დასწვეს, დასამარეს.

ფაშისტებმა „გერმანია სამარცხვინო ბოძზე გააკრეს“, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობანი აღუმატებინათ თვით ზინგის-ყენის და სხვა მტრ-ვალეების მიერ ჩადენილ ბნელ საქმეებს, მათ ლამის შთელი ევროპა დასწვეს, გაძარცვეს.

ვაინერტი თანმომდევრულად აწარმოებდა ბრძოლას პიტლერობის წინააღმდეგ. 1934 წ. მან გამოაქვეყნა მთელი რიგი მამხილებელი ლექსები. მათ შორის განსაკუთრებით პოპულარულია „ჯონ შეერი და ამხანაგები“. შეერი და სამი სხვა ამხანაგი პიტლერის პირადი განკარგულებით სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს პოტსდამის ახლოს ტყეში. მათ ანგარიში გაუწორეს, რადგანაც არ ვასცეს ამხანაგები, მაგრამ მათი საქმე ცოცხლობს. პიტლერს შეუძლია იღრიალოს და იმსხვერპლოს მებრძოლები, მაგრამ მათს მართალ საქმეს ის ვერ დაასამარებს, — ასეთია ამ ბაღადის აზრი.

როცა პიტლერის არმიები ვერაგულად შემოიჭრნენ საბჭოთა მიწაზე, ვაინერტმა მათ ერთმა პირველთაგანმა შესძახა:

შესდექ, მტარვალა!
 აქ მამებმავე სისხლი დაღვარეს,
 მაგრამ ინანეს —
 მოიგონეთ მათი ჭრილობა!
 თქვენ აქ სამარეს ნახავთ მარტო,
 ღიას — სამარეს!
 წარღვნის ღრუბელი ვერ დაბურავს
 მზეს და მშვიდობას.
 ერთი ჯგალათიც არ დარჩება
 დაუშობელი,
 და ეს იქნება

ხავსმოდებულ ქვეყნის დაბო,
 მაშინ ევროპის მზე ამოვა
 სხივთამთოველი,
 ანუხნუხდება ჩვენს ძალღვეში
 სისხლი ხალისით...
 თავისუფალი მიწის სუნთქვა
 ცხოველმყოფელი
 ხალხების ძმობას დაამშვენებს
 ტურფა მასით

ეს მღელვარე სტრიქონები მრისხანე გაფრთხილებად ისმის დღესაც ყველა გერმანის მტარვალთა მისამართით.

იმამე 1941 წლის ივლისტოში დაწერილ სატირულ ლექსში „იანენა“ ვაინერტმა სწორად განსაზღვრა პარიზელი, ბერლინელი და მოსკოველი დეღების განცდა. მათი ოცნება ერთია: მშვიდობა, მათი ბედი კი სხვადასხვანაირია. თუ მოსკოველი დედა სულღმულობს რწმენით, რომ მეუღლე გმირის შარავანდედით დაბრუნდება, რომ არასოდეს მის მამულში თავისუფლების მზე არ ზავა, პარიზელი დედა ირგვლივ ძარცვარბევას ხედავს, თუმცა ქარის სისხნთან ერთად მასაც ესმის თავისუფლების დროშის შორეული შრილი. ბერლინელი დედაც მთელს იმედს საბჭოთა ხალხზე აყარებს:

სინაჩული მოგვიგონებს,
 ბნელი ჭერის დამამშვენი.
 აბ, ნეტავი მოვიდოდეს
 წითელ დროშით მამამენი!

ეს ოცნება ხუთი წლის შემდეგ ასრულდა. ვაინერტმა ნახა ბერლინში ამოსული მშვიდობის მზე, მანვე ნახა შემდეგი ახალი ომის შექარით მოქმედრული ცა, მაგრამ მას წუთითაც არ დაუკარგავს მტკიცე რწმენა, რომ მშვიდობის სიმარგრე თავისი მრავალმილიონიანი არმიით გაიმარჯვებს, რომ ხალხისათვის ნათელია მმარცველური ომების მთელი უაზრობა.

ამ რწმენით ცოცხლობდა ათეული წლების მანძალზე და ამ რწმენით ზავიდა საფლავში ერის ვაინერტი. მამედ განიცდიდა ის გერმანიის ორად გახლენის ფაქტს, მაგრამ მისთვის უცხო იყო სეედის ვერტერისეული მოტივი. ვაინერტის ღირსება ისაა, რომ სამშობლოს ბედზე წუწუნისა და პასიურობის ნაცელებს ის აქაც მებრძოლის, კომუნისტის სინაღლებზე დარჩა. მის სწამდა ხალხის გამარჯვება და თავის მხრივ ყველაფერს აეთებდა იმისათვის, რომ რურში, საარში, დასავლეთ ბერლინშიც თავისუფლების მზე ესილათ მის ტანჯულ თანამემამულეებს. მომავალი ბედნიერი თაობების წინაშე მუდამ პირნათლად წარსდგება ერის ვაინერტი — პოეტი, ტრიბუნი, მოქალაქე.

ბრიგოლ აბაშიძის საბავშვო პოეზია



დიდი რუსი მწერალი მ. გორკი ბავშვის აღზრდის საქმეში მხატვრულ ლიტერატურას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. გორკი საბჭოთა მწერლებს მოუწოდებდა ლიტერატურის საშუალებით „აღზარდონ ბავშვებში აქტიურობის სულისკვეთება, ინტერესი და პატივისცემა გონების ძალისადმი, მეცნიერების ძიებისადმი, ხელოვნების იმ დიდი ამოცანისადმი, რომ გახადოს ადამიანი ძლიერი და ლამაზი“. საბჭოთა საბავშვო პოეტურ ნაწარმოებს მოეთხოვება აღძრას ბავშვებში ჯანსაღი ემოციები და მიაწოდოს მათ გარკვეული შემეცნებითი მასალა გასართობ ფორმაში. „საბჭოთა კავშირის ბავშვთა ინტელექტუალური და ემოციური აღზრდა, — წერდა მ. გორკი, — იმდენად კარგად, ფართოდ უნდა იყოს დაყენებული და ისე ადვილად ასათვისებელ ფორმაში, რომ ბავშვებმა თავიანთი შემეცნებით, უნარის რაც შეიძლება ნაკლები დაძაბვით რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღონ მსოფლიოსა და თავისი ქვეყნის ცხოვრების შესახებ. ეს სავსებით მისაწვდომია, თუ წიგნები გასართობად, ჰკვიანურად და მარტივად დაწერილი იქნება“. საბავშვო მწერლისათვის გორკის ეს სიტყვები სახელმძღვანელო მითითებას წარმოადგენს.

გრ. აბაშიძის საბავშვო წიგნები სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო. პოეტის საბავშვო ლექსებსა და პოემებში აზრი, იდეა ცოცხალ სურათებშია გაშლილი, ბავშვისათვის სავსებით მისაწვდომ ფორმაშია მოცემული. დიდი

ქართველი პედაგოგი და მწერალი ი. გოგებაშვილი წერდა: „უამბეთ ბავშვებს ცოცხლად და სურათულად, და თქვენ მათს ნორჩ გულში ჩასახვთ ღრმასა და მეტად ნაყოფიერს შთაბეჭდილებასა“. გრ. აბაშიძის საბავშვო პოეზიას სწორედ ეს დებულება უძველეს საფუძვლად. მისი ლექსები და პოემები შთაბეჭდილებას ახდენენ ცოცხალი სახეებით და ნათელი სურათებით. მაგრამ მისი ნაწარმოებების მხატვრული ღირსება მარტო ამით როდი განისაზღვრება. პოეტურ ნაწარმოებში მთავარი ადგილი ადამიანს უკავია. გრ. აბაშიძის პოეზიაში პირველ რიგში სწორედ ადამიანი ჩანს, მასში ასახულია ადამიანის სურვილები, გრძნობები და მისწრაფებები. ლირიკულ პოეზიაში „პოეტის პიროვნება პირველ პლანზე წარმოსდგება, და ჩვენ ყველაფერს მხოლოდ ამ პიროვნების მეშვეობით ვღებულობთ და გავიგებთ“ (ბელინსკი). ეს ეხება საბავშვო პოეზიასაც. გრ. აბაშიძის საბავშვო ლექსებში საბჭოთა ბავშვების სურვილები, გრძნობები და მისწრაფებები გადმოცემულია თვით პოეტის პიროვნების მეშვეობით:

„ალბათ მიხედვით რად მიყვარს
მე ქართლის მზე და ყანები;
იქ დაიბადა სტალინი,
მის აკვანს ვეთაყვანები“.

(„მის აკვანს ვეთაყვანები“). ამ სტრიქონებში გამოხატულია მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის განწყობილება. ღრმა ლირიკული მგზნებარებით შეს-

რულებულ ლექსში პოეტის მიერ კარგად არის გაშუქებული ჩვენი ბავშვების სულის შინაგანი მხარე. სტრიქონები ლექსისა „ქართლის დედა“ მკითხველის მგხსიერებაში რჩება არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ მუსიკალობითაც. ლექსის შინაარსი, რომელიც აღებულია სინამდვილიდან, პოეტის მიერ განზოგადებულია, მასში ჩაქროვილია საკუთარი გრძნობა და განცდა.

ბედნიერო,

ტაბილო დედა,

უდიდესი ქართლის დედა!

შენი შვილის ნათელ მზის ქვეშ

ბრწყინვალე დღე გავითენდა.

საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ თქმული ეს სიტყვები ღრმა აზრს შეიცავს, გამოხატულია პოეტის სული და საბჭოთა ადამიანების სურვილი და განწყობილება. სწორედ ამიტომ იქცა ეს ლექსი საყვარელ სიმღერად. ბელინსკი თავის მეტად საყურადღებო სტატიის — „პოეზიის დაყოფა გვარებად და სახეებად“ — წერდა „...როგორც უნდა იყოს ლირიკული ნაწარმოების იდეა, — ეს ნაწარმოები არასოდეს არ უნდა იქნეს მეტისმეტად გრძელი, არამედ მეტწილად მუდამ ძალიან მოკლე უნდა იყოს“. ეს სიტყვები ყველაზე უფრო საბავშვო ლირიკას ეხება. ი. გოგებაშვილი სავსებით სამართლიანად წერდა: „ბავშვის მოძრავი ბუნება სრულიად ვერ მშვენივრებს დიდხანს შეჩერებას გრძელის, გაქიანურებული პლასტიკური სურათების კითხვასა და გაგებაზე“.

გრ. აბაშიძე ითვალისწინებს ბავშვის ბუნებასა და ხასიათის თავისებურებას. პოეტი თავის საბავშვო ლექსებში ერიდება ამბის გაქიანურებას. ლაკონიური სტრიქონებით იგი ბავშვს აცნობს მათთვის საინტერესო მოვლენებსა და საგნებს. იგი მხატვრული სახეებით უღვიძებს პატარებს კეთილ გრძნობებს, უნერგავს სამშობლოსადმი სიყვარულს და ხელს უწყობს შათს გონებრივ გან-

ვითარებას, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას. პოეტი რომ მშრალი დიდუბით და განყენებულად მსჯელობდეს არ არის გატაცებული, ეს კარგად ჩანს შემდეგს ლექსებში: „ღარიგება ბავშვებს“, „ქართლში ერთი სოფელია“, „გაზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“ და სხვა. ლექსში „ღარიგება ბავშვებს“ ავტორი იძლევა რა მითითებას, სად და როდის უნდა გაერთოს ბავშვი, ამავე დროს, არ უწონებს ტრამეიზე ახტომასა და ჩამოხტომას, შუა ქუჩაში სიარულს და ასე შემდეგ. ამ ლექსში ცოცხლად არის აღწერილი მთელი ის საშინელება, რომელიც ქუჩაში მოძრაობისა და სიარულის წესების დარღვევას მოსდევს. პოეტის მიერ დახატული სურათი შთამაგონებელია, აქაც პოეტი არ დალატობს სინამდვილეს და საბჭოთა პეოზიის ძირითად კანონს — აზრის სიღრმეს. ერთი შეხედვით შეიძლება ეს თემა უმნიშვნელო იყოს, მაგრამ არა, ამ ლექსის ღირსება იმაშია, რომ იგი ბავშვებისაგან დისციპლინას მოითხოვს, მას დადებითი ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება. მხოლოდ ისეთი ლექსი მოახდენს ბავშვზე გავლენას, რომელიც მხატვრული სახეებით არის მდიდარი. უსიუვეტო და საერთო ფრაზებზე აგებული ლექსი ბავშვს არ იზიდავს, ასეთი ლექსებისადმი ბავშვები გულგრილნი და გულციენი არიან. ამიტომ არის რომ პოეტი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საბავშვო ლექსებს. ეს კარგად იგრძნობა ლექსში „ქართლში ერთი სოფელია“. ლექსი აგებულია კონკრეტულ მასალაზე და მას შემცენებითი მნიშვნელობა აქვს. ლექსის მთავარი გმირი მოგვითხრობს, თუ როგორ უღლის მოხუცი მიწურინელი ბალ-ვენახს და როგორ ასწავლის იგი ახალგაზრდა მიწურინელებს მყნობასა და შეჯვარებას. ლექსი შეიძლება ორ ნაწილად გაყოთ. პირველ ნაწილში ვეცნობით ჰილარა მიწურინელის საქმიანობას, მეორეში

კი — იმავე მიჩურინელის შეგირდებს თავისი მისწრაფებებით და ცოდნის შეძენის სურვილით. მაგრამ ყველაფერი ეს ორგანულ მთლიანობაში არის მოცემული. ორივე ნაწილი მტკიცედ არის შეერთებული. ასეთ მთლიანობაშია გამოხატული მიჩურინელთა ცხოვრების, მათი მოღვაწეობის მთელი სიდიადე. ეს ლექსი ჩვენი დროის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. მისი შინაარსი ახალგაზრდა მკითხველს უღვიძებს სურვილს გაეცნოს მიჩურინის მოძღვრებას და ლექსის გმირს მიბაძოს მყნობასა და შეჯვარებაში. მაშასადამე, ამ ლექსს აქვს გარკვეული მიზანდასახულება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გრ. აბაშიძის მთელი საბავშვო პოეზია, მისი ლირიკა და ეპიკო-ლირიკული ნაწარმოებები კონკრეტულ მიზანდასახულებათა აგებული, განათებულია მაღალი და მოწინავე იდეებით.

ისეთი პატარა მოცულობის ლექსებიც კი, როგორცაა, მაგალითად, „გაზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“ აკმაყოფილებენ საბავშვო ლიტერატურისადმი წაყენებულ მოთხოვნილებებს, რადგან მოწყვეტილი არ არის კონკრეტულ სინამდვილეს და მოკლებული არ არის შემეცნებით თვისებებს. მათში ჩვენი ბედნიერი ცხოვრება და სინამდვილე გამოხატულია მართლად და ცოცხალ, მიმზიდველ სურათებში.

ასეთია გრ. აბაშიძის საბავშვო ლექსების საერთო იდეურ-მხატვრული ღირსება.

მაგრამ გრ. აბაშიძე ჩვენი ბავშვებისათვის უმთავრესად ცნობილია თავისი საბავშვო პოემებით. „აეი ღლაეი“, „მეცამეტე გოჭი“, ხუთი გმირი“, „ნაბოლარა წიწილა“, „რატომ არ აქვს კურღლელს კული?“ — ჩვენი ბავშვების საყვარელი პოემებია.

არ იქნებოდა სწორი ამა თუ იმ ჟანრისადმი უპირატესობის მინიჭება.

ბელინსკი თავის წერილში „რუსულ მოთხრობასა და ბ-ნ გოგოლის მოთხრო-

ბებზე“ ამბობდა: „მე არ შევეუდგები იმის გადაწყვეტას, თუ ჰუმორის ან სახეთაგან რომელს უნდა უმეტესად უფრო ტესობა. ასეთი უპირატესობის შესახებ საკითხი ისეთივე უაზრობა იქნებოდა, როგორც საკითხი ოდის უპირატესობისა ელევიაზე, რომანისა — დრამაზე, ვინაიდან ლამაზი ყოველთვის უდრის თავის თავს რა დარგშიც არ უნდა გამოვლინდეს“. ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს ჟანრებს შორის განსხვავება არ არსებობდეს. მაგრამ ყველა ჟანრს ერთნაირი ყურადღება უნდა მიექცეს თითოეული მათგანი საჭირო და სასარგებლოა. ერთი კი უდავოა, რომ დღეისათვის საბავშვო პოემები საგრძნობლად მცირეა. საბავშვო ეპოსის განვითარებას ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს გრ. აბაშიძის პოემები. მათში მოვლენები აღწერილია სადად, ბავშვის სულიერი სამყარო გამოხატულია მკვეთრ სახეებში. როდესაც ბელინსკი ეპიკური პოეზიის არსს განსაზღვრავდა და მის ძირითად თვისებებს აღნიშნავდა, წერდა: „აქ არ ჩანს (ლაპარაკია ეპიკურ პოეზიაზე. ვ. ჯ.) პოეტი; სამყარო, პლასტიკურად გამოკვეთილი, თვითონვე ვითარდება, და პოეტი თითქოს—და უბრალო მოხრობელია იმისა, რაც თავისთავად ხდებოდა“. გრ. აბაშიძის ეპიკური პოეზიის ღირსება სწორედ იმაშია, რომ პოეტი მოვლენებისა და საგნების უბრალო მოხრობელი არ არის, ყოველი მოვლენა მის პიროვნებაშია გარდატეხილი და საკუთარი ხერხით არის გამოხატული. ბელინსკი ამბობდა: ულირიზმოდ ეპოპეა და დრამა მეტისმეტად პროზაული და თავისი შინაარსისადმი გულცივი იქნებოდა“. ასევე ითქმის პოემაზეც. მაგრამ ლირიზმი არ შეიძლება ექცეს პოემის უმთავრეს ელემენტად. გრ. აბაშიძის საბავშვო პოემების დადებითი თვისება ისაა, რომ ისინი პროზაული არ არიან და ამავე დროს ლირიზმის ელემენტები ქარბად

არ არის მოცემული. ზომიერების პრინციპი გრ. აბაშიძის პოემებში საცხებიით დატულია. ამიტომ აქეთ ამ პოემებს საზოგადოებრივი და აღმზრდელი მნიშვნელობა.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია პოემა „ხუთი გმირი“. ამ პოემის იდეა ამეტყველებულია ლამაზ და მოხდენილ სახეებში. რაში მდგომარეობს ამ პოემის მთავარი ღირსება? პირველ რიგში იმაში, რომ იგი ბავშვს აყვარებს სამშობლო მხარეს, მის მთა და ბარს. მაგრამ პოემის ღირსება ამით არ ამოიწურება. ჯონდო საზაფხულო არდადეგებს სოფელში ატარებს. ახალი სოფლის სურათები ქალაქის მოსწავლეზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ჯონდო არა მარტო სოფლის ბუნების სურათებითაა მოხიბლული, არამედ შრომის გმირების ცხოვრებითაც. სოციალისტური შრომის გმირია ჯონდოს ბიძა, მამიდაც გმირია, გმირია თვით ჯონდოს ბებიაც, რომელმაც ქვეყანას ათი შვილი გაუზარდა. აი მიზეზები, რომლებიც ჯონდოს უღვიძებენ სიყვარულსა და ინტერესს შრომისადმი. პატიოსანი შრომა ბედნიერების წყაროა ეს ჯონდოსათვის ნათელი ხდება ხუთი გმირის მაგალითზე.

ავტორმა თავისუფლად შეძლო ჯონდოსა და პატარა მკითხველში შრომისადმი ინტერესის გაღვივება, კარგი ჩვენების დანერგვა. ამრიგად, ეს პოემა ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებას დიდად უწყობს ხელს.

არაბუნებრივი სიტუაციებისა და ფრაზეოლოგიისაგან პოემა საცხებიით თავისუფალია. ჯონდოს მოქმედებასა და მის სიტყვებში სიყალბის ნატამალიც კი არ არის. პოემის კომპოზიცია არ არის რთული. მისი იდეა, კვანძი და შედეგი მოცემულია მთლიანობაში. აქ პოეტური ქმნილების ყველა ელემენტი, რითმა, რიტმი, ლექსიკა ნაწარმოების დედააზრის პლასტიკურად გადმოცემის ამოცანას ემსახურება.

პოემა „ჩვენი ქვეყნის მშენებლები“ კონკრეტულ მასალაზე, კერძო იგი განზოგადოებულია უფრო მსხვერპლად კარგად არის დამუშავებული. ახალგაზრდა მკითხველი მზად არის მიბაძოს აგრონომ თედოს, რომელიც იღვეის ხალხის სასიკეთოდ და ცდილობს შექმნას გამძლე ჯიშში, „რომ არ ექნეს ყინვის შიში“, — ან კიდევ ტრაქტორისტ ნიკას, რომელიც ღრმად ხნავს ტრიალ მინდორს. ამრიგად, პოემის გმირები თავიანთი მოქმედებით აქტიურ გავლენას ახდენენ ბავშვების ფსიქოლოგიაზე. პოემას აქვს შინაგანი დამაჯერებელი ძალა და სიმართლე. პოეტი, კონკრეტული მაგალითებით ნერგავს რა შრომისადმი სიყვარულს, ახალგაზრდობას მხატვრული სახეებით აცნობს, რომ ჩვენს თავისუფალ ქვეყანაში საბჭოთა ადამიანი თავის ცოდნასა და გამოცდილებას მთლიანად ხალხსა და სოციალისტურ სახელმწიფოს ინტერესებს ახმარს. აგრონომი თედო, ტრაქტორისტი ნიკა, მევენახე გიგო, მფრინავი შოთა, ზესტაფონის ქარხნის მდნობელი გივი, სიმანდის უხვი მოსავლის ოსტატი სანდრო, ელმავლის მეშენქანე მიტო და პოემის სხვა პერსონაჟები სოციალისტური საზოგადოების მშენებლები არიან. მათ მოქმედებაში აშკარად ჩანს, რომ ბედნიერების წყარო სოციალისტური შრომაა. ეს არის ნაწარმოების ძირითადი იდეა, რომელიც აკავშირებს პოემის ცალკეულ ეპიზოდებს და პოემას აძლევს ერთ მთლიან სახეს. პოეტი ახალგაზრდობას დამაჯერებელი პოეტური სტრიქონებით შთააგონებს, რომ ჩვენს ქვეყანაში სასახელოა ყველა სახის შრომა: თუ გსურს გახდე ქვეყნის ღირსეული შვილი, შენი მიღრეკილების მიზეზით, აირჩიე ესა თუ ის პროფესია, დაეუფლე მას და, აგრონომ თედოსა და ტრაქტორისტ ნიკას მსგავსად, ემსახურე ხალხსა და შენს საყვარელ ქვეყანას.

ახალგაზრდობის კომუნისტურად აღ-

ზრდის ამოცანებს უპასუხებს აგრეთვე პოემა „ყველაზე ძლიერი“. ამ პოემის ფაბულა არ არის რთული. „თოვს. ხეები დაფარულან, დაფარულა მთა და ველი, ბამბასავით თოვლი მოდის, დალო თითქმის ცხრა მტკაველი“. ასეთ პირობებში მოხდა თოვლის გუნდებით „ბრძოლა“ გაღმა-გამოღმელ ბავშვებს შორის. ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოღმელნი ტყის ნაპირას დაბანაკდნენ, გაღმელებმაც გადაწყვიტეს დასვენება, მაგრამ მოსალოდნელი თავდასხმის ასაცილებლად მზერაეები გაგზავნეს. გოგი და გოჩა „ჩურჩულით და ფეხაქრფით ტყის სიღრმეში გაჩნდნენ მალე, გაუხვიეს სხედასხვა მხრით და ერთმანეთს გაეცალნენ“. სულგანებული მიდის გოჩა, მაგრამ „მტერს“ ვერსად ვერ ხედავს. „დაქანცული ხესთან შედგა, ჩამოჯდა და შეისვენა, დაუსტენია გოგის, მაგრამ, უხმოდ გაქრა ტყეში სტვენა“. გოგის მოლოდინე გოჩამ „ხეზე წყნარად მისდო თავი და უეცრად მიიძინა“. მაგრამ „კბილმტკივანი დათუნია თავს წაადგა მძინარ გოჩას“. დათუნიას „ალერსმა“ გამოაღვიძა გოჩა, როდესაც „მზერაემა“ დათვი დაინახა, შეშინდა და იქვე გულწასული დაეცა. ამ დროს შაშხანამ იგრიალა და ბოლო მოუღო დათვს. ამრიგად, გოგომ იხსნა დათვის კლანჭებისაგან. მან პირველმა დაინახა, მძინარ გოჩას როგორ „ეთამაშებოდა“ დათვი, მანვე აჩვენა მის ყვირილზე მოსულ წითელ ცხენოსანთა რაზმის ჯარისკაცს ის ადგილი, სადაც არხვინად ეძინა გოჩას. თუ არა გოგი და ჯარისკაცის მტკიცე მკლავი, გოჩა დათვის ლუკმა გახდებოდა. დედისა და ექიმის შურუნველობით გოჩა ფეხზე წამოდგა, გაჯანმრთელდა. ძილში გოჩა სულ იმ ჯარისკაცზე ფიქრობდა, რომლის მკლავმა იხსნა იგი სიკვდილისაგან. გოჩა გამოიღვიძებს თუ არა, დედას მიმართავს: — „დედა, ეს რა ხმაურია, რად გუბუნებს მთელი ქუჩა. გადახედა საარკ-

მელს გოჩამ, გადაწია ფარდა შანტად: დაწყობილი მოდიოდა ეტაკზე უსიყვარულ ცხენოსანთა: მოდიოდნენ... მტკიცეებდნენ, თეთრ რაშებზე შემომსხდარნი, გოჩამ იცნო შორიდანვე მისი მხსნელი მეომარი. ხედავს გოჩა ამხდარ სიზმარს, მოდიან და იმღერიან... — ის ყველაზე მტკიცედ მოდის, ის ყველაზე ძლიერია“. ამ პოემაში ვხედავთ, თუ სიფხიზლის მოდუნებას რა მწკვივე შედეგი შეიძლება მოჰყვეს. რა თქმა უნდა, ავტორი სავსებით სწორია, როდესაც ბავშვს თავიდანვე უნერგავს იმ აზრს, რომ თავდაუპერელი გატაცება, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, საზიანოა და შესაძლებელია მოჰყვეს მას პირადი სიციოხლის უშინაარსოდ დაკარგვა. მაგრამ პოემის ღირსება მართა ამით როდღ განისაზღვრება. გოჩა დიდად არის დავალებული საბჭოთა ჯარისკაცისაგან. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ თუ არა ჯარისკაცის მკლავი და შაშხანა, იგი ვერ ასცდებოდა დათვის კლანჭებს. ამიტომ სიზმარშიაც კი იმ ჯარისკაცზე ფიქრობს, რომელმაც იხსნა იგი აშკარა სიკვდილისაგან. რით გადაუხადოს მას პატარა ბავშვმა სამაგიერო, ან როდის უთხრას მადლობა იმ კაცს, რომელიც ავადმყოფობის დროსაც კი მის საწოლთან იჯდა. გოჩას სურს იყოს ისეთივე ძლიერი და მტკიცე, როგორც მისი მხსნელი ჯარისკაცია. გაიზრდება გოჩა და ისიც ისევე მტკიცედ დაიცავს სამშობლოს მიწა-წყალს. მაშინ ხომ ვალმობილი იქნება, მაშინ ხომ გაბედულად ეტყვის ჯარისკაცს, რომ მე თქვენსავით ვეტრფი საყვარელ სამშობლოს და ისევე ერთგულად ვდარაჯობ მის მიწას, როგორც თქვენო. პოეტმა კონკრეტული შემთხვევა შესანიშნავად გამოიყენა, მოქმედებით და არა უბრალო მსჯელობით ჩაენერგა მან გოჩაში სამშობლოსადმი სიყვარულის მაღალი გრძნობები ამაშია პოემის იდეური და მხატვრული ღირსება.

„რუსთავის მერცხლებში“ ახალი ქა-

ლაქის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სურათები ლამაზი ფერებით და ახალი ხერხებით არის შესრულებული. პოეტი ახალგაზრდა მკითხველებს მარტივად და უბრალოდ, მაგრამ დამაჯერებლად მოუთხრობს რუსთავის მშენებლობის სიდიადეზე და კაპიტალისტურ ქვეყნებში „შავი ფერის“ ადამიანის მძიმე ცხოვრების შესახებ. მერცხლების გუნდი სამხრეთიდან თბილისში ბრუნდება, მაგრამ მათში ერთმა გარემოებამ გაცივრება გამოიწვია —

ამ ადგილას ქალაქი
როდის გაჩნდა ამხელა,
ან რა ჰქვია სახელად.
ალაგალაგ ტყე მოჩანს,
ალაგალაგ ბალახიც
მოდი ენახოთ ქალაქი
ვინ ააგო ქალაქი.

აქ უკვე ირკვევა, რომ ახალი ქალაქი, რომელიც მათ ვერ იცნეს (და არც შეეძლოთ ეცნოთ, რადგან იგი მათ აქ არ ყოფნაში აშენდა) რუსთავია. მერცხლებს იმდენად მოუწონათ ეს ქალაქი, რომ იქ დაბინავება გადაწყვიტეს. აქ ისინი ნაცნობ ბელურას შეხვდებიან, იმ ბელურას, რომელიც მერცხლებივით უცხოეთში არ დაფრინავს, მას დაწვრილებით გამოკითხავენ ახალი ქალაქის აშენების ამბავს. სიამაყის გრძნობით შეპყრობილი ბელურა მოუთხრობს მერცხლებს ახალი ქალაქის ამბებს, ხოლო მერცხალი თავის მხრივ გააცნობს იმ ისტორიას, რომელიც გადახდა „თეთრი ადამიანების“ ხელში მას და მის მეგობრებს, კერძოდ ზანგის იმ ოჯახს, რომლის სახლშიაც მოუყობილი ჰქონდა მას ბუდე. ნაამბობში ირკვევა „შავკანიანი ადამიანის“ სრული არაარობა იმპერიალისტური უღლის ქვეშ მყოფ ინდოეთსა და ეგვიპტეში.

ეს პოემა ახალგაზრდებში პატრიოტულ გრძნობას აღვიძებს, ზიზღს იწვევს იმპერიალისტების მიმართ, რომელთაც

„შავკანიანი“ ადამიანი, და სეროთოდ მშრომელი კაცი, არაარაობად ქმნიანოთ. პატარა მკითხველი ღრმად დახვედრის გრძნობით იმსჯელებს იმ მერცხლებსადმი, რომლებმაც სამხრეთში იფრინეს და ბევრი ტანჯვა და უბედურება გამოიარეს. „რუსთავის მერცხლები“ ნორჩ მკითხველში კეთილშობილურ გრძნობებს ავითარებს და აღვივებს.

საინტერესო თემაზეა დაწერილი პოემა „სტუმარ-მასპინძლები“. პოემის შინაარსიდან ვგებულობთ, თუ როგორ შეეგებნენ ფრინველები და შინაური ცხოველები სოფელში პირველად ჩასულ პატარა ჩინოს. შეხვედრა ისე ოსტატურადაა აღწერილი, რომ პოემას დიდი და პატარა სიამოვნებით წაიკითხავს.

ინტერესით იკითხება, აგრეთვე, პოემა „მეცამეტე გოჭი“. ცნობილია, რომ მეტიჩრებს ზედმეტ სახელად „მეცამეტე გოჭს“ უწოდებენ. პოეტი ბავშვებს უხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას და სათანადო განმარტებასაც იძლევა მის შესახებ. რადგან ტერმინი „მეცამეტე გოჭი“ არ გამოხატავს იმ შინაარსს, რომელის მოცემული აქვს მას, ამიტომ პოეტი პატარებს ურჩევს:

პატარებო, ეს თხოვნა მაქვს
თქვენთვის ჩემად ვასამხელი:
ამეზარს და მეტობარას
მოუძებნეთ სხვა სახელი.

იქვე პოეტი ამბობს: „ნაბოლარად რაკი გაჩნდა, შიტომ არის მეტიჩარა... რა ჰქნას, გაჩნდა მეცამეტედ, მისი ბრალი არის ვანა?“

გრ. აბაშიძე იუმორს შრა მარტო „მეცამეტე გოჭში“ მიმართავს, არამედ სხვა პოემაშიც.

მ. გორკი იუმორს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მას საბავშვო ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად თვლიდა. იუმორი მაშინ არის გამართლებული, როდესაც მას აღმზრდელივითი ხასიათი აქვს. სიცილი მხოლოდ სიცი-

ლისათვის არ არსებობს, — ასეთია მ. გორკის შეხედულება სიცილზე და იუმორზე.

იუმორი გრ. აბაშიძის პოეზიაში სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო. პოეტის იუმორს სოციალურ-აღმზრდელი ბიითი მნიშვნელობა აქვს.

მ. გორკი წერდა: „საბჭოთა ადამიანი — ის არსებაა, რომელიც სულ უფრო და უფრო იზიდავს დედამიწის მშრომელთა ყურადღებას, — საჭიროა, რომ ეს სანიმუშო ადამიანი იყოს არა მხოლოდ მის შრომითს საქმიანობაში, არამედ მისი ყოფა-ცხოვრების მხრივაც“. ამ საქმეში გარკვეული როლი იუმორსაც შეუძლია შეასრულოს.

გრ. აბაშიძე იუმორს იყენებს იმ მანკიერი თვისებების, ჩვევების დასაგმობად, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ ზოგიერთ ადამიანში. პოეტს სურს ბავშვებში დანერგოს საბჭოთა ადამიანისათვის შესაფერისი ჩვევები და თვისებები, განავითაროს მათში ჯანსაღი მორალი, სამშობლოს სიყვარული, მეგობრისადმი ერთგულება და სხვა. ამისათვის პოეტი ზოგჯერ ალეგორიების ხერხს მიმართავს. „ნაბოლარა წიწილაში“ სწორედ ასეთი ხერხი აქვს გამოყენებული. იუმორისტული ხერხით დახატული ნაბოლარა წიწილა ბავშვებში დაცინვას იმსახურებს, სიცილს იწვევს, მაგრამ თანდათანობით ნაბოლარა წიწილა თავისი მოქმედებით პატარა მკითხველის ყურადღებას იპყრობს. ის თავდაბლობა, რომელიც ნაბოლარა წიწილამ თავისი მეგობრისადმი გამოიჩინა, ბავშვს ხიბლავს და იზიდავს. პოემის ბოლო ნაწილში ნაბოლარა წიწილა უკვე პატარა მკითხველის საყვარელი გმირი ხდება. ამ პოემის მორალი, რომელიც მოცემულია ბავშვებისათვის გასაგებ ფორმაში, ჩამაფიქრებელია. საგანი გარეგნული თვისებებით არ შეფასდება, მის შესაფასებლად საჭიროა გარეგანი და შინაგანი თვისებების ღრმად და დაკვირვებით შესწავლა, მხო-

ლოდ ამის შემდეგ შეიძლება სწორი და სრული წარმოდგენა შეიქმნას. მასზე, — ასეთია პოემის მხრივითი მნიშვნელობა. იუმორზე, შემეცნებითი ხასიათის მასალაზეა აგებული აგრეთვე პოემა „ავი ღლავი“. ეს პოემა დაწერილია ავტორისათვის ჩვეული კარგი ქართული ენით და ბავშვებს აცნობს ცხოველთა სამყაროს ერთ-ერთ წარმომადგენელს. ამასთანავე, ინტერესს უღვიძებს ცხოველთა ქვეყნის შესწავლის საქმეში.

ზრისხან და საზარელი ტანიც შეი, თაიეც შევი...
დასაველთის მღინარქში
დაიხადა ავი ღლავი.

და შემდეგ:

თითქოს წყალიც არხად იყო
მისი მუცლის გასაბერი,
არც სისმელი, არც საჭმელი
არ ყოფნიდა არაფერი.
ჯერ ღორჯოდან წამოიწყო,
ვიღრე ღონეს ღიღზე ცდილა,
ღორჯო ერთი ღუკმა იყო,
რას უხამდა ერთი ცილა.

და როდესაც ავმა ღლავემა:

მკირე თევზი სულ გაიწყო,
დიდი თევზის გემო სურდა,
ჰკრა მხარი და ჩვენს დიდ ზღვაში
შეა ღამით შემოცურდა.

ავმა ღლავემა:

...ზღვის ნაპირას დაიხადა:
დიდი რაღაც დაეურავდა.
გაიფიქრა: „აი თევზი,
სად მივლია დღემდის უქმად,
თუ გამაძლებს, ეს გამაძლებს,
ეს ყოფილა ჩემი ღუკმა.
მაგრამ დახე, თევზის ნაცეკლად
გაეხირა ყელში ნაღმი.“

ასე „დაიღუპა ავი ღლავი“. თუ რა მორალზეა აგებული ეს პოემა, მოყვანილი სტრიქონებიდან ნათლად ჩანს. ავი ღლავის ბედი ეწვევა ყველა მას,

ვინც ავი ლლავის მსგავსად ხარბი და გაუმადლარია.

აღნიშნულ ნაწარმოებებში და, საერთოდ, გრ. აბაშიძის პოემებში მთავარი ადგილი მოქმედებას უკავია, რადგან ამა თუ იმ მოვლენისა და ხასიათის მოქმედებაში გამოხატვა გაცილებით უფრო მეტ გავლენას ახდენს ბავშვზე, ვიდრე მშრალი და განყენებული მსჯელობა. პოეტი ჩაწვდა ჩვენი ბავშვების სულის სიღრმეს და მიაწოდა მას ისეთი თემები, რომლებიც მის აღზრდასა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე საჭირო გავლენას ახდენს.

გრ. აბაშიძე ბავშვებს საგნებსა და მოვლენებს აცნობს ცოცხალი, ადვილად გასაგები ენით. გრ. აბაშიძის ენათვის უფალია პროვინციალიზმებისა-

გან. მისი მხატვრული სტილი სავსებით შეეფარდება პოემების შენაარსს: უკრთფერობა, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — სიკვდილია, მრავალფერობა სიცოცხლე, ეს აზრი, მართალი დიდებისათვის, ორჯეც და სამჯეც მართალია პატარებისათვის, რომელთა ბუნებაც ითხოვს სხვადასხვა გვარს ჩაბეჭდილებას“. გრ. აბაშიძის პოემების ღირსება სწორედ იმაშია, რომ ეს პოემები ერთფეროვანი არ არიან.

გრ. აბაშიძის საბავშვო პოემები და ლექსები ისეთ მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნიან, რომლებიც ღრმად წედებიან ბავშვის სულსა და გულს, და ხელს უწყობენ მის ესთეტიკურ და მორალურ აღზრდას.

საქართველოს მუშათა კომუნისტური პარტია და საბჭოების პოლიტიკური რეჟიმი



საქართველოსა და ამერიკაში მდებარე მუშათა კომუნისტური პარტია ისახებოდა და გზას იკადრებდა ისეთსავე მძიმე და რთულ პირობებში, როგორც კომუნისტური ორგანიზაციები. ცარხისა და მისი კავისიელი სატრაპების მთელი იესუიტური აპარატი: ჟანდარმერია, პოლიცია და ცენსურა ბოლშევიკურ გამოცემებს აქ თავიდანვე ისეთსავე მრავალნაირ დაბრკოლებებს უქმნიდნენ, როგორსაც პეტერბურგსა და მოსკოვში უქმნიდნენ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ გამოცემებს პოლიციის დეპარტამენტი და მეფის ობრანკის მრავალრიცხოვანი ორგანოები.

საქართველოსა და ამერიკაში მდებარე მუშათა კომუნისტური გამოცემებიდან ჟანდარმერიისა და პოლიციის პირველი გამამაგებელი თავდასხმები განიცადა თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ცენტრალური ჯგუფის მიერ ი. სტალინის ხელმძღვანელობით 1898—1900 წლებში გამოცემულმა პროკლამაციებმა, ფურცლებმა და მოწოდებებმა.

ეს გამოცემები, „პროლეტარიატის რევოლუციური თეიზმოქმედების ეს პირველი მერცხლები“, ჟანდარმერიისა და პოლიციის მხრივ სასტიკ დევნას იწვევდა. ჟანდარმერიისა და პოლიციის მიერ ცალკეული მუშების შესახებ შედგენილ პატაქებში ხშირად იყო აღნიშნული: „შემჩნეულია პროკლამაციების კითხვაში“, „ექვემოტანი-

ლია პროკლამაციების გაგრძელებაში“, „აღმოაჩინდა რამდენიმე ცალი პროკლამაცია“ და სხვ. იმ მუშებს, რომლებსაც ასეთ ბრალდებას უყენებდნენ, მკაცრად სჯიდნენ.

დევნამ კიდევ უფრო გააფთრებული ხასიათი მიიღო 1901—1902 წლებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ წლებში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ფართოდ გაჩაღდა ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემა მრავალეროვანი ამერიკაში ხალხთა სხვადასხვა ენაზე.

პოლიციის და ჟანდარმერიის მხრივ განსაკუთრებული დევნა განიცადა აგრეთვე ამხანაგ სტალინის მიერ 1902 წლის იანვარში ბათუმში მოწოდებულმა არალეგალურმა სტამბამ. ამ სტამბაში იბეჭდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები.

პოლიციას და ჟანდარმერიას იმედი ჰქონდათ, რომ რეპრესიების გზით ჩაშლიდნენ ან, ყოველშემთხვევაში, შეაფერხებდნენ ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემას, მთელ საგამომცემლო საქმეს მაგრამ, მიუხედავად პოლიციისა და ჟანდარმერიის ღონისძიებებისა, საქართველოსა და ამერიკაში საგამომცემლო მუშაობა კიდევ უფრო გაჩაღდა, ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემამ მასობრივი ხასიათი მიიღო, გაიზარდა მათი გავლენა და პოპულარობა მშრომელთა უაღრესად ფართო ფენებში, რაც, როგორც

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, არაერთხელ აღუნიშნავს თავის ფურცლებზე ლენინურ „ისკრას“. ეს ფაქტი არაერთხელ აღუნიშნავთ აღმფოთებით თვით თბილისისა და ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმთა და პოლიციის სამმართველოთა უფროსებს პოლიციის დეპარტამენტისათვის წარდგენილ ანგარიშში.

ჟანდარმერიისა და პოლიციის მხრივ დევნა გაათქვამდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის — „ბრძოლის“ გამოცემის შემდეგ. „ბრძოლა“ ლენინური „ისკრის“ შემდეგ არალეგალური მარქსისტული გაზეთებიდან ყველაზე მძიმე და რთული პოლიციური დევნის პირობებში გამოდიოდა.

ჟანდარმერიისა და პოლიციის განსაკუთრებულ გააფთრებას იწვევდა ის, რომ „ბრძოლა“ დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა ამიერკავკასიის მშრომელებში.

როგორც კი დაიწყო „ბრძოლის“ გამოსვლა, თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველომ მკაცრი მეთვალყურეობა დააწესა თბილისის ყველა სტამბისა და საქართველოს საზღვრებზე, აგრეთვე დაიწყო „ბრძოლის“ რედაქციისა და მისი სტამბის შესახებ „საიდუმლო“ და „სასწრაფო“ საქმეების შედგენა. აი რას წერდა თბილისელი კორესპონდენტი ლენინურ გაზეთ „ისკრის“ № 12-ში:

„ყოველი სტამბა გარშემორტყმული იყო ჯაშუშებით, სტამბის ასოთამყობებს ყოველდღიურად ჩხრეკდნენ, მაგრამ ყველაფერი ეს უშედეგო იყო: ჩხრეკის დროს ვერაფერს ვერ პოულობდნენ. მაშინ დაიწყეს სტამბის

მუშათა დაბატირება, სრულიად უსაფუძვლოდ დახურეს ~~ვერძინის~~ სტამბა, თუმცა მასში არაფერი უმოქმედობდა.

„ბრძოლის“ რედაქციისა და მისი სტამბის ძებნასთან დაკავშირებით გაცხოველებული მიწერ-მოწერა გაჩაღდა თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოსა და პოლიციის დეპარტამენტს შორის.

ამრიგად, „ბრძოლის“ რედაქციისა, მისი მონაწილეებისა და სტამბის ძებნაში ჩაება მეფის მთავრობის მთელი პოლიციური აპარატი.

განსაკუთრებით თბილისისა და ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოების მრავალრიცხოვანი აგენტები იმ პერიოდში არაეის და არაფერს არ დაეძებდნენ ისე თავგამოდებითა და გულმოდგინედ, როგორც „ბრძოლის“ რედაქციასა და მის სტამბას. „ბრძოლასა“ და მის სტამბას ისინი არა მარტო თბილისისა და ბაქოში ეძებდნენ, არამედ სამარაში, პეტერბურგში, კიევში და რუსეთის იმპერიის სხვა მნიშვნელოვან ადგილებშიც.

რაკი გამოირკვა, რომ „ბრძოლის“ სტამბა ბაქოში იმყოფებოდა, ჟანდარმერია მეტი გულმოდგინებით შეუდგა მის ძებნას. 1902 წლის იანვრის დამდეგს ბაქოში თბილისის ჟანდარმთა მთავარი სამმართველოს რამდენიმე ჯაშუშთან ერთად სპეციალურად იქნა მივლინებული პოლიციის ცნობილი მაძებარი როტმისტრი ლავროვი. „იდიოტ ლავროვს“, როგორც მას ზიზლით უწოდებდა ლადო კეცხოველი, სპეციალური დავალება ჰქონდა: აღმოეჩინა „ბრძოლის“ სტამბა და მისი ორგანიზატორი — ლადო კეცხოველი. ამას თვითონაც გრძნობდა კეცხოველი;

სტამბის მუშებთან საუბარში იგი წმირად ამბობდა: „ან კი სხვა ვინა ჰყავს მათ ჩვენისთანა საშინელი კბილის მატლი? ან კიდევ ჩვენისთანა საკბილო?“.

„ნამეტურ შენი დაპტერა ელანდება მას ძილში და ცხადში, სამ წელიწადზე მეტია ის უბედური მსუნავ მაძებარით დაგეძებს და კვალიც ვერ მოუტანია შენზე. ვინ იცის, რამდენ ოქროდ ჰყავხარ დაფასებული!“, — ეუბნებოდნენ სტამბის მუშები ლადო კეცხოველს.

პოლიციის მაძებრის ლავროვის მიერ ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს ძიების მასალის გაცნობით, აგრეთვე მისი აგენტურული მუშაობის შედეგად გამოჩვეულ იქნა, რომ ყველა პროკლამაცია, ქართული არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“... და თვით გაზეთი „ისკრაც“ იბეჭდება ქალაქ ბაქოში“. ჟანდარმერიის აგენტების მიერ ბაქოში ჩატარებული ძიების შედეგად აღმოჩენილ იქნა ბევრი არალეგალური გამოცემა, კერძოდ, გაზეთების „ისკრისა“ და „ბრძოლის“ ნომრები, საპირველმაისო პროკლამაციები, რომლებიც მუშებს „მოუწოდებდნენ არეულობისაკენ“, აგრეთვე პროკლამაციები „მეფხოვეთა შესახებ“.

ჟანდარმერიის აგენტებმა აგრეთვე გამოარკვეეს, რომ ყველა ეს არალეგალური გამოცემა ვრცელდებოდა თბილისში, რომ თბილისში „ბრძოლასთან“ ერთად „ფართოდ ვრცელდებოდა გაზეთი „ისკრა“.

თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს აგენტებმა ისიც გამოარკვეეს, რომ ბაქოს მთელი საგამომ-

ცემლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა რსდმპ(კ) თბილისის კომიტეტს. ამის შესახებ კომისიის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს სწერდა: „მხედველობაში მაქვს, რომ თქმცა სტამბა ქ. ბაქოში იმყოფება, მაგრამ ხელმძღვანელი როლი თბილისს ეკუთვნის. ჩემს ხელთ მეტი ცნობებია ამ საგანზე და მეტი საშუალებანიც მოგვეპოვება, — ვიდრე ბაქოს სამმართველოს“.

თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს აგენტების მიერ დადგენილ ფაქტებს „ფრიალ არსებითი მნიშვნელობა“ ჰქონდა ჟანდარმერიისათვის. მაგრამ მთავარი იყო არა ის, რაც გამოირკვა, არამედ არალეგალური სტამბის აღმოჩენა, სადაც იბეჭდებოდა ყველა არალეგალური გამოცემა, რომლებიც თანაბრად არღვევდა როგორც თბილისისა და ბაქოს ჟანდარმერიის, ისე პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტის მყუდროებას. ამიტომ ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა სტამბის აღმოჩენაზე.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თბილისისა და ბაქოს ჟანდარმერიამ მასზე დამოკიდებული ყველა ზომა მიიღო, ლადო კეცხოველის მიერ სტამბა იმდენად მოხერხებულად იყო კონსპირირებული, რომ ჟანდარმების ცდა — აღმოეჩინათ სტამბა, დიდხანს ამოც გამოდგა. კერძოდ, თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს გენერალ-მაიორ დებილს არაერთხელ განუცხადებია, რომ მის მიერ ბაქოს სტამბის წინააღმდეგ მიღებული ზომები უნაყოფო აღმოჩნდა.

1902 წლის მარტში, როცა შეიქმნა

სტამბის ჩაგარდნის რეალური საფრთხე, კეცხოველი — ლენინისა და სტალინის მითითებით — შეეცადა სტამბის გადატანას სამარაში მან კიევიში, ან კიდეც რუსეთის სხვა რომელიმე ქალაქში. 1902 წლის აპრილში კეცხოველი ბაქოდან რუსეთში მიემგზავრება და თან მიჰქვს ლენინისა და კრუჰსკაიას წერილი სამარის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სახელზე. ამ წერილში ლენინი და კრუჰსკაია ავალბდნენ აღნიშნულ ორგანიზაციებს საჭირო დახმარება აღმოეჩინათ ლადო კეცხოველისათვის ბაქოს სტამბის გადატანასა და მის საიდუმლო აღგილზე მოწყობაში.

მიუხედავად ლენინისა და კრუჰსკაიას ყოველმხრივი დახმარებისა, რუსეთში სტამბის გადატანა მაინც ვერ მოხერხდა.

ლადო კეცხოველი 1902 წლის აგვისტოს ბრუნდება ბაქოში და ჟანდარმერიის მხრივ გაშმაგებული დევნის პირობებში აწყობს სტამბის გადატანას ახალ, უფრო საიდუმლო აღგილზე — ჩადრის ქუჩაზე. მაგრამ თვითონ ლადო კეცხოველი 1902 წლის 2 სექტემბერს ჟანდარმერიაში შეიპყრო.

რამდენიმე დღის შემდეგ, 22 სექტემბერს, ლადო საგანგებო დაცვით გაგზავნეს თბილისში და 23 სექტემბერს უკვე მეტეხის ციხეში იჯდა.

ამ დროს გაზეთ „ბრძოლის“ ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ამხანაგი სტალინი ბათუმის ციხეში იმყოფებოდა პატიმრობაში.

ჟანდარმერია ზეიმობდა ლადო კეცხოველის დაპატიმრებას. იგი ზეიმობდა იმასაც, რომ უზრუნველყოფილად თვლიდა ბაქოს არალეგალური სტამბის აღმოჩენას. მაგრამ ზეიმი ნაადრევი გა-

მოდგა. ჟანდარმერიაში მიუხედავად არაადამიანური წამებისა, კეცხოველისაგან ვერ მიიღრა პასუხი სტამბის აღგილმდებარეობის შესახებ.

თბილისისა და ბაქოს ჟანდარმები იძულებული გახდნენ კვლავ განეგრძოთ მათთვის ესოდენ საიდუმლოებით მოცული სტამბის ძებნა.

ამ დროს ლადო კეცხოველი, ბორკილგაყრილი, საპყრობილის ჯურღმულებიდანაც კი შიშსა ჰგვრიდა ჟანდარმერიას. ჟანდარმერიაში, რომელიც გრძნობდა, თუ რა საშიშროება მოელოდა ლადო კეცხოველის სიცოცხლით, გადაწყვიტა კეცხოველის წინააღმდეგ მიეღო „განსაკუთრებული ზომები“, ე. ი. ქურდულად მოეკლა რევოლუციის ეს კეთილშობილი რაინდი. 1903 წლის 30 აგვისტოს დილის 9 საათსა და 30 წუთზე ციხის ჯალათებმა ვერაგულად მოკლეს სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი ლადო კეცხოველი.

ლადო კეცხოველის ვერაგული მკვლელობიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, 1903 წლის ნოემბერში, ი. ბ. სტალინი, რომელიც 1902 წლის 5 აპრილიდან საპყრობილეში იჯდა ჯერ ბათუმში, შემდეგ კი ქუთაისში, სამი წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანსკის მაზრის სოფელ ნოვაია უდაში.

ი. სტალინის გადასახლება და ლადო კეცხოველის ვერაგული მკვლელობა — ეს იყო სტალინური „ბრძოლის“, მისი სტამბისა და მთელი ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ მეფის რუსეთის პოლიციის მხეცური მოქმედების აპოგეა.

ქანდაკებისა და პოლიციის მხრივ განსაკუთრებული დევნა განიცადა „ბრძოლის“ ღირსეულმა შემეცნიერმა — რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანომ „პროლეტარიატის ბრძოლამ“ და მისმა ავღაბრის არალეგალურმა სტამბამ. ეს სტამბა, რომელიც შეიქმნა ამხანაგ სტალინის ინიციატივით 1903 წლის ბოლოს, წარმოადგენდა რსდმპ კავკასიის კავშირის შესანიშნავ გაბედულ წამოწყებას და ბოლშევიკური არალეგალური ტექნიკის თვალსაჩინო ნიმუშს.

თბილისის ქანდაკებია და პოლიცია თავგამოდებით დაეძებდნენ ავღაბრის არალეგალურ სტამბას. მათ მიმართეს საგანგებო ზომების ყველა და ყოველგვარ ფორმას. თბილისის ყველა უბანში დაიგზავნა მრავალი ჯაშუში და პროვოკატორი. მათ ქანცი უწყებებდათ სტამბის ძებნაში, მაგრამ ცდა, აღმოეჩინათ სტამბა, ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ქანდაკებამ და პოლიციამ ათობით მუშა სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ცემითა და წამებით — მებრძოლი სტალინური გაზეთის „პროლეტარიატის ბრძოლისა“ და ავღაბრის არალეგალური სტამბის სხვა გამოცემების წაკითხვისა და გავრცელებისათვის, მაგრამ არავითარი შედეგი არც ამ რეპრესიებს მოჰყოლია.

1904 წლის დამდეგისათვის მეფის მთავრობამ ჯაშუშებისა და პროვოკატორების დახმარებით მოახერხა სტამბის ადგილმდებარეობის დაახლოებით დადგენა, მაგრამ მისთვის ამის შემდეგაც წლების მანძილზე მაინც საიდუმლოებით იყო მოცული, თუ კონკრეტულად სად იყო სტამბა.

სტამბა კი განაგრძობდა თავის რევოლუციურ საქმეს. იგი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გადაიქცა კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ნამდვილ სამუშაოდ, მის ციხე-სიმაგრედ, რუსეთის პირველი რევოლუციის პერი-

ოდში. საკმარისია ითქვას, რომ ამ სტამბაში 1905 წლის იანვრიდან იმავლე წლის ნოემბრამდე დაიბეჭდა მთლიანად ეგზემპლარი სხვადასხვა სახის ლიტერატურა, აგრეთვე ათობით სხვადასხვა სახელწოდების პროკლამაცია და მოწოდება. პროკლამაციათა და მოწოდებათა უმრავლესობა ამხანაგ სტალინის მიერ იყო დაწერილი.

სტამბაში, გარდა მოწოდებისა და პროკლამაციებისა, დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა ბროშურები რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ბროშურები ვრცელდებოდა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის მთელ რიგ ორგანიზაციებში, აგრეთვე უკრაინაში, თურქმენეთში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ავღაბრის არალეგალური სტამბის გამოცემები მისდიოდათ საზღვარგარეთ ლენინსა და კრუპსკაიას. ეს გამოცემები, განსაკუთრებით კი სტამბაში დაბეჭდილი სტალინის ნაშრომები, ნადევდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ლენინის დიდ აღფრთოვანებას იწვევდა.

1906 წლის დამდეგისათვის ქანდაკებისა და პოლიციის აგენტებმა კიდევ უფრო დააზუსტეს მათთვის ესოდენ საიდუმლოებით მოცული სტამბის ადგილმდებარეობა, მაგრამ მისი აღმოჩენა მაინც ვერ მოახერხეს.

თბილისის ოხრანკის უფროსმა აპრილიდან გაძლიერებული მეთვალყურეობა დააწესა არალეგალურ სტამბაზე. ოხრანკის აგენტები და პროვოკატორები 14 დღე და ღამეს მთელი ყურადღებით დარაჯობდნენ სტამბის მისასვლელს, აღნიშნავდნენ ყოველგვარ მოძრაობას სტამბის ადგილმდებარეობის ახლო-მახლო. მათ მიერ შეკრებილ აგენტურული ცნობების საფუძველზე თბილისის ოხრანკასა და პოლიციაში თბილისის ოხრანკის წინასწარ ღონისძიებითა შედეგად სტამბის ადგილმდე-

ბარეობა საბოლოოდ იქნა დაზუსტებული. ამის შემდეგ თბილისის ობრანკის უფროსმა გადაწყვიტა მოეხდინა სტამბის ლიკვიდაცია. იგი 14 აპრილს კავკასიის პოლიციის უფროსის სახელზე გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებითს ბართში წერდა: „18 აპრილის (1 მაისის) მოახლოებასთან დაკავშირებით, განზრახულია სტამბის ლიკვიდაცია მოხდეს 14 აპრილს ღამით“.

15 აპრილს, დილით ადრე, ავღაბრის არალეგალულ სტამბას გარს შემოერთყნენ ქანდარმების, პოლიციელების, კაზაკებისა და მსროლელთა და მესანჯრეთა ასეულები. ქანდარმთა ცალკე კორპუსის როტმისტრი იულინეცი თბილისის პოლკის ოფიცრებთან და თბილისის სასამართლოს პალატის პროკურორთან ერთად შეუდგა ჩხრეკას. გაჩხრეკეს ყველაფერი: ეზოც, სახლიც, ფარდულიც, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, სტამბა ვერ აღმოაჩინეს. ის-იყო წასვლას აპირებდნენ, რომ ჩხრეკის ერთმა მონაწილემ ქანდარმმა ჰის კედლებზე შემთხვევით შენიშნა საეკვო ამოღრმავებული ადგილები. რომ უკეთ შეემოწმებინათ, თუ რატომ იყო გაკეთებული ეს ამოღრმავებული ადგილები, ჰაში ჩააგდეს ცეცხლმოკიდებული ქალაღი. რამდენიმე მეტრი მანძილის გაელის შემდეგ ცეცხლმოკიდებული ქალაღი განზე გაქანდა. ცდა რამდენჯერმე გაიმეორეს. შედეგი ერთი და იგივე იყო. მაშინ ჰაში თოკით ჩაუშვეს მეხანძრე, რომელმაც ნახა, რომ ჰის გვერდით იყო გასასვლელი სახლის მიმართულებით დადგენილ იქნა, რომ საიდუმლო სტამბა მოთავსებული უნდა ყოფილიყო სახლის ქვეშ.

ქანდარმებმა აშალეს სამხარეულოს იატაკი და დაიწყეს თხრა, მიაღწენ სტამბის სარდაფში სათადარიგო ჩასასვლელს და, ამრიგად, აღმოაჩინეს სტამ-

ბა. ქანდარმერია და პოლიცია მაშინვე შეუდგნენ სტამბის გაჩხრეკას და დაარბევას. სტამბის ჩხრეკის დროს შედგენილ იქნა ვრცელი ოქმი, სადაც დაწერილებით აღწერილია, თუ რა აღმოაჩინეს. ჩხრეკის ოქმში დაწერილებით იყო აგრეთვე ჩამოთვლილი იმ ლიტერატურისა და პროკლამაციების სახელწოდებანი, რომლებიც აღმოჩენილ იქნა სტამბაში. მათ შორის მრავალი იყო სტამბაში დაბეჭდილი ლენინისა და სტალინის ნაშრომები. ლენინის ნაშრომებიდან დასახელებულია: „სოფლის დარბებს“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“, (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე) და სხვ., ი. სტალინის ნაშრომებიდან დასახელებულია: „გაეკრიბ პარტიულ უთანხმოებაზე“ (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), „ორი შეჯახება“ და სხვ.

სტამბის აღმოჩენის მეხამე დღეს, 17 აპრილს, თბილისის გუბერნიის ქანდარმთა სამმართველოს უფროსი პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტს უგზავნის ვრცელ ანგარიშს სტამბის აღმოჩენის შესახებ. ანგარიშში დაწვრილებით არის აღწერილი მის მიერ სტამბის აღმოსაჩენად წინასწარ მიღებული ზომები, თვით სტამბის აღმოჩენის პროცესი, აგრეთვე ყველაფერი ის, რაც სტამბის გაჩხრეკის დროს იქნა აღმოჩენილი.

სტამბა აღმოჩენის პირველ დღებშივე სახლიანად იქნა დანგრეული და აფეთქებული. პოლიცია, ქანდარმერია, მათი ჯაშუშები და პროვოკატორები, მთელი ამ ველურობის მეთაური — გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ხარობდნენ სტამბის აღმოჩენითა და დანგრევით. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სტამბის მწყობრიდან გამოყვანით საბოლოოდ მოსპობდნენ საქართველოში ბოლშევიკურ ბეჭდვითს პროპაგანდას, მაგრამ აქაც სამარცხენოდ მოტყუდნენ.

ი. სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოში ამის შემდეგაც არა ერთი და ორი გაზეთი გამოსულა. ეს ფაქტი მათ არა ერთხელ აღიარეს შემდგომში.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკური ლეგალური გაზეთების მასობრივად გაჩენასთან დაკავშირებით თანდარმერიაშაც და პოლიციაშაც გააძლიერეს თავიანთი ღონისძიებანი ბოლშევიკური პრესის წინააღმდეგ. თანდარმერიასა და პოლიციასთან ერთად ბოლშევიკური ლეგალური გაზეთების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებულ აქტიუობას იჩენდა ცენზორთა მრავალრიცხოვანი აპარატი.

„ჯალათი ცენზორები“, როგორც მათ ამხანაგი სტალინი უწოდებდა, საგანგებოდ ადევნებდნენ თვალყურს ბოლშევიკურ გაზეთებს, მათში დაბეჭდილ ყოველ მასალას. ისინი ხან რეპრესიული ზომებით, ხან კი სხვადასხვა ცირკულარებითა და სხვა მსგავსი მაქინაციებით კრძალავდნენ გაზეთებში მუშების შესახებ, რევოლუციური მოძრაობის საკითხებზე რაიმე მასალის გაშვებას, აფერხებდნენ ბოლშევიკური გაზეთების ნორმალურად გამოცემასა და გავრცელებას. ხშირი იყო შემთხვევაც, როცა ცენზურის მოთხოვნით იკრძალებოდა ამა თუ იმ ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის გამოცემა, ირბეოდა გამომცემლობები.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერთ-ერთი პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, რომელმაც ყველაზე მეტი ველური დევნა განიცადა, იყო „კავკასკი რაბოჩი ლისტოკი“, გამოცემული ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. ეს გაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოვიდა მეფის მთავრობის მიერ 17 ოქტომბრის მანიფესტით ოფიციალურად გამოცხადებული ბეჭდვით

სიტყვის „თავისუფლების“ პერიოდში, 1905 წლის შემოდგომაზე, მიიჩნეოდა ერთ-ერთი ნომრიდანვე განიცდებდა რეპრესიის, პოლიციისა და ცენზურის მხრივ დევნას.

გაზეთ „კავკასკი რაბოჩი ლისტოკის“ წინააღმდეგ პირველად საკითხი აღძრა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ. მან გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის შესახებ დღეს, 22 ნოემბერს, ვრცელი მიმართვა გაუგზავნა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს გაზეთის პირველი ნომრის კონფისკაციისა და რედაქტორ-გამომცემლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე თავის მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ გაზეთმა, წინააღმდეგ კავკასიის მეფისნაცვალის მიერ წინასწარ დამტკიცებული პროგრამისა, რომლის თანახმადაც მას ხელი უნდა შეეწყო „მუშათა მასების მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრებისათვის“, თავი გამოაცხადა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანოდ და დაიწყო „ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ი ა რ ს ე ბ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს და მ ხ ო ბ ი ს ა კ ე ნ მ ო წ ო დ ე ბ ა“.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის განსაკუთრებული გააფთრება გამოიწვია აგრეთვე იმანაც, რომ გამომცემლობამ ნებადართულ სახელწოდებას გაუკეთა წარწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოთხოვნა „დანაშაულებრივი მოქმედებისათვის“ გაზეთ „კავკასკი რაბოჩი ლისტოკის“ პირველი ნომრის კონფისკაციის შესახებ თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის განკარგულებით მოყვანილ იქნა სისრულეში.

ასე დაიწყო რეპრესიები გაზეთ „კავკასკი რაბოჩი ლისტოკის“ წინააღმდეგ.

გაზეთ „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ პირველი ნომრის წინააღმდეგ მიღებულ რეპრესიულ ზომებს ოდნავადაც არ შეუცვლია გაზეთის შემდგომი ნომრების რევოლუციური შინაარსი. „კავკასიის რაზონი ლისტოკი“, როგორც კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმეებში ვკითხულობთ, შემდგომ ნომრებშიც ბეჭდავდა „სტატეებსა და შენიშვნებს, რომლებიც მოუწოდებდნენ მასებს გაფიცვების და აჯანყებისაკენ და საზოგადოებრივი წყობილების დამზობისაკენ“. ამის გამო მოახდინეს გაზეთ „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ მეორე და მესამე ნომრების კონფისკაცია.

ცარიზმის ცენზურა მარტო აღნიშნული ნომრების კონფისკაციით არ დაკმაყოფილებულა. „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ პირველი სამი ნომრის ბედი ეწია მის მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 ნომრებს. ამ ნომრების აკრძალვის მიზეზი, როგორც კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოხსენებაში ვკითხულობთ, იყო „...მოწინავე სტატიებსა და ცალკეულ შენიშვნებში სოციალ-დემოკრატიის სახელით აჯანყებისა და საყოველთაო რევოლუციური მოძრაობისაკენ მოწოდება“.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტი გაზეთ „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ წინააღმდეგ ასეთ რეპრესიულ ზომებს მიმართავდა, ამას მაინც არ მოყვა მეფის მთავრობისათვის სასურველი შედეგი. ამ მწარე ფაქტის აღიარება მრავალჯერ მოუხდა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს. კერძოდ, 1905 წლის 6 დეკემბერს პეტერბურგში ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარი სამმართველოს სახელზე გაგზავნილ პატაკში იგი იძულებული იყო ელიარებინა, რომ ცენზურის მიერ ბოლშევიკური პრესის წინა-

აღმდეგ მიღებული ზომები შედეგს არ იძლევა და რომ, მიუხედავად განუხრელი ღეგნისა, „თბილისში გამოძეული ყველა გაზეთი რუსეთის პრესის მაგალითისამებრ აშკარა რადიკალურ ხასიათს ატარებდა“.

კავკასიის საცენზურო კომიტეტმა არასაკმაო, ნაკლებ ეფექტურ ღონისძიებად ჩათვალა გაზეთ „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ ცალკეული ნომრების კონფისკაცია და ამიტომ თბილისის სასამართლო პალატის წინაშე 1905 წლის 12 დეკემბერს აღძრა საკითხი გაზეთის გამოცემლობის დახურვისა და „უზუნაესი ხელისუფლებისადმი უტიფარი დამოკიდებულებისათვის“ „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ რედაქტორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თბილისის სასამართლო პალატამაც არ დააყოვნა და იმავე დღეს გამოიტანა დადგენილება გამოცემლობის დახურვისა და რედაქტორის დაპატიმრების შესახებ. მაგრამ სასამართლო პალატის დადგენილებამაც ვერ ჩაახშო მებრძოლი სტალინური გაზეთის მგზნებარე ხმა. გაზეთ „კავკასიის რაზონი ლისტოკი“ 13 დეკემბერს გამოდის „ელიზავეტპოლსკი ვესტნიკის“ სახელწოდებით. საგულისხმოა, რომ ასეთი სახელწოდების გაზეთის გამოცემის ნებართვა აღებულ იქნა კავკასიის მეფის ნაცელისაგან „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ დახურვის შესახებ სასამართლო პალატის მიერ დადგენილების გამოტანის დღეს, 12 დეკემბერს. გაზეთ „ელიზავეტპოლსკი ვესტნიკი“ გამოდის, როგორც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო და „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ გამოსული ნომრების გაგრძელება, გაზეთის შესახებ პირველ დღესვე დაისვა საკითხი პროკურორის წინაშე. თბილისის წიგნის პალატის უფროსი 13 დეკემბერს თბილი-

ის სსსამართლო პალატის პროკურორს შემდეგ აცნობებდა: „ელიზავეტოლსკი ვესტნიკის“ დღეს გამოშვებული ნომერი (ლაბარაკია მე-16 ნომერი) თავისი ნომრით თავისი სარედაქციო განცხადებით და შინაარსით წარმოადგენს „კავკასიის რაზონი ლისტოკის“ შეჩერებული გამოცემის გაგრძელებას, რომლისაგანაც განსხვავდება მხოლოდ და მხოლოდ სახელწოდებით“.

გაზეთი „ელიზავეტოლსკი ვესტნიკის“ დასახელებული ნომრის კონფისკაციის შესახებ იმავე დღესვე გასცეს განკარგულება, მაგრამ ექსპედიცია იმდენად კარგად მუშაობდა, რომ დილისათვის დაბეჭდილი ნომრები უკვე დაწიშლებიანამებრ იყო გაგზავნილი. როგორც თბილისის სსსამართლო პალატის მიერ კავკასიის საცენზურო კომიტეტის სახელზე გაგზავნილ ცნობაში ვკითხულობთ, გაზეთის მე-16 ნომრის თითქმის არც ერთი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა არც სტამბაში, არც გამომცემლობაში და არც ექსპედიციაში.

ამრიგად, მიუხედავად ყოველგვარი ღონისძიებისა, ექსპედიციის კარგად დაყენებული მუშაობის შედეგად, სისრულეში ვერ მოიყვანეს დადგენილება გაზეთის მე-16 ნომრის კონფისკაციის შესახებ.

გაზეთ „ელიზავეტოლსკი ვესტნიკის“ გამოსული ნომრის წინააღმდეგ მისი გამოსვლის დღესვე იქნა აგრეთვე აღძრული სისხლის სამართლის ძიება. მიზეზი კვლავ იგივე იყო: მოწინავე სტატიაში და აგრეთვე სხვა სტატიებში სოციალ-დემოკრატიის სახელით ქ. თბილისში აჯანყებისა და ჯარის ნაწილების მონაწილეობით საყოველთაო რევოლუციური მოძრაობისაკენ მოწოდება. 14 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვალმაც გააუქმა მის მიერ გაზეთ „ელიზავეტოლსკი ვესტნიკის“ თბილისში

ბეჭდვისა და გამოცემის შესახებ 12 დეკემბერს გაცემული განცხადება, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალმაც უსაქმლოდ იმავე დღეს აცნობა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს.

მაგრამ ამ ღონისძიებებზეც ვერ გაქრა, ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება გამომცემლობა 14 დეკემბერსაც უშვებს გაზეთის მორიგ ნომერს. გაზეთის დაბეჭდვამდე 14 დეკემბერს, დილის 7-სათზე, გამომცემლობის სტამბას ამოწმებს კავკასიის საცენზურო კომიტეტის ინსპექტორი, რომელმაც, როგორც კი დაადგინა, რომ გაზეთის მორიგი ნომრის მატრიცი მზად არის და მალე უნდა დაიწყოს მისი ბეჭდვა, სასწრაფოდ აცნობა ეს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს. ეს უკანასკნელი იძლევა განკარგულებას გაზეთ „ელიზავეტოლსკი ვესტნიკის“ მორიგი, მე-17 ნომრის მატრიცის სასწრაფოდ დაკაფების და სტამბის დარბევის შესახებ.

განკარგულების გამოზადებისა და მისი სისრულეში მოყვანისათვის საჭირო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმამდე განვლო დაახლოებით ხუთსაათნახევარმა. ამ დროს მაქსიმალურად იყენებს გამომცემლობა. ამ ხნის განმავლობაში გაზეთის 12 ათასზე მეტი ეგზემპლარი დაიბეჭდა და გაერცელდა.

დღის 12 საათსა და 30 წუთზე სტამბის დასარბევად და გაზეთის მე-17 ნომრის მატრიცის კონფისკაციისათვის გამოცხადდა ჯარის ნაწილი. სტამბა დარბეულ იქნა, მაგრამ გაზეთი უკვე დაბეჭდილი და გაერცელებული იყო მკითხველთა შორის. მხოლოდ 47 ცალი გაზეთის კონფისკაცია მოახდინეს. გაზეთში დაბეჭდილი იყო მუშათა დებუტატების პეტერბურგის საბჭოს მანიფესტი. ცენზურა მას „თავისი შინაარსით მანე ხასიათის“ მანიფესტს უწოდებდა.

სწორედ ამ მანიფესტის დაბეჭდვისათვის დაიხურა რუსეთში პირველი ლეგალური გაზეთი „ნოვიაია ჟიზნი“.

15 დეკემბერს თბილისის სასამართლო პალატამ გამოიტანა დადგენილება გაზეთ „ელიზავეტპოლსკი ვესტნიკის“ შემდგომი გამოცემის აკრძალვისა და მისი ყველა გამოცემული ნომრის კონფისკაციის შესახებ. 1906 წლის 1 თებერვალს თბილისის სასამართლო პალატამ პატიმრობა მიუსაჯა გაზეთ „ელიზავეტპოლსკი ვესტნიკის“ რედაქტორს.

ასე ძვირად დაუჯდა კავკასიის კავშირის კომიტეტს შეფის მთავრობის მიერ დაშვებული ბეჭდვითი სიტყვის „თავისუფლების“ პერიოდში კავკასიაში პირველი ლეგალური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ გამოცემა.

სტალინური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ მე-17 ნომრის შემდეგ არ გამოუსულა.

გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ გამოცემის აკრძალვის შემდეგ, მიუხედავად ყველა შესაძლებელი ზომის მიღებისა, მთელი ნახევარი წელი ვერ მოხერხდა ახალი ლეგალური გაზეთის გამოცემის ნებართვის აღება. მაგრამ, სანამ თბილისის ბოლშევიკები მოახერხებდნენ საკუთარი გაზეთის გამოცემას, 1906 წლის მარტიდან რსდმპ IV ყრილობამდე ისინი მენშევიკებთან ერთად სცემდნენ გაზეთებს—„განთიადს“ და „ელვას“. ეს გაზეთები გამოდიოდნენ როგორც რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის ორგანოები. ასეთი გაერთიანებული ორგანოების გამოცემა გამოწვეული იყო იმით, რომ ბოლშევიკებს იმ პერიოდში არ გააჩნდათ გაზეთის გამოცემის სხვა გზა, თუ არა მენშევიკებთან ერთად გამოცემა, ვინაიდან მენშევიკები პრივილეგიებით სარგებლობდნენ, მათ ადვილად აძლევდნენ გამოცემის ნებართვას.

გაზეთ „განთიადის“ გამოცემის ნებართვა აღებულ იქნა 1906 წლის 8

თებერვალს. ნებართვის აღებიდან ერთი თვის შემდეგ, 5 მარტს გაზეთი „განთიადი“ იწყებს გამოცემას. ბოლშევიკებისაგან „განთიადში“ ხელმძღვანელ სტატიებს სწერდა ამხანაგი სტალინი.

„განთიადის“ წინააღმდეგ მისი გამოსვლის მეოთხე დღეს კავკასიის საცენზურო კომიტეტმა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის წინაშე აღძრა საკითხი გაზეთის დახურვისა და რედაქტორის სისხლის სამართლის დებულების 1929 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ (მე-2 და მე-3 პუნქტები ითვალისწინებდნენ სასჯელს „სახელმწიფოში არსებული წყობილების დამზობისაკენ მოწოდებისათვის“).

ასეთ ღონისძიებას ცენზურა ჩვეულებრივ მიმართავდა ბოლშევიკური გაზეთების წინააღმდეგ. გაზეთ „განთიადს“ კი ბოლშევიკური შინაარსი მისცა ი. სტალინის ხელმძღვანელობა სტატიებმა, რომლებიც გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა. ცენზურის დასკვნით, „განთიადში“ დაბეჭდილი სტატიებიდან სტალინის სტატიები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. გაზეთ „განთიადში“ დაბეჭდილ სტალინის სტატიებიდან ცენზურის განსაკუთრებული გააფთრება გამოიწვია მესამე ნომერში მოთავსებულმა სტატიამ „სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა“, კავკასიის საცენზურო კომიტეტი თავის ანგარიშში თბილისის სასამართლო პალატის პროკურორისადმი, დაწერილებით განიხილავს ი. სტალინის ამ სტატიას, მოკყავს მისგან ვრცელი ამონაწერები.

¹ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფონდი 31, საქმე 341, გვ. 5.

ამხანაგ სტალინის სტატიების დაბეჭდვისათვის გაზეთი „განთიადი“ თბილისის გუბერნატორის განკარგულებით შეხუთე ნომრის შემდეგ დახურულ იქნა.

„განთიადის“ დახურვის მეორე დღეს, 12 მარტს გამოვიდა გაზეთ „ელვის“ პირველი ნომერი. „ელვის“ გამოცემის ნებართვა ვასცა თბილისის გენერალ-გუბერნატორმა 1906 წლის 21 თებერვალს.

როგორც „განთიადმა“, გაზეთმა „ელვამაც“ ვერ გააპართლა თბილისის გუბერნატორისა და თბილისის საცენზურო კომიტეტის იმედები. მის ფურცლებზეც დაიწყო ამხანაგ სტალინის სახელმძღვანელო სტატიების ბეჭდვა. გარდა ამისა, „ელვას“ რედაქცია გადაიქცა რევოლუციონერთა შესაკრებ პუნქტად. რედაქციამ დაიწყო აგრეთვე მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების ბეჭდვა და გავრცელება. აღნიშნული მიზნების გამო „ელვასაც“ გაზეთ „განთიადის“ ბედი ეწია: თბილისის გუბერნატორის 1906 წლის 12 აპრილის განკარგულებით (№ 4624) 28-ე ნომრის შემდეგ იგი დახურულ იქნა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თბილისის გუბერნატორი „ელვის“ დახურვის შესახებ გაცემულ თავის განკარგულებაში აფასებს მას როგორც რევოლუციური მიმართულების გაზეთს. თბილისის გუბერნატორისათვის ესოდენ საქულველი მიმართულება გაზეთ „ელვას“ მისცა მის ფურცლებზე დაბეჭდილმა ი. სტალინის სტატიებმა, გაზეთის მუშაობაში ამხანაგ სტალინის აქტიურმა მონაწილეობამ.

ამ ორი გაზეთით ამოიწურა ბოლშევიკებისა და მენშევიკების „გაერთიანებული“ პრესის ისტორია.

გაზეთ „ელვის“ დახურვიდან ორი თვის შემდეგ ამოსვლას იწყებს პირველი „მნათობი“ № 6.

ლი ქართული ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი „ახალი ცხოვრება“ ამ გაზეთის გამოცემის ნებართვის თხოვნით თბილისის გენერალ-გუბერნატორს 1906 წლის იანვრიდან მეოთხედ მიმართეს 1906 წლის 23 მარტს. ამ უკანასკნელი თხოვნიდან ორი თვის შემდეგ, 24 მაისს თბილისის გენერალ-გუბერნატორი იძულებული გახდა მიეცა გაზეთის გამოცემის ნებართვა. მაგრამ გუბერნატორი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ გაზეთი „ახალი ცხოვრება“ უნდა ყოფილიყო არა პარტიული, არამედ ყოველკვირეული სამეცნიერო ორგანო. რასაკვირველია, ასეთი გაზეთიც არ იყო მნიშვნელობას მოკლებული, მაგრამ უფრო მეტ საჭიროებას წარმოადგენდა პარტიულ ცხოვრებასთან, მშრომელთა ფართო მასებთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ყოველდღიური გაზეთი.

ამიტომ ი. სტალინის მითითებით ამ საქმეზე გაპიროვნებულ პირს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრით „სავსებით კეთილსაიმედო პიროვნებად ითვლებოდა“, ხოლო თბილისის საცენზურო კომიტეტის აზრით „თავისი ზნეობრივი თვისებებითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით ღირსი იყო გაზეთის გამოცემისა და რედაქტირების უფლება მისცემოდა“, 1906 წლის 15 ივნისს შეაქვს თხოვნა თბილისის გუბერნატორის სახელზე გაზეთ „ახალი ცხოვრების“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების ნებართვის შესახებ. ეს ნებართვაც მიღებულ იქნა მთელ რიგ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ, 1906 წლის 24 ივნისს. გამომცემლობისათვის „სახელმძღვანელოდ“ მიღებულ იქნა აგრეთვე ცენზურის მიერ მთავრობის ინტერესების შესაბამისად შედგენილი და თბილისის გუბერნატორის მიერ მოწონებული პროგ-

რამა. გამომცემლობამ ცენტრის წინაშე დადო ხელწერილიც პროგრამის „მტკიცედ დაცვის“ შესახებ. გაზეთის გამოცემის ნებართვისათვის ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი პირობა. გაზეთი გამოდის ნებართვის აღების დღესვე, 24 ივნისს.

ასე შეიქმნა პირველი ქართული ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი „ახალი ცხოვრება“.

თუმცა ვაზ. „ახალი ცხოვრება“ გამოიცა ცენტრისა და თბილისის გენერალ-გუბერნატორის ნებართვით, მაინც ის თითქმის არალეგალურ პირობებში გამოდიოდა. კონსპირაციული მოსაზრების გამო „ახალ ცხოვრებაზე“ წარწერილი არ იყო, თუ ვის ორგანოს წარმოადგენდა და რა ამოცანებს ემსახურებოდა იგი. ამავე მოსაზრების გამო გაზეთში დაბეჭდილ არც ერთ წერილსა და კორესპონდენციას არ ჰქონდა მოწერილი ავტორის ნამდვილი სახელი და გვარი. ავტორები წერილებსა და კორესპონდენციებს ან სულ არ აწერდნენ ხელს, ანდა, თუ აწერდნენ, მხოლოდ ფსევდონიმებს. ბოლშევიკური გაზეთების მუშაობის კონსპირაციის ამგვარი სისტემა ნშირად იცავდა გაზეთებს, სარედაქციო კოლეგიის წევრებსა და რედაქციის სხვა თანამშრომლებს ცენტრებისა და ჟანდარმების მხრივ მოსალოდნელი საშიშროებისაგან.

გაზეთ „ახალი ცხოვრების“ წინააღმდეგაც ცენტრამ და თბილისის გუბერნატორმა პირველი ნომრებიდანვე გადამკრული ზომები მიიღეს. თბილისის გუბერნატორმა მრავალჯერ გასცა განკარგულება გაზეთის დახურვისა და გამომცემლობის დარბევის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ი. სტალინის მიერ მიღებული მრავალმხრივი ზომების შედეგად გაზეთმა „ახალმა ცხოვრებამ“ იარსება მე-20 ნომრამდე. ამის შემდეგ იგი, ი. სტალინის სტატიის („საერთაშორისო კონტრრევოლუცია“)

დაბეჭდვის გამო, თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დახურეს, მისი გამომცემლობა დასაბრუნეს, რედაქტორ-გამომცემელი კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა 1906 წლის მეორე ნახევრიდან საგამომცემლო საქმე საქართველოში კიდევ უფრო გაიშალა. ამასთან დაკავშირებით თბილისის გენერალ-გუბერნატორი ბოლშევიკური გამოცემების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა საკითხზე რჩევისათვის მიმართავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. ეს უკანასკნელი არ აყოვნებს და 1906 წლის 16 სექტემბერს თბილისის გენერალ-გუბერნატორს უგზავნის სპეციალურ ცირკულარს (№ 530) ადგილობრივი რევოლუციური გამოცემების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კიდევ უფრო გაძლიერების შესახებ.

ცირკულარში ვკითხულობთ:

„ადგილობრივი ადმინისტრაციის სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს პრესისადმი მეთვალყურეობა. კანონით დაშვებული თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა თითქმის ყველგან გამოყენებულია მთავრობისადმი აშკარად მტრული პირების მიერ მთავრობის საზიანოდ. მათ შექმნეს მთელი რიგი ორგანოები, რომლებიც გამხრწნელად მოქმედებენ მოსახლეობაზე. უწინარეს ყოვლისა უნდა მოითხოვოთ სასამართლო დევნის აღძვრა რედაქტორების, გამომცემლობის და, განსაკუთრებით, ავტორების წინააღმდეგ ყველა სტატიისათვის“.

ამ ცირკულარს თბილისის გენერალ-გუბერნატორი დიდი გულმოდგინებით ასრულებს და ამის შემდეგ გაზეთების გამომცემის ნებართვის გაცემაში განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს. სწორედ ამის გამო გაზეთ „ახალი ცხოვრების“ დახურვის შემდეგ, მიუხედავად

იმისა, რომ ი. სტალინის ინიციატი-
ვით თბილისის გუბერნატორისა და სა-
ცენზურო კომიტეტის წინაშე მრავალ-
ჯერ აღიძრა ახალი გაზეთის გამოცემის
ნებართვის საკითხი, ისინი მაინც არ იმ-
ლეოდნენ ამ ნებართვას.

ბოლოს, 1906 წლის ოქტომბრის პირ-
ველ რიცხვებში, თბილისის გუბერნა-
ტორისა და საცენზურო კომიტეტის წი-
ნაშე აღძრულ იქნა საკითხი სალიტერა-
ტურო გაზეთის გამოცემის ნებართვის
შესახებ. მაგრამ რაკი თბილისის გუ-
ბერნატორი და საცენზურო კომიტეტი
გამოცდილებით იყვნენ დარწმუნებუ-
ლი, რომ სალიტერატურო გაზეთის გა-
მოცემის ნებართვის მიღების შემდეგ
გამოდიოდა არა სალიტერატურო, არა-
მედ ბოლშევიკური პარტიის მებრძოლი
რევოლუციური გაზეთები, ამიტომ მათ
არც სალიტერატურო გაზეთის გამოცე-
მის ნებართვა გასცეს.

მიუხედავად ასეთი დაბრკოლებები-
სა, ბოლშევიკებს ოდნავადაც ხელი არ
აუღიათ თავიანთ გადაწყვეტილებაზე შე-
ექმნათ საკუთარი ორგანო. ი. სტალინის
ინიციატივით 1906 წლის ოქტომ-
ბრის შუა რიცხვებში გაიმართა მო-
ლაპარაკება თბილისში გამომავალ
ნეიტრალური მიმართულების გაზეთ
„ახალი დროების“ რედაქციასთან მუ-
შათა პროფესიული კავშირებისათვის
მისი გადაცემის შესახებ. გაზეთი „ახა-
ლი დროება“ გამოდიოდა კავკასიის მე-
ფისნაცელის ვორონცოვ-დაშკოვის ნე-
ბართვით 1905 წლის 14 ნოემბრიდან.

შეთანხმება მიღწეულ იქნა. მაგრამ
თბილისის გუბერნატორმა და საცენზუ-
რო კომიტეტმა რამდენიმე დღით მაინც
შეათერხეს გაზეთის მუშათა პროფე-
სიული კავშირებისათვის გადაცემის გა-
ფორმება, ხოლო უამისოდ გაზეთის
გამოცემა შეუძლებელი იყო. ბოლოს,
1906 წლის 27 ოქტომბერს მოხერხდა

გაზეთ „ახალი დროების“ პროფესიული
კავშირებისათვის გადაცემის ნებართვის
აღება.

ამის შემდეგ, 1906 წლის 14 ნოემ-
ბერს, გამოდის „ახალი დროების“ ბოლ-
შევიკური გამოცემის პირველი ნომერი.

გაზეთი „ახალი დროება“ ეანდარმე-
რისა და ცენზურის მხრივ დევნა-შე-
ვიწროებისაგან ვერ იხსნა იმან, რომ
იგი გამოდიოდა როგორც პროფკავში-
რული გაზეთი. მასაც ხშირად ატყდე-
ბოდა თავს ადგილობრივი სახელმწიფო
ხელისუფლების მთელი ძალა, პოლი-
ციითა და ჯარით, ეანდარმერიითა და
პროკურორებით. მაგრამ მათს ღონის-
ძიებებს არსებითი წარმატება არ მოჰ-
ყოლია. გაზეთმა „ახალმა დროებამ“
იარსება დაახლოებით ორი თვე და ამ
ხნის განმავლობაში გამოვიდა ცხრა ნო-
მერი. მეცხრე ნომერზე, 1907 წლის 9
იანვარს გაზეთი „ახალი დროება“, თბი-
ლისის გუბერნატორის განკარგულებით,
„უაღრესად მანვე მიმართულებისათ-
ვის“ დახურეს, ხოლო მისი სტამბა
დაარბიეს.

თბილისის გენერალ-გუბერნატორმა
აგრეთვე განკარგულება გასცა გაზეთ
„ახალი დროების“ რედაქტორის პასუ-
ხისგებაში მიცემის შესახებ. თუ გუბერ-
ნატორის განკარგულება გაზეთის გა-
მოცემის აკრძალვისა და სტამბის დარ-
ბევის შესახებ სისრულეში იქნა მოყ-
ვანილი, ამ უკანასკნელი განკარგულე-
ბის შესრულება ეანდარმერიამ და ცენ-
ზურამ ვერ შეძლეს, ვინაიდან, როგორც
გამოიჩვენა, იმას, ვინც, მათი აზრით, გა-
ზეთის რედაქტორი უნდა ყოფილიყო
და ამის გამო სისხლის სამართლის პა-
სუხისგებაში უნდა მიეცათ, წარმოდგე-
ნაც არ ჰქონდა საგაზეთო საქმეზე სხვა-
თა შორის, ასეთი შემთხვევები ხშირი
იყო საქართველოსა და ამიერკავკასია-

ში: კონსპირაციის მიზნით გაზეთს ხელს აწერდნენ ფიქტიური რედაქტორები, რომელნიც საგაზეთო საქმეს არც კი იცნობდნენ, ან თითქმის არ იცნობდნენ. ეს იყო პარტიული კონსპირაციის ერთ-ერთი საკმაოდ ეფექტიანი ხერხი.

გაზეთი „ახალი დროება“ იყო უკანასკნელი ლეგალური გაზეთი 1906 წელს.

არსებობს მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოს საგამომცემლო საქმიანობაზე 1906 წლის განმავლობაში. ეს დოკუმენტია თბილისის ბეჭდვითი საქმის კომიტეტის პატაკი ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარ სამმართველოს სახელზე თბილისში 1906 წლის განმავლობაში ბეჭდვითი სიტყვის საერთო მიმართულებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ამ პატაკში ვკითხულობთ:

„რაც შეეხება თბილისის ბეჭდვითი სიტყვის საერთო მიმართულებას, იგი საანგარიშო წელს ატარებდა აშკარა ოპოზიციურ ხასიათს, რომელიც ხშირად გადადიოდა აშკარა რევოლუციურ ხასიათში: ეს მიმართულება განსაკუთრებული ინტენსივობით ვლინდებოდა ქართულ, რუსულ და ნაწილობრივ სომხურ პერიოდულ პრესაში.

გარდა სასამართლო დევნისა, რუსული და ადგილობრივი (ქართული და სომხური) პერიოდული პრესა მრავალგზის განიცდიდა ადმინისტრაციულ სასჯელს დროებითი გენერალ-გუბერნატორის მხრივ. მაგრამ, მიუხედავად ყველა იმ ზომისა, რომლებიც მიღებულ იქნა გაზეთების წინააღმდეგ, უკანასკნელთა დანაშაულებრივი გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლა მაინც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაეთვალოს: ამა თუ იმ ღონისძიების გატარების შე-

დეგად შეფერებული გამოცემები დაუყოვნებლივ იწყებენ გამოსვლას სხვადასხვა სახელწოდებით და რედაქტორებით და განაგრძობენ იმავე პროპაგანდას“.

ქანდაკმერიისა და ცენზურის ღონისძიებებს 1907 წელსაც არ მოჰყოლია წარმატება.

1907 წლის 1 იანვარს გამოდის ქართული ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის „მნათობის“ პირველი ნომერი.

„მნათობის“ გამოცემის ნებართვის შესახებ თბილისის გენერალ-გუბერნატორის წინაშე საკითხი აღძრულ იქნა 1906 წლის 6 ოქტომბერს. ორი თვის შემდეგ, 11 დეკემბერს თბილისის გენერალ-გუბერნატორი იძლევა გაზეთ „მნათობის“ გამოცემის ნებართვას. აგრეთვე ამტკიცებს გამოცემლობის მუშაობის პროგრამას. ამ პროგრამის მიხედვით, გაზეთში შეიძლებოდა დაბეჭდილიყო მთავრობის განკარგულებანი, საშინაო და საგარეო ქრონიკა, კორესპონდენციები, ბელეტრისტიკა, აღწერები, ისტორიული ამბები, მეცნიერული ხასიათის სტატიები ცოდნის სხვადასხვა დარგიდან, სტატიები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, სასამართლო ქრონიკა, მასალები სპორტის, მუსიკის, თეატრის შესახებ და სხვ. ეს იყო ნეიტრალური მიმართულების, ცენზურის სიტყვით რომ ვთქვათ, ზომიერი ორგანოების პროგრამა. ჩვეულებრივ ყველა მენშევიკური და ესერული გაზეთი რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მსგავსი პროგრამით მუშაობდა. სწორედ ამიტომ მენშევიკური და ესერული გაზეთები და მათი გამომცემლობები მთავრობის მუდმივ მხარდაჭერას პოულობდნენ.

თბილისის გენერალ-გუბერნატორის მიერ დამტკიცებული „მნათობის“ პრო-

ვრამა გამოირიცხებოდა გაზეთის ფურცლებზე რევოლუციური იდეების პროპაგანდას, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საკითხების გაშუქების შესაძლებლობას.

მაგრამ ეს მდგომარეობა ოდნავადაც არ უშლიდა ხელს გაზეთ „მნათობს“ ეკეთებინა რევოლუციის საქმე, ყოფილიყო საქართველოს რევოლუციური პროლეტარიატის საბრძოლო დროშა. ამის საუკეთესო საბუთია ის ფაქტი, რომ გაზეთ „მნათობის“ რედაქცია (გამოვიდა გაზეთის მხოლოდ ხუთი ნომერი, აქედან სამი კონფისკებული იქნა) სამჯერ დაარბიეს. მაგრამ როცა ეს ზომებიც არასაკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ „მნათობი“ ზომიერი ორგანო გამხდარიყო, მისი გამოცემა აკრძალეს, ხოლო გაზეთის გამოსვლის მეექვსე დღეს, 6 იანვარს თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაარბულ და კონფისკებული იქნა „მნათობის“ მთელი სასტამბო მოწყობილობა, რედაქტორი კი გაზეთში რევოლუციური შინაარსის წერილებისა და სტატიების დაბეჭდვის გამო თბილისის ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

როგორც ჩვეულებრივ ამიერკავკასიაში გამოცემული ყველა ბოლშევიკური გაზეთის, ისე „მნათობის“ წინააღმდეგ ასეთი გადაპყრელი ზომების მიღების ძირითადი მიზეზი იყო გაზეთში ი. სტალინის სტატიების დაბეჭდვა. ი. სტალინის ერთ-ერთი სტატია, რომლის დაბეჭდვის გამოც კონფისკებულ იქნა „მნათობის“ მეორე ნომერი, იყო „საარჩევნო ბრძოლა“. ეს სტატია გაზეთში დაიბეჭდა „კობას“ ხელმოწერით. ცარიზმის ცენზურის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ამ სტატიის დედანი „მნათობის“ მეორე ნომრის კონფისკებულ ნაწილთან ერთად ინახება მარქს-

ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივში.

გაზეთების „ახალი დროებისა“ და „მნათობის“ დახურვის შემდეგ ქანდაკმერია და ცენზურა კიდევ უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენენ ლეგალური გაზეთების გამოცემის ნებართვის გაცემაში. ამის გამო თითქმის თვენახევრით შეფერხდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის შემდგომი გამოცემის საქმე. მაგრამ ქანდაკმერია და ცენზურა ი. სტალინისათვის, პროტესიონალ რევოლუციონერთა სტალინური კადრებისათვის გადაულახავ დაბრკოლებას არ წარმოადგენდნენ. 1907 წლის 18 თებერვალს ი. სტალინის ინიციატივით გამოსვლას იწყებს გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“.

გაზეთ „ჩვენი ცხოვრებასაც“ იგივე ბედი ეწია, რაც ი. სტალინის ხელმძღვანელობით მანამდე გამოცემულ ყველა ლეგალურ გაზეთს. მე-13 ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთ „ჩვენი ცხოვრების“ გამოცემა თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით „მანვე მიმართულების გამო“ აკრძალულ იქნა.

აღსანიშნავია, რომ „ჩვენი ცხოვრების“ დახურვის მესამე დღეს, 9 მარტს ი. სტალინის ინიციატივით აღებულ იქნა ახალ ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ „დროს“ გამოცემის ნებართვა¹. ამ ნებართვის საფუძველზე ორი დღის შემდეგ, 11 მარტს გამოსვლას იწყებს გაზეთი „დრო“. ამ გაზეთმა საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში გამოცემული ბოლშევიკური ლეგალური გაზეთებიდან ყველაზე მეტ ხანს იარსება. სულ გამოვიდა მისი 31 ნომერი. ამის შემდეგ გაზეთ „დროს“ გამოცემა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით აკრძალულ იქნა. გუბერნატორი გაზეთის დახურვის საბაბად

¹ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფონდი 48, საქმე 115, გვ. 4.

თელიდა მის „უღარესად მავნე მიმართულებას“. თავის დასკვნაში ცარიზმის სატრაპი არ შემცდარა: „დრო“ ცარიზმისათვის მართლაც „უღარესად მავნე მიმართულების“ გაზეთი იყო.

ასეთ ძნელ პირობებში გამოდიოდა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ი. სტალინის ინიციატივით თბილისსა და ბაქოში რუსულ და სომხურ ენებზე დანარჩენი გაზეთებიც.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სტალინური გაზეთების წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმული იყვნენ ჟანდარმერიის, პოლიციის, ცენზურის, სასამართლო პალატის პროკურორთა და

პროვოკატორთა საკმაოდ გამოცდილი ძალები, ხშირად კი სამხედრო უწყებაც, მათი ღონისძიებანი შებენი ნაკლებად იძლეოდნენ ცარიზმის კავკასიელი სატრაპებისათვის სასურველ შედეგებს, ერთი დახურული გაზეთის ნაცვლად გამოდიოდა მეორე, მეორეს ადგილას მესამე და ასე გრძელდებოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერკავკასიაში ეს შესანიშნავად ორგანიზებული რევოლუციური მუშაობა, როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის წინ, ისე რევოლუციის პერიოდში და რეაქციის წლებში.



„ამბავი ნამდვილი აღამიანისა“

ქართული თარგმანის გამომცემების გამომცემი



„ამბავი ნამდვილი აღამიანისა“ ზორის პოლევოის პირველი დიდი მხატვრული ნაწარმოებია, დაწერილი სამაჟლო ომის თემაზე. გამოქვეყნებისთანავე ამ წიგნმა მკითხველის მოწონება და სიყვარული დაიმსახურა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1947 წელს ავტორს სტალინური პრემია მიენიჭა.

„ამბავს ნამდვილი აღამიანისა“ პოლევოიმ საფუძვლად დაუდო საბჭოთა კავშირის მფრინავ-გამანადგურებლის ალექსეი მარესიევის ნამბობი. წიგნის ბოლოსიტუაობიდან ვიგებთ, რომ ალექსეი პეტრესაძე მარესიევს ავტორი გაეცნო გამანადგურებელი მფრინავების გვარდიელთა ერთ-ერთ პოლკში, პოლევოი იქ ჩავიდა როგორც „პრადას“ კოჩევსონდენტი. ღამის განმავლობაში მარესიევმა უამბო მას იმის შესახებ, თუ როგორ დაკარგა მან თვითმფრინავზე ორივე ფეხი და შემდეგ როგორ დაუბრუნდა სხობოლო ავიაციას.

„ამბავი ნამდვილი აღამიანისა“ წარმოადგენს არა ერთი რომელიმე ცალკეული ჰეომრის ბიოგრაფიას ანდა სამაჟლო ომის ცალკეული ეპიზოდების ნატურალისტური ჩანაწერებს, არა მდ იძლევა ასალი საბჭოთა მოქალაქის ტიპს, საუკეთესოდ გაღმოსცემს დიდი სამაჟლო ომის არსს და საბჭოთა ხალხის გმირულ სულს.

პოლევოი არ აღამაზებს სინამდვილეს, ნაწარმოების სიუჟეტს აგებს ნამდვილ ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სინამდვილეში. ჯვალადერი ეს აძლევს მწერალს შესაძლებლობას ღრმად გახსნას ასალი საბჭოთა აღამიანის ზორალური დვისებები.

პოლევოიმ, როგორც საბჭოთა მწერალმა, რომელიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდით სარგებლობს, გვიჩვენა სამაჟლო ომში საბჭოთა აღამიანის უმაგალითო გმირობის არსი და ხასიათი. ამ მხრივ პოლევოის მოთხრობა მწვენიერი ილუსტრაციაა ამხანაგი სტალინის ბრძნული სიტყვებისა, რომლებიც ბელადმა 1941 წლის 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებაში თქვა:

„უეკველია, რომ თავისი საშობლოს დაცვის იდეამ, რისთვისაც ჩვენი აღამიანები ომობენ, უნდა წარმოშვას და ნამდვილად წარმოშობს კიდევაც ზენს არამაში გმირებს, რომლებიც წითელ არმიას აღულაზებენ“...

სწორედ ასეთი გმირი, რომელიც თავისი ხაშობლოს დაცვის იდეამ დახადა, არის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ალექსი შერესიევი.

ზენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების გამარჯვების, წარშობების საშულალებზე კერძო საუკარებს მოსპობის საფუძველზე აღამიანებს ვაუნნდათ მაღალი საზოგადოებრივი შეგნება — ხალხთან განუერელი ერთიანობის გრძნობა. ჩვენს საზოგადოებაში პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები განუწყვეტელ მთლანობაში არიან.

ხალხთან განუერელი ერთიანობის ეს გრძნობა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა აღამიანის შემოქმედებითი მთავონებისა და სიხარულის, ძალისა და სიმამაცის წყაროს, წითელ ზოლად გასდევს მთელს ნაწარმოებს. მოთხრობის სიუჟეტი და კომპოზიცია, სახეების მთელი სისტემა ექვემდებარება ამ იდეის გახსნას.

მოთხრობის პირველ ნაწილში ნაჩვენებია თუ საშობლოს დაცვის იდეა, მტრისადში მურისძიების სურელი როგორ ეხმარება დაქრალი მფრინავს თავი დააღწიოს მტრის ზურგს. მეორე ნაწილში პოლევოი მოგვითხრობს, თუ ხალხთან განუერელი ერთიანობის გრძნობამ როგორ დააძლევინა მერესიევს საშინელი სეედა, სუღიერი და ფიზიკური ძალების დაცემა, რაც გამოუსწორებელმა დასახირებამ გამოიწვია. ავტორი გვიჩვენებს, როგორ უბიძგებს ეს გრძნობა მერესიევს უმაგალითო გმირობისაც და უბრუნებს მის ცხოვრების.

მომდენო ორ თავში ავტორმა გვიჩვენა თუ რა შეუძლია პატრიოტული გრძნობით გამსკეულულ აღამიანს. დიდი მხატვრული სიმართლით დახატა პოლევოიმ გმირის თავგანწირული ბრძნლა, საიციხლისადში დაბრუნება, გამარჯვება და დღესასწაული. ბოლოსიტუაობა თითქოს ამ

შას, არამედ უფრო სრულად, უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს მას*.

ასევე იქცევა ზორის პოლევოაც. ჩვეულებრივად იგი გვიჩრის ხასიათში ძირითად ნიშანს გამოყოფს, უფრო მეტითად გვიჩვენებს, უმთავრესად მათზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას. მერესიევის მორალურ სახეში ასეთი ძირითადი ნიშანია: სამშობლოსადმი სიყვარული, ხალხთან განუყოფელი ერთიანობის გრძნობა, მაღალი საზოგადოებრივი შეგნება. მისი ხასიათის ყველა დანარჩენი ნიშანი — დასახული მისწრაფებები განუხრელი სწრაფვა, გამტანადობა, მტრისადმი შეურაცხველი სიძულვილი, ნებისყოფის სიმტკიცე, აღაშიანების სიყვარული — ამ ძირითადი თვისებებით არის გაპირობებული, რაც მერესიევის სახის მთლიანობის საფუძველიცაა.

სამშობლოს განუხლებელი სიყვარული, ხალხთან განუყოფელი კავშირის გრძნობა უკარნახებს მერესიევის ჩიდიანობის უმადლოთი გვირობა. თავის მხრივ ეს გრძნობა კარგად მოქმედებს გვირის ხასიათზე — აქეთილშობილებს მას, ეხმარება დაძლიოს პირადი შფუხარება, მოიპოვოს ჭეშმარიტი ბედნიერება ცხოვრებაში.

ორთა ბრძოლა ალექსი მერესიევსა და გერმანულ ესეცელს შორის ცნობილი ესკადრა „რისტიკოფენიდან“ წარმოადგენს სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულ საბჭოთა აღაშიანის უპირატესობის შესანიშნავ ილუსტრაციას კაპიტალისტური მსოფლიოს წარმომადგენლებზე. პოლევო ასე ხსნის გერმანულ ესეცელზე საბჭოთა მფრინავის გამარჯვებას: „ის, ვინც სულმოკლეა, ვინც ვერ აიტანს საშინელ ნერვიულ დაძაბულობას, ის, ვინც თავში თავი იპოვის იმდენ ძალას, რომ გამარჯვებისათვის დაიღუპოს, ის ინსტიტუტად სახელურს თავისევე მოსწევს რათა მისკენ გამოქანებულ სასიკვდილო ტარიშხალს თავზე გადაატყოს და მეორე წაშში მისი თვითმფრინავი დაექანება დაბლა გაფატრული მუცლით ან მოკვეთილი სიბრტით. მისთვის სხვა არსად არის. გამოცილიმა მფრინავებმა ეს კარგად იცინ და მთავან მშოლოდ მამაცი ბედნიერ პირისპირ შეტაკებას*.

ხალხთან განუყოფელი კავშირის გრძნობა აქლევს სრულიად ახალ შინაარსს აღაშიანთა შორის ისეთ დამოკიდებულებას, როგორცაა მეგობრობა, ურთიერთდამხმარება საფრთხეში. ამ გრძნობით შთაგონებული მერესიევი მუდამ ზრუნავს იმ აღაშიანებზეც კი, რომლებიც თუნდაც ერთხელ შეხედნენ მას ცხოვრების გზაზე, ინაწილებს მათს შფუხარებას და სიხარულს. იღებს მხრვალე მონაწილეობას მათს ცხოვრებაში. ავტორი დიდი სიბოძოთი გვიხატავს იმ დამოკიდებულებას, რომელიც დამყარდა ალექსი მერესიევსა, გეოზღევსა, კუქუშკინსა, ანიუტკასა, პეტროვსა და მოთხრობის სხვა გვირებს შორის.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს მერესიევი ხედვს, რომ პეტროვს აუცილებელი დაუღებავა ვლის. იგი მოისწრაფვის აშხანაგის დასახმარებლად, სწირავს თავს. მერესიევი თვითმფრინავს ავდებს გაციურ ვერტიკალურ პიკში, რომელსაც თვით გამოცილი მფრინავიც მშოლოდ ერთხელ თვე გაბედავს სიციხლებში*.

მერესიევის, ისევე როგორც ყოველი საბჭოთა აღაშიანის, დამახასიათებელი ნიშანია სულიერი კეთილშობილება, აღაშიანისადმი პატივისცემა. უფხვლად დარჩენილი მერესიევი იღებს გადაწყვეტილებას დამორიდებს საყვარელ ქალიშვილს რადგან მას არ უნდა, რომ ილია სულიერი კეთილშობილების გამო მისთხოვდეს მას — უფხვხოს, მისი გულისათვის დაანებოს თავი უმაღლეს ტექნიკურ განათლებაზე ოცნებას, შეეხას საშახურის კვანში, რომ გამოეცხბოს თავისი თავი, ინვალიდი ქმარი და, ეინ იცის, იქნებ შეიღლებიც. მარტო ამის გაფიქრებაც კი მერესიევს დაეაწყვეტიან, დამორიდებს საყვარელ ქალიშვილს.

აღაშიანის, მისი კუთლებების პატივისცემა წარმოადგენს მერესიევისათვის გარდუვალ კანონს. იგი მზადაა უარყოს პირადი ბედნიერებაც კი, ოღონდ არ შეტბალოს მეორე აღაშიანის ინტერესები. პოლევოიმ მოთხრობაში დიდი ისტატობით გახსნა მერესიევის სულიერი ცხოვრება. ავტორი მთელი ნაწარმოების შანძილზე ხაზს უსვამს, რომ გვირის მოღაწეობა, მისი ყოველი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი გამოწვეულია სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ავტორი მერესიევის იდეურსა და მორალურ თვისებებს გვიხატავს არა დეკლარაციული სიტყვებით, არამედ კონკრეტული, დასამახსოვრებელი სურათებით. პოლევოი იძლევა მერესიევის სახეს განვითარებაში, გვიხვენებს მის სულიერ ზრდას, მის წართობას სიძნელებთან ბრძოლაში.

აშხანაგმა სტალინიმ თავის ცნობილ სიტყვაში კრემლში 1935 წლის 4 მაისს თქვა:

„კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშოზე, სკოლის გარეთ, სიძნელებთან ბრძოლისას, სიძნელებების გადალახვისას, გახსოვდეთ, აშხანაგებო, რომ მშოლოდ ის კადრებია კარგი, რომელთაც სიძნელებისა არ ემიწიათ, რომლებიც სიძნელებს არ გაურბიან, არამედ, პირაქით, — სიძნელებს ვეებებთან იმისათვის, რომ გადალახონ და ლიკვიდაცია უყონ მათ. მშოლოდ სიძნელებთან ბრძოლაში იწრთობიან ნამდვილი კადრები“.

მერესიევმა გამარჯვებას მიადწია იმტომ, რომ იგი კი არ ემაღებოდა სიძნელებს, არამედ პირისპირ ხედებოდა მათ, რომ დაეჭლია. ამ მხრივ პოლევოიმ აირჩია ერთადერთი სწორი გზა ნამდვილი საბჭოთა აღაშიანის სახის შესა-

ქმნელად. სწორედ სიმწვანეების დაძლევაში გვიხვეს ავტორმა გვირის იდეური ზრდა. მერესივე სიმწვანეების დაძლევისას იზრდება სუფიერად: სულ უფროდაუფრო უკეთესად ესმის მის გარემო, მტკიცდება მასში რწმენა საბჭოთა ადამიანისადმი, უფროაღება ხასიათის სიმტკიცე და მოუდრეველობა. იგი განსაკუთრებული ძალით იწყებს ადამიანებთან დაკავშირებას, ამყარებს მათთან ახლო ურთიერთობას. იგი ხდება მომთმენი, დინჯი. ქრება მასში ის დაუდევრობა, რომელიც მან იმ ბრძოლაში გამოიჩინა, როდესაც მტრის თვითმფრინავები ჩამოაგდო. იგი უკვე აღარ ეშორჩილება იმ სულმოკლეობას, რომელმაც მოიყვანა იგი ფეხის ამბუტაციის დროს.

შემახადამე, პოლევოიმ მერესივეის სახე გვიჩვენებს ქმნადობის პროცესში, დახატა მოუშფიფებელი ჭებუქის დამთარებულ ადამიანად ჩამოყალიბება.

ასევე გორკიმ რომანში „ედლა“ გვიჩვენებს ნილოენას, პავლე ელასოვის სულიერი ზრდა. საბჭოთა ლიტერატურის დიდმა ფუძემდებელმა დავიდატა თავისი გმირები არა სტატურულად, არამედ დინამიურად, განვითარებაში და ქმნადობაში. ახალგაზრდა მუშა პავლე ელასოვი, ჩაება რა რევოლუციურ ბრძოლაში, გახდა გამობრძმედილი, თავშეკავებული, მტკიცე ნებისყოფის, მუშათა საქმისათვის თავდადებული მებრძოლი. ასევე განვითარებაში, ქმნადობაში არიან ნახევრები გმირები რომანებში — „ჩაპაევი“, „რკინის ნაღები“, „განადგურება“, „როგორ იწითობოდა ფოლადი“, „ტანკერი დერბენტი“, და სხვ.

პოლევოი აგრძელებს საბჭოთა ლიტერატურის ამ ტრადიციას და გვიხატავს მერესივეის არა უძრავად და გაუინულად არამედ განვითარებაში და მოქმედებაში.

ვორობოივის სახით პოლევოიმ მოგვცა ნამდვილი ადამიანის ის იდეალი, რომლისკენაც მიისწრაფვის მერესივეი. კომისარი ვორობოივი — ეს სრულიად ჩამოყალიბებული ადამიანია, გამოწრთობილი კომუნისტია, რომელმაც ლენინ-სტალინის სკოლა განელო. მასში ავტორი თითქმის მერესივეის მომავალს გვიხატავს. ვორობოივის სახე ავტორის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა როგორც მხატვრული, ისე იდეური თავისუფალი.

ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში ძველი თაობის კომუნისტის სახის შეტანით და იმ კოლოსალური როლის ჩვენებით, რომელიც შეასრულა ვორობოივმა ალექსეი მერესივეის ცხოვრებაში, ავტორმა შექმნა მუდამ ახალგაზრდა, გამობრძმედილი კომუნისტის ტიპური სახე, კომუნისტისა, რომელიც ცხოვრებას ფეხდაფეხ მისდევს და თან მიჰყავს ახალი თაობა. საბჭოთა

საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს მამებისა და შვილების პრობლემა. როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა თაობა ცხოვრობს და იბრძვის ერთი და იმავე კეთილშობილური მიზნისათვის. შვიდრო, მეგობრული დამოკიდებულება ვორობოივსა და ახალგაზრდობას შორის ამის მკაფიო დადასტურებაა.

მომხედ კონტრზირებულ, გონებადაკარგულ კომისარს მოათავსებენ პალატაში, სადაც მერესივეი წევს. ეს დასიებული ადამიანი, რომელსაც ყოველი მოძრაობა მწყარე ტვიცილება ჰგავს, უღრუნად გულდას მის გარშემო მყოფთადმი. იგი მოკლე ხნის განმავლობაში ყველას გაიცინობს და ამავე დროს პალატის უოველი წევრის შესწავლას ასწრებს. თვითფელისათვის მან გამოანახა განსაკუთრებული გასაღები. იგი კარგად ცნობს ადამიანებს და იცის, როგორ გამოანახოს მათთან საერთო ენა. თვის ისეთი მოჩუბბარი ადამიანი, როგორიც ლიტენანტი ტუქუშკინია, მისდამი პატივისცემით განიშუკვალა.

კომისარი ცხოვრობს არა მხოლოდ თავისი საკუთარი ცხოვრებით, არამედ მთელი საბჭოთა სამშობლოს ცხოვრებით. მას ყოველივე აინტერესებს, ყოველივე გულთან ახლოს მიაქვს. მკალიათად, იგი აღმფრთხილებია რომ რომელაღაც კორესპონდენტმა დაწერა არასწორი ამბები გავითმა. კომისარი გზავნის წერილს რედაქციაში და მოითხოვს, რომ დაისაჯოს სიცრუის შემთხვეული.

ვორობოივი კომუნისტი — ავტობატრია. ლოგინზე მიჯაჭვული, იგი უოველდე ხმაშლდა კითხულობს გავითს და უკეთებს თავის კამენტარებს. ის ყოველთვის დაკავებულია და არც ერთ წუთს არ კარგავს უქმად.

ალექსეი მერესივეი აკვირდება კომისარს, სურს გაიგოს, თუ რა აძლევს ძალას ამ ადამიანს, დაძლიოს საშინელი ავადმყოფობა, საიდან აქვს მას ასეთი ენერგია, ხალისი და სიცოცხლისუნარიანობა; რა ძალაა ის, რომელიც ავიწყებინებს პირად ტანჯვას, უქარწყლებს ფიქრს შიხ-ლობულუ სიკვდილზე? ეს ის ძალაა, რომელიც მან მერესივეიმეც გააღოთა: სამშობლოსა და ხალხისადმი პასუხისმგებლობის უძლიერესი გრძობა.

მიუხედავად იმისა, რომ კომისარი ვორობოივი მძიმე ავადმყოფია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანმრთელობა ყოველდე უარესდება და ის კატასტროფული სისწრაფით უახლოვდება სიკვდილს, მიუხედავად გაზშირებულ გულისწასვლისა, რომელაგან თვითფელი შეიძლება საუბდისწერო იყოს, ის თავისი ცხოვრების უანასწენლ წუთამდე რჩება მოქმედ, ენერგულ ადამიანად, რომელიც შვიდროდა დაკავშირებული სინამდვილესთან, ხალხთან. მას არც

ერთხელ არ ებადება არი სიყვდილზე მან არ იცის სიყვდილის წინაშე მტანჯველი შინში. ფადმყოფობის თვით ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიაც კი ის უფრო მეტად ფიქრობს სიცოცხლეზე, ვიდრე სიყვდილზე.

მძიმე ავადმყოფობით შებოროტად კომისარში ჩვენ ვერ ვხედავთ წუთიერ სისუსტესაც კი. არაგის გაუგება მისი ერთი კენჭს ან ერთი ჩივილი მაინც. ეს ადამიანი ღირსეულად წავიდა ცხოვრებიდან, ისე რომ უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს მასთან კავშირი. პალატაში ვერაგინ ვერ შეინძნა, თუ როგორ მოკვდა ვორაზიოვი. მოკვდა კი იმ წუთებში, როდესაც რადიოთი უსმენდა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებები აუკმაღლესი საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ამ გზიზღით პოლევოიმ გვიჩვენა, რომ კომისარი ვორობიოვი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წუთშიაც კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის ხალხთან, თავის ქვეყანასთან. პოლევოიმ შექმნა კომუნისტის დაფიქრარი სახე, კომუნისტისა, რომელიც სიყვდილზე იმარჯვებს. ამით პოლევოი აგრძელებს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს. ფურშანოვის კომუნისტები ისევე უყურებდნენ სიყვდილს, როგორც ვორობიოვი. გავიხსენათ ფურშანოვის სიტყვები „ამოიხეზიდან“: „ნუ მოკვდები ძალურად, წამტვრინდი, კანკალით და ხეწნით, — მოკვდი კარგად, მოაკრიბე ძალები. ყველაფერი გადმოაბრუნე შენი შინაგანი მე“—დან, გაუეთუე მობილხაცია ყველაფერს, როგორც ტინში, ისე გულში. ნუ დაინანებ, რომ მეგრ ენერგიას დაკარგავ — ეს ხომ შენი უკანასკნელი მობილხაციაა!!! კარგად მოკვდი...“.

ამ ძალის არსი, რომელიც ემხარება ბოლშევიკს დაძლიოს სიყვდილი და უკანასკნელ წუთამდე მებრძოლად დარჩეს, დიდი მხატვრული ოსტატობით გახსნა ნიკოლოზ ოსტროვსკიმ „როგორ იწრთობოდა ფოლადში“. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ოსტროვსკის შესანიშნავი სიტყვები:

„გვიოსტატ ყველაზე უფრო ადვილად იღებება. იგი ცხოვრობს თვითონ და თავისთვის. და თუ დაზიანებულია მისი მე“, მას არა აქვს ცხოვრების საგანი. მის წინ ვგოიზმის ღამეა და განწირულება. მაგრამ როდესაც ადამიანი ცხოვრობს არა თავისთვის, როცა იგი ერთობაშია საზოგადოებასთან, მისი მოკვლა ძნელია, რადგან უნდა მოკლა მთელი სინამდვილე, მთელი ცხოვრება“. და შემდეგ: „მე ყოველთვის მჭონდა ცხოვრებაში მიზანი და გამართლება — ესაა ბრძოლა სოციალიზმისათვის. ეს ყველაზე უფრო ამაღლებელი სიყვარულია. მაგრამ თუ ადამიანის პარადულს უჭირავს დიდი ადგილი, ხოლო საზოგადოებრივს — უმნიშვნელო, მაშინ პირადი

ცხოვრების განადგურება კატასტროფაა. მაშინ ადამიანის წინაშე დგება კითხვა: რა უფროა ცხოვრობა?

გენგლინიძე

ეს კითხვა არასოდეს არ დგას მებრძოლის წინაშე“.

როგორც ნიკოლოზ ოსტროვსკის პავლე კორჩაგინი, ისევე კომისარი ვორობიოვი იმარჯვებენ სიყვდილთან ბრძოლაში, რადგან ხალხთან. თავის ქვეყანასთან განუყრელი კავშირი აქვთ. მკითხველს უჩნდება რწმენა, რომ ფიზიკურ სიყვდილთან ერთად არ თავდება ნამდვილი ადამიანის სიცოცხლე. კომისარი ვორობიოვი განაგრძობს ცხოვრებას, რადგან ის საქმე, რომლისათვისაც მან სიცოცხლე გასწირა, საქმე, რომელიც მისი სიცოცხლის არსი იყო, უკვდავია, უკვდავია ის ხალხი, რომელთანაც იგი განუწყვეტელი ძაფებითაა დაკავშირებული.

ამ ნაწარმოების ისეთი გმირები, როგორიც არიან ოლია, ანიტა, კლავდია მიხეილის ასული — საბჭოთა ქალების ტიპური წარმომადგენლები არიან. ყველა მათ ახასიათებთ სუფთა, უანგარო გრძნობები, ერთგულება და სიმტკიცე პირადი ურთიერთობაში, ადამიანის სიყვარული. ქალებს, რომლებიც პოლევოიმ ასახა, აქვთ სათეთი, მგრძობიარე სული. მათ შეუძლიათ გასწირონ თავი ადამიანებისათვის.

განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა ქალების სულიერი თვისებები ომის წლებში, როდესაც სამშობლოს სასიყვდილო საფრთხე ემუქრებოდა.

სოფელ პლავენის მცხოვრებლები თემცა შიმშილისაგან სიყვდილიან და იხოცებიან, მაგრამ სურსათის უკანასკნელ მარაგს პარტიზანებს აძლევენ. აგროეებენ ფქვილის ნარჩენებს და შაქრის ნამტვრევებს, რომ გადაარჩინონ დაპრიული მერესიევი. მოხუცი ქალი ვასილისა, რომელსაც ოჯახი ფაშისტებმა გუნადგურეს, დაკლავს გერმანელთა ძარცვის შემდეგ შემთხვევით გადაარჩინილ უკანასკნელ ქათამს, რათა მოუხარშოს ბულიონი მომავლად მერესიევის.

დიდი მხატვრული სიმართლითაა დახატული ექიმის თანაშემწე კლავდია მიხეილის ასულის სახე. ტუელად კი არ უწოდებს მის გულანგილებული სტეფანე ივანესძე „საბჭოთა ანგელოსი“ დაპრილებზე განსაკუთრებული ზრუნვისა, გულსჩხობებისა და აღერსიანობისათვის.

უჩვეულო ღრმა და გულითადაა ის დამოკიდებულება, რომელიც მყარდება მომავლად კომისარსა და კლავდია მიხეილის ასულს შორის. ვორობიოვი — ეს შამაცა, უტეხი ადამიანი, რომელიც სიყვდილის პირას იდგა და უსიტყვოდ იტანდა საშინელ ტანჯვას, მან მთელი გული შეიყვარა. ეს სიყვარული არ კვდება კომისარის სიყვდილთან ერთად. მაიორ სტრუტკოვს, რომელსაც ნამდვილი გრძნობა აქვს კლავდია

მიზეზის ასულის მიმართ, ასე უპასუხებს, რომ მას სხვა უყვარს, მეცდარი და ამიტომ არ შეუძლია მისი ცოლი გახდეს.

ასეთივე მტკიცე, თავგანწირული სიყვარული ახასიათებთ ოლიას, ანიეტას.

უბრალო საბჭოთა ქალიშვილების — ოლიას, ანიეტას ნათელი სახეები პოლეკოვიმ გადმოგვცა მათი წერილების საშუალებით, მაგრამ ისინი ცოცხლად ღვანან მკითხველის წინაშე. ოლია მონაწილეობს სტალინგრადის დაცვაში, ანიეტა თბრის მოსკოვთან ტრანშეებს, მუშაობს გვაკოპის ბაზარში, არ იცის არც ძილი, არც მოსვენება.

ასეთია ახალი ქალების ტიპები, ქალებისა, რომლებსაც სამშობლოსა და მახლობელი ადამიანებისადმი სიყვარული ერთ მთლიან გრძნობად უქცევიათ.

საბჭოთა არმია ახალი ტიპის არმიია. დიდ სამამულო ომში მან მალაი საბრძოლო და მორალური თვისებები გამოამჟღავნა. საბჭოთა არმიის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკვეს არა მარტო სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, არამედ გაათავისუფლეს ფაშისტური უღლისაგან ევროპის მთელი რიგი ქვეყნები.

ამხანაგი სტალინი მიგვიითხებს, რომ ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი საბჭოთა არმიის ძლიერებისა არის მალაი მორალური სული. საბჭოთა მეომრის ამ მორალური სულის გადმოცემა წარმოადგენს საბჭოთა-ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე საბაბო აპოკანას.

რამდენადღე საბჭოთა არმია და საბჭოთა ხალხი ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი არმიის წარმომადგენლების ასახვა ნიშნავს საერთოდ საბჭოთა ადამიანის ასახვას.

ამხანაგმა სტალინმა 1941 წლის 3 ივლისს თავის გამოსვლაში რადიოთი ასე განსაზღვრა საბჭოთა მეომრის თვისებები:

„დიდი ლენინი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო შექმნა, ამბობდა, რომ საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე, გამებლობა, უშიშრობა ბრძოლაში, მზად ყოფნა იმისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ, საჭიროა, რათა ბოლშევიკის ეს ნინებელი თვისება ახასიათებდეს წითელი არმიის, ჩვენი წითელი ფლოტისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მილიონებსა და მილიონებს...“

წითელმა არმიამ, წითელმა ფლოტმა და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ უნდა დაიკვეს ყოველი მტკიცე საბჭოთა მიწა-წყალი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოლონ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, უნდა გამოიჩინონ ჩვენი ხალხის დამახასიათებელი გამებლობა, ნიკიტატივა და გამკრიხობა“.

პოლეკოვის დამახებრება ისაა, რომ საბჭოთა მეომრის სახეებში, რომლებიც უნდა შექმნა, შეძლო განესახიერებინა სუბიექტული დამახასიათებელი მალაი მორალური თვისებები, ის მშვენიერი თვისებები, რომლებიც ინერგებოდნენ და ვითარდებოდნენ საბჭოთა ადამიანებში კომუნისტური პარტიის მეთაურობით და რაც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა სამამულო ომის წლებში.

მოთხრობის ისეთი პერსონაჟები, როგორცაა საბჭოთა კავშირის გმირი სტეფანე ივანეს-ძე, ლეიტენანტი გვოზდევეი, კუკუშკინი, მაიორი სტრანჯევი და სხვები, არიან საბჭოთა ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები. ავილით, მაგალა-ნად, ძველი ციმბირელი ჯარისკაცი, რომელიც ომამდე კოლმეგრეობის თავმჯდომარე და მონადირე იყო, ხოლო ომის წლებში სწავიერი გახდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მან შექმნა „დაახლოებით სამოცდაათი გერმანელი ჩამოვდგო“. მიუხედავად იმისა, რომ მისი წლოვანების ხალხი დემობილიზებულია, იგი გამოჯანსაღების შემდეგ კვლავ ფრონტზე მიემგზავრება. სტეფანე ივანეს-ძეს ახასიათებს მოთმინება, თავდაპირილობა, გულისხმიერება. მას მოსიყვარულე გული აქვს. არ შეიძლება აუღელეებლად წაიკითხოთ ვროსთოიკისა და სტეფანე ივანეს-ძეს განშორების სცენა, რომელშიაც ოსტატურად არის გადმოცემული მისი დიდი სიყვარული კომისრისადმი. ამ უბრალო რუსა ჯარისკაცის საქმიანი მომზობლავი ფიგურა მითხველის მეხსიერებაში ღრმა ავალს ტოვებს.

საბჭოთა კავშირის გმირი, ლეიტენანტი გვოზდევეი ერთი იმათაგანია, რომლებმაც ევრაგა მტრის პირველი დარტყმა მიიღეს. იგი ბელოსტოკთან მომხდარი ცნობილი სატანკო ბრძოლის მონაწილეა. ჯარების სწრაფი გადაადგილების შედეგად ის გერმანელთა ზურგში მოხვდა, მაგრამ არ დაიბნა, არ დაეარგა გამარჯვების რწმენა. იგი ქმნის სატანკო ჯგუფს და გამანადგურებლად მოქმედებს მტრის ღრმა ზურგში. მებრძოლთა ჯგუფით იგი მიიწევს აღმოსავლეთისაკენ და მოხვდება მოზობილურ სოფელში. მაგრამ აქ მან ვერ იპოვა ვერც სახლი, ვერც მშობლები, ვერც ის ქალიშვილი, რომელიც დაიბრდა მას, რომ წერილებს მისწერდა, რაც ის ფრონტზე მიდიოდა. ნახებრად შეშლილმა მოხუცმა ქალმა უამბო მას იმის შესახებ, თუ როგორ მხვეტრად აწამეს ფაშისტებმა მისი ოჯახი. გვოზდევის დედა, სოფლის მასწავლებელი მძიმე ავად გახდა, მამამ ვერ გაბედა მისი ევაკუირება და ვერც მიატოვა. გერმანელებმა ვაიყეს, რომ სოფელში დარჩა მშრომელთა დებუტატების საოლქო საბჭოს წევრის ოჯახი და საწინააღმდეგადად აწამეს. ენია, რომელიც შევეცადა ეთხოვა გერმანელი



ოფიცრისათვის გეოზდევის ოჯახის თაობაზე, აქამდე გეტყობის ჯერძუმულში და შემდეგ მკვლარი გადმოსიროლეს ქენისში.

მტრისადმი შეურიგებელი სიძულვილი უჩვეულოდ გაამძაფრა გეოზდევში მასობელთა ტრაგედია. გეოზდევი აელენს თვით საბჭოთა მემორებისათვისაც კი უჩვეულო სიმამაცეს.

ამხანაგი სტალინი თავის ბრძანებაში 1942 წლის 1 მაისს წერდა:

„გაქპრა მტრის მიმართ გულმოწყალება და დაუღვერობა, რასაც ადგილი ჰქონდა მებრძოლთა შორის სამამულო ომის ბირველ თვეებში. მხეცობამ, ძარცვამ და ძალადობამ, რასაც გერმანელი ფაშისტები დამპყრობლები მშვიდობიანი მოსახლეობისა და საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ სწავლიან, განკურნებს ჩვენს მებრძოლნი ამ სენისაგან. მებრძოლები უფრო სისტეინი და უღმობელნი გახდნენ. მათ ასწავლეს ნამდვილი სიძულვილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისადმი. მათ შეიგნეს, რომ მტერზე გამარჯვება ისე არ შეიძლება, თუ არ ჩაინერგე მისდამი სიძულვილი მთელი არსებით“ 1.

იმ მხეცობის ნახვა, რაც ფაშისტებმა სოფელში ჩაიდინეს, გეოზდევში დიდ გარდატეხას ახდენს. მას ახლა მთელი თავისი სულიერი ძალებით სძულს მტერი ეს სიძულვილი მისი გმირობის ნამდვილი წყარო ხდება. იგი მტრის ზურგში აუთეებს თამამ რეიდებს, ანადგურებს რა ოკუპატებს თავისი ტანის მეხლეუბებში. ბოლოს, მას თუშუა ბაქისა და საბრძოლო საკურველის აფეთქების გამო აუცილებელი დანებება ელის, განაგრძობს ბრძოლას ანთებულ ტანზე, სანამ აფეთქების ტალღა მას ტანკადან არ გაშლიაფედს.

უსაზღვრო სიმამაცითა და გმირობითა დაჯილდოებული მოთხრობაში აგრეთვე მითობს სტრუჩოვი. შეუღარებელია ამ სტალინულა შეგარდნის მიერ ჩადენილი გმირობა.

პირველ მაისს ერთ-ერთი მტრის „იუნკერსაგანი“ გაიჭრა დედქალაქისაკენ. მოსკოვის საპერო თავდაცვის მფრინავი-გამანადგურებელი მითობს სტრუჩოვი გაყვამდა მტერს, რამელიც უკიდობდა, რადგაც არ უნდა დასჯულიყო, ჩამოეგდო ყუმბარა, როდესაც სტრუჩოვი წამოეწია ფაშისტურ თვითმფრინავს, შაშლა სასრული შეჭინიში. მან ვერ შეძლო თვითმფრინავიდან რიგის მიცემა. მაშინ მშვენიერი ტარით შეიჭრა ფაშისტების თვითმფრინავის კედელს და სრასნილთ ჩამოაგდო იგი. ამით სტრუჩოვმა გამოამყვანა გამბედაობა, თავგანწირულება, უშიშროება, რაც ესოდენ

ახასიათებს საბჭოთა მემობარს. ეს გმირობა საბჭოთა მფრინავებისათვის ტიპურია [ქვემოთ]. ამ საპერო ბრძოლაში სტრუჩოვიმ [ქვემოთ] გასტყუოს ტარანი გაიშორა.

საბჭოთა მემორების მაღალ საბრძოლო თვისებებთან ერთად ავტორი გვიხატავს მათ ღრმა ადამიანურობას, მათ მდიდარ სულიერ სამყაროს. ეს ადამიანები ფაქიზი და მგრძობიარე სულისა არიან, უღარესად მორიდებულნი და მომთხოვნი თავის თავისდმი სიყვარულის საკითხებში. ვაიხსენოთ, როგორ იტანჯება დასახიჩრებელი გეოზდევი, ვიდრე გაბედავს შეხედეს საყვარელ ქალიშვილს და რა გულწრფელი ურთიერთობა მყარდება მათ შორის.

სისხლისმღვრელი საპერო ბრძოლების დროს მტერმა დაახიანა კუკუშკინის თვითმფრინავი. საბრძოლო მანქანას მოსტყდა ფრთის ნაწილი. ფიჭვლაიციდან გამოშვერილია მხოლოდ ერთი „ფეხი“. ბენზინი ილუვა. მიუხედავად პოლკის მეთაურის მოთხოვნისა — გადმოატეს პარაშუტით, კუკუშკინი, მიუხედავად ილია საფრთხისა, მაინც გადარჩენს მანქანას.

ხელ-ფეხში დეტრივი ბეროცი იშოფება დაზიანებულ თვითმფრინავზე, რომელსაც მოკვებითი აქვს მარცხენა ფრთის ბოლო. მაგრამ ის არ ტოვებს მანქანას და ძალთა უდიდესი დავიშვით მაინც მიფრინდება აეროდრომამდე. პეტროვს აქვს მოსიყვარულე, მეგობრისათვის გახსნილი გული. იგი იცლება სისხლისაგან, მაგრამ მოითხოვს, რომ დატოვონ აეროდრომზე, სანამ საბრძოლო დავალებიდან დაბრუნდება მერსივეთ.

ამრიგად, პოლკევი საბჭოთა მემორების მთელ გაღერებას ქმნის და ამით დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მერსივეთი არის ტიპური მოყვანა, რომ გმირობა, სიმამაცე, მაღალი იდეურობა, ნებისყოფის სიმტკიცე, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული საბჭოთა ადამიანებისათვის არსებითი დამახასიათებელი თვისებებია.

როდესაც განვიხილავთ „ამხანაგს ნამდვილი ადამიანისა“, არ შეიძლება არაფერი არ ვთქვათ იმ ადამიანთა შესახებ, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ალექსი მერსივეთის ნამდვილ ადამიანად გადაქცევის საქმეში. მათ მიეკუთვნებიან ისეთი პერსონაჟები, როგორცაა პაპა მიხაილა სოფელ პლანდიდან, მოსპიტლის შეფი პროფესორი ვასილი ვასილის-ძე, პირველი რანგის სამხედრო ექიმი პროკოლსკი, ინსტრუქტორი ნუ-მოვი, სკოლის გამგის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში მოდოლოვნიცი კაპუსტინი და სხვები. მათი დამახასიათებელი ნიშნებია ზრუნვა ადამიანებზე, კუშპარტი საბჭოთა ჰემანიზმი.

1 ი. სტალინი, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, გვ. 55.

ავტორი ხატავს მერსიევს ამ გმირების ვარაუდით და ამით გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ადამიანებში ყოველთვის შეიძლება იპოვონ დახმარება და თანაგრძნობა ყოველგვარი სიძნელის დაძლევისათვის. კოლექტიურობა, მზადყოფნა — დაეხმარონ ადამიანებს მძიმე წუთებში არის საბჭოთა ადამიანის დამახასიათებელი თავისებურება.

უბრალო კომუნისტურ პაპა მიხილა მთელი კვარა უელის მერსიევს, რომ სიყვდილს გადართობს და ამას უნდა რიდ აკეთებს.

უდიდესი სიყვარული ადამიანებისადმი გლინდება ვასილი ვასილის-ძის ყოველ მოქმედებაში, ყოველ სიტყვაში. ეს მყვარალა გულგრილობისათვის ყოველთვის ვისმეს მლანდავი ადამიანი, რომელმაც არ იცის არც ძილი არც დასვენება, აკეთებს ურთულეს ოპერაციებს, რომ საბჭოთა მეომარის სიცოცხლე შეუნარჩუნოს. და მასინაც კი, როდესაც მას დიდი უბედურება ეწვია — დასავლეთის ფრონტზე მოკლეს მისი ერთადერთი ვაჟი — ის თავის ყოველდღიურ მოვალეობებს ისევე გულმოდგინედ ასრულებს, როგორც ასრულებდა.

ადამიანებისადმი უდიდესი სიყვარული, მისი ძალისხმევა რწმენა ეხმარება ვასილი ვასილის-ძის დაძლიოს უდიდესი მწუხარება. იგი კვლავინდებურად ყურადღებიანია ადამიანებისადმი. როდესაც იგი ხედავს, რომ მერსიევი სწავლობს სიარულს თავის პროტეზებზე, ვასილი ვასილის-ძე აღერსით ეუბნება:

„მაგრამ ფრენა, როგორ ვიფრენო? მაშ, მაშ, ახლა, ჩემო ძმავო, ისეთი ომია, რომ ადამიანებს მოკრილი ზღვებით ასეული იერისმე მიჰყავთ, სასიკვდილოდ დაქრილი თვითმფრინავებიდან ისერიან, ძელმიწურებს თავისი მყვრდით ვეფარებიან... მხოლოდ აი, მკვდრები არ ომობენ. — მოხუცი ჩაჩუქდა, ამოიხზრა. — არა, ისინიც ომობენ, თავისი სახელით“.

ვასილი ვასილის-ძე კომუნისტების უფროსი თაობის წარმომადგენელია. იგი კომისარი ვორობიოვის ძველი მეგობარია. იცნობს მას სამოქალაქო ომიდან, იგი მას უზიარებს თავის ყველაზე უფრო ფარულ აზრებს. აქ არ შეიძლება არ ვავიხსენოთ ღამის საუბარი კომისარსა და ვასილი ვასილის-ძეს შორის მისი ვაფიშვილის დაღუპვის შემდეგ.

ვასილი ვასილის-ძეს აწუხებს ფიქრი იმაზე, რომ იგი თავისი ერთადერთი შვილის მკვლელი გახდა. მისი შვილი მედიკინის მეცნიერებათა კანდიდატი იყო, ნიჭიერი მეცნიერი, ზღომღვანელობდა განყოფილებას საზღვდრო პოსპიტალში. და როდესაც მისმა შვილმა გადაწყვიტა წასტეიყო მოხალისედ, საკმარისი იყო ვასილი ვასილის-ძეს მხოლოდ აიღო ტელეფონის ყურმილი, რომ მის შვილს კვლავ პოსპიტალში გა-

ნეგროს მუშაობა. რატომ დართო მან ნება თავის შვილს ჩაუბარებინა საქმეები და წასტეიყო მოხალისედ? ამის შესახებ ის უპირობეს: „თქვენ გესმით, ჩემთვის ცნობილი იყო, რომ კიდევ ერთ ადამიანს, — თქვენ იცით ვისზე ვლაპარაკობ მე, — ჰყავდა შვილი, ოფიცერი, რომელიც მოკლეს ომის პირველ დღეებში, რა გააკეთა ამ მამამ? მან ფრონტზე გაგზავნა მეორე შვილი, გაგზავნა მფრინავ-გამანადგურებლად ვეელაზე უფრო სახიფათო საზღვდრო სპეციალმაზე... მე მაშინ ვეფიქრობდი ამ ადამიანზე და შეგრცხვია ჩემი ფიქრებისა... და მე არ დავრეე ტელეფონი“.

კომისარის შეკითხვაზე, რას გააკეთებდა იგი, ყოველივე რომ ხელმეორედ მომხდარიყო, ვასილი ვასილის-ძემ უპასუხა: „ყოველივე რომ განმეორდეს, მე ისევე მოვიქცევი. მე ხომ სხვა მამებზე არც უკეთესი და არც უარესი არ ვარ“.

სახე იმ ადამიანისა, რომელიც იცნობს და რომელიც უყვარს მთელ პროგრესულ კაცობრიობას, რომლის სიცოცხლე არის მილონიანი მშრომელების შავალითი და რომლის სახელი არაა დასახელებული ნაწარმოებში, წარმოადგენს საბჭოთა ადამიანების უშავალითი გმირობისა და თავდადებულების წყაროს. კომისარის სიტყვებზე: „დამიჯერეთ, სხვა მამებზე უკეთესად არ ვრძნობდენი თავს“. ვასილი ვასილის-ძე უპასუხებს: „დიან, მართალი ხართ, ის უკეთესად არ ვრძნობდა თავს, მაგრამ მან მაინც გაგზავნა მეორე“.

ვასილი ვასილის-ძის პირადი ბედი ტიპურია. სამამულო ომის დღეებში საბჭოთა ადამიანები სწირადნენ ყოველივეს, რაც კი შეიარყასი ჰქონდათ. ვასილი ვასილის-ძე ჰგზავნის ფრონტზე ერთადერთ ვაფიშვილს, არ ნაწობს, რომ ამ დატოვა შვილი კლინიკაში, რითაც სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა.

ამრგვად, ბორის პოლევოიმ თავის ნაწარმოებში საბჭოთა ადამიანების მთელი გალერეა მოგვცა, ვეჩვენა მათი მორალური სახე.

ბორის პოლევოის ნაწარმოების „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ თარგმნა ქართულ ენაზე ღირსშესანიშნავი და დიდად სასარგებლო საქმეა. ეს ნაწარმოები ქართულ მკითხველში გააღვივებს სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას და დიდ როლს შეასრულებს ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური სულიკვებებით აღზრდის საქმეში.

ქართული თარგმანი შესრულებულია პოლონ აბრამიას მიერ. ძირითადად, თარგმანი დამაკმაყოფილებელია. თარგმანში დაცულია ავტორის სადა და უბრალო ენა და სახეების გამოკვეთილობა.

თარგმანი მაინც არ არის თავისუფალი ზოვებით შეცდომისაგან.

პოლიო ამრამია ხანდახან არაზუსტად თარგმნის ტექსტს, რის შედეგად წიგნში ბუნდოვანი ადგილები გვხვდება. მაგალითად, წიგნის დასაწყისში ვკითხულობთ:

„ისეთი სრული მყუდროება დამკვიდრდა, რომ ერთბაშად მკაფიოდ მოისმა ტყის ყველა საგუნათადო ხმა: მგლების ხარბი ღრენა მახლობელ მინდორზე, მეღობის წყაფწყავი და ახლად გამოღვიძებული კოდლას პირველი, ჯერ კიდევ გაუბედავი კაკენი, რომელიც ტყის სიჩუმეში ისეთი წყრალითა და მესიკალური ძვლით გაისმოდა, თითქო ხის შტამპს კი არა, ჭიანჭურის ღრუ ტანს ხვრეტსო“ (5-6 გვ.). ჭიანჭურის ღრუ ტანის გახვრეტამ არ შეიძლება გამოიწვიოს წყრალი და მესიკალური ძვლია. ეს შეაძლება გამოიწვიოს დარტყმამ. და ავტორსაც სწორედ ასე აქვს ნათქვამი: „Долбил полое тело скрипки“.

ან კიდევ: „აღტყეი თავის „ჩოკინას“ მთელი სიჩქარით გვერდიდან მიიჭრა მტერთან.“ ამდენად ბუნდოვანი ფრაზაა, რომ ჰნელა რაიმე აზრის გამოტანა. ტექსტში კი ვკითხულობთ: «Выинмая всю скорость из своего «шашака», Алексей бросился на врага с фланга».

ტექსტის არაზუსტი თარგმნის შედეგად ბევრგან დედანი დამახინჯებულია. ავიღოთ ნაწევრები: «Эх, Василиса, совестно тебе, Василиса, за такие твои бабы слова! — задрезжал взлоноуанный тенорок старика. — У самой двое на фронте и такие у тебя бестолковые понятия! Человек можно сказать, за вас вовсе покалечился, кровь пролил...»

ეს სიტყვები ასეა თარგმნილი:

„— ეჰ, ვასილისა, გრცხვენოდეგს, ვასილისა, შენი ასეთი დედაკაცური ლაპარაკისა! — კელავ ელარუნობდა მოხუცის ტენორი, — თვითონ ირი შვილი ფრონტზე გყავს და ასეთი გაუგებბარი ხარ! ადამიანმა, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის სამუდამოდ თავი დაისახინრა, სისხლი დაღვარა, შენ კი...“

მთარგმნელი ამ პატარა აბზაცში რამდენიმე შეცდომას უშვებს: უმატებს სიტყვას „კელავ“, რომელიც ამ შემთხვევაში აქნებოდა გამართლებული, თუ ადრეც ექნებოდა ადგილი მსგავს მოვლენას. მაგრამ წინა აბზაცში ვკითხულობთ, რომ პაპა მიხაილა მუდართ სავსე ხმით ლაპარაკობს. მთარგმნელი ამბინჯებს ვასილისას სახეს, როდესაც ფრაზას: — «И такие у тебя бестолковые понятия», თარგმნის: „და ასეთი გაუგებბარი ხარ“, თარგმნიდან გამომდინარეობს, ეთომ პაპა მიხაილა ვასილისას გაუგებრად თვლის. ჯერ ერთი, გამოითქმა „გაუგებბარი ხარ“ მართლაც გაუგებბარია

ამ კონტექსტში. უკეთესი იყო თქმულური „შეუგნებელი ხარ“. მაგრამ საქმე ისაა, რომ პაპა მიხაილა აქ ლაპარაკობს ვასილისაზე არა როგორც შეუგნებელ ადამიანზე, არამედ იმაზე, რომ მას არასწორი, არამართებული აზრები აქვს. ეს შემდეგი აბზაციდანაც ნათელი ხდება. მიხაილა ამბობს: „ამ სიტყვებისათვის ნუ დამარხავ მას, ნუ დამარხავ! მისი სიტყვები, შეიძლება ასე ითქვას, ჩენია, რომელსაც კარგი გული აქვს“... (გვ. 72.).

ამვე აბზაცში კიდევ ერთი ფაქტორი შეცდომა დამუშავებული. ფრაზა: «за вас вовсе покалечился» პოლიო ამრამის არაზუსტად უთარგმნია: „ჩვენთვის სამუდამოდ თავი დაისახინრა“. გამოდის, რომ მერესიევმა თავი თვითონ დაიხახინრა. პოლევოს კი ნათქვამი აქვს რომ მერესიევი დასახინრდა. მოთხრობიდანაც ცნობილია, რომ მერესიევი ბრძოლის დროს დასახინრდა, რომ იგი დასახინრეს და არა თვითონ დასახინრა თავი. ცნობილია, რომ ვინც თავს თვითონ ისახინრებს, მოღალატეა.

პოლევოი სწერს: «Машинa действительно была хороша. На этом сходились все. Но когда очередь дошла до Мересьева и он, прикрепив к педалям управления ремнями свои протезы, поднялся в воздух, он вдруг почувствовал, что конь этот для него, безногого, слишком резв и требует особой осторожности. Оторвавшись от земли, он не ощутил того великолепного, полного контакта с машиной, который и дает радость полета“.

თარგმანში ვკითხულობთ: „მანქანა მართლაც კარგი იყო. ამხედ არავენ დაობდა. მაგრამ როცა ჯერი მერესიევზე მიდდა, პართეზებილველებით შიამაგრა (?) და პაე რშიფრინდა, უკებ იგრძნო, რომ მისთვის, როგორც უფეხოსათვის, ეს ტენი მეტად სწრაფი იყო და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა. როცა მიწას მოწყდა, არ უგერძენა მანქანასთან ის დიდებელი და სრული კონტაქტი, რაც იძლევა ფრენის სიხარულს.“ გაუგებარია, რას მოამგრა პართეზები მერესიევმა. აგრეთვე სიტყვა „великолепное“ სწორად არ აზის თარგმნილი.

აი კიდევ ერთი მაგალითი: 375-ე გვერდზე ფრაზაში: — «Ну и отлично! Завтра примите эскадрилью взамен... Командир третьей эскадрильи не вернулся сегодня на базу...» სიტყვა „ესკადრილია“ გამოტოვებულია და მივიღეთ ასეთი თარგმანი: „ჩინებულა! სიმაგიეროს ხელ ჩიზარებთ... მე სამე ესკადრილიის მეთაური ბაზაში ჯერ არ დამრუნებულა“. ამ ფრაზიდან, როგორც ვხედავთ, არა ჩანს, თუ რას ჩააბარებენ მერესიევს...

ან კოლე: 249-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მაიორი, იგი ნამდვილი ადამიანი იყო, ბოლშევიკი! ღმერთმა ჰქნას, რომ მე და შენ ისეთი გავხდეთ“. ამ ფრაზიდან გამოდის, რომ ნამდვილი ადამიანი მაიორი იყო. ჩვენ კი ვიცით, ევროპიოები კომისარი იყო. დედანში ვკითხულობთ: — «Он был настоящий человек, майор, большевик! Дай бог нам с тобой быть такими», სიტყვა „მაიორი“ აქ სტრუტკოვის მიმართ არის ხმარებული და არა კომისარ ევროპიოვის მიმართ.

არაზუსტად არის თარგმნილი აგრეთვე მომდევნო ფრაზა. დედანში წერია: «По санаторию распространилась весть, казавшаяся пелемой: безоный летчик ув-

лекся танцами.» სიტყვა «увлекся» თარგმნილია, როგორც „გაერთმანა“ (შეშინა) რომელიც ეს სიტყვა ნიშნავს „გატაცებდა“.

პოლიო აბრამიას თარგმანით, შევალითად, გამოდის, რომ პეტროვი და შერესიევი ერთ თეიმფრინაეზე იხმდნენ და სხვადასხვა დროს დაემუნენ. 365-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ აეროდრომზე დაეშვა „მეთერმეტე“ თეიმფრინაე, რომელშიც დაკრძალი პეტრე იყო. ხოლო 373-ე გვერდზე — „დაჯდა თეიმფრინაეი „მეთერმეტე“ და ამ თეიმფრინაეში შერესიევი იჯდა“. დედნის მიხედვით, შერესიევი „მეთერმეტე“ თეიმფრინაეით იბრძოდა, ხოლო პეტრე კი „მეთერმეტეთი“.

ბიბლიოგრაფია



სტალინის უმღარიანე

ქართულ ენაზე სტალინისადმი მიძღვნილი არაერთი შესანიშნავი წიგნი და კრებული გამოცემული. კრებული „დიდება სტალინს“ ჯერ კიდევ ბელადის სიცოცხლეშივე მზადდებოდა.

მოწინავე ქართველი პოეტების — გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ა. მიტეხელავის, ი. გრიშაშვილის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, ი. შოსაშვილის, ა. აბაშელის, კ. კალაძის, რ. მარგია-ნის, ი. ნონეშვილის, ა. გომიშვილის, ზ. ბერტელავს და სხვათა ლექსებში რელიეფურად არის გამოხატული ხალხის უქნობი სიყვარული ზემის მიწა-წყალზე დაბადებული უბადლო ადამიანისადმი.

ჩვენი სამშობლოს ჯველა მოწინავე პოეტი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს და სადაც უნდა ცხოვრობდეს, მთავრებით, ღირსეული სიწარფე-ლით ზატავს ი. სტალინის სახეს. რუსი მ. ისა-კოვსკი და უკრაინელი მ. ბაენი, ბელორუსი ა. კოლასი და სომეხი ა. ისაკიანი, ყაზახი ჯამ-ბელი და ყირგიზი თ. უმეტალიევი, ლატველი ს. ნერისი და მოლდაველი ლ. კორნიანუ, — ყველა თვალსაჩინო მკოსანი გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვებით აღიღებს სტალინს, რომელშიც ნათელი გზა გვიჩვენა კომუნისმისაკენ.

ჩვენი აღმაიანები მთელ თავიანთ ფიზიკურ და სულიერ ძალებს ასმარენ სამშობლო ქვეყ-ნის განმტკიცებასა და აყვავებას. ისინი აგებენ მეცნიერების ფართო სასახლეებს და მუშათა საცხოვრებელ ბინებს, სტადიონებსა და მოედ-ნებს, კულტურის სახლებსა და საავადმყოფო-ებს. მაგრამ ვანა იმიტომ გამოგვეყავს ასეთი გულმოდგინებით ჩუქურთმები და ბარელიეფე-ბი, სვეტები და თაღები, რომ ის ცეცხლმა და გრიგალმა შთანთქმას არა, საბჭოთა ხალხს სწავროს მშვიდობა, მას ისევე სჭირდება იგი, როგორც შაერი, არსობის პური. მაგრამ ცოტა ამის თქმა. მას ძალეუხს დაიკვას და ფოლადის მკერდი ვადაფაროს თავისი ოფლითა და გარ-ჯილთ ნაშენებ ქალაქებსა და სოფლებს, რათა მინდურად კვლავ ტრაქტორების მშვიდობიანი გუგუნი გაისმოდეს და გოგანტები ელმეტრო

ტურბინებს უშვებდნენ, ბაეშეები მზიარულად დარბოდნენ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, ხოლო დიდები შეხაროდნენ უმაწილებს. ხალ-ხის კეთილდღეობისა და ბედნიერების ყველა გვემას ლენინ-სტალინის პარტია ახორციელებს.

და ვანა მთის წყაროდან მონაყური წყალით ანკარა და წმინდა არ არის ის გრძნობა, რომ-ლოთაც სტალინს მიმართავს ლატვიელი კოლმე-ურნის პირით პოეტი ანდრიახ ვეიანი. მაღლობა სტალინს, — მღვლეარედ ამბობს ლატვიელი გლეხი, რომ ჩვენი აგვიხილა თვალი, საშვილი-შვილოდ გადმოგვცა მიწა; მაღლობა მისთვის, რომ ჩვენი გულისწაღილი სცნო, სინათლე მოგვცა, ცოდნა-სწავლის კარი გაგვიხსნა და სოციალიზმის ნათელი მზე დაგვიმკვიდრა.

ბაშკირმა პოეტმა რამილ ნეგმატმა თავის ლექსში „სტალინის სახე“ შეძლო ეთქვა ის, რასაც მილიონები ფიქრობენ, განიცდიან. აი როგორ ზატავს იგი სტალინის სახეს:

მარმარილოდან მე მას გაეთლიდი,
მაგრამ ცივია ჯველა გრანტი,
ის კი, ბელადი ჰგავს დიად მნათობს, —
კაცობრიობას სხივებით ათობს.

ცეცხლის ალიდან მე მას შეექმნიდი,
მაგრამ წვიმაში ალი უქმია,
ბელადის საქმე კი მუდამ ცოცხლობს,
ცოცხლობს, რაც ქვეყნად მას შეუქმნია.

მის სახეს ვხედავთ უბრალო კაცთა
თვალთაგან სხივის გამოკრობაში,
ბელადის სახის ნაკეთობი ჩანან
ჯველა მშრომელის სვეტაც შრომაში.

შემოქმედებაც და სიხარულიც,
ბედნიერებაც ბელადში ვნახეთ,
დე, კომუნისმიც ძღვეამოსილი
იყოს ბელადის ნათელი სახე.

მრავალფეროვანია „საზღვარგაყვითის პოეტე-ბის“ განყოფილება. აქ ჩვენ ვეცნობით რო-გორც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ისე კაპიტალისტური სახელმწიფოების მოწინავე

„დიდება სტალინს“, საბლიტგამი, 1953 წ.

პროგრესულ პოეტთა შესანიშნავ ნაწარმოებებს. ყველა ხალხს სერს უფაქიზესად გამოკვეთოს უსაყვარლესი ადამიანის სახე. როგორ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოთ, მავალითად, ჩინელი პოეტების ლექსები სტალინისადმი. ვანა გულში ჩაწვედომად არ გამოხატავს ხეთასმილიონიანი ჩინელი ხალხის გრძობებს პოეტი აი ცინი, როდესაც წერს:

მე რომ შევქმნო, როგორც ზღაპარში,
ვოქვა და უეცრად შეშესას ფრთები,
ავფრინდებოდი მტრადივით ცაში,
და დიდ სიძღერას თან წაიღებდი.

გადავივლიდი მაღალ მწვერვალებს
და მიწვლიათის თვალწვდენ ველებს,
გადავივლიდი ციშბირის მხარეს,
ღურჯ მდინარეებს და ცისარტყევებს.

აღტაცებული, შთაგონებული
დავეშვებოდი კრემლის კარებთან,
სად ცხოვრობს მთელი მსოფლიოს გული,
დიდება, ძალა და უკუდავება.

მადლობის გრძობით გაეხსნიდი ბაგეს,
მოკრძალებული მიუკედი სალაშს,
და ვიმღერებდი იმის წინაშე,
ვინც ბელადია და ხალხთა მამა.

ღრმად გაღვლებით პატარა ილბანეთის პოეტის ლაზარ სილინის ლექსი „სიძღერა სიმართლის წიგნზე“. სილინი წერს იმაზე, თუ როგორ დატარებდნენ ენვერ ხოჯას მამაიცი მემორები ბრძოლის ქარცეცხლში შიმშილის გვერდით სიმართლის დიად წიგნს, სტალინის ხელით დაწერილ პარტიის ისტორიას. ეს იყო იმედი, ძალა, თვლი და უფრო მეომრისა... ტირიანს აღების დროს დაცვა მვერდნატყვიარი გმირი, მის გვერდით კი — „მოკლე კურსი“. წმინდა სისხლით შეღებილი, მტრის ტყვიით დატყვევებული ეს წიგნი, როგორც უჭებრფასესი რელიქვია, როგორც სტალინის საქმისადმი ერთგულების

უდიდესი დოკუმენტი, მოსკოვში პოეტებს აღბანელი ხალხის წარმომადგენლებმა... სტალინის სიბრძნე ფრთებს ასხამს, მწმობისათვის აღძრავს ყველა ხალხს, დიდსა და მცირეს.

გულწრფელი ლექსები უძღვენს და უძღენიან სტალინს ნეხები და პოლონელები, რუმინელები და გერმანელები, ბულგარელები და კორეელები, უნგრელები და ჩინელები, პოეტები იმ ქვეყნებისა, რომელთა ხალხები ლენინ-სტალინის დროის ქვეშ ვლირნენ ადამიანურ ცხოვრებას, თავისუფლებას, ბედნიერებას.

სტალინის უკუდავ სახელს მოიწიებით უმღერაან კავიბალისტურ ქვეყნებში მცხოვრები დემოკრატიული, პროგრესული პოეტები. საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს ბრაზილიელი ეორკი ამადუს, ჩილელი პაბლო ნერუდას, არგენტინელი ტენიონის, ესპანელი პედრო გარფასის, ფრანგი პოლ ელუარის და სხვათა ლექსები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმეორებს ახალგაზრდა ბერძენი პოეტის ალექსის პარნისის „სიტყვა სტალინზე“. ეს მღელვარედ დაწერილი სოცეტიანი ლექსი თავიდან ბოლომდე უნდა წაიკითხოთ, რომ იგრძნოთ მთელი მისი სილამაზე და სიღრმე.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, აგრეთვე, ზანგი პოეტის რენე ჰეტრის „სიმღერა ადამიანზე — აფთიაღზე“. პოეტა უმღერის სტალინს, როგორც „ყველაზე ძვირფას ადამიანს“, როგორც კი დაბადებულა კაცობრიობის ისტორიაში. მღერის ზანგი პოეტა სისხლიანი ბაგით, რომელიც მისთვის ჯალათს გაუხეუქავს, მღერის სტალინზე და ყველა ტყველი უუქნებება...

კრებულს სიამოვნებით გაეცნობა ქართველი მკითხველი და კიდევ უფრო ღრმად განიშკვავლება უკუდავ ბელადის საქმისადმი ერთგულების გრძობით. საქმისა, რომელიც სტალინის უახლოეს თანამებრძოლთა და მოწაფეთა, მთელი ჩვენი პარტიის საიმედო ხელშია.

ზანილ ბაიაძე

ბელისნკის ჩაბული თხზულებების პირველი ტომი



ჯერ კიდევ ასზე მეტი წლის წინათ ბესარიონ ბელინსკი წერდა: „მუდამ ახლისაკენ, მუდამ მომავლისაკენ მისწრაფების გარეშე არ იქნებოდა არავითარი მოძრაობა, არავითარი წინსვლა, არ იქნებოდა პროგრესი, ისტორია, ცხოვრება“. სინამდვილის რა დიალექტიკური აღქმა,

ცხოვრების რა ღრმა გაგებაა ამ სიტყვებში. ბელინსკი გაბედულად აყენებდა და ავითარებდა მთელ რიგ მატერიალისტურ დებულებებს. მის შრომებში უხვად გვხვდება დიალექტიკური ფორმულირებანი. თვით იდეალისტური ფილოსოფიის ხანოკლე ვაუელის პერიოდშიაც ბე-

ლისკი ავალბებდა შესანიშნავ დიპლომატიურ დებულებებს. ამის მკაფიო მაგალითს „ლიტერატურული ოცნებანი“ გვაძლევს, სადაც ბელინსკი მარადიული იდეის შესახებ წერდა, რომ იგი „არ არის მოსვენება; ის ცოცხლობს ვანუწვევებლად. ე. ი. განუწყვეტლავ ქმნის, რათა დაანჯარიოს და ანგრევს, რათა შექმნას“.

თუკი იდეალიზმის დროებითი გავლენის პერიოდში ბელინსკი მოითხოვდა რუსულ სინამდვილესთან შერბილებას და გონიერად, აუცილებლად აცხადებს მას, სამაგიეროდ, ცხოვრებასთან ახლოს მისვლისა და მისი საფუძვლიანი შესწავლის შედეგად იგი მთელ არსებით, ნამდვილი დემოკრატი რევოლუციონერის შედეგობით ილაშქრებდა და იბრძოდა „სახიზღარი რუსული სინამდვილის“, მონარქიული და რეაქციული რუსეთის წინააღმდეგ.

წინასწარმეტყველურად ვღერენ ბელინსკის სიტყვები: „ჩვენი დროის ყველა საზოგადოებრივი საფუძვლები მოითხოვენ უსისტოეს გადახედვას და ძირფესვიან გარდაქმნას, რაც იქნება კიდევ აღერ თუ გვიან“. ამ სიტყვებშია ბელინსკის მსოფლმხედველობის მთელი კრედიო. ეს სიტყვები ახასიათებს მას, როგორც დაუღალავ მებრძოლს რუსეთის ცარიზმისა და საზოგადოებრივი ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. ეს სიტყვები მიუთითებენ ბელინსკის იმეზე, რომ რუსეთში ჩამორჩენილი, რუსეთი გაუნათლებელი, სადაც ყოველგვარი სიძაგლიბა საღმებოდა „ეგრობულის“ მარკით, იქცეოდა ყველაზე კულტურულ, მოწინავე და პროგრესულ ქვეყნად, კაცობრიობის შეთურად და ხელმძღვანელად, ისტორიამ ბრწყინვალედ დაადასტურა ბელინსკის წინასწარმეტყველება.

გვეყო რა სოციალიზმის იდეას, ბელინსკი მთელი ვატიყებით ეწეოდა მის პროპაგანდას. ბელინსკისათვის სოციალიზმი იყო „იდეათა იდეა, ყოფიერების ყოფიერება, საკითხთა საკითხი, რწმენისა და ცოდნის აღფა და ომეგა“. სოციალიზმის იდეის შეგნებამდე, მის ვაგებამდე მისელში ბელინსკის ხელი შეუწყო მარქსის შრომების ვაცნობამ.

ბელინსკის მთელი არსებით სძულდა ბატონყმური წყობილება მისი უფულებრობით და რეაქციულობით. მაგრამ იგი წაივდა უფრო შორს. მან ვააშეშელა კაპიტალიზმის უაყოფოთი მხარეებუკ. იგი ბუტყეუბაის თელიდა ადამიანის თავისუფლების ჩამხმობ ძალად, ანგარების მხახხრად, ენით ვამოეთქმულ ბოროტებად.

ბელინსკი იყო რუსული რეალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიის ფუძემდებელი. იგი სამართლიანად ითვლება რეალისტური რუსული კრიტიკის მამად.

ღიღია ინტერესი ბელინსკის მემკვიდრეობის

შესწავლისადმი. სახელოვანი კრიტიკოსს მემოქმედებს დღემდე არ დაუკარგავს თავისი ცხოველყოფელი ძალა და მისი მსოფლიო მხედველობისა და შეხედულებებისა და შეხედულებებისა ქართულ ნიადაგზე პირველი გადმოშობილი და პროპაგანდისტი ილია ჭავჭავაძე იყო. ენობილია, რომ ილია ბელინსკის ეთანხმებოდა და შეგნებულად იმეორებდა მის მთელი რიგ ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს.

ბელინსკის ნაწარმოებთა ვაცნობა თვალწინ გვიყენებს რუსეთის ლიტერატურული ძალების დაჯგუფების, ბრძოლისა და განვითარების სურათს XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ვარდა ამისა, ბელინსკის ნაწარმოებთა საფუძვლიანი შესწავლა, მისი ღრმა ანალიზი აუცილებელია რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული, ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური აზროვნების ისტორიის ვაცნობისა და ათვისებისათვის. ბელინსკის ნაწარმოებები, სადაც ვარჩეულია მეშინის, ღრმონატოვის, გოგოლის, გრიბოედოვის, კრილივისა და სხვათა შემოქმედება, დღემდე წარმოადგენენ ლიტერატურული კრიტიკის სანიშნო ძეგლებს.

პირველ ტომში, რომელიც უკვე მიიღო მკითხველმა, მოთავსებულია ბელინსკის თორმეტი წერილი. წიგნი იხსნება სახელგანთქმული წერილით — „ლიტერატურული ოცნებანი“. ამ წერილმა თავის დროზე მთელი ვადარტილება მოახდინა რუსული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში და მისმა ავტორმა წამსვე შეიძინა მრავალი თავყანისმკეველი და მტერი, მიმდევარი და მოწინააღმდეგე. „ლიტერატურული ოცნებანი“ ქვეყნდებოდა ნადეჟდინის თურნალ „ტელესკოპის“ ყოველკვირულ დამატება „მოღვაში“ 1834 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე. ამ წერილში მთელი სისავით ვამოინდა მძღვარი ლიტერატურული ძალა. მისმა ავტორმა თავი ვამოინინა, როგორც ვონემახავილმა მოახროვენებ, ლიტერატურული ძეგლების ვამრჩევა და დამთავსებელმა, დიდმა თეორეტიკოსმა, დახვეწილი გეოგნებისა და დიდი ერუდუციის მქონე ადამიანმა. მაგრამ ბელინსკის აღნიშნული წერილი შეიყავს მრავალ სერიოზულ შეცდომას. პირველ რიგში აშკარაა იდეალისტური პოზიციები, რომელზედაც მამინ ახალგაზრდა კრიტიკოსი იდგა და შემდეგ წერილის ძირითადი დებულება — „ჩვენ არა ვაქვს ლიტერატურა“ მთელმთელი და საფუძვლურზე მცდარი იყო. მიუხედავად ამისა, ბელინსკიმ აღნიშნულ წერილში ვააშეშელა ავტორიტეტის სამოსელში ვახვეული მთელი რიგი უნიკო მწერლები, რომელთა ნაწარმოებები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ მხატვრულ, იდეურ და საზოგადოებრივ ღირებულებას. ასეთები იყვნენ კეკელი, ბრამბეუსი, გრეჩი, ბელგარინი და სხვები.

რომლებიც ახერხებდნენ თავიანთი უნიკო ნაწარმოებების შზის სინათლეზე გამოტანას. ბელინსკის გალაშქრება მათ წინააღმდეგ იყო ნებისყოფის, გაბედულებისა და რუსული ნაციონალური ლიტერატურის აღორძინების გულწრფელი სურვილის გამოხატულება. ბელინსკი წერილის დასასრულს აღნიშნავდა, რომ დადგება დრო, როცა რუსეთს ექნება საკუთარი, მძლავრი ნაციონალური კულტურა, განათლება და ლიტერატურა. თვით ამ წერილში, სადაც აშკარად ჩანს იდეალიზმის გავლენა, ბელინსკიმ განავითარა მთელი რიგი ბრწყინვალე დიალექტიკური აზრები და რეალისტური შეხედულებანი ლიტერატურის რაობისა და მისი სპეციფიკის შესახებ.

წერილში „რუსულ მოთხრობასა და ბან გოგოლის მოთხრობებზე“, სადაც განხილულია „აჩაბესკი“ და „მირგორიდი“, ბელინსკი გვეუბნება, როგორც ლიტერატურული ძანრების თეორეტიკოსი და რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი. ბელინსკის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან პირველმა შეიძინო გოგოლში დიდი მწერალი და პოეტი. ბელინსკის განცხადება იმის შესახებ, რომ გოგოლი შესანიშნავად ახერხებს ცხოვრების იდეის გადმოცემას შესაფერ ფორმაში, იყო ახალი სიტყვა რუსული ლიტერატურული თეორიის ისტორიაში. ფორმისა და შინაარსის საკითხი აქ მთელი სიღრმით დასვა და გადაჭრა დიდმა კრიტიკოსმა. ბელინსკიმ სამართლიანად მიაკუთვნა გოგოლს პუშკინის შემდეგ პირველი ადგილი რუსულ ლიტერატურაში. მან გონებაშახვილებად და ღრმავაზროვნად უწოდა გოგოლის შემოქმედების მხატვრულ ფორმას „ცრემლიანი კომედია“. მართალი იყო ბელინსკი, როცა იგი გოგოლში ჯანსაღ პეშორასა და მკაცრ სატირას ხედავდა. ეს სატირა მიმართული იყო ბატონყმური და მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ბელინსკის წერილები „მკვდარი სულების“ შესახებ იყო სახელმძღვანელო პროგრამა ლიტერატურული კრიტიკისათვის. ბელინსკიმ ღრმა ანალიზი გაუკეთა რომანისა და ეპოსის საკითხს და გამოთქვა აზრი, რომ ეპოსი კი არ დაქინდა და იქცა რომანად, არამედ გარკვეულმა ეპოქამ და ცხოვრებამ შექმნეს მოთხვენილება რომანის ქანრის გაჩენისა და განვითარებისათვის. აქ გამოჩნდა ბელინსკის დიდი ერუდიცია და მახვილი, რეალისტური თვალთახედვა.

ბელინსკიმ პირველმა მიუთითა ლერმონტოვის პოეტურ ვენიაზე. მან საფუძვლიანად განიხილა დიდი რუსი პოეტის პოეზია და პროზა. ლერმონტოვის შესანიშნავ თვისებად ბელინსკი მიიჩნევდა იდეურ სიახლეს. ლერმონტოვის პოე-

ზია ბელინსკის ანალიზითა და შეფასებით იყო პოეტურად სადა, ბუნებრივი, ღრმა. შინაარსის მქონე და იდეურად ახალი. ბელინსკი ლერმონტოვში ხედავდა მძლავრ ლიტერატურულ ძალას. იგი წინასწარმეტყველებდა ლერმონტოვის ბრწყინვალე მომავალზე და ისტორიამ, როგორც უოველთვის, აქაც დაადასტურა მისი დებულება.

პირველ ტომში შეტანილია აგრეთვე ბელინსკის ცნობილი წერილი „ხელოვნების იდეა“, რომელიც იწყება დებულებით: „ხელოვნება არის უშუალო შეგრძნება, ანუ აზროვნება სახეებში“. ამ დებულებამ საყოველთაო აღიარება პოვა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიაში.

ბელინსკის წერილი „სიტყვა კრიტიკის შესახებ“ 1842 წელს დაიბეჭდა. წერილმა დიდი როლი შეასრულა რუსული ლიტერატურის ისტორიაში იმით, რომ აქ ბელინსკიმ განსაზღვრა ლიტერატურული კრიტიკა, მისი მიზნები და ამოცანები. ვარდა ამისა, ერცელი ანალიზი გაუკეთა მან ძველ რუსულ ლიტერატურულ კრიტიკას და შეაფასა ზოგიერთი მისი წარმომადგენელი.

ბელინსკის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩათვალოს ის, რომ კრილოვის გარდაცვალების შემდეგ მან პირველმა აღნიშნა მისი დეაწლი რუსული ლიტერატურის წინაშე.

ბელინსკის რჩეულ თხზულებათა პირველ ტომში შეტანილია წერილები „აზრები და შენიშვნები რუსულ ლიტერატურაზე“ და „პოეზიის დაყოფა გვარებად და სახეებად“.

წერილების თარგმანი ძირითადად დამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით კარგია ე. მგალობლიშვილის თარგმანები.

პირველ ტომს წინ უძღვის რედაქტორის — გ. ჯიბლაძის წერილი, რომელშიც საფუძვლიანადაა გარჩეული ბელინსკის შემოქმედება. ამასთანავე რედაქტორი იძლევა ბელინსკის ზოგიერთი მკდარი დებულების კრიტიკას.

გამომცემლობამ შეცდომა დაუშვა, როცა წერილში „ლერმონტოვის ლექსები“ ციტატები ლერმონტოვის, პუშკინის და სხვა მწერლების ლექსებიდან მოიტანა ყოველგვარი თარგმანის გარეშე. საჭირო იყო პროზაული თარგმანი მაინც დაეტათ.

სახელგამის მიერ ბელინსკის რჩეულ თხზულებათა ორტომეულის გამოცემა დიდმნიშვნელოვანი მნიშვნელობა. ქართული მკითხველი კარგახანა საჭიროებდა ბელინსკის რჩეულ თხზულებათა მიწოდებას მშობლიურ ენაზე.



საგროთა მფლავურის ჩანაწერი



ქართული მფლავურები ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ როგორც „ზღვის საქმის“ საუკეთესო მცოდნენი, შეუპოვარი მფლავურები. სტრაბონის ცნობა, რომ მდინარე ფაზისზე (რიონზე) გაცხოველებული ნაოსნობა ყოფილა, ბევრის მტყუელია. სამწუხაროდ, ეს საინტერესო საკითხი გაუშუქებელია და მოვლის მკვლევარს.

იქნებ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში აისახა ზღვა მთელი თავისი სილამაზითა და სიდიდით? გადაკრით უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ აქაც ვერა გვაქვს სახარბულო მდგომარეობა. ქართველმა მწერლებმა მალაქმხატვრულად ვერ ასახეს ზღვა, ვერ მოგვეცეს ქართულ მფლავურთა ბრძოლისა და ცხოვრების ამსახველი სურათები.

ამ ბოლო ხანებში ქართულ საბჭოთა ლიტერატურას შეეძინა ზღვის თემაზე დაწერილი რამდენიმე ნაწარმოები: გ. ჩხიკვაძის მოთხრობები და შორეული ცურვის კაპიტანის ვ. ბარათაშვილის „საბჭოთა მფლავურის ჩანაწერი“.

ეხატანგ ბარათაშვილი ახალგაზრდა საბჭოთა კაპიტანია, მას ბევრი ქვეყანა უნახავს, ბევრი რამ ვაწუღია. ამის შესახებ მოგვითხრობს იგი თავის საინტერესო და სასარგებლო წიგნში. ვეღვან, ამერიკაში, თუ კუნძულ ცეილონზე ვ. ბარათაშვილსა და სხვა საბჭოთა მფლავურებს ვხვდებით როგორც მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები. მთელი წიგნი გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანის უკეთილშობილესი სულისკვეთებით, მაღალი ჰუმანიზმით.

კითხულობთ ამ წიგნს და თვალწინ გეშლება თ ის აუტანელი გეოპოლიტიკური და პოლიტიკური პირობები, რომლებშიაც იმყოფებიან კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მასები, იმპერიალისტ მტაცებელთა მიერ დაჩაგრული და გაძარცვული კოლონიური ქვეყნების მუშები და გლეხები. ავტორმა იცის, რომ კოლონიური ქვეყნების მშრომელები ვანიცდიან ორმაგ ჩაგრვას, რომ მათი მტერია როგორც „საყუთარი ბობოლა“, ისე ინგლისელი, ამერიკელი და სხვა კოლონიზატორები. ვათავსებდებოდა კოლონიზატორები ამასთანავე ეწევიან ადგილობრივი მოსახლეობის რასობრივ დისკრიმინაციას, აბრჩად იგდებენ მას, შეურაცხყოფენ, ქედმაღლურად დასცქერიან. რასობრივი თეორიის პროპაგანდა, რასაც ასე დღედღავად ეწევიან ინგლისსა და ამერიკაში, თავის პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს იმ საზიზღარ, ცინიკურ,

შემამრწუნებელ ფაქტებში, რომლებიც აღწერილი აქვს ბარათაშვილსა „ჩვენი ურალდებაც მიიხურთ გველების თამაში. ვეცქეროდით და გვეკვირდა, როგორ დამოხრილა ადამიანმა ეს საზარელი, შმაიანი ცხოველი და დედქის პანგზე როგორ იცეცება. ჩვენ ფული ვაჩუქეთ ოინბაზებს და უყვე წასვლას ვაპირებდით, როცა ინდოელებს (ეს ხდება კუნძულ ცეილონზე. ა. ლ.) ოთხი ამერიკელი პატრონი მიეხილოდა. ისინი მთვრალები იყვნენ. ერთმა მათგანმა ფეხი ჰკრა კალასს, რომელშიაც გველი იყო და შუა ქუჩაში გადაისროლა. მეორემ ერთერთ მწერტინელს საკრავი გამოსტაცა და შეეცადა დაეკრა. როცა დედუკი ვერ დამოხრილა — მიწაზე დაახტუე და დაამტერია. დანარჩენები ქეაფენილზე გაწოლილ გველს მისცივდნენ და ფეხებით დაუწყეს თელვა. ინდოელები უხმოდ აიშალნენ და გაიპარნენ, რომ ცემატუეპისაგან ესნნათ თავი. ამ საზიზღარ სურათს ავკირავინებდა ამერიკელების ლანძღვა-ვიგება და უხრი ხარხარი“.

ერთხელ, ამერიკაში ყოფნისას, ავტორი წააწყდა ასეთ სენას: „მიწაზე ახალგაზრდა ზანგი ვგლო, რომელსაც რამდენიმე ამერიკელი ფეხებით თელავდა. ხან ერთი ჰკრავდა ფეხს, ხან მეორე. საბრალო ქაბუკი უყვე გონებაშიხდილი იყო, ცემა კი გრძელდებოდა მთელი სისასტიკით. გამეღული ამერიკელები ნაცკლად იმისა, რომ ზანგს მიშველებოდნენ, თეთი ფიხლავდნენ მას. ამერიკელი პოლისმენი კი შორიახლოს იღვა და, თითქმის აქ არაფერიყო, უურალდებასაც არ აქცევედა ამ უმსგავსებმას. ზანგის თეთრი ხალათი სისხლით იყო შეღებილი“. ბუნებრივია, საბჭოთა მფლავურები დაინტერესდნენ იმით, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი ბარბაროსული მოპურბობა ზანგისადმი. თურმე ზანგს იმიტომ ცემდნენ, რომ ტრამკაიში შესვლის დროს იგი შემოხვევით დასჯახებია თეთრკანიანს. მაგრამ ყოველთვის როდი ზეიმიბენ ბარბაროსები. წიგნის 172-ე გვერდზე ავტორი ავუიწერს ასეთ სურათს: ინგლისელმა მფლავურმა ხელი მშლაგარდ გააკრტვა თითხმეტე წილს მიტუნას და შორს გადაისროლა იგი. ამის მნახველი ამერიკელი არამზადა აღფრთოვანებულთა ინგლისელი მფლავურის საქციელით და ამბობს: გარტყამაც ასეთი უნდაო. მაგრამ უმიზეზოდ ნაცემი ბიტუნასათვის შერს იძიებენ მისი თანამემამულეები და სასიყვდიოდ დასპრიან ინგლისელ ველერ მფლავურს. ავტორი ხედავს იმ წინააღმდეგობებს, რომ-

ლებიც არსებობს ინგლისსა და ამერიკის შორის. ამერიკელი იმპერიალისტები ავიწროებენ ინგლისელ იმპერიალისტებს, ამას ვერ ურჩევდებიან ინგლისელები, მათ შორის წარმოებს საკმაოდ ძლიერი ბრძოლა.

საბჭოთა მეზღვაურებს უფლებები სიყვარულით ეგებებიან კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები, ისინი ყოველნაირად ცდილობენ გამოხატონ თავიანთი გულწრფელი სიმპათია იმ ქვეყნის წარმომადგენლებისადმი, რომელიც მეტაბრობს პროგრესულ კაცობრიობას. საბჭოთა კავშირის როგორც უმწვენიერესი, უზარმაზარი შექმნა კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელთა მასებს გზას უნათებს ბედნიერი ცხოვრებისაკენ, თავისუფლებისაკენ. ამოღებულა წიგნის ის ფურცელი, სადაც ავტორი მოგვითხრობს ჰავაის კუნძულებზე მომხდარ ფაქტს. დაიბნა გოგონამ ქოხიდან გამოიტანა ამერიკელი ეურნალი, სადაც სტალინის პორტრეტი იყო მოთავსებული და ჩვენს მეზღვაურებს სიხარულით უჩვენა.

წიგნის მრავალი ადგილი აღვლევს მკითხველს. ასეთებია: ესპანეთიდან ბავშვების გაყვანის სცენა, საბჭოთა მეზღვაურების დამოკიდებულება კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელთა მასებისადმი, კერძოდ რიქსასადმი, ჯეკ ლონდონის საფლავის დათვალიერება და ა. შ.

ბურჟუაზიული პრესა არ ზოგავს ძალას, რათა მიტეხლოს საბჭოთა კავშირის წარმატებანი, მიღწევები. იგი ამით ცდილობს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მასების რეველაციური მოძრაობის შეფერხებას. და როცა საბჭოთა მეზღვაურები გამოჩნდებიან კაპიტალისტური ქვეყნის ამა თუ იმ ნავსადგურში, კაპიტალობის დაცველინი შიშს უძლევიან, საბჭოთა მეზღვაურებს არ აღუევენ ნაპირზე გადასვლის უფლებას, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისა და საუბრის შესაძლებლობას. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს ავტორი წიგნის 131-ე გვერდზე. ჰანამის არხის შესასვლელთან ამერიკელებმა საბჭოთა მეზღვაურებს არ მისცეს ქალაქში გადასვლის უფლება, მათი სახედრო კატარღები გარს ეხვეოდნენ ჩვენს გემებს.

ამერიკელები მეტად განცუფრდნენ, როცა ჩვენმა მეზღვაურებმა მოიწადინეს, ამერიკელი მწერლის ჯეკ ლონდონის „ავტორიტეტის“ ნახვა. ისინი უფრო მეტად განაცუფრა იმან, რომ საბჭოთა მეზღვაურები იცნობდნენ ჯეკ ლონდონის შემოქმედებას. წიგნის ის ადგილი, სადაც ეს ებრაელი მოცუბელი, დაწერილია შთავონებით. ამერიკელებს ვერ გაუგვიათ, რომ საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრება ღრმაა, ფართო და ლამაზი, რომ საბჭოთა ხალხის კულტურა წარმოადგენს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერ განვითარებას, „რაც კაცობრიობას შეუქმნია კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, ჩინოვნიკური საზოგადოების უღელქვეშ“ (ღენინი, ლიტერატურის შესახებ, გვ. 41 — 42).

გზადაგზა ავტორი მკითხველს აცნობს რუსეთის ფლოტის ისტორიის ზოგიერთ მნიშვნელოვან ეპიზოდებს. ერთ ადგილას ავტორი ცდება და აღმირალ სპირიდოვის ნაცვლად ასახელებს აღმირალ სინიაინს. იგი წერს: „რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768 — 1774 წ.წ.) რუსეთის ფლოტმა აღმირალ სინიაინისა და ალექსანდრე ორლოვის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა თურქეთის ფლოტი კონსტანტინოპოლისთან“. 1768 წელს კონსტანტინოპოლიდან თურქეთის ფლოტის წინააღმდეგ დაიძრა რუსეთის ესკადრა აღმირალ სპირიდოვის მეთაურობით. ჩქარა ამ ესკადრას შეებატა რამდენიმე სასაზო გემი და ფრეგატი. ესკადრების საერთო ხელმძღვანელობა დავისრა აღმირალ ორლოვს. აღმირალელებმა — სპირიდოვმა და ორლოვმა შეუტეეს თურქეთის ფლოტს და ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. ავტორს ეს რატომღაც დაეწუებია და სპირიდოვის დამსახურება სინიაინისათვის მიუწერია. ხოლო რაც შეეებატა აღმირალ სინიაინს, მან 1807 წელს დარდანელის სარეატოდან გამოიტყუა თურქეთის ძლიერი ფლოტი და ათონის ნახევარკუნძულთან გაანადგურა.

ანდრო ლონიძე

თუბათი — ამერიკული იმპერიალიზმის კოლონია



ამერიკული იმპერიალიზმის აგრესიულ გეგმებში განსაკუთრებული ადგილი უკავია თურ-

ს. უსთინველი. „საბერობილე და „თავისუფლება“. საბჭოთა მწერალი, 1953 წ.

ქეთს, როგორც სამხედრო პლანდარმს საბჭოთა-კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. თურქი გამოჩენილი პოეტისა და მწიფლობისათვის შეტუდრეკელი მებრძოლის ნაზიმ ჰიქმეთის თქმით, ამერიკელებმა „გზა გა-

უხსნეს ფაშის თურქეთში და კოლონიად აქციეს იგი. თურქეთში ამერიკის კოლონიზატორული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვან ხელს უწყობენ თურქი რეაქციონერები, რომელნიც ოკეანესგაღმებელ ახალ ზატონს უფრო მეტი მილიწინელობით ემსახურებიან, ვიდრე გერმანელ ფაშისტებს მეორე მსოფლიო ომის დროს.

თურქი კომუნისტის ს. უსთინგელის ჩანაწერები „საპრობლემა და თავისუფლება“ მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ როგორ თარეზობენ თურქეთში ამერიკელი კოლონიზატორები და არბევენ თურქეთის მშრომელ მოსახლეობას. მეორე მხრით, უსთინგელის წიგნი გვიხატავს თურქი მშრომელების გმირული ბრძოლის სურათებს ამერიკელი დამპყრობლებისა და თურქი ფაშისტების წინააღმდეგ. „მეგრად უსთინგელის წიგნი მარტო ჭვირფასი ისტორიული დოკუმენტი როდია, — წერს წინასიტყვაობაში ნ. პიქვეტი, — ის მე მიმანია, როგორც თურქული მოწინავე რევოლუციონერის ერთგვარი სუკცესორი ნიშნითაა. მე ოქიდან მემისი ჩემი ტანჯული ხალხის სატყუარი და გულანსურობა, მასში ეღვრს მებრძოლი ხალხის ხმა, მისი რწმენა ვამარჯუებისადმი“ (გვ. 5). და მართლაც, უსთინგელის ჩანაწერები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ თურქი კომუნისტების მებრძოლური სულაღრა განწყობილებებსა და გუბუბულ ნებისყოფაზე, მათს თავდადებულ ბრძოლებზე სიმარტოობისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

ოცდათორმეტი წელია, რაც თურქეთის კომუნისტური პარტია შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში მიუხედავად საშინელი ტერორისა და არალეგალური მდგომარეობისა, „თურქეთის კომპარტია უმეორად ასრულებს ხალხთა მასების ორგანიზატორის მოვალეობას თურქეთის შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლისათვის... ამ ბრძოლაში კომპარტია ყოველთვის იყო თურქი ხალხის ერთადერთი ნამდვილი ხელმძღვანელი“.

როგორც ცნობილია, პირველ მსოფლიო ომში თურქეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა შეიარაღებული ინტერვენცია მოაწყვეს თვითონ თურქეთის წინააღმდეგ. ოქტომბრის რევოლუციის გაყვანილთა გახალისებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიმარჯვა მხოლოდ სამკოთა კავშირის მორალური და მატერიალური მხარდაჭერით. მაგრამ თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში აღმოჩნდნენ ქემალისტები — თურქეთის ბურჟუაზიისა და მემამულეების პარტია. „მუშები და გლეხები იბრძოდნენ ინტერვენტების წინააღმდეგ და კვდებოდნენ,

ხოლო ხელისუფლება კაპიტალისტებმა და მემამულეებმა ზაიგდეს ხელში, წერს უსთინგელი (გვ. 103). იმპერიალისტური მხარეებისაგან თავისი ქვეყნის საუკუნო განთავისუფლებას ქემალისტებმა არჩიეს იმპერიალისტებთან შეთანხმება.

ჯერ კიდევ 1927 წელს ი. სტალინმა მოგვცა ქემალისტების მთავრობის ზუსტი და ამომწურავი პოლიტიკური დახასიათება: „ქემალისტების მთავრობა — ეს არის მთავრობა მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლისა“ (ტ. 9, გვ. 315). 1923 წელს ქემალისტებმა თურქეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს, მაგრამ ეს რესპუბლიკა არაფრით განსხვავდებოდა სისხლისმსმელი სულთანების სახელმწიფოსაგან. ქემალისტებმა თურქეთი საპრობლემად გადააქციეს. დღეისათვის თურქეთში 460 საპრობლემა, რომელთაგან ბევრი შეუსაფრულებელი არის იგუბული. ქემალისტები ამით არ კმაყოფილდებიან. ისინი კიდევ და კიდევ ამწებენ საპრობლემაებს. მაშინ როდესაც 38 ათას სოფლიდან 23 ათას სოფელში დაწყებითი სკოლა კი არ არსებობს. „ხალხის მიმართ, — წერს უსთინგელი, — ძალადობის პოლიტიკა თურქეთში უკვე ასეული წლებით გრძელდება. ქემალისტებმა, როცა ისინი ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, ამ მხრით სისხლისმსმელ სულთანებსაც კი გადააქარბეს“ (გვ. 38). თურქი მილიონერები, მსხვილი კაპიტალისტები და მემამულეები, ბანკირები და კომპარტორები უოლსტრიტის ურმოკრბელ მონებად იქცნენ. მათი პარტია, ე. წ. „დემოკრატიული პარტია, რომელიც 1950 წლის მაისში სახელმწიფოს სათავეში მოექცა, ფაქტურად ამერიკული პარტიაა. ბანკირი და მილიონერი, პრეზიდენტი ჯედალ ბაიარი, მსხვილი მემამულე პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი, პანთურქისტი, სავარეო საქმეთა მინისტრი დუდალ ქეფურულუ — ყველა მათში ამერიკელმა იმპერიალისტებმა თავიანთი აგრესიული გეგმების საიმედო შემსრულებლები ნახეს. ოკეანესგაღმელი „მეგობრები“, სამავერიოდ, თურქეთს იარაღით ამარაგებენ. 1947 წლიდან დღემდე ამერიკელმა იმპერიალისტებმა თურქეთს დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარის იარაღი მიჰყიდეს. თურქეთის მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის 85% სამხედრო საქმისათვის ხარჯავს. მიმდინარე წელს თურქეთის სამხედრო ხარჯები 1,8 მილიარდ დოლარს შეადგენს. ქემალისტური მთავრობა ეშხადება ახალი ომის გაჩაღებისათვის, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს პენტაგონის ყოველგვარ ანტიტურისტულ წამოწყებაში. თურქეთის კომპარტიის ცეკას წარმომადგენლის ა. ბილენის თქმით, „თურქეთის მთავრობამ გაგზავნა კორეაში ოცი ათასი ჯარისკაცი. მათგან თოთხმეტი

ათასი მოკლედი, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილია“ („პრაიდა“ 6/2-53 წ. № 37). ქვემლისტები ოცნებობენ „სამ კონტინენტზე მოთავსებულ დიდი თურქეთის“ შექმნაზე. ისინი ბოდავენ: „ჩვენ ვადავლახათ კავკასიის შიგნით, ჩვენ ვავალთ დუნაის ნაპირებზე“. პანთურქისტები ისტერიულად ვაყვირებენ, რომ ისინი მზად არიან საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ აიძულებთ ამერიკელი „მეგობრების“ „დახმარება“. ჩვენ ზურგს ვეშარებენ ამერიკა“, — ცინიკურად წერს ვახეთი „ენი საბაში“.

ამერიკელმა მონოპოლისტებმა არა მარტო თურქეთის ფინანსებსა და ვაჭრობაზე დააწესეს კონტროლი. ისინი უსირცხვილოდ ძარცვებენ თურქეთის ბუნებრივ სიმდიდრეებსაც. ნავთობს კომპანიებმა ხელში ჩაიგდეს რამენადვის და ადანის ნავთობს საბადოები. ამერიკელ იმპერიალისტებს ვაჭვით თურქეთიდან მარგანეცი, ქრომი, სპილენძი, ქვანახშირი, მარტო 1950 წლის განმავლობაში ამერიკელმა მონოპოლიტებმა თურქული ქრომის ყიდვა-ვაყიდვაში 4 მილიონი დოლარი მოგება ნახეს.

თურქეთის რეპრეზენტული ხროვა უსასტიკეს რეპრესიებს აწარმოებს იმ ადამიანების მიმართ, რომლებშიც კი ვუვს შეიტანს საბჭოთა კავშირთან მეგობრობასა და კომუნისტურ მოღვაწეობაში. „ხალხის მოძრაობით შეშინებულმა თურქეთის ბურჟუაზიამ ვაატარა თავის ამერიკანობიურებულ შეჯღისში ფაშისტური კანონი „კომუნისტთან ბრძოლის შესახებ“ (გვ. 116). გამოჩენილი თურქი პოეტი და მწიფლობისათვის მებრძოლი ნაზიმ ჰიქმეტი ცამეტ წელი ზურსას საპყრობილეში იყო ჩაშვადებული. პროგრესული მწერალი საბაშიათი ალი 1948 წელს მზაკურულად მოკლეს თურქმა რეპრესიონერებმა. მწიფობის მომხრეთა საზოგადოების თავმჯდომარე ბეჰიჯე ბორანი — ანკარის უნივერსიტეტის დოცენტი ქალი, და საზოგადოების გენერალური მდივანი ადნან ჯემგილი დაბატონებული არიან.

უსთონგელი ამაღლებული სტრიქონებით მოგვიტანს თავის თავგადასავალს საპყრობილეში, გვიხატავს იმ კომუნისტის განზოგადებულ სახეს, რომელიც საშინელი რეპრესიების პირობებში მგზნებაზე რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა იატაკქვეშ. უსთონგელი თავის ჩანაწერებში ვადმოგვცემს, თუ როგორ ვამძლეობას და ნებისყოფას იმენენ თურქი კომუნისტები საპყრობილეებში არაადამიანური წამების დროს.

ამეთ საბატონროში ზოგჯერ შეგვძენენ უწვერულეაში ვაბუეებს და იქიდან თორწვერა მოხუცება ვამოდიან. დეპარტამენტულა ვამოსატეხად ეანდარმერია მინამათეს წამების შესაყუენობრივ ხერხებს. მიუხედავად ამისა, თურქი კომუნისტები არაჩვეულებრივ სიმტკიცეს იხენენ. მათ სდენიან, აბატონებენ, აწამებენ, ხერხებენ. მაგრამ კომუნისტების რიცხვი დლითდღე იზრდება, მათი რიცხვი უმტკიცესი ხდება. „განსაკუთრებით ჩვენ, კომუნისტებს, ვვდენიან მკაცრად, — წერს უსთონგელი, — ცდილობენ ჩაახშონ ჩვენი სიმამკაცე. მაგრამ ანაოდ, ისინი ვერასოდეს ვერ შესაძლებენ ჩვენს დამოქებას! ჩვე ვავუეებას მუშათა კლასი მთელი თავისი ძალით! კომუნისტები — განსაკუთრებული ავებულების ხალხია, განსაკუთრებული წრთობის ხალხი“ (გვ. 52 — 53).

თურქი კომუნისტების ძალა იმაშია, რომ ისინი იცავენ ინტერნაციონალიზმის ლენინურ — სტალინურ პრინციპს, ისინი თავიანთ დასაყრდენს ხედავენ ხალხში, იბრძვიან ყოველგვარი რასობრივი დისკრიმინაციისა და ეროვნული უთანასწორობის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ანკარული მმართველები აბორციელებენ ეროვნულ უმცირესობათა გათურქების პოლიტიკას. ისტალინის განმარტებით, „თურქი ასიმილატორები — ყველაზე სასტიკი ასიმილატორები“ არიან (ტ. 11, გვ. 384). და მართლაც, როგორც სულთანის, ისე ქვემლისტების სატრაპები სისტემატურად ვლდებდნენ და ვლდებენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. თუ პირველ მსოფლიო ომამდე თურქეთში 2,5 მილიონამდე სომეხი ცხოვრობდა, ახლა სომეხების რიცხვი 100 ათასს არ აღემატება. ქურთების რიცხვი შემცირდა 2,5 მილიონამდე. არანაკლებ 200 ათასი ლაზი დარჩა თურქეთის სხვადასხვა ეილაეთში. ქვემლისტები მშობლიურ ადგილებიდან ასახლებენ ლაზებს, — წერს უსთონგელი, — ვლდებენ სომეხებს, აწყობენ ქურთების მასობრივ ვლდტას“ (გვ. 39). განსაკუთრებული სიმამათით აღწერს უსთონგელი ლაზებს, რომელნიც ეროვნულ ტანსაცმელში ვამოწყობილი, წელზე ქამარშემოჭირებულნი“ თურქი მშრომელებთან ერთად იბრძვიან ქვემლისტური შთავრობის წინააღმდეგ. მიუხედავად უსასტიკესი რეპრესიებისა, ლაზები არ ვათურქდნენ. აი საპყრობილეში მოიყვანეს ახალი პატიმარი, „თურქულად ყამოვალს არც ერთი სიტყვა არ ვაიგება —

წერს უსთიენგელი, — იგი არღიშენელი ლაზია* (გვ. 126).

ქვემოლსტების მთავრობა ცდილობს — როგორც დაფაროს თავისი ტერორისტული საქმიანობა, მაგრამ თურქმა ხალხმა იცის, თუ ვინ დაახრია შეე ზღეაში 1921 წლის იანვარში თურქეთის კომუნისტური პარტიის დამარსებელი მუსტაფა სულემა და 14 თურქი კომუნისტი. თურქმა რევოლუციონერებმა უნდა იცოდნენ, რომ დადგება სამაგიეროს გადახდის დრო და ხალხი თავის ანგარიშს წარუდგენს ამერიკულ მუნდირებში გამოწყობილ ჯალათებს.

ი. სტალინმა პარტიის მე-19 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ღრმა რწმუნა გამოთქვა, რომ კავიტალისტურ ქვეყნებში მომუშავე კომუნისტური პარტიები გაიმარჯვებენ: „ყველა საფუძველი არსებობს გვერდეს იმედი მომე პარტიების წარმატებათა და გამარჯვებისა კავიტალის პატონობის ქვეყნებში“. თურქეთის კომუნისტური პარტია, რომელიც გაუგონარ ტერორის პირობებში არალეგალურად აწარმოებს თავის მუშაობას, იბრძვის ნამდვილი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. „თურქი ხალხი არ იოშებს თავისი შეგობრის — საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, — განაცხადა ი. ბილენმა ჩვენი პარტიის მე-19 ყრილობის ტრიბუნიდან. —

თურქ ხალხს არ სურს დაღეაროს თავისი სისხლი ამერიკელი მილიარდერებისა და თურქი მილიონერებისათვის. თურქ ხალხს სურს კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის ხალხებთან, რომლებიც ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდნენ მის ეროვნულ დამოუკიდებლობას“.

უსთიენგელი თავის ჩანაწერებს ოპტიმისტურად ამთავრებს: „მე კვლავ ხალხის შეუფელში, ხალხის ზღეაში ვარ! მე ისევ ბრძოლის ველზე ვარ!“ თურქი ხალხი დარწმუნებულია, რომ კომუნისტების ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდება.

უსთიენგელის ჩანაწერები თარგმნილია ქართულ ენაზე რუსულიდან. თარგმანი მთლიანად კარგად არის შესრულებული გრ. მაქეარაინისა და თ. შაიშვილის მიერ. მაგრამ მაინც არის სტილისტურად დაუმუშავებელი ზოგიერთი ადგილი. მაგალითად, „ლივლივებენ დაბორკილი ჩვენი ხელები“ (11), „ფესებთან სულთანის ენდარმები“ (14), „ერთხელ მეზობელ საყანში მოიტანეს ახალგაზრდა ტურთი“ (39), „მაღალ კარებთან დგას პოლიციის კომისარი სულთანის ვენზელებით“ (81), „ერთხელ მოვიდა ჩემთან ჩემი საზღვაო სტამბის ამხანაგი“ (159), „კომპარტიის ვილაიეთის კომიტეტმა“ (176), და სხვ.

ილ. ფიქარიშვილი

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები



რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მორიგ, მეორე, ტომში მოთავსებულია ნაშრომები მეცნიერების სპეციალსა და რევიდან. აქ წარმოდგენილია წერილები ლიტერატურათმცოდნეობიდან, ენათმეცნიერებიდან, ისტორიიდან, ფსიქოლოგიიდან, ქიმიიდან, ანატომიიდან, ფიზიიდან.

„შრომები“ იხსნება კ. გვიგენიშვილის წერილით — „ი. ბ. სტალინის შრომები ენის შესახებ და მათი მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის“.

ლიტერატურის საკითხებს მიეძღვნება გამოკვლევები ალ. ჩაუღიშვილის, ბ. ქიქოძის, ელ. აბრამიშვილის და ლ. სლიტინსკაიასა.

დოქ. ალ. ჩაუღიშვილი ეხება ლიტერატურის თეორიის ერთერთ საინტერესო და ჯერ კიდევ სათანადოდ დაუმუშავებელ საკითხს — ეპიგრაფის

რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 11, 1952.

პრობლემას მხატვრულ ლიტერატურაში („ეპიგრაფი მხატვრულ ლიტერატურაში“). წერილი აგებულია შემდეგი ქვეთაეების მიხედვით: ეპიგრაფის განსაზღვრება, ეპიგრაფის კლასიფიკაცია, მხატვრული ნაწარმოების იდეასთან საკუთრივ ეპიგრაფის მიმართება.

საყურადღებოა, რომ ავტორი მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენებულ ეპიგრაფებს ჰყოფს სამ სახედ: 1) ადრესატული ეპიგრაფი, რომელიც გვიჩვენებს იმას, თუ ვისადმი ნაწარმოები მიძღვნილი, 2) რემარკული ეპიგრაფი, რომელი იძლევა სხვადასხვაგვარ ცნობებს, შენიშვნებს და განმარტებებს მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ, 3) საკუთრივ ეპიგრაფი, ე. ი. მხატვრულ ნაწარმოებზე წარწერილი ისეთი გამოთქმა, რომელიც ადრესატული ეპიგრაფისაგან განსხვავებით, არსებობს მხატვრული ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო რეპარკული ეპიგრაფისაგან განსხვავე-

ბით, შეიცავს სხარტად გამოთქმულ განზოგადებულ აზრს და ორივეს მსგავსად გვეხმარება ნაწარმოების იდეის გაგებაში. ალ. ჩაუღვიძელი დამაჯერებლად ნათელყოფს, რომ საკუთრივ ეპიგრაფი კონტრასტულ მიმართებაშია მხატვრულ ნაწარმოებში გამოთქმულ ავტორის აზრთან. ამავე დროს, შესაძლებელია არსებობდეს წინააღმდეგობა საკუთრივ ეპიგრაფის დამოუკიდებელ აზრსა და ნაწარმოების შთავარ, ძირითად, წამყვან იდეას შორის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი საკუთრივ ეპიგრაფი ხელს უწყობს მხატვრულ ნაწარმოების იდეის გახსნას, მაგრამ ეს ხელშეწყობა არ არის თანმიმდევრული და სრულყოფილი. მეორე მხრით, არსებობს სრული შეთანხმებულობა მწერლის მსოფლმხედველობასა, ნაწარმოების იდეასა და საკუთრივ ეპიგრაფის აზრს შორის.

ალ. ჩაუღვიძელის გამოკვლევა დაფუძნებულია ფართო ლიტერატურულ მასალაზე. დებულებები ვაშლილია ზვენი კლასიკური მწერლობის საეკეთესო ნიმუშებზე. უხვადაა გამოყენებული საბჭოთა ლიტერატურის მონაცემები (დამოწმებულია გ. ლუონინის, ი. გრიშინის, ი. აბაშიძის, კ. ლორთქიფანიძის და სხვათა ნაწარმოებები).

ქართული ლიტერატურის ისტორიის საინტერესო საკითხებს ეხება ბ. ქიქოძის გამოკვლევა: „გაბაასების თავისებურებანი, მისი აღმოცენების მიზეზები და საწყისები ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ძველ ქართულ ლიტერატურაში“.

როგორც ცნობილია, გაბაასების ენრი გავრცელებული იყო XVI — XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში. გავისენოთ თეიმურაზ პარველის „შედარება გაბაასებისა და შემოდგომისა“, „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ და სხვა. თეიმურაზის შემდეგ გაბაასება გაბატონებულ ენრად იქცევა და მას იყენებენ არჩილი, გერამიშვილი, თეიმურაზ მეორე და სხვები. გაბაასების სახელწოდებით ცნობილ თხზულებებს, სხვა ენრის თხზულებებისაგან განსხვავებით, აქვს შთელი რიგი თავისი დამახასიათებელი სუბტილური ნიშნები.

როგორც ირკვევა, გაბაასება საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი, ვიდრე ის განსაკუთრებულ პოპულარობას ირანში მოიპოვებდა. ნაწარმის ავტორს გაბაასების შესწავლის მიზნით შეიმოწმებია დღემდის გამოცემული ტექსტები და უპოვია 20 სახელწოდების დიდი თუ პატარა მოცულობის ხალხური გაბაასება. დამაჯერებელია ბ. ქიქოძის შტკიცება, რომ გაბაასება ჩვენში თავდაპირველად უნდა შემოშავებულიყო ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში და შემდეგ უნდა გადასულიყო იგი ლიტერატურაში.

გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის შემოქმედებით ურთიერთობის საკითხს ატყვევებს ელ. აბრამიშვილის წერილი: „ელ. აბრამიშვილი და ზურაბ ანტონოვი“. საქითხუ, თუ რა გავლენა მოახდინა გ. ერისთავის შემოქმედებამ ზ. ანტონოვის დრამატურგიაზე, საგანგებოდ ყურადღება გაამახვილა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ. ელ. აბრამიშვილი იძლევა ერისთავისა და ანტონოვის კომედიების შედარებითს ანალიზს და ატყვევებს ამ კომედიების თემატურ-სიუჟეტურ შეხედრებს და ადგენს მათ შორის სხვაობასაც.

„შრომებში“ გამოქვეყნებულია ი. ნოღაიძელის წერილი: „ერთი ქართული ტერმინისათვის თურქეთში“. ი. ჯავახიშვილის გამოკვლევებზე დაყრდნობით და ახალი მასალის მოპოვებით, თურქოლოგმა ს. ჯიქიამ გამოაკვია, რომ თურქულში ქართულიდან შეთვისებულია რამდენიმე საიტყვა უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიიდან. ეს გარემოება (და სხვა მონაცემები) იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში წარსულში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რაციონალიზების დარგში წამყვან როლს ასრულებდა არა მარტო ამიერ და ჩრდილო კავკასიაში, არამედ ამ სფეროში თავისი შედარებით მაღალი კულტურით გაეყვანა ახდენდა აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ მოსახლეობაზედაც. ნოღაიძელი არკვეს, რომ თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთების მოსახლეობაში ქართულიდან შესულა ტერმინი „თავანი“-ც, რომელიც ქართულში სხევის სინონიმი.

დოც. ნ. ხიდშელის დიალექტოლოგიურ ნაშრომში დახასიათებულია ს. შეკვეთილის რუსული მეტყველების დიალექტური თავისებურებები. ლ. სლიტინსკიაი თავის წერიაში არკვევს იმ ლიტერატურულ ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთში ტურგენევის შემოქმედების ირგვლივ 1853 — 1856 წლებში.

გარდა ლიტერატურულ-ენათმეცნიერული გამოკვლევებისა, „შრომების“ სარეცენზო ტომში მოთავსებულია ნაშრომები ისტორიიდან (დოც. მ. დემბაძის, დოც. ვ. დონაძის, ი. კუბლაშვილის და დოც. ნ. კვიციანიას), ფსიქოლოგიიდან (პროფ. ვ. ნორაკიძის და დოც. ფ. ზუნდაძისა), ქიმიიდან (დოც. ვ. ქეშიძისა და ა. კობერძისა), ფიზიკიდან (შ. ქეშიძისა) და ანატომიიდან (პროფ. ვ. თვალაძისა).

სასურველი იყო ნაშრომებს დართოდა რეზუმე რუსულ ენაზე.

„შრომების“ ეს ტომი რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის ზრდის მარჯვენა ბეღია.

შ. ქახაბერიძე

სასარგებლო მიწინიჭულ-კოკულარული ნარკოზი



მ. რ. ცხელიძე

ბორჯომსა და მის ხეობაში მდებარე კერძო-ტყევის შესახებ საინტერესო წიგნი გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი აკადემიკოსი, პროფესორმა ნ. ყიფშიძემ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მკურნალობდა ავადმყოფებს ბორჯომის პირობებში, აწარმოებდა დაკვირვებებსა და გამოკვლევებს ბორჯომის წყლის სამკურნალო თვისებებზე. ყოველივე ამან ავტორს შესაძლებლობა მისცა მალე მეცნიერულ დონეზე გაეშუქებინა ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და შეზღვეულობის, ადამიანის ორგანიზმზე მისი ფიზიოლოგიური ზემოქმედების შესახებ არსებული მასალები.

ბორჯომის მინერალური წყაროები ცნობილია საქართველოში ძველი დროიდანვე. ამას მოწმობენ ისტორიული ძეგლები, არქეოლოგიურ გათხრათა მონაკლები. 1913 წელს საკმატყო საშუალოა წარმოების დროს ვაკატრინესეულ წყაროსთან დაახლოებით მ არშინის სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა თლილი ქვის ექვსი აბაჯანი, რაც უდავოდ აღსატყუებს, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ბორჯომის წყლით სარგებლობდნენ რამდენიმე საუკუნის წინათ. ეს მოსაზრება დასტურდება იმითაც, — წერს ავტორი, — რომ არსებობდა ისტორიული ძეგლები, რომლებიც მეტყველებენ, რომ 12 საუკუნეში ცნობილი იყო ბორჯომის შახლობად მდებარე სოფელ დეორის თბილი წყაროები.

მეფის შთაგრობა არაერთარ ყურადღებას არ აქცევდა ჩვენი ქვეყნის საკურორტო სიმდიდრეებს, ბორჯომში არსებობდა თავადების, მეფის დიდუკეთისა და კაპიტალისტების რამდენიმე სახლი. საკურორტო სიმდიდრენი — შესანიშნავი ტყეები მტაცებლურად ჩანადვებოდა ერთი მექა გაჭნა მუწარმეთა მიერ. ბორჯომსა და მის მიდამოებში არ არსებობდა არც ერთი სანატორიუმი ან დასასვენებელი სახლი.

მეწვევიეების ხანმოკლე ბატონობის დროს ბორჯომი გაპარტახდა. ტყეს ბარბაროსულად სჩებდნენ, მინერალური წყლის ჩამოსხმა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი.

შხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ჩვენი ქვეყნის საკურორტო სიმდიდრენი ჩაყენებულ იქნა მშრომელთა სამსახურში. სულ მოკლე დროში აქ მოიწყო 10 სანატორიუმი 723 საწოლით.

საქართველოს კურორტებს, კერძოდ, ბორჯომის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მინერალური წყლების დეკარეტის, 1919 წლის 20 მარტს და 1920 წლის 21 დეკემბერს, რამაც განსაზღვრა საკურორტო საქმის განვითარების ძირითადი პრინციპები.

საქართველოს კურორტების კომპლექსური შესწავლისათვის გრანდიოზული სამუშაოები განიშლა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ.

ბორჯომის შესანიშნავმა კლიმატურმა პირობებმა — ჰაერის ტემპერატურამ, ტენიანობამ, ქარის სიჭკარამ და შხის რადიაციამ, თავისი თვისებებით საუცხოო მინერალურმა წყალმა შექმნეს ყოველგვარი პირობა ათთაბასობით ავადმყოფთა დასვენებისა და მკურნალობისათვის.

ავტორი წერს: „რა თქმა უნდა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ამ ფაქტორს — ჰაერს, შხეს, წყალს, ვუბნას, შრომას და გონიერულ დასვენებას, მაგრამ ჯანმრთელობის საკითხები მარტო ამ ფაქტორებით როდეს განისაზღვრება. მშვენიერ ბუნებას, სუფთა ჰაერს არაერთიანი მნიშვნელობა არ ექნება, თუ ადამიანი ამავე დროს განიცდის უფლებრივ, ეროვნულ და ეკონომიკურ ჩაჯვრას, რის მაგალითსაც წარმოადგენს კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა. ამიტომ ჯანმრთელობისათვის აუცილებელია ცხოვრების ყველა პირობის კომპლექსური გავლენა, რაც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი სოციალისტურ ქვეყანაში“.

საბჭოთა ეჭიშვილები, რომლებიც შემოქმედებითად ეუფლებიან დიდი ფიზიოლოგის — პავლოვის მოძღვრებას, ბორჯომის წყლით მკურნალობის დადებით შედეგებს ხსნიან არა მარტო ამ წყლის სამკურნალო თვისებებით, არამედ გარემო წრის ფაქტორთა კომპლექსური შემოქმედებითაც.

ბორჯომის ხეობის მთელი ფართობის დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს მწვანე მასივი; ეს არის მარად მწვანე ფიჭვი, ნაძვი, მუხა, არყის ხე და სხვ. მრავალფეროვანი და მდიდარი ფლორა შეიცავს მცენარეთა 450-ზე მეტ სახეობას.

რუსეთის თერაპევტული სკოლის ფუძემდებელმა, მე-19 საუკუნის სახელგანთქმულმა ექიმმა და მეცნიერმა პროფესორმა გ. ა. ზახარინმა, გენიალურმა რუსმა კომპოზიტორმა პ. ი. ჩაიკოვსკიმ, ცნობილმა რუსმა მეცნიერმა პ. ი. კოვალევსკიმ, ქართული ლიტერატურის კლასიკოსებმა გრ. ორბელიანმა და აკ. წერეთელმა, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელმა მამსინ გორკიმ და სხვებმა, იყენებ რა ბორჯომში

ისევედასხვა დროს, მრავალი აღფრთოვანებული სტრუქტურის უძღვრეს საქართველოს ამ ერთ-ერთ უღამანეს კეთხეს.

ბორჯომში ისვენებდნენ და მკურნალობდნენ მ. ვ. ფრენზე, სერგო ორჯონიკიძე, ვ. ვ. კუიზი-შევი, გ. შ. დიმიტროვი. კომუნისტური საზოგადოების ათეული ათასობით თავდადებულმა მშენებელმა დაისვენა და იმკურნალა ბორჯომში.

ბორჯომს მსოფლიოში სახელი გაუთქვა მისმა მინერალურმა წყალმა, რომლის ბადალი არსად არ მოიპოვება თავისი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით. მხოლოდ ვიშის (საღვინეთი) საქართველოში წყალი ჩამოგვავს ბორჯომის წყალს, მაგრამ ეს უკანასკნელი გაცილებით უკეთესია.

თუ რკველეთამდე ბორჯომის რაიონის გეოლოგიურ გამოკვლევას ჰქონდა ემიზონური ხასიათი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს საქმე ფართოდ გაიშალა და მას ნამდვილი მეცნიერული ხასიათი მიეცა. ეს იქმის არა მარტო ბორჯომის, არამედ სხვა ჩვენი კურორტების შესახებაც. ამის ხელი შეუწყო მთავრობის მიერ გაღებულმა დიდიძალმა ხარჯებმა საძიებო მეცნიერულ სამუშაოთა საწარმოებლად და მინერალური წყაროების გეგმიანად გამოყენებამ. ამქამდე ბორჯომში მოქმედებს 7 მთავარი წყარო, რომელთა საერთო დებეტო შეადგენს 180.000 ლიტრს დღედაშემო. მაგრამ ამით როდის ამოიწურება წყლის რესურსები. არსებობს ყოველგვარი შესაძლებლობა, მნიშვნელოვანდ გაიზარდოს წყლის საერთო დებეტო, ამის დამადასტურებელია ახალი მშლავრი წყაროს აღმოჩენა ლიკანის რაიონში.

ავტორი ავეიწერს ბორჯომის წყლის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს და შემადგენლობას. თანამედროვე მასალების თანხმად, ბორჯომის მინერალური წყალი განეკუთვნება ნახშირბადოვანი ბილროკარბონატო-ნატრიუმის წყლებს. ამ შესანიშნავი წყლის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ქიმიური შემადგენლობისა და ტემპერატურის უცვლელობა.

ბადალი მეცნიერული დონით ხასიათდება წიგნის ის თავი, რომელშიც ავტორი ავეიწერს ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიკოლოგიურ ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე. ავტორს საინტერესო ცნობები მოჰყავს სამედიცინო ძველებიდან („წიგნი სააქმო“ და „ადი-გარ დუდი“). ეს ცნობები შეეხება აბაზანებით მკურნალობას. მათში აღწერილია წყლის ტემპერატურა და მოქმედება, აბაზანის ხანგრძლივობა და ა. შ.

ავტორი ავეიწერს კურორტთა ბორჯომის ჯგუფს: წალდერს, ცეშს, ლიბანს, პატარა ცეშს, ბაკურიანს და სხვ., რომლებიც მდებარეობენ 1020-დან 1654 მეტრამდე შავი ზღვის დონედან.

იგი დაწერილებით ავეიწერს თვითნებულ კურორტის თავისებურებას. დაწერილებით ავეიწერს კლასიკურილი მთელ საბჭოთა კავშირში მოქმედებული კურორტი ამასთენიანი, რომლის პაეა განსაკუთრებით კეთილმოყოფელ გავლენას ახდენს ტუბერკულოზით დაავადებულებზე. ამ მდებარეობას ათზე მეტი სანატორიუმო, სადაც მკურნალობას იღებენ ჩვენი სამშობლოს ყველა კეთხიდან ჩამოსული ავადმოყოფები.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტორი ბაკურიანს. ეს კურორტი წარმოადგენს სათხილამურო სპორტის აკვანს საქართველოში. საბჭოთა კავშირის ყველა კეთხიდან ჩამოიდან ამ სათხილამურო სპორტის მოყვარულნი წრთენიანს და შეუკრბრბისათვის. წიგნის დაკენიის ნაწილში ავტორი ავეიწერს მეთორმეტე საუკუნის შესანიშნავ ნაგებობას ვარძიას, რომელიც ამქამდე მუზეუმად არის გადაკეთებული.

პროფესორ ნ. ყიფშიძის წიგნს გაიჩნია ზოგიერთი ნაკლოვანება.

ავტორი 45-ე გვერდზე წერს: „ქიმიური ანალიზი პირველად, 1851 წელს აწარმოვა ვილენსმა“. ეს შეტყუება სინამდვილეს არ შეესაბამება. პროფესორ ა. ალადაშვილის გამოკვლევით, დადგენილია, რომ ბორჯომის წყლის ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობა პირველად შესწავლილ იქნა 1846 წელს კერსტენის მიერ.

იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ბორჯომის წყლის ფიზიკოლოგიურ ზემოქმედების შესახებ, ავტორი პელოვის პოზიციებიდან არასაკმაო ვრცლად ასახავს თავის ტენის ქერქის როლს ბორჯომის წყლის მოქმედების მექანიზმში.

ცნობილია, რომ საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს სანატორიუმის ექიმთა კოლეკტივმა ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ლიკანში აწარმოვა უღრესად ძვირფასი გამოკვლევა კუქის წყლების დროს ბორჯომის წყლის ზემოქმედების საკითხის გამო. მაგრამ ავტორს მხოლოდ გაკვრით აქვს ნათქვამი ამ მუშაობის შედეგებზე.

საინტერესოა, მაგრამ ძალზე გაჭიანურებულია ვარძიის ისტორია.

ეს ნაკლოვანებანი არ ამცირებენ ამ წიგნის მნიშვნელობას.

დიდი რუსი მეცნიერი კ. ტიშირიაშვილი წერდა: „ჩვენი გონებრივი შრომის პირველივე ნაბიჯიდან ორი პარალელური ამოცანა დავისახე მიზნად: მემუშავა მეცნიერებისათვის და მეწერა ხალხისათვის, ე. ი. პოპულარულად“. ნ. ყიფშიძის ეს შრომა წარმოადგენს მეცნიერულ პოპულარული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს, რომელიც აცნობს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ფართო მასებს საქართველოს შესანიშნავ კურორტებს.

გ. შიხმელაური



მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულ საზოგადოებაში

ბიბლიოგრაფია



საქართველოს არქეოლოგია ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერებაა, მას მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა შემოხვევით ხასიათს ატარებდა, და უმთავრესად ენთუზიასტ მეცნიერთა პეშაობით ამოწერებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული არქეოლოგია მკვლარ მეცნიერულ საფუძველზე დადგა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არქეოლოგიის განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებსა ქმნის. მართლაც, ამ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით შეიარაღებულმა საბჭოთა არქეოლოგიამ თავის მუშაობაში დიდ წარმატებებს მიაღწია. მრავალი შესანიშნავი არქეოლოგიური ძეგლი იქნა გათხრილი და შესწავლილი. ხერხდება დაგროვილი მასალის საფუძველზე ქართული მატერიალური კულტურის ისტორიის საერთო სურათის ჩვენება.

სწორედ ასეთ მიზანს ისახავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული წიგნი: „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გერმანე გობეჯიშვილი.

თავისი ხასიათით ეს წიგნი მეცნიერულპოპულარულ ნაშრომს წარმოადგენს. მასში თავმოყრილია ქართული არქეოლოგიის მონაბოვარის გარკვეული ნაწილი. ავტორმა შექმნა მკითხველთა ფართო მასებისათვის მისაწვდომი გაეხადა მეცნიერების ამ დარგის უმნიშვნელოვანესი საკითხები და ნათელი წარმოდგენა შეექმნა ქართული მატერიალური კულტურის განვითარების ისტორიაზე.

წიგნის შესავალში ავტორი არკვევს არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, დანიშნულებას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა არქეოლოგია მიზნად ისახავს „საზოგადოების...

სოციალურ-ეკონომიკური წყობილების, მისი აღმანიშნის ფიქრების, განცდებისა და ურთიერთობის შესწავლას“, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში არქეოლოგია მოწოდებულია სამსახური გაუწიოს იმპერიალისტებს, „ამტიკოს“, რომ სოციალური უთანასწორობა მარადიულია, ვაამარტლის რასობრივი დისკრიმინაცია, ვაამართლოს კოლონიური ჩაგვრა, ყოველნაირად შეუწყოს ხელი კაპიტალიზტების იმპერიალისტურ წარსვენს.

გასაგებად და მარტივად არის წიგნში წარმოდგენილი არქეოლოგიის პერიოდიზაცია. აქვე დართულია პერიოდიზაციის სქემატური ტაბულა, რომელშიც მოცემულია თვითოეული არქეოლოგიური პერიოდის მიახლოებითი თარიღები. თარიღები ერთმანეთს მისდევენ, ვა-მონაჯლის წარმოდგენს მხოლოდ ბრინჯაოს ხანის დამთავრებისა და რკინის ხანის დაწყების თარიღები. ტაბულის მიხედვით ბრინჯაოს ხანა თავდება ძველი წელთაღრიცხვის 1000 წელს. ე. ი. ამ დროს, როდესაც მარჯვლად წნდება სამარხებში რკინა (ვ. გ. 74 — 90), ხოლო თვით რკინის ხანა იწყება ძველი წელთაღრიცხვის 1200 წელს. ამ თარიღს ავტორი იმიო ამათლებს, რომ რკინა უქველეს პერიოდში პეტად ძვირად ფასობდა და მას ალბათ ადვილად ვერ იმეტებდნენ მიცვალებულისათვის სამარხში ჩასატანებლად; ვარდა ამისა, შესაძლებელია რკინის პატარა დანა 2500 წლის მანძილზე მიწაში იმდენად დაეანგებულყო და დაშლილიყო, რომ მისი კვალც კი ვეღარ გვპოვა. უფრო ამის გამო ავტორს სამართლიანად მიაჩნია, რომ რკინის ხანის საწყისი თარიღი მთავარად გამოჩენის თარიღიდან რამდენადმე უფრო ღრმად უნდა გადაიწიოს. ავტორი ბრინჯაოს ხანის დასასრულად ძველი წელთაღრიცხვის 1000 წელს, რკინის აშკარად გამოჩენის თარიღს, მიიჩნევს. ეს სწორი არ უნდა იყოს, რადგან მის მომდევნო სამიოთხი საუკუნის მანძილზე ბრინჯაოს კულტურას თავისი ძლიერება ჯერ კიდევ არ დაუყარავს. ის ფაქტია, რომ IX — VIII — VII საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში მრავლადაა აღმოჩენილი შესანიშნავი ბრინჯაოს ნივთები — სატყეურები, ბოლოკეთილი მახვილები, ვრძელფენიანი ისრის წვერები, მასრაგუნხნელი შუბის წვერები, აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ჩეგლუვები აშკარად ვაადლებს

1 გ. გობეჯიშვილი — არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემია. 1952 წ.

უფლებას ბრინჯაოს კვლტერის დასასრული ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნეზე უფრო ახლო გადმოვიტანათ.

გინაიდან ავტორი შესაძლებლად თვლის ბრინჯაოს ხანისა და რკინის ხანის ურთიერთ გადაშლობას (ბრინჯაოს ხანა ძვ. წ. 3000 — 1000, რკინის ხანა ძვ. წ. 1200-ახ. წ. 400), საჭირო იყო მას სხვა არქეოლოგიური პერიოდებისათვისაც სწორედ ასეთი ურთიერთგადაშლდობი თარიღები მოეცა.

კარგი იქნებოდა ავტორს ტაბულაზე ენოქლითის პერიოდზე გამოესახა და ეჩვენებინა მისი ადგილი თარიღებში.

საქართველოში ძველი ქვის ანუ პალეოლითის შესახებ არსებული მასალა კარგად არის შეჩვენებული. ნაჩვენებია კაცობრიობის ისტორიის ამ უძველეს პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების მთელი ყოველცხოვრებითი საქმიანობა.

განსაკუთრებით კარგად არის გამოყენებული და გაშუქებული პროფესორ გ. ნიორაძის მიერ 1926 — 31 წლებში გათხრილი გამოქვაბულის „დევისხერცელის“ არქეოლოგიური მასალა. მკითხველი რწმუნდება, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო უკანასკნელ დრომდე არსებული შეხედულება, თითქოს ამიერკავკასიაში ქვის ხანის ადამიანს საერთოდ არ ეცხოვროს. არქეოლოგიური აღმოჩენები კი ცხადყოფენ, რომ ამიერკავკასია იმ პერიოდში აბათუ დაუსაზღვრელი იყო, არამედ იგი წარმოადგენდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს კულტურულ ცენტრთაგანს.

ნეოლითური ძეგლების დახასიათების დროს გ. ვობეჯიშვილი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ ვარაუდებზე, რომ ნეოლითის კულტურა უშუალოდ დაკავშირებულია პალეოლითთან, იგი მისგან გამოიშინარეობს, მის თანდათანობით განვითარებას წარმოადგენს. რამოდენივე ხნის წინათ კი ეგონათ, რომ ნეოლითური კულტურა სრულიად ახალი კულტურაა, რომელიც ადგილობრივ პალეოლითთან არაკუთარ კავშირში არ არის, რომ იგი ევროპაში სამხრეთიდან მოსულმა ტომებმა მოიტანეს პოლოცენის გეოლოგიური ეპოქის დასაწყისში.

განსაკუთრებით სრულად და კარგად აქვს დამუშავებული ავტორს ბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები. წიგნის ამ ნაწილში გ. ვობეჯიშვილი — მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე — ბევრ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს.

მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის დასკვნები, ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ

თი მეტალურგიული ცენტრის, სოფელ ღების მახლობლად მოცულელი ლეჩხწყის ქვედა მალაროების შესახებ. ამ მალარებში მოპოვებული მასალის მიხედვით ავტორი გვიჩვენებს იმდროინდელი მეტალურგიული წარმოების პროცესებს და მათ ტექნიკურ დონეს. ავტორი ყოველთვის ცდილობს მოპოვებული არქეოლოგიური მასალა გამოიყენოს საზოგადოებას სოციალ-ეკონომიკური წყობილების, მისი მეურნეობისა და კუბურის შესწავლისათვის. „მეტალურგიის განვითარებისა და მასთან დაკავშირებით აღებმოცემის გაცხოველების შესახებ, უკვე მოინახე პირველ-ყოფილი თემური წყობილების ბზარი, — ეგრეთწოდებული გვაროვანი არისტოკრატობის გამოყოფის პროცესი. მართლაც, ერთს მხრივ, ვხედავთ სამარხებს, რომლებშიც წინა ბერძენულან შედარებით მეტრ, მაგრამ საერთოდ ზომიერი რაოდენობის ნივთებია, ხოლო მეორე მხრივ, მოიპოვება მეტად მდიდრულ ინვენტარიანი სამარხები“ (გვ. 57 — 58). აქ ლაპარაკია ზემოთ აღნიშნულ მალაროებსა და მის მახლობლად მდებარე ბრინჯის სამაროვანზე. მდინარე რიონის სათავეებში ჩატარებული მუშაობით დამტკიცდა, რომ მეტალურგიული წარმოება საქართველოში იმთავითვე ავტობტონურ ხასიათს ატარებდა. აქ ნათლად გამოჩნდა მთელი მეტალურგიული წარმოების პროცესი, დაწყებული მადნის მოპოვება — გამოღობიდან თვით ბრინჯაოს ნივთთა ჩამოსხმა — დამზადებით დამთავრებული. ყველაფერი ადგილობრივ წარმოებდა, არაკუთარი კვლი უცხოეთიდან მეტალურგიის შემოტანისა მიზნითელი ტალის მიერ, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ, არ არსებობს.

პირიქით, როგორც გამოკვლევებმა ცხადყოფს, მეტალურგიის წარმოება საქართველოში ადგილობრივ ხასიათს ატარებს და მას განვითარების საკუთარი დიდი გზა აქვს განვლილი, რომ იგი თავისი ფესვებით ადგილობრივ ნეოლითისა და ენეოლითთან არის დაკავშირებული. მდებარე არის წარმოდგენილი ავტორის მიერ ანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა. ავტორი ცხადყოფს, რომ ამ პერიოდის კულტურა აღმოცენებულია მისი წინადროის ქართული კულტურის ნიადაგზე და მის შემდგომ ფეოდალურ კულტურასთან ერთად გეაქლევნე ქართველი ხალხის კულტურის განვითარების მილიან ხაზს, იმ კულტურისა, რომელიც ძველთაგანვე მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე კულტურათაგანი იყო.

წიგნს ბიოლოგი დართული აქვს სპეციალური ტაბულები, რომლებზეც ნაჩვენებია არქეოლოგიური კვლევა-ჩივების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლების სურათები. ამ სურათებზე წარმოდგენილი მისალა მკითხველს უაღვილებს გაერკვეს არქეოლოგიური მუშაობის საკითხებში.

წიგნის ტექნიკური რედაქციის ნაკლად უნდა ჩათვალოს ის გარემოება, რომ არქეოლოგიური ეპოქები ტექსტში არ არიან ერთმანეთისაგან გამოყოფილი, ხშირად ახალ საკითხი გვერდის ბოლო ზეთ-ექვს სტრიქონში იწყება.

გაცილებით უკეთესი იქნებოდა ფიგურული არქეოლოგიური ეპოქა ახლოვეს აღვსოვნიდან დაწყებულიყო.

ბიზლირბრაფია
გ. გობეჯიშვილის წიგნს ქართველ მკითხველთა ფართო მასებისათვის გარკვეული შედეგებითი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით სასარგებლოა იგი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

გურამ ჯეჯინიძე



✓ ხუბა ბერულავა — სიმღერა ვარსკვლავებზე, პოემა	23
✓ ელიზბარ ზედგინიძე — პაპა დიმიტრი, მოთხრობა	25
✓ ვიწრობი ქაშახიძე — ხუთი ლექსი	28
✓ ვასო მორბაძე — ორი ლექსი	29
✓ ივანე ურჯუმილაშვილი — მეგობრობა, მოთხრობა	30
✓ ქალე ბობოხიძე — დღეები სტალინგრადში, ლექსები	44
✓ ვ. კორკლენკო — მდინარე ვიქტორიის, მოთხრობა, თარგმანი რუსულიდან ქებულაძისა	48
✓ ვახტანგ ჯავახიძე — ახალ სამგორში, ლექსი	67
✓ ვიწრობი ბიბაშვილი — მიჩუნიწული ქალიშვილი, ლექსი	68
—	
✓ ვახტანგ ბახტაშვილი — ალიო მიტხელავა, წერილი	69
✓ თამარ საჯანია — დიდი ფრანგი მწერალი, წერილი	85
✓ დიმიტრი ბენაშვილი — სოციალისტური რევოლუციის საკითხები, წერილი	92
✓ აკაკი შაბაძე — გამოჩენილი გერმანელი პოეტი და მოქალაქე, წერილი	102
✓ ვლადიმერ ჯიბუტი — გრიგოლ აბაშიძის საბავშვო პოეზია, წერილი	111
✓ ბრიგოლ შვანიძე — საქართველოს მუშათა კომუნისტური პარტია და ცარიზმის პოლიციური რეჟიმი, წერილი	119
✓ დიმიტრი მუსხიშვილი — „ამბავი ნამდვილი იდამიანისა“, წერილი	135
—	
✓ ვასილ ბაბიაძე — სტალინს უმღერია, ბიბლიოგრაფია	145
✓ ნოდარ ჩხიძე — ბელინსკის რჩეული თხზულებების პირველი ტომი, ბიბლიოგრაფია	146
✓ ანდრო ლომიძე — საბჭოთა მეზღვაურის ჩანაწერები, ბიბლიოგრაფია	149
✓ ილ. ფიშკრიშვილი — თურქეთი — ამერიკელი იმპერიალიზმის კოლონია, ბიბლიოგრაფია	150
✓ შ. ქახაბერიძე — ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ბიბლიოგრაფია	153
✓ ბ. ფიცხელაური — სასარგებლო მეცნიერულ მოპულარული ნარკვევი, ბიბლიოგრაფია	155
✓ ბურაკ ზედგინიძე — მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულ საბჭოთა არქეოლოგიაში, ბიბლიოგრაფია	157
ახალი წიგნები	გარეანის მე-3 გვ.

რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პანუსისმკვებელი მღვანე), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო ქაცხაძე, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი ბილაია.

ბელოწერილია დასაბეჭდად 24/VII-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10.
შეკვეთის № 295, ტირაჟი 6.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5, ტელეფ. 3-23-42.





სახელმწიფო გამომცემლობა

- ვ. ი. ლენინი — თხზულებანი, ტომი 35. გვ. 655, ფასი 8 მანეთი.
 დემანა შენგელაია — წითელი ყაჯაჩო, რედ. კ. ბობოხიძე. გვ. 219, ფასი 3 მან. 50 კაპ.
 ხოლომონ თავაძე — შაისის განთიადი, რედ. ლ. ტიტკინიძე. გვ. 525, ფასი 10 მან. 20 კაპ.
 ვ. მარიხინი — კოლმეურნობათა და მოსახლეობის გადასახადები და გამოსაღებები. რედ.
 ე. ტრაპიძე. გვ. 333, ფასი 6 მან. 25 კაპ.
 ნ. გაფრინდაშვილი — პარაზიტი და მტაცებელი მწერების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო
 კულტურათა მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. რედ. ლ. კალანდაძე. გვ. 62,
 ფასი 70 კაპ.
 კოლმეურნის კალენდარი — რედ. მიხ. ბუჯიაშვილი. გვ. 212, ფასი 4 მან. 80 კაპ.
 ანდაზები — (მედგენილი ნინო ნაკაშიძის მიერ). რედ. დ. შენგელაია. გვ. 103, ფასი 90 კაპ.
 ნ. რიბკინი — გეომეტრიულ ამოცანათა კრებული, ნაწ. II. სტერეომეტრია. რედ. ტ. ტყეშა-
 ლაძე. გვ. 102, ფასი 1 მან. 50 კაპ.
 ა. პერშიკინი, გ. ფალევეი, ვ. კრაუელისი — ფიზიკა, ნაწ. I. მე-7 კლასისათვის. რედ. დ. ბე-
 რ. კ. გვ. 132, ფასი 1 მან. 70 კაპ.
 შ. იაშვილი, ნ. კვინიკაძე — არითმეტიკული ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული.
 ხუველი კლასისათვის. რედ. ტ. ტყეშალაძე. გვ. 128, ფასი 1 მან.
 ა. ხარაბაძე — არითმეტიკული ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. მე-3 კლასისათვის.
 რედ. ტ. ტყეშალაძე. გვ. 152, ფასი 1 მან. 40 კაპ.
 შ. იაშვილი, ნ. კვინიკაძე — არითმეტიკული ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული.
 მე-2 კლასისათვის. რედ. ტ. ტყეშალაძე. გვ. 128, ფასი 1 მან. 30 კაპ.
 ნ. რიბკინი — სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია. მე-10, მე-11 კლასებისათვის. რედ. ტ. ტყე-
 შალაძე. გვ. 118, ფასი 1 მან. 55 კაპ.
 ა. კახელიძე — გეომეტრია ნაწ. II. სტერეომეტრია. მე-10, მე-11 კლასებისათვის. რედ.
 ტ. ტყეშალაძე. გვ. 128, ფასი 1 მან. 70 კაპ.

საგლიტგამი

- გიორგი თავაშვილი — იაკობ გოგებაშვილი. რედ. შ. ბურჭულაძე. გვ. 300, ფასი 6 მან.
 80 კაპ.
 სერგეი მიხალკოვი — ლენინის მეხუთეში (თარგმ. რევაზ მარგინისა). რედ. ირ. აბაშიძე.
 83. 84, ფასი 3 მან.
 მარიკა ხარათაშვილი — ნანული. რედ. ნ. აგიაშვილი. გვ. 43, ფასი 1 მან. 20 კაპ.
 მ. ალექსიშვილი — აი რას ამბობს ისტორია? რედ. დ. გვრიტიშვილი. გვ. 414, ფასი 9 მან.
 10 კაპ.
 ნ. ჩიკვაძე — ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორიიდან. რედ. ს. აბულაძე.
 83. 120, ფასი 2 მან. 30 კაპ.
 გ. ჯინჯარაძე — მოთბობები. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 141, ფასი 1 მან. 40 კაპ.
 ა. ფრუიძე — რა ჰქვია? (ლტო). რედ. გრა ბარამიძე. ფასი 10 მან.

3360 8 2.

29 11 12
ГОСКИНФНАЯ ПАЛАТА



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ